



2015/8

ყველთვიური ლიტერატურული –
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ბალთერ არაბული
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელზა მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ქეთევან მერკვილაძე

გარეკანის პირველ და მეოთხე
გვერდებზე **დემიკო ლოლაძის**
ფერწერული ნამუშევრები.

მეორე და მესამე გვერდებზე –
ელისო ვირსალაძე
სვიატოსლავ რიხტერი

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბედუკაძე
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი
ნაირა ბუბიევი
ლევან ბრეგაძე
დავით თედორაძე
ზვიად კვარაცხელია
ესმა კოკოსკერია
გიორგი ლობჯანიძე
ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ნინო სადღობელაშვილი
თამაზ ტყემალაძე
რეზო ქვიშვილი
თემურ ქუუასელი
ბესიკ ხარანაული

ჟურნალი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მხარდაჭერით



სარჩევი

მოზინავი		„ნარსული ჰაივის უაღმართული“	
ვაჟა-ფშაველა	3	დიმიტრი ლიხაჩოვი	89
სადღესო წერილი მეგობართან		მოგონებანი <i>თარგმნა</i>	
პოეზია	5	ოლეგ გოლიაძემ	
ანდრო ბუაჩიძე	8	ახალი თარგმანები	
გიორგი გაბაიძე		XX საუკუნის გერმანულ- ენოვანი პოეზიის მოზაიკა	95
პროზა		<i>თარგმნა</i>	
გიორგი ცოცანიძე	13	დათო ბარბაქაძემ	
ლუდის მოთხრობა		ვასილი შუკშინი	107
პოეზია		ოსტატი. <i>მოთხრობა</i>	
ოთარ ფალიანი	39	<i>თარგმნა</i>	
მარი მიროტაძე	42	მარინე ამბარდნიშვილმა	
პროზა		ინგრიდ ტობუა	115
ანიკა ლაზვიაშვილი	47	ჩვენ მისამართი შევიცვა- ლეთ. <i>მოთხრობა.</i>	
<i>ჩანახატები</i>		<i>თარგმნა</i>	
• დებიუტი		ნანა სამჭკუაშვილმა	
დავით დუმბაძე	53	ირვინ შოუ	122
<i>ლექსები</i>		გოგონები ზაფხულის კაბეებში. <i>მოთხრობა.</i>	
სალომე ბარბაქაძე	56	<i>ინგლისურიდან თარგმნა</i>	
დუმფარებიანი გუბურა <i>მოთხრობა</i>		მირიან რჩეულიშვილმა	
ინტერვიუ		ჩვენი ენა ქართული	
ოლგა იუსოვა	70	ლევან ბრეგაძე	128
ჭემმარიტი სიდიადე		სიტყვა ძველი, სიტყვა ახალი	
ელისო ვირსალაძე		თეატრი	
საუბრობს სვიატოსლავ		გიორგი ყაჯრიშვილი	136
რიხტერზე		„ან ხვალინდელი დღე რას მპირდება“	
<i>თარგმნა</i>			
ნესტან მესხმა			
ხრიტიანა • რეჟანია			
დალილა ბედიანიძე	80		
მითოსურ-			
ფოლკლორული ნაკადი			
ჯანსუღ ჩარკვიანის			
შემოქმედებაში			
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.			

ხელმოწერების გასაფორმებლად
დაგვიკავშირდით ტელეფონის
ნომრებზე:
591 20 25 40;
599 56 56 44;
591 30 75 09

ჰაჟა- ფშაველა



სადღეისო წერილი მეგობართან*

მეგობარო! დღეს ქალებიც თხოულობენ მამაკაცებთან თანასწორ უფლებას. სჯობს, მიეცეს, თუ არა, რას იტყვი? მე ამა საკითხზე გაჭიანურებულს პასუხს არ მოგცემ და იმის კვლევას, თუ რა როლს ასრულებდა დედაკაცი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში, რა მნიშვნელობა აქვს ოჯახისთვის და სხვ., არ გამოვუდგები, რადგან ამის განმარტვას მთელი ტომები მოუწოდებდა, ჩვენ კი დრო არა გვაქვს ამისთვის საკმაო. მე მხოლოდ ამას ვიტყვი: დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მწამს და ვერცავეინ შემაცვლენებს ამ რწმენას. დღეს რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში, გავლენიან ადგილებზე მინისტრებისა და სხვა, დედაკაცები იყვნენ, დღევანდელი გამწვავებული და გამწარებული ცხოვრება რუსეთისა მაღამოს დაიდებდა და საჭირო რეფორმებს მალე ველირსებოდი. დედაკაცები ამდენს სიჯიუტეს არ გამოიჩინდნენ, როგორსაც დღეს იჩენენ მაღალი სფეროს მაღალნი პირნი – ისინი ხომ მამაკაცები არიან – „კაი ბიჭობად“, „გულ-მაგრობად“ არ გაასაღებდნენ თავიანთ სიჯიუტეს, ვინაიდგან დედაკაცნი უფრო ლმობიერნი, გრძნობიერნი არიან და დღევანდელი ცხოვრება ყველაზე მეტად რას მოითხოვს, თუ გარდა ერთის გრძნობისა, რომელსაც ეწოდება შებრალება, შეწყნარება. იფიქ-

რე, თუ ასე არ იყოს. მიიხედ-მოიხედე, სად არის ეს შებრალება?! კაცი ძვალტყავად ქცეული გემუდარება, გეხვეწება: „კაცო, ღმერთი-რჯული, მთელი ერთი კვირაა მშვიერი ვარ, სული ამოდის, ეს არი ვკვდები, წყალობა მოიღეო!“ მე და შენ იმას ყურს არ ვათხოვებთ და ჩვენს ქცევას გავამართლებთ სხვადასხვა ფილოსოფიურის მოსაზრებით; გამოვჩხრეკთ ხრიკიანს მოძღვრებას და იმის წყალობით წინაშე ქვეყნისაც თავს გავიმართლებთ და თავის თავთან ხომ მართალნი ვართ და მართალნი. მაგრამ დედაკაცი ამას არ იზამს, ერთ გროშს მაინც მიანვდის... მრწამს მე ეს და ამიტომ მენატრება, რომ დედაკაცს მიეცეს ისეთივე უფლება, რაც მამაკაცს, როგორც სწავლაში, ისე სამსახურში... შენ როგორც გნებავს, იფიქრე; საჭიროა გაქვავებული გული მამაკაცისა გაათბოს დედაკაცის ხმამ და მისი რწმენა, რომ მე მამაკაცი ვარ, მე ადვილად არ უნდა გავტყდე, არ უნდა მოვიხარო ქედი ხალხის მოთხოვნილების წინაშე, რათა სილაჩრე არავინ დამწამოსო, უნდა მოათავსოს კეთილგონიერების ფარგალში იმავე დედაკაცის ხმამ...

ჰოი დედანო,

მარად ნეტარნო!

ვინც თქვენ გიმტეროს, ღმერთმა იმას უმტეროს.

* იბეჭდება აღმანახ „პირიმზეში“ (№ 5, 2002) გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

●
მეგობარო! მრწამს სიფლიდე დიპლომატიისა: როგორც უბეში გველი არ დაინდობა, ისე დიპლომატია, ავს აკეთებს თუ კარგს, მაინც ფლიდია მაინც. აი, ამას წინად რომ გამობრძანდა და წინ წამოიძღვარა კაცთმოყვარეობა და... შეარიგა რუსეთი და იაპონია. რა იყო მიზეზი: კაცთმოყვარეობა, თუ სხვა რამე? მრწამს, რომ არა, აქ კაცთმოყვარეობა სათვალთმაცქო სიტყვაა, მიზეზი სულ სხვაა – ყველა დააფიქრა იაპონიის გაძლიერებამ. ყველა ჰგრძნობდა, რომ, თუ ხარბინთა-ნაც გაიმარჯვებდა იაპონია, რაიც მოსალოდნელი იყო, მაშინ ყველას, თვით ამერიკასაც, თითი უნდა მოეკაკვა იაპონიის წინაშე. არა გჯერა, რომ ეს ასეა? გამარჯვებული იაპონია კაი სიტყვებით, კაი რჩევით დასაჯეს და არანაკლები წილი ამ საქმეში უდევს თვით მის მოკავშირე ინგლისს. ამ რჩევაში აშკარად, ცხადად ერთი მხოლოდ ისა სჩანს: რუსეთს რაც ლახტი მოჰხვდა ეგ ეყოფა, და შენც, პატარა იაპონიავე, ძლიერ წინ ნუ გაიწევი, ნუ გაჰლონიერდები, რათა ჩვენც არ მოგვახვედრო იგივე ლახტით.

დიაღ, მრწამს, რომ ყოველ ერს ჯერ თავისი თავი ენიაზება, თავისთვის უნდა კეთილი, თავის საქმეების მოწესრიგება ე. ი., როგორც ხალხი ამბობს: ყველა თავის ცეცხლს უკეთებს და თავის კერძს ჩასცქერის და სხვისათვის ხეირი იმდენად უნდა, რამდენადაც თავადაც გამოადგება იგი. მხოლოდ ერთს ნაწილს ქართველებისას არა სწამს, რომ ეს ასეა და ესენი გახლავან „დასელები“, რომელნიც ქადაგებენ სხვა გავაბედნიეროთ, გავაძ-

ლიეროთ და ამით ჩვენც ძლიერნი შევიქნებითო. მოიგონე დასელების მოძღვრება დემოკრატიულ ცენტრალიზაციისა. გაძლიერებულის რუსეთისაგან ისინი მოელიან წყალობას. აბა, საიდან სადა! ნუთუ ძლიერი მეზობელი არ არის საშიში უძლურისათვის?! ნუთუ ჰგონიათ, რომ ბატონობის მისწრაფება და სურვილი დამონებულ მცირე ერებისა შეუმცირდება გაძლიერებულს რუსეთს? არა და ცხრაჯერ არა... ძლიერს ბატონს უძლური ბატონი სჯობია დამონებულთათვის. ვისა ჰშურს ძლიერება რუსეთისათვის? აგრეთვე არავის, ოღონდ წვრილს ერებსაც ჰქონდეს მიცემული საშუალება ამავე გაძლიერებისა... დღეს მთელი ქვეყანა ამას გაიძახის: დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, გვინდა მოვიპოვოთ საღსარი ბედნიერების, სიმართლის მისაღწევად. მე კი ჩემად მრწამს, და შენც, ვიცი, არ იუარებ, რომ უხეირო დეცენტრალიზაცია სჯობია საუკეთესოდ მოწყობილს ცენტრალიზაციას. ეს რომ ასე არ იყოს, არც სპენსერები დაამჯობინებდენ (იხ. სპენსერის თხზ. „განვითარება პოლიტიკურ დაწესებულებათა“).

ვის არა სწამს, რომ მხოლოდ სრული თვითმართველობა გააბედნიერებს ხალხს, გაჰზრდის მის ენერგიას, გამოიწვევს და ააყვავებს მასში დამალულს ახალს ძალებს? – რომ აპეკუნობა, რაც უნდა კარგი აპეკუნი იყოს იგი, აჩლუნგებს ერის ძალღონეს, თვითცნობიერებას?! – რომ დედაენაზე სწავლება სრულყოფს, ზრდის, ავითარებს ყოველმხრივ მოზარდ თაობას?! ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, როგორც ორჯელ ორი ოთხია და არა ოცი.

ანდრო ბუაჩიძე



შეხვედრა

ბესო გილაშვილის ხსოვნას

ჩვენი შეხვედრა იყო სრული შემთხვევითობა,
ჩვენ ხომ რაღაც გზა გამოვიარეთ ამ ცხოვრების ხვეულებში
და მერე შევხვდით ერთ უბრალო წვეულებაზე,
სადაც მიდიხარ ხათრის, ზრდილობის და სხვათა გამო,
„გამოიარე! – შენ მითხარი, – „გამოიარე“.
იქნებ ეს იყო ამოძახილი შენი დახშული მარტოობიდან?!

მე მინდოდა შენთვის მომეთხრო ჩემი ცხოვრება –
ელნათურები, ვარსკვლავები ბროსეს ქუჩაზე
როგორ ენთო და ანათებდა... როგორ მინდოდა მომეყოლა
ჩემი ცხოვრება – ერთადერთი, რაც მე გამაჩნდა
და რაც თანდათან დაუდევრად გავანიავე...
მინდოდა მეთქვა, შენთვის მეთქვა, რა აზრი აქვს
ამ შეხვედრებს, თუ მერე მაინც ვიკარგებით,
თვითონ ცხოვრება გადაგვისვრის სხვადასხვა მხარეს
ან ჩვენ თვითონ გადავისვრით სადღაც ცხოვრებას,
მაგრამ ხომ არის ვარსკვლავებიც, ელნათურებიც,
შუალამისას სიზმრებიდან თავს რომ ამოვყოფთ,
რომ წამოვდგებით სანოლიდან, ფანჯარაში რომ გავიხედავთ,
და ისევ დგანან ძეგლებივით, ჯერ ისევ დგანან
ის ვარსკვლავები და ისევ ის ელნათურები...

ვერ მოგიყევი. თითქოს რაღაც ძალა არსებობს
ერთმანეთისგან რომ გვაშორებს, არ გვაახლოვებს,
რომ არ გვაძლევს საშუალებას, ერთმანეთს ვუთხრათ
ყველაზე უფრო ღრმად ნანახი სიზმრების ბჭუტვა,
ტვინში გავლილი ცდუნებები, სინანულები,
რომელიც მარტო ჩვენშია და თვითონვე ვხედავთ
და რომელიც სიზმრებიდან ღამით ანათებს...

ვერ მოგიყევი. მინდოდა კი მომიყოლა ჩემი ცხოვრება,
 თუმცა სხვებსაც ვერ მოვუყევი. ვერ მოვუყევი
 ჩემს ღვიძლებს და იმ ჩემს მეგობრებს, ამქვეყნიდან
 რომ გაიკრიფნენ თანმიყოლებით, თითქოს
 შორიდან მომიახლოვდნენ, ხელით შემეხნენ,
 მერე დამშორდნენ და გადაქრნენ ვარსკვლავებივით,
 თითქოს არ იყვნენ, მაგრამ მე კი მგონია, იყვნენ
 და ისე ჩუმად შეეთვისნენ მარადისობას,
 თითქოს ეს იყო მათი ყოფნის მუდმივი აზრი.

ვერ მოგიყევი. მოსაყოლადაც აღარ მიღირს...
 რაც უკვე იყო, ჩემთან ერთად ნელა ბერდება
 და კარგავს ძალას გახუნებულ ხსოვნათა მსგავსად.
 არავინ არის, მითხრას აზრი ყოველივესი,
 არავინ არის, მითხრას „კმარა“, რადგან ვერასდროს
 ამ ყოველივეს ვერც ახსნი და ველარც გაიგებ...
 მხოლოდ მცირე ხნით შევხვდით ასე
 გზაჯვარედინზე, ერთ უბრალო წვეულებაზე...
 მე ახლაც გხედავ, მაგრამ უკვე ვიცი, რომ სხვაგან
 გადაინაცვლე, და მეც წამოველ ჩემს ფიქრში შენთან,
 მხოლოდ ჩემს ფიქრში, ჩემი ფიქრის კვალში ვიარე.

რა უცაბედად ხდება მაინც იმის გაქრობა,
 რაც საკმაო ხანს გროვდებოდა და არც ელოდი,
 შენ უკვე ბენვზე ეკიდე და ქარი გეძებდა
 მარტოობისგან პირდაფიქნილ დიდ და უაზრო
 ყრუ ღამეებში, როცა ალბათ გელვიძებოდა
 და სიზმრებიდან პირდაპირ ამ რეალობაში
 გადმოდიოდი კიდევ ერთხელ და არ იცოდი,
 რატომ და რისთვის გადმოხველ და გადმოაბიჯე.

შენ ვერ შეძელი, ვერ მითხარი, ვერ მომიყევი
 შენი ცხოვრება, რადგან ცხოვრება ის არის, რაც
 ვერმოყოლილი, ვერშენახები გამუდმებით
 შენშია მხოლოდ, ჩვეულებათა წყება არის,
 დერეფანია და დერეფნის ბოლოს – მრიცხველი,
 კარზე კაკუნის მოლოდინი, სხვა რამეებიც,
 რასაც ერვევი და რაც თვითონ შეგეხორცება
 და არ გშორდება, ვით ნილაბი შენებებული,
 რომელსაც იხსნი სიკვდილის წინ და ვერმოყოლილს
 ხედავ სინანულს, აქამდე რომ ვერც კი ამჩნევდი,
 არც კი გახსოვდა და აღარც კი გეგულებოდა...

ვერ მოასწარი, ვერაფერი ვერ მოასწარი,
 რადგან ვერ ვასწრებთ ეჭვიანობას, გულისგახსნას,
 ქარში სიარულს, ჩვენი სახლის ფანჯრიდან ცქერას,

ვერ ვასწრებთ ტანჯვას, ვერც განდობას და
 ვერც ლანდშაფტებს ველარ ვასწრებთ.
 მოუსწრებლად, ასე მივდივართ ნანვიმარზე
 ნელი ნაბიჯით. ვერ მოასწარი იმის თქმა,
 რომ უკვე დაღამდა. ვერ მოასწარი ისიც,
 რაც სულ ერთხელ გინდოდა, ვერ მოასწარი,
 ნასალამოვებს მზე ხეებში... ვერ მოასწარი,
 ჰო, ვერ ასწრებენ ერთმანეთთან სიახლოვეს
 ქარი და წვიმა, და შენც მათთან ვერ მოასწარი
 კვლავაც შეხვედრა...

ვერ მოასწარი დედის ხსოვნა, ვერ მოასწარი,
 რადგან ვერასდროს ვერ ვასწრებთ დედებს,
 რადგან დედა გვებეძება ვერმოსასწრებად,
 დედა – სვეტი ქვამარილისა, ჩვენი ცოდვების
 გაქვავება, ჩვენი სინდისის ჩუმად შენახვა
 და გადამალვა. ვერ მოასწარი მთვარიანში
 ჩამყუდროება, რადგანაც უკვე სამყუდროოდ
 არ გქონდა საქმე და მთვარესაც უკვე თავში
 რაღას იხლიდი?!

სადა ვართ ახლა, ერთმანეთთან გზადმეუყრელნი,
 შენ – ვერმხედველი ველარაფრის, ვერმომსწრებელი,
 და მე კი ისევ გზის პირას მდგარი...



გიორგი ბაბანიძე

აკოპრიზი №1

თუნთას

ამ ვაკუუმში მხოლოდ სუნთქვა მიშველის შენი,
არ მახსოვს, ასე განმეცადა ასთმა, არადა
არგასაკვირად მასაც ღამით ცოდნია ქშენა
(და ასე სნეულს მაპოვნინებს შენ თავს სამყურა),
ვეგრძნობ ამ ბოლო დროს, ღმერთმა შენით დამაავადა,
შენ თუ განმკურნავ...

დედამინაზე ზამთარია, მაშასადამე,
ობობას ქსელზე უკრავს შოპენს ქარის ორკესტრი,
ზამთარმა ჭრელი შემოდგომა გაასადავა,
ზამთარმა – ცივმა, უნაყოფომ, უღვთომ, უმიზნომ,
მე კი მზეს ვხატავ გულგამომშრალ ყვითელ ფლომასტრით,
რომ შევეხიზნო...

დრო მოვა, ვიცი, სიხარულით ვერ გავძლებ ცხრა თვეს,
დროს არ ვცნობ!.. ვერ ვცნობ... ავერიე საკუთარ თავსაც,
მე მაშინათვე შე(ნ)გიცანი, მე მაშინათვე...
და მიტომ შენში შემოპარვას მპატიობ მთის შვილს,
სიზმრებში არაკანონიკურ წიგნების მსგავსად,
მე შენში ვიშვი...

მერე კი ფონად შევირჩიე ფერები კლიმტის,
დამჩემდა... – შოპენს, შიგადაშიგ „Pink Floyd“-ს ვუსმენ...
ვკითხულობ მარკესს, სული უფრო ჩოხელზე მიმდის,
მხიბლავს არათუ ერთი ფერი, სიმრავლე ფერთა,
გახსოვს პირველი ემოცია „გ-ს+(პლიუს)თ“-ზე,
მე და შენ ერთად...

გაზაფხულია, წინ გავუსწრებ მოვლენებს ისე,
რომ დრო დაიმსხვრეს – სამასი წლის ვერცხლის
ნარგილე...
ასე მთავრდება, თუ იწყება მობნელებისას,
ჩხვევრით შემთვრალს ტანმაღალი აღმართი
მქანცავს...
ჩემი სისხლისგან გამთბარ თიხას სუნთქვით არბილებ
და არქმევ გვანცას...

ექსპროზიტი თუნთას

წამოდი, მორჩა, რას მემართლები?!
გინდა, ვიცხოვროთ მხოლოდ ნაბადზე,
თან გავიყოლოთ თაფლის სანთლები
და მერე თუნდაც ხატზე გადაგვცენ.

ვერ დაგვეწევა წყევლა დილამდე,
დავტოვოთ უკან კორიანტელი,
თუკი სულები ისე მივადნეთ,
რომ ჩამოვქენით ერთი სანთელი.

წყურვილს, რომელსაც დღემდე ვითმენდი,
მოვიკლავ ამ ცით, ამ წყლით, ამ მთებით
და სანთლის ჩემი წილი სინმინდით
მაგ შენი გულის კოვზზე დავდნები.

გადაიფიქრე

ეს ჩვენი სახლია ფარდების გარეშე,
ცა სახლში პირდაპირ ფანჯრიდან შემოდის,
შემოვა, ინვიმებს და შენზე დამგეშავს,
მერე კი დამტოვებს ამარა ჩემოდნის,

რომელშიც ოდესღაც შენ ბარგი ჩაკუჭე,
ცოტათი მოგალბო კაბების სიფითრემ,
მერე კი დახედე ერეკლეს ბაჩუჩებს
და... გადაიფიქრე...

მღუშარე ლოცვა

ვხედავ ანარეკლს, საკუთარი თავის ნაქურდალს,
კვირის მწუხრიდან ვემზადები კვლავ საკვირაოდ,
ვდგავარ მიწაზე და თან ვწევარ ჩრდილში საკუთარ,
იმიტირებულ ფრენით ვცდილობ, შევკრა ირაო.

შევიმოსები და აღსდგება ჩემში მესია,
დავემგვანები ბნელ უღრანში ცოდვით დატორილს,
ლამე კორიდას წესებივით უმკაცრესია,
იღბალი ჩემი ემსგავსება ბედს მათადლორის.

მინდება, თავი დავაღწიო უქირურგიოდ,
როგორც იონამ, მესამე დღეს მუცელს ვეშაპის,
ჯობს, საკუთარ თავს ფერი უფრო მუქი ვურჩიო
და მოვიხადო სასჯელივით ცოდვის ეტაპი.

ცოდვა – კეთრივით დამემართა – წლის ოცდაორი
ორას ორმოცდახუთი დღის და წუთების უკან,
დაბადებიდან ბედი მიწვევს მასთან საომრად
და მატრიალებს მის კოლბაში – ვით ცენტრიფუგა.

ბავშვივით თვალეზამღვრეული ვებლაუჭები
სევდას, ვერაფრით წარმოვიდგენ ჩემს თავს უმისოდ,
ბედუინივით დამსკდარი მაქვს მზისგან ტუჩები,
დედის რძესავით მასაზრდოებს სევდა კუმისით...

მინდება, თავი დამაღწიოს მელანქოლიამ
და სურვილების მოძალებამ შუალამისას,
სიცოცხლე რაა, თუ სიკვდილმა ამიყოლია,
მაშინ სურვილებს მძივებივით სულზე ავისხამ.

თვალის ბადურებს შეეფინოს ნისლი ნოტიო,
მწიფე სისველით ის ყოველთვის ახარებს რტოებს,
იტყვიან, გულს ვერ მოუფრთხილდა იდიოტიო
და ვერც სიცოცხლეს – ისევ გულით ნახავერდოვნებს.

მღუშარე სუნთქვაც სინმინდეზე ისე დავადნე,
რომ ჰაეროვნად სრიალებდა სისხლში სტიქია,
საპნის ბუშტივით გასკდა გული, ოხ, ეს – სადარდე,
ამ დასასრულის დასაწყისიც სწორედ იგია...

ვწევარ... ვიღვიძებ... დილა... ღმერთი... ლოცვა... ყავა და...
ცოდვა... შენდობა... პოეზია... მერე სხვა დილა...
წარსულს, რომელსაც უკანასკნელ ლოცვას გავატან,
ბედი, რომელიც უბედობას ჯობდა ნამდვილად.

ბოლოს კი ისევ მარტო ვრჩები – ჩრდილთან საკუთარ,
 იმიტირებულ ფრენით ვცდილობ, შევკრა ირაო...
 ვუმზერ ანარეკლს, საკუთარი თავის ნაქურდალს,
 მელიმება და ვემზადები კვლავ საკვირაოდ!..

გეგავის ეპილოგი

გაუმადლარი სიქალნულე მინას მივანდე,
 ახლა ვხვდები, რომ უფრო მხიბლავს ღმერთთან სიშორე,
 ვიარე ასე ხელგანვდილი იდუმამდე,
 რწმენა ჩამოშლილ გუმბათებში უფრო ვიშოვე.

მერე ვინეკი მთელ ქალაქთან ნებით თუ ძალით,
 და დავდიოდი ქუჩა-ქუჩა ვუალით ვიდრე,
 ვაპურებ სხეულს, შთაგონებით უხორცო ალი,
 მივდივარ მძიმედ (მერამდენედ), მსუბუქ ფეხს ვითრევ.

რამდენი ჯგუფის გადაღეჭა სისხლი ამ გულმა,
 ძარღვებში მწარე ჟრუანტელად წვეთავდა თოვლი,
 სადენებივით ახლართულა ჩემი ფაბულა,
 ნავიდა ბევრი, მაგრამ ვიცი, უთუოდ მოვლენ.

სურვილში გავცვლი სილამაზეს, არამართალი
 ვიქნები, თუმცა ეს სიმართლე მძიმე როდია,
 ჟღერს ათძალი და მე კი ვცეკვავ, მე – ჰეროდია
 და ცოდვის ყვავი დამტრიალებს თავზე ყრანტალით.

და აღარ მთავრდება...

ზღვისფერყანწლებს

წვიმიდან იწყება და აღარ მთავრდება
 წვეთების ფეხის ხმა,
 ბათუმის სველი ცა ჰგავს სასონარკვეთილს...
 იკეთებს ჰარაკირს...
 ქალაქი დაუდგა პოეტებს თავდებად
 და მასში შეხიზნა,
 მას შემდეგ ძვლებამდე ლექსებით გაჟღენთილ
 ტკივილს ჰგავს ქალაქი...


თებერვლის სიზმარში ამინდი მძაფრდება,
 ცას მწვანე ფონი აქვს,
 შენც აღარ უყვები, ისედაც ხომ იცის,
 თოვლია ფანტომის,
 და სტუმრობ სიმშვიდით გადაღლილ კაფე-ბარს,
 ყავას და კონიაკს
 უკვეთავ... გარეთ კი თოვლი(ც) წვიმს,
 ესაა ბათომი...

ჩუმდები... წერ დუმილს... ფეხის ხმა არ ისმის,
 დეჟავიუ გაქვს, მგონი,
 განელილ სიჩუმეს ზომავ (სახაზავით)...
 (დროდადრო ახველებ),
 ფილტვებში წყალივით ჩაგიდგა ქარიზმა,
 სისხლში კი არგონი –
 ლექსივით – ქალაქო და მათი ნაზავით
 აკვირვებ მნახველებს.

პლანეტა დაფარა მომდევნო თარიღით
 ფანტელთა სამოსმა,
 მეტი რა შეეძლო მაცხოვრის კვარტივით
 ხელთუქმნელ „სარწყუნისს“
 სიმშვიდით გართული გონებას დაიღლი
 და ცდილობ გამოსვლას
 საკუთარ თავიდან, არც ისე მარტივი
 არის ეს, მერწმუნე...

ბათუმის სველი ცა ჰგავს სასონარკვეთილს...
 იკეთებს ჰარაკირს...
 დაინყო წვიმით და ქუჩების სისველით,
 ფიფქების ფეხის ხმა,
 მას შემდეგ ძვლებამდე შავი ზღვით გაჟღენთილ
 ლექსებს ჰგავს ქალაქი,
 თორმეტი პოეტი სულში რომ პირველი
 თოვლივით შეხიზნა.

პიოხბი სოსანიძე



ლუდის მოთხრობა

*ვუძღვნი ნუგზარ შატაიძის,
„პურის მოთხრობის“ ავტორის ხსოვნას.*

ამბობენ, ლუდითო სერიოზული სად-
ლეგრძელოები არ ითქმისო. შეიყრები-
ან ჯეილები, ჩამოირიგებენ ქაფით თავ-
მობმულ ლუდიან კათხებს, სვამენ, სანამ
შეუძლიათ – გასაგრილებლადო. მაგრამ
არ მესმის, როგორი გაგრილებაა, რო-
ცა თავ-პირზე და გაღელილ მკერდებ-
ზე ოფლი ნაკადულებლად გადმოსდით.
მეც შევსწრებივარ ლუდის მოყვარულთა
ასეთ სმეულობებს და მითქვამს: ბიჭო,
ამდენს რომ სვამთ, სადლეგრძელოები
მაინც თქვით, ან ღმერთი ახსენეთ, ან
მკვდარი, ან ცოცხალი-მეთქი და – არაო,
ბიძაო, ლუდით სადლეგრძელოს ვერც
ღმერთს ვაკადრებთ, ვერც მკვდარს,
ვერც ცოცხალს და ვერც ჩვენ თავებსო
და განაგრძობენ სმას დიდი ეშხით, დი-
დი დაგემოვნებით უსადლეგრძელოებოდ,
მხოლოდ კათხების მიჭახუნებით და „აბა
ჰეს“ შეძახილებით. ზოგჯერ კი აინყვე-
ტენ და მოჰყვებიან ე.წ. „ლუდით სათ-
ქმელ სადლეგრძელოებს“: ესაო იმ კაცს
გაუმარჯოსო, დედას რომ სახელს ეძა-
ხის და სიდედრის სურათს უბის ჯიბით
დაატარებსო; ეს იმ კაცის სადლეგრძელო
იყოსო, დედას რომ საქონლის ჯერში გა-
უშვებს და სიდედრს ვენახს უწამლავესო;
იმ კაცსაც გაუმარჯოსო, დედის პენსიის
ფულით სიდედრს რომ საცვალს უყიდი-

სო; ის კაციც ვადლეგრძელოთო, ქათამს
რომ ფეხი მოუტყდება და არტახებით შე-
უკრავსო; იმ კაცსაც ნუ დავივინყებთ,
ლორს რომ ყელს „დრუშით“ გამოჭრის,
მეზობლებმა ჭყვივლი არ გაიგონონო და
ეგეთებს; ეჯიბრებიან „სალუდე სადლეგ-
რძელოების“ თქმაში. იცინიან, ასკდებიან
ერთმანეთს სიცილით; სვამენ ვისაც რო-
გორ უნდა და ვისაც რამდენი უნდა. რი-
ტუალობის განასახი ამ სმაში არაა. მე კი
ვამბობ (ასე იტყოდა ხოლმე სულგანათ-
ლებული რეზო ინანიშვილი, როცა უეჭ-
ველი ჭეშმარიტებისა და დიდად საგუ-
ლისხმო რამის თქმას დააპირებდა), დიახ,
მე ვამბობ, რომ ლუდი საღვთო, წმინდა
სასმელია და მისი ასე აგდებულად ხსე-
ნება და სალაზღანდარო რამედ გახდა
დიდი ცოდვაა, მკრეხელობაა. ასე იყო
ოდითგანვე ქართველთა ცნობიერებაში
და ასეა დღესაც საქართველოს მთია-
ნეთში, სადაც ჯერ კიდევაა შემორჩენი-
ლი ლუდის დამზადების, ვინ იცის საიდან
და რა დროიდან მომდინარე ნამდვილი
ხალხური ტრადიცია და სადაც იგი ჯერ
კიდევ წმიდა, საღვთო-სავედრებელი ზე-
დაშეებისთვის განკუთვნილ სასმელადაა
მიჩნეული. არ გჯერათ? მაშინ გულისყუ-
რით მომისმინეთ და ეჭვიც არ მეპარება,
რომ დაიჯერებთ.

მოდით, იმით დავიწყოთ, რომ საგანი, რომელიც ხალხის სულიერების ისეთ სფეროში დაიმკვიდრებს ადგილს, როგორც პოეზიაა, ამ ხალხის ყოფიერების ტრადიციული, საუკუნეების სიღრმიდან წამოსული მისი თვითმყოფადი კულტურის ორგანული ნაწილია. მაგალითები საძებნი არაა:

**„წითელს ღვინოსა, შავს ლუდსა
განა ერთფერად სმა უნდა!?
ენაზე მომდგარ სიტყვასა
განა სუყველას თქმა უნდა!?“**

**„დგომამც ქნა შავის ლუდისა,
გათავებამც არ იყვა!
მოსვლამც ქნა კარგის სტუმრისა,
ნასვლაიმ წესად არ იყვა!“**

ეს ხალხური პოეზიიდანაა. ახლა დიდ ვაჟასაც დავეუგლოთ ყური:

**„სასტუმროს იყვნენ ხევსურნი,
ლუდი ედულა წიქასა;
იხსდნენ ბანზე და ღრეობდნენ,
თასებით სვამდნენ იმასა“.**

ეს ვაჟა-ფშაველას მითოლოგიასთან დიდად წილნაყარი დიდებული პოემის, „გველის მჭამელის“, დასაწყისია – ექსპოზიციის სიუჟეტურადაც უნაკლოდ აწყობილი ლიტერატურული თხზულებისა: ხევსურნი სხედან წიქას ბანზე და ღრეობენ – მასპინძლის მიერ მირთმეულ ლუდს თასებით სვამენ. მაგრამ ეს არაა სმა სმისათვის – გასაგრილებლად ან წყურვილის მოსაკლავად, როგორც თქვენ სვამთ ხოლმე ახლანდელ სალუდე ბარებსა თუ დარბაზებში. ეს ტრადიციული წესრიგის უმკაცრეს ჩარჩოებში მოქცეული რიტუალური სმაა რიტუალური სასმელისა რიტუალურივე სასმისებით, რომელიც თან ახლდა ძველი ხევსურეთის ზნე-ჩვეულებათა სისტემის ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას – ოჯახის „სამხთოს“. „სამხთო“ ხევსურეთში „თავგზიანი“ ოჯა-

ხის მიერ მისთვის რაიმე დიდმნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად მოწყობილი წვეულება იყო, რომელიც ყველაზე ხშირად ოჯახში ვაჟიშვილის შემომატებას ეძღვნებოდა ხოლმე. აი ეს მოვლენაა წარმოდგენილი ვაჟას „გველისმჭამელის“ შესავალში. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ არც თუშეთში, არც ფშავსა და არც ხევსურეთში ლუდი არასოდეს იხარშებოდა საშინაოდ, ყოველდღიური მოხმარებისთვის. იგი მხოლოდ ღირსსახსოვარი დღეებისთვის – საღვთო, საზეიმო და მიცვალებულთა მოსახსენიებელი სუფრებისთვის იყო განკუთვნილი.

სვე-ფორიდან ჯვარისპროზამდე

1. სვე-ფორი

ძველ თუშეთში ყოვლად წარმოუდგენელი იყო ოჯახი, რომელსაც „სვე-ფორის“ – ლუდის დასამზადებელი ამ ორი შემადგენლის საჭირო რაოდენობის მარაგი არ ექნებოდა. უამისოდ ხომ ვერ მოიხდიდა იგი ოჯახურ ვალს ვერც ხატ-ღმერთის, ვერც ცოცხლისა და ვერც მკვდართა წინაშე. უამისოდ კი, აბა, როგორ იქნებოდა. „ყანის დასვენების“ ლოცვაშიც ხომ ამბობდნენ: „სამხვდო, საქორნილო, საჯვარისკროიმც ხარი“. ამიტომ, რაც უნდა ხელმოკლედ ყოფილიყო ოჯახი, წლის მოსავლიდან შემოდგომაზევე აუცილებლად გამოჰყოფდა ჭირნახულის საჭირო რაოდენობას, რითაც იხდიდა იგი წმიდათა წმიდა ვალს ღვთისა და კაცის წინაშე.

„ფორი“ – ლუდის მოსამზადებელი დაფქული ნებისმიერი პურეულისგან შეიძლება დამზადდეს, მაგრამ ყველაზე საუკეთესო მარცვალი საამისოდ მაინც ქერია. ქერი რომ ფორად „გაკეთდეს“, მან უნდა გაიაროს „დაფორების“ რამდენიმე საფეხური, ანუ, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ფორადქმნადობის

ტექნოლოგიური პროცესი“. ამისათვის, პირველ ყოვლისა, ქერი უნდა „დააღობო“ – ჩაყარო საჭირო მოცულობის ხის ჭურჭელში და დაასხა წყალი ისე, რომ მას ზემოდან მოადგეს. ასე დატოვებ ორი დღის განმავლობაში, რომ მარცვალ კარგად დაღებეს. მერე ამ ქერს კარგად განურავ ხის ცხრილით ისე, რომ წყალი მთლიანად გამოინრიტოს, ოღონდ მარცვალ არამც და არამც არ უნდა გაშრეს. ამ სველ მარცვალს სქელ ფენად (ამბობენ ერთი ციდის სისქის ფენად) გაშლი ბანზე – მიწის იატაკზე – და თბილად დააფარებ ფლას-ნაბდებს (ამას „ფორის ჩადებას“ ეძახიან). ასე დატოვებ სამი დღე. ამ ხნის განმავლობაში მარცვალ გალივდება და ბორჯსაც (პატარა ფესვებს) გაუშვებს. მერე მარცვალს იქვე ააგროვებ და კვლავ თბილად დააფარებ. ერთი-ორი დღის განმავლობაში იგი ჩახურდება და ჩატკება (ე.ი. სახამებელი შაქრებად გარდაიქმნება). ამის მერე მას თხელ „სრავლად“ გაფენ ფლასებზე, კარგად გააშრობ, სანისქვილედ გაამზადებ. იგი არამც და არამც არ უნდა გაანიავო, თორემ „აბრომას“ ქარი ნაიღებს და ფორი სიტკბოს დაკარგავს. როცა საამისოდ მოიცლი, ნაიღებ წისქვილში და მარილგულად (მსხვილად) დაფქვავ. ფორი მზადაა ლუდის სადუღებლად.

სვე ველურად მოზარდი მხვიარა მცენარეა, გირჩისებურყვავილებიანი, მხოლოდ ბარად იზრდება, მთაში იგი არაა. მისი ლუდში გამოსაყენებლად მომზადება მარტივია: ყვავილობაშივე, ჯერ კიდევ მწვანეფოთლებიანს ჩამოჭრი, ხეზე ან ღობეებზე ახვეულს, ნამგლით. ნალდით ან ხელცულათი ჩაკაფავ, ორ-სამ დღეს თბილად შეახვევ – გროვად აქუჩებულ ან ხაკში ჩაყრილს თბილად დააფარებ ფლას-ნაბდებს. ამასობაში იგი ჩათბება, ჩახურდება. მერე გაშლი, გააშრობ (უკეთესია უმზეოდ) და ასე მშრალად შეინახავ რამდენი ხანიც გინდა. იგი სიძველის გამო თვისებებს არ კარგავს. მისი ნახარში მწარეა.

2. ქვაბკიდბანი

ვთქვათ, რომ ლუდი (ალუდი) მხოლოდ საგანგებო დანიშნულებისათვის იხარშება, რაიმე ღირსსახსოვარი საზეიმო (შეიძლება სამგლოვიაროც) დღეების გასასტუმრებლად. ასეთი საგანგებო დღეები კი სამია, რომელთაც ლუდის გარეშე ვერ მოისტუმრებ, იგი აუცილებლად იხარშება: „ჯვართად“ – საღვთისმსახურო რიტუალებისათვის, „ქორწილისად“ და „მკვდართად“ – მიცვალებულის ხსოვნის სუფრის მოსასტუმრებლად. ამ უკანასკნელთაგან უმთავრესი და აუცილებლად გადასახდელი წლის ხარჯია, რომელსაც თუშეთში ისედაც „ალუდს“ ეძახიან.

თუ გაიგონებთ, რომ საგიორგობო, საწელწდობო, საათნიგენო და ა.შ. ან საქორწილო თუ ხარჯისთვის „ქვაბები იკიდება“, „ქვაბებს ჰკიდებენ“, „ქვაბი შეჰკიდეს“, უნდა მიხვდეთ, რომ ამ კონკრეტული დღისთვის საზედაშეე ლუდი იხარშება ან მოიხარშა.

3. საქვაბე

ლუდი საქვაბეში იხარშება. საქვაბე ყორედ ნაშენი სიპის ცალფარდულა სახურავით გადახურული ნახევრად ღია ნაგებობაა. ერთი უკანა კედელი მთლიანია, გვერდითა და წინაკედლები ნახევრად ღიაა, კუთხეებად და ნახევარკედლებად ამოყვანილი, რომლებზედაც სახურავი ეყრდნობა. იგი წმიდა ნაგებობაა – იქ „მრეცხავი“ ასაკის ქალების შესვლა მკაცრად აკრძალულია.

თუშეთში ალუდს „მგოლავი“ ხარშავს. „მგოლავი“ ლუდის ხარშვისას „ნათეს“ დამხმარე პირია, თუ ლუდი საწელწდობოდ, ანუ ახალი წლის ციკლის დღესასწაულებისთვის იხარშება, „შულტასი“ – თუ ლუდი „საათნიგენობოდ“, ე.ი. ზაფხულის ხატობისთვის – „საჯვარისკროდაა“ განკუთვნილი; „მექორწილისა“ – თუ იგი საქორწილოა და „ჭირის პატრონისა“ – თუ ლუდი მიცვალებულის წლის ხარ-

ჯის, ანუ „ალუდისთვის“ უნდა მოიხარ-
შოს. მგოლავობა ვინმეს ვალდებულება
არაა. ის არც წილისყრითაა არჩეული და
არც რაიმე სხვა ვალდებულების გამო
დგება „მგოლავად“. იგი თავისი კეთილი
ნებით ეხმარება შულტას, ნათეს თუ იმ
პირს, ვინც უნდა გაიღოს „სვე-ფორის“
ხარჯი ამ კონკრეტული დანიშნულების
„ქვაბისთვის“.

იმ წელს ჩემს სოფელში, ბუხურთაში
„შულტაობა“ წილის ყრით აფთარაულს
რგებოდა, მთელს გომენარში თავისი
პირქუშობითა და გაუცინრობით ცნობილ
ჯმუხ ბერიკაცს. იდგა 1946 წლის ზაფ-
ხული. სოფელი „საჯვარისკროდ“ – კა-
რატის ჯვრის დღეობის გადასახდელად
ემზადებოდა. მე მაშინ უკვე ცხრა-ათი
წლის ბალლი ვიყავი და იმ წლის „ქვაბ-
კიდებაც“ და შემდეგ ჯვარისკრობის
მთელი მსვლელობაც კარგად მახსოვს.
ჯვარისკრობას კათათვის ნახევარში, ე.ი.
ძველი სტილით ივლისის 12-დან 18 რიც-
ხვამდის ხუთშაბათ დღეს იხდებოდა. ეს ორი
სოფლის – ბუხურთისა და ილიურთის
– ზიარი სალოცავია ამათივე საშუალო-
ზე, მწვანეკარის თავს. ორივე სოფელი
თავ-თავიანთი „ქვაბ-საკლავით“ ამოდის
მის საბძანისში, „ჯვარისკარ“ და ერთად
იყენებენ საწესწესებო წეს-რიგს.

ქვაბკიდების წინა დღესვე შულტამ და
მგოლავებმა (მგოლავებად აფთარაულს
დუბურა და ბიძაჩემი ქულა ეხმარებოდ-
ნენ) საალუდე ქვაბი საფუძვლიანად გა-
რეცხვა-გააპრიალეს. მის კედლებს კახური
ქვევრის სარცხისმაგვარი ხელსაწყოთი
რეცხავდნენ. ქვაბი ისე უნდა გაირეცხოს,
რომ მის ნაკერებში სპილენძის ლურჯი
ნადების ნატამალი არ დარჩეს, თორემ
ალუდი „მოსინული“ გამოვა და მტრისას,
ის რომ მის დამღვეს საქმეს დაჰმართებს.
ასე გაკრიალეზულ ქვაბს კარგად გარეც-
ხილი სიპის საფარებელი დააფარეს, რომ
ქარს მასში მტვერი და ნაგავი არ ჩაეყა-
რა. წინა დღესვე დაათვალიერეს და შე-
აკეთეს „სამჭირ-საყელა“. საყელა დაგ-
რეხილი წნელით ორ მტკავლამდე სიგ-

რძეზე დაგრეხილი წნელით გადაბმული
დაახლოებით ნახევარმეტრიანი ჯოხებია,
რომელსაც ყელზე შემოუჭერენ დარკოს
გასანურ ხაკებს; სამჭირა ორი ორკაპი
ხეა, აგრეთვე კაპების ბოლოებით დაგ-
რეხილი წნელებით ერთმანეთს გადაბმუ-
ლი. ეს საწნეხი საშუალებაა, რომლითაც
გამოინურება ხაკებში ჩასხმული დარკოს
ნახარში „ხოტიდან“ წმიდა წვენი. სამი
წყვილი „სამჭირ-საყელა“ გაამზადეს.

4. ქვაბკიდება

დილით, როცა ივარაუდა, რომ სოფ-
ლის ქალები ოჯახის სადილო საქმეებს
მოითავებდნენ, აფთარაული გამოვიდა
სოფლის საანჯროში და დაიძახა: დიაცე-
ბო, წყალი მოიტანეთო. სულ მალე 5-6
ზურგზეთუნგაკიდებული ქალი გამწკრივ-
და „საწყლევლა ხევისკენ“ მიმავალ ბი-
ლიკზე. სოფლის წყაროზე თუნგების გავ-
სებას დიდი დრო დასჭირდებოდა. ამიტომ
წყალს ხევიდან ეზიდებოდნენ. თითომ
ოთხი-ხუთი გზობა გააკეთა და საალუდე
ქვაბი საჭირო დონემდის წყლით გაივსო.
ქალები, ცხადია, საქვაბეში ვერ შევიდოდ-
ნენ. მათ კარებში მგოლავები ხვდებოდ-
ნენ, თუნგს ქვაბში ჩაცლიდნენ და ცარი-
ელს მომტანსვე უბრუნებდნენ. შემდეგ
აფთარაულმა კვლავ საანჯროდან გასძახა
სოფელს, სვე-ფორი მოიტანეთო. ჩვენ ქვ-
აბს ორი კოდი, ანუ ოცი ლიტრა ფორი
ეყრება. სოფელში 10 მეკომურია. ასე
რომ, თითო კომლმა ორი ლიტრა ფორი
და ნახევარი ლიტრა სვე მოიტანა. თანვე
ყველა ოჯახმა მოიტანა სამ-სამი, ოთხ-
ოთხი ფეხი გალი შეშა. საქვაბის კარზე
შეშის მოზრდილი გროვა დადგა. მგოლა-
ვებმა დაიწყეს მოტანილი ფორების ქვაბ-
ში ჩაყრა. რომელი კვამლის ფორიან ჭურ-
ჭელსაც ჩაცლიდნენ ქვაბში, თანვე დაიძა-
ხებდნენ: ამა და ამ ოჯახს სწყალობდესო.
ფორების ჩაცლის შემდეგ ქვაბი ამ ნარე-
ვით თითქმის პირამდის გაივსო. ყვერბს
ცეცხლი შეუნთეს. თანვე რიგ-რიგით ქვ-

აბს იმ სარცხისნაირი ამოსარევით ურევდნენ. ქვაბი ისე უნდა ადუღდეს, რომ ნარევემა ძირი არ დაიგდოს და ძირს წასული ფორი არ მიიწვას, თორემ ლუდი მოტრუსულის სუნსა და გემოს დაიკრავს და ეს კი მგოლავეების დიდი სირცხვილია: ხალხი დაბერდა და ალუდის დუღება ვერ უსწავლიათო. ქვაბში ნარევი გაცხელებას რომ დაიწყებს, იგი მალლა წამოვა. მგოლავეების წამომალლებული ნარევი ტარკოშებით სანდე-ჭაჭუკაში ამოაქვთ, ისე რომ, ქვაბიდან გადმოსვლის საშუალებას არ აძლევენ. ეს „ამონახვამია“, ადუღებამდის იგი კინალამ ორ-სამ კასრამდის რაოდენობით ამოემხოება. როგორც კი ქვაბი წამოდუღდება, მის რევას შეეშვებიან, რადგან ძირზე მოტრუსვის საშიშროება აღარ არის. ამასობაში ქვაბში ნახარში „დაძირწვერდა“. მგოლავეებმა „წვენის მოწურვა“ დაიწყეს – ერთი ტარკოშათი ფრთხილად იღებდა სუფთა წვენს ისე, რომ არ ამღვრეულიყო და „ჭაჭუკაში“ ასხამდა, მეორე კი ამ ჭაჭუკას იქვე დადგმულ სანდეებში ცლიდა. წვენი ისე მოიწურა, რომ სქელი ნახარში ქვაბის ნახევარს ჩასცდა.

ეს სქელი ნახარში უკვე ხაკებში უნდა გაიწუროს. ერთს, კერძოდ დუბურას, ეს სქელი მასა ტარკოშათი ჭაჭუკაში ამოჭქონდა, აფთარაული და ბიძაჩემი კი მას ჩამოკიდებულ ხაკში ასხამდნენ, საიდანაც რამდენიმე ნაკადად წამოსული სუფთა წვენი ლახტბაში ჩაედინებოდა. ასე ამოიღეს და გაანანილეს სამ ხაკში მთელი ნახარში. მერე ერთმა დაცლილი ქვაბი ამორეცხა, ამოასუფთავა და მოწურული სუფთა წვენი ქვაბშივე ჩააბრუნა, ყვერბს კვლავ ცეცხლი შეუკეთა, ორმა კი ხელი მიჰყო ხაკებში ჩასხმული ნახარშის გამოწურვას. თითო ხელი ხაკებს საყელები შემოუჭირეს, მერე საყელები შემოხსნეს, ჩაბერტყეს, საყელებით კვლავ მჭიდროდ მოუკრეს პირები და გაბერილ ხაკებს სამჭირები მოუჭირეს. წამოვიდა მუქი მოყავისფრო წვენი. ახლა კი დადგა ჩვენი – ბავშვებისა და ქალების ჯერიც. ეს ბოლო გამონაწერი წვენი ერთობ ტკბილია, თან ისევე სიციხელე აქვს შერჩენილი. ის ქალებისა და ბავშვების საყვარელი სასმელია. ქალები და ბავშვები კი ქვაბკიდებისას ბლომად იყრიან თავს საქვაბის კარს. ქა-



ლები თავიანთი ხელსაქმით სხედან და ურთიერთშორის ქორაობით და მგოლავებთან „ლაბიშობით“ გალევენ დროს. ბავშვებიც არ არიან „უსაქმურად“, მათ, მოყვრიამულეებს, დროდადრო შეუძახებს ხოლმე დუბურა, ბალღებო, ჩუმად, ნუ წაილეთ ყურებო. სამჭირაშემოჭირებული ხაკებიდან რომ წვენის მსხვილი ნაკადები წამოვიდა, დუბურამ დაიძახა, აბა, ვისაც დარკო უნდა, ჯამ-წინანები მოიტანეთო. ჩვენც მეტი რა გვინდოდა, ჩავმწკრივდით საქვაბის კარზე თიხის ჯამებითა და ფინჯნებით ხელში. დუბურას ერთ ხელში რომ დარკოიანი ტარკომა ეჭირა, მეორე ხელში ერთი ნახშირის ნატეხი და ვისაც დაგვისხამდა, თან შუბლზე ნახშირით ჯვარს გვიკეთებდა, ვითომ არ ამერიოთ, ვის დაგისხით და ვის არაო. ბავშვებმა რომ გული ვიჯერეთ დარკოთი, მგოლავებმა ჩვენზე ჯამ-წინანებით დარკო ქალებთანაც გაგვატანეს. ქალები დაგემოვნებით სვამდნენ, თან მგოლავებს ხელობას უქებდნენ, დარკო ტკბილი გამოგსვლიათ და თუ სვით არ „დააკომწარებთ“, ალუდიც კარგი გამოგივათო (ლუდის ხარშვისას ქალებსა და კაცებს შორის გაუთავებელი დავაა: კაცებს სვიანი ლუდი უყვარს, ქალებს ნაკლებად სვიანი. ქალები ეჩხუბებიან, ბევრ სვეს ნუ უშვრებით, ნუ ამწარებთ, მარტო თქვენთვის ნუ ხარშავთო. ისე კი, არც ქალები ამბობენ უარს კარგ, სვიან ლუდზე და ეს დავა მე პირადად მხოლოდ ტრადიციული ფორმალობა მგონია). – აბა, თუ დარკო მოგწონთ, ალბათ, არც ხავინიან ტაფას დააგვიანებთო, ეტყვიან დილიდან პურუჭმელი მგოლავები. ქალები ერთმანეთს გადახედავენ. რომელიმე მათგანი დაახვევს წინდის ჩხირებს ბანარს, ნაქსოვ წინდას იქვე თავის ნაჯდომ „ფიჩზე“ მიდებს და წავა სახლისკენ. მგოლავები მთელ ტკბილ წვენს „დარკოს“ ქვაბში ჩააბრუნებენ, სვიას ჩააყრიან საჭირო რაოდენობით, შეუკეთებენ ცეცხლს და უკვე ქარამოდებულნი ელოდებიან სადილის მომტანს. გამოჩნდა სარაც დმოშტით ხელში. შუაში ტაფა დგას, ცხელ-

ცხელ ხავინიანი, დმოშტის კიდეებისკენ ხალის „ცალხელა“ გუნდებია შემოლაგებული, დევს სამი ხის კოვზი, დგას პატარა ხელადა და ძროხის რქის ყანწი. მგოლავებმა მხიარულად ისადილეს, შესვეს სამსამი ყანწი არაყი, ადღეგრძელეს სარა, მაგრამ არც ხუმრობა დავინწყებიათ, ერობოში გინუნკიაო. არადა, ხავინიან ტაფაში ერობო გუბედ დგას. ცეცხლს უბეჯითებენ სალუდე ქვაბს, რომელშიც უკვე დულს სვიანყრილი დარკო. ამასობაში ლასტბის კუთხეში ჩაგროვდა ხაკებიდან გამონანური დარკო. დუბურამ ის ტარკომაში ამოკრიფა. – აბა, ბალღებო, ესლა გინდათ ამ ტარკომაზე დაგაჭენოთ? ჩვენ მხიარულებას საზღვარი არა აქვს. ეგრევე დავიძარით „სტარტისკენ“. – დაიცათ, კარგად დამიგდეთ ყურიო, – გვეუბნება დუბურა. გახვალთ მწვაქესგორს, დასწორდებით, სანამ აქ თოფს არ ვახლი, არ გამოიქცევით, თორემ ვინც „დატყუებით“ გამოიქცევა, არ ჩავუთვლიო. ხუთი ბიჭი ვართ. ჩვენ შორის თითო-ოროლი წელი განსხვავება ყველაშია. უფროსი ნოდარია, იმას ერთი წლით მე ჩამოვრჩები, ჩემზე ერთი წლით უმცროსები კოსტა და იოსები არიან. სულ პატარა ჟორაა, ასე ექვსი-შვიდი წლისაა. მას ჯმუხი აღნაგობის გამო ყველანი მამამისისგან შერქმეულ სახელს – „ჯებეხანს“ – ვეძახით. ყიყინითა და კუნტრუმ-კუნტრუმით გავცვივდით მითითებული ადგილისაკენ. მანძილი შორია. უნდა გამოვიაროთ მწვაქესგორის ფერდი, წყალთშუ, ჯვართხევი, ქალთსაგორნაო, ჩაროხულწყარო, საქვაბეძირი და მერეღა შემოვალთ სოფელში. ჯვართხევამდის სწორი საცხენე გზა გამოდის, მერე აღმართი იწყება. ჩვენ გავგროვდით მწაქვესგორს და სახარისჯვრის ნიშთან გავმწკრივდით. ველოდებით თოფის გასროლას და აი გავარდა. უცბად ყველანი ადგილს მოვწყდით. ამ დროს, არ ვიცი, ვინმე დავეჯახეთ თუ ფეხი წამოკრა რაიმეს, ჯებეხანი პირქვე წავარდა და ნოდრე, მელოდეო, აღრიალდა. ნოდრე მისი ძმაა, მასზე ბარე ოთხი წლით უფროსი. მიბ-

რუნდა, წამოაყენა, ტანსაცმელი ჩაუბერტყა, ჩვენც დაუცუადეთ. რომ მოვიდნენ, მერეღა გამოვიქცეთ. ჯვართხევამდის ჯგუფად მოვდივართ, ერთიმეორის გადასწრებით. აღმართზე ყველას „ჩამოგველია“ და გავმწკრივდით ასაკისდა მიხედვით. წინ ნოდრე მირბის, მერე ერთი ათიოდე ნაბიჯთ უკან მე მოვყვები, ამდენივეთი კოსტა და იოსები ჩამომრჩებიან, რომელი წინაა და რომელი – უკან, აღარ მახსოვს. სულ უკან ჯებეხანი მოდის ალბათ სულყელშიმობჯენილი. ჩაროხულწყაროსთან არ ვიყავით მოსულები, რომ დუბურამ ჩავგვირბინა. – ნუ გეშინია, ძიოს კაცო, შენ ამათ სუყველას აჯობებო, დასტაცა ჯებეხანს ხელი, შემოისვა კისერზე და წამოვიდა ძუნძულით. ცხადია, გამოგვასწრო. საქვებეს რომ მოუახლოვდა. – ახლა შენ გაიქეციო, – ჩამოსვა ძირს. იმანაც ჰი, ჰი, ჰიო, ვითომ ცხენსავით დაიხვიხვინა, ერთი-ორი სილაც შემოიკრა უკან და მიიბრინა საქვების კართან, სადაც მას დარკოთი სავსე ტარკოშით ხელში ბიძაჩემი ქულა ელოდებოდა. ჩვენ, შეჯიბრის მონაწილეებს, ჯებეხანის ეს გამარჯვება არ გავგვიპროტესტებია. საერთო ჟრიალში გადაეცა მას ეს ტარკოშა. ტარკოშა დიდია, მისი პატარა ხელები, ცხადია, მას ვერ დაიკავებდა. – აბა, ძიოს კაცო, თქვი, კარატის ჯვარი შეგენიოთო, დუბურამ ტარკოშა მიუტანა პირთან. მანაც თქვა და მოეძაგრა. ცხადია, ტარკოშას არაფერი შეეცყო. მერე ჩვენც მოგვაყუდებინეს ტარკოშა. 4-5 ლიტრიან ამ ჭურჭელს ვერც ჩვენ მოვაკელით ბევრი და იგი სალუდე ქვაბში ჩაიცალა.

მგოლავებმა სვიაჩაყრილი „დარკო“ იმდენ ხანს ხარშეს, სანამ იგი ქვაბში კინალამ მტკავლამდის არ ჩაიხარშა. სვიასთან ერთად ნახარში „დარკო“ „ზისწვანად“ გადაიქცა, რომელმაც სვიის გამო მომწარო გემო მიიღო. მგოლავები ამ ნახარშს დროდადრო გემოს უსინჯავდნენ და თუ მოეჩვენებდათ, რომ სიმწარე აკლია, სვიას უმატებდნენ, რასაც იქვე ხელსაქმით მსხდომი ქალები აპროტესტებდნენ, მაგ-

რამ მათ პროტესტს ყურს არავინ უგდებდა.

როცა მგოლავებმა ლუდს დუღილი აკმარეს, ქვაბს ცეცხლი გამოუკეთეს, ყვერბში წყლის მისხმით ნაღვერდალიც ჩააქრეს. ამგვარად, ქვაბში ლუდის დუღილი გააჩერეს. მერე ლახტბაზე დახრილად მკლავში ყარტის-ჭვავის ჩალის – კონაგაჩრილი ზარფუში დადეს და სვიანი ნახარშის მთელი მასა ამ გზით განურეს. გამოვიდა საკმაოდ ჩამუქებული ყავისფერი წვენი – „ზისწვენი“. ქალებმა, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ზისწვნის დამწარებისა, სიამოვნებით მიირთვეს ეს მწარე ნახარში. ბავშვთაგან მისი შესმის მსურველი არავინ აღმოჩნდა.

მგოლავებმა ეს განურული ზისწვენი სანდე-საკედვებსა და ჩხუტებში გადაასხეს გასაცივებლად. მათვე ხის პატარა კასრში ნელთბილობამდის გაცივებული ზისწვენი ჩაასხეს, ჩაურიეს წინასწარ დამბალი და ამ წვენში საგულდაგულოდ გაქნილი „თხლე“ – წინანელს აღებული და საგულდაგულოდ გამშრალი ნამფუარი ალუდის თავზე მოგდებული ბლანტე მასა. კასრი თბილად შეფუთეს და დადგეს საქვების კუთხეში. ეს „ასაყუო“, რომელიც სწრაფად უნდა აფუვდეს და დედად ჩაერიოს უკვე კარგად გაცივებულ ზისწვნით სავსე კოდს.

მეორე დღით მგოლავებმა „ზისწვენი“ საფუარში გადაიტანეს, წინასწარ საგულდაგულოდ ჭინჭრით გამორეცხილ კოდში ჩაასხეს და ალუდი „ჩააფუვლეს“. კარგად აფუებული და დუღილდანყებული „ასაყუო“ ჩაასხეს, გრძელი ქაფქირით კარგად აურიეს, ზემოდან ჯერ სუფთა ტილოს სუფრა გადააფარეს, იმის ზემოდან კიდევ „ფლასი“ – მატყლის სქელი ნართისგან მოქსოვილი საფენი – კოდის პირს საბელი შემოახვიეს და დატოვეს. დღეს კვირაა, ლუდი საღამოსთვის „აიღებს“ – ფუილს დაიწყებს, სამი დღე იფუვლებს და ხუთშაბათს უკვე მზად იქნება საჯვარისკრო „კოდი“ – ლუდიანი ზედაში.

5. კოდის ლოცვა

გათენდა კათათვის ნახევრის ხუთმა-ბათი დღე, დღე კარატის ჯვრის დღეობისა.

„დიდსადილობას“ – მზე რომ ნამომალღდა, ნაჭრევის მთას გაუხნორდა, მისი სხივები ღრმა ხევ-რუხეებსაც ბოლომდე მოეფინა და დილის გრილოები კლდე-კუნჭრუხების ძირებშიც ბოლომდის დაიშალა (როგორც აქ იტყვიან, მზე-ებგაშლით), აფთარაული საფუერის კარზე გადმოდგა და სოფელს გასძახა: ჰე, ჰეი, ბუხურელებო, სანთელ-ზედაშეები მოიტანეთო. დედებმა სამ-სამ სამყურა ხმადს თითო სანთელი და თითო კალტისკვერი დაადეს, ხელში თითო საზედაშე არაყიანი ბოთლიცა დაგვაკავებინეს და ბავშვებს საფუარში გაგვატანეს, ბიჭებს, ცხადია: სანთელ-ზედაშე საფუარშიც და ჯვარშიც „საყმემ“ უნდა მიიტანოს, „საქალეს“ სანთელ-სანირთან ხელი არა აქვს. აქ ჯერ მხოლოდ აფთარაული ტრიალებდა. ლუდიანი კოდისთვის ფლასი აეხადა და მიტანილ სანთელ-ზედაშეებს „აბინავებდა“. კოდის გვერდზე იდგა გრძელი ფეხებიანი ხონჩა, რომელზედაც წინა დღესვე სუფთად გარეცხილი ხატის ჭურჭელი ელაგა. აქ იყო ხის ორი დიდი „ტარკოშა“, ერთიც ლუდის დასასხმელი მოზრდილი „კოჩხო“, სამი-ოთხი სპილენძის მოკალული ბარძიმი, ხის სხვადასხვა ფორმაზე გათლილი და დაჭრელებული კოჭიანი თასები, კარგა ბლომად „ჯიხურები“ და ვერცხლის შიბებით წყვილ-წყვილად გადაბმული ხარის ყანწები, ძროხის რქის მომცრო ყანწურები და არაყის დასალევი ვერცხლის პატარა ბარძიმები. აფთარაული ჩვენგან მიტანილ ხმადებს, კალტისკვერებსა და ზედაშიან ბოთლებს კოდის გვერდზე დადგმულ დემოშტზე ალაგებდა, სანთლებსაც ერთად დემოშტის ნაპირზე დებდა. როცა სანთელ-ზედაშეები ყველა ოჯახიდან მოვიდა, მან კოდს თეთრი ტილოს სუფრაც გადახადა და ხის გრძელტარიანი ქაფქი-

რით ლუდს თავზე მოგდებული თხლე ხის ჯამში მოხადა. ეს ლუდის საფუარია. იგი მომავალი წლის შულტამ უნდა გააშროს და შეინახოს სამომავალწლეო ქვაბებ-შეკიდებისას ლუდის „ასაყოს“ მოსამზადებლად. თხლის მოხდისას გამოჩნდა მოშავო სითხე, რომელსაც დუღილი ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა და ზედაპირზე ისევ და ისევ ჩნდებოდა ქაფის წვრილ-წვრილი ბუშტები. აფთარაულმა ოჯახებიდან მოტანილი და ერთიც საშულტაო, გამორჩეულად დიდი სანთელი აანთო. ისინი კოდის პირზე შემომამწკრივა. აილო ერთი ტარკოშა, კოდიდან ლუდი ამოილო და ეს ნათურა სპილენძის მომცრო თუნგში – ვაშრაპაში ჩაასხა, ხატის კარზე გასატანად გადადგა. ყველაფერ ამას ის დიდი კრძალვით აკეთებდა. პირველად ვხედავდი აფთარაულს უქულოდ, მისი განუშორებელი „ბარჯღალას“ გარეშე. მთლად თეთრი თმა დაბალზე ჰქონდა გადაკრეჭილი. მისი სიგოროზე სადღაც გამქრალიყო, სახეზე თითქოს რაღაც სინმინდის ნათელი გადასდიოდა.

ამასობაში საფუარი ხალხით აივსო: მოგროვდნენ სოფლის მამაკაცები, საამდლეოდ გარემხრობიდან შინ მოსულეები. მოვიდნენ, ცხადია, მოხუცი ქალები და ბავშვებიც. შემოაბრუნეს რამდენიმე ამვლელ-ჩამვლეელიც. მახსოვს, გზაზე გადაუდგნენ და არაფრით არ გაუშვეს ფერმის გამგე ლადო გოთაიძე და მეცხვარე ბრიგადირი მურთაზაშვილი ლორსამი. ორივეს მხარზე კარაბინები ეკიდა. იარაღი ჩამოართვეს, იქვე ხის საკიდზე დაკიდეს, თვით ისინი კი საპატიო ადგილას, კოდის სიახლოვეს აფთარაულისგან მხარმარჯვნივ მიიწვიეს. კოდის ამ ლოცვისას ყველა იქ დამსწრე ფეხზე იდგა. აფთარაულმა ყველა თასი და ყანწი ლუდით აავსო. ბიჭობაში შემავალმა ბავშვებმა ისინი იქ მყოფებს უფროსობის მიხედვით ჩამოვურიგეთ. ბოლოს აფთარაულმა სპილენძის ერთი ბარძიმი, რომელსაც სახელოსნო თასს ეძახდნენ, თვითონ დაიკავა და სადიდებელი დაიწყო:

„ღმერთო დიდებულო, დიდად სადიდებელო, ძვირად სახსენებელო, მთა-ბარის სალოცავებო: ივანე ნათლის მცემლისაო, სანება სახარისაო, გიორგი გომენრისაო, ლალო ლაშარის ჯვარო, გმირო კოპალევი კარატისაო, თქვენ გეხვეწებთანთ, თქვენ გვედრებთანთ თქვენნი მოყმენი, თქვენდ შემოუწირავ საფუჯრის თავი, ცეფისკვერი, რქაჯანგიანი, თქვენდ გაუმეტებავ, გულითა აღნითა, გულითა მართლითა; თქვენ თქვენ მორიგე ღმერთს შესწირიდითა, შუაკაცად ჩამოუხვედნიდითა, წყალობა გამოუთხოვიდითა, თქვენ ღმერთი გადიდებთ, გაგიმარჯვებთა, სადიდებელი თქვენი იყოს, სამწყალობრო ამათი. მთას გაუჭირდეს მთას დაეშველნიდითა, ბარს გაუჭირდეს ბარს დაეშველნიდითა, ზე კალთა დააფარიდითა მწყემსსა, მეცხვარესა, მგზავრსა, მოლაშქრესა, მონადირესა; თუ რა სარჯიელ ეხედვებოდეს ან ცითა ჩამოსული, ან ზღვითა გამოსული, ხმელეთზე მორიალეი – ავქარს, ავკვალს, ავკაცს მოღრიდითა, გზაუკულმ გაუბრუნდითა; დაიცვნიდით, დაიფარნიდითა ალაღებულის მტრისაგანა, აღვარებულის წყლისაგან, მთის ზვავის, მთის ნაპრაღისაგანა, ქალაის ალთო-ყინულისაგანა; ნუ ჩამოაგდებთ ამათ სახლ-ყუდროში მტრის ჭკვასა, სიკვდილის ხმასა, თქვენ ღმერთი გადიდებთ, გაგიმარჯვებთა; ქალს, ქალისწულს უმატიდითა, ცხვარს, ცხვრის კრავს უმატიდითა, ფურს, ფურის ხბოს უმატიდითა; ჯვარ დაუნერიდითა ცხენსა, ცხენის მხედარსა, ხარსა, ხარის სახნავსა, ფურის ნანველსა, ნადღვებსა, ნათიბსა, ნამკალსა; ბარაქა დაუდევნიდითა, მშვიდობას აჭმიდით, მშვიდობას ახმარიდითა; ძალთაგან ძალნუ მოღრიდითა, სწორთაგან სამართალ ნუ დაუკარგიდითა; შინ მშვიდობა, ველს – გამარჯვება ნუ მოუშალიდითა; თოფ აიღონ – სახელ მისციდითა, ჯოხ აიღონ – ვახშამ გაუჩინიდითა, მიზღვედნენ – მისწინიდითა, მოზღვედნენ – გამახსრწინიდითა. ამათა ამჯობნიდითა ამათ მტრისასა. ცხვათ ნამათრახალზე შუაკაცად ჩამოუხვიდ-

ნიდითა, თავის ნამათრახალზე ლხინის წამალ დააყარიდითა, თქვენ ღმერთი გადიდებთ, გაგიმარჯვებთა. იქნებითამც მცველნი, მფარველნი, მწყალობელნი, მშველელნი“.

– სწყალობდეს! – დაიძახა აფთარაულმა,

– სწყალობდეს! – დაიგუგუნა დარბაზმა,

– კიდევ და კიდევ სწყალობდეს! – დაიძახა აფთარაულმა,

– სწყალობდეს! – კვლავ დაიგუგუნა დარბაზმა.

ასე გაიმეორეს სამჯერ. აფთარაულმა თასი დაცალა. ყველამ, ვისაც თასები ეჭირა, მოკლედ წარმოთქვა ჯვარ-ხატთა და გმირი კოპალა კარატისას სადიდებელი და ლუდი დალია. ლუდი მოეწონათ. შულტას და მგოლავებს ხელობა შეუქქეს. ლუდი ქალებსა და ბავშვებსაც დაგვალევიანეს.

– გაიოზ, ჩემი თოფი გაიტანე და გაისროლეო – უთხრა ლოსამმა გაიოზს. იგი მაშინ 14-15 წლის ყმაწვილი იყო. გახარებულმა ჩამოხსნა თოფი საკიდიდან, გავიდა გარეთ და სამჯერ ზედიზედ გაცალა, კეხუ, კეხუ, კეხუ! სამჯერ წაიღო გასროლის ექომ ჩაღმის მხარეს ქუხილი და სადღაც სონების მიდამოებში ჩაიკარგა. ჩვენ, ბიჭებს, დიდი ტაციაობა შეგვექმნა გილძებზე. ერთი მე შემხვდა, ერთი – ნოდრეს, ერთიც – კოსტას. სხვებს გულდაწყვეტილი გამოხედვებილა დარჩათ.

კაცებს პატარა ყანწებითა და ვერცხლის ბარძიმებით თითო არაყიც შეასმიეს ოთხივ კუთხივ მთა-ბარის სალოცავების სადიდებელი, მერე კიდევ თითო ლუდი და აქ სმეულობა ამაზე დამთავრდა.

შულტამ სოფელში სიდიდით გამორჩეული ორი სანყლე თუნგი (ჩვენი და ფიდოანთი, თითო ფუთნახევარ ჩამდინარე) ალუდით გაავსო, საჯვარისკროდ გაამზადა.

კაცები სტუმრებიანად საანჯროში გავიდნენ, სამუსაიფოდ ჩამოსხდნენ. დიქტემ სტუმრების ცხენებს უნაგირები

მოხდა, აღვირებიც წამოჰყარა, თავისი აივნის ქვეშ დააბინავა. მერე ხელცულათი პალოები დათალა, ცხენების თოკებს ბოლოებზე შეაბა, ცხენებს საცხვირები ჩაუდგა, ერთზე მე გადამსვა, მეორეზე – ნოდრე – ხაგირში დააბითო. მე ლადოს ცხენი შემხვდა, ნოდრეს – ლორსამისა. აბა, თქვენ იცითო, გადაგვიკრა გავაზე ხელი და ჩვენც გასწრებაზე დავაოთხეთ. არ ვიცი, ცხენის ბრალი იყო თუ მხედრისა, ნოდრემ კარგა გვარიანად გამასწრო.

სოფელში კი ყველა საცეცხლურიდან ბოლი ამოდოდა. დედები საჯვარისკრო სუფრებისათვის საჭმელების სამზადისს შესდგომოდნენ.

6. ჯვარისკრობა

მალევე გარსოფლელმა ნათესავებმაც დაიწყეს მოდენა. ვესტომითიდან ჩამოვიდა მოლხინარი ჯვილები ჯგუფი, ქალები და ბიჭები. მოჰყვით გურგენანთ თინა, მთელს გომენარში ცნობილი მომღერალი და ვაჟურად მოცეკვავე, თავისი განუშორებელი გარმონით. დოჭუდან დეიდაჩემი და მისი მეუღლე დევანოზი გვესტუმრნენ. დევანოზმა გერმანიაზე გამარჯვების მერე იაპონელებთანაც იომა და შინ მოგვიანებით დაბრუნდა. მთელი სოფლისგან მოსაკრძალებელი და პატივდებული ნაომარი ახალგაზრდა კაცი, პროფესიით ფილოლოგი, ქვემო ალვანში სკოლის დირექტორად იყო და ყველა, დიდი და პატარა დირექტორს ეძახდა. ბუხურელებმა მისი სტუმრობა განსაკუთრებულ პატივად მიიღეს.

შულტა ყველა მოსულს საფუარში ეპატიჟებოდა და ალუდით უმასპინძლებოდა.

კარგად მოშუადღევდა. მზემ კიდევ უფრო მალა აინია, გამოივაცა და ახლა უკვე სააღმის ქედის ასწვრივ დაიწყო დასავლეთისკენ მოძრაობა. საკვირაოს მთას გაუხსნორდა. სოფელი ჯვარისკრისკენ დაიძრა. აფთარაულმა სოლომანი (ჩვენი

ვირი) მომაცვანინა. ქოჭები დაადგა. ქოჭებში აქეთ და იქით ხის საცობებით თავდაცობილი ალუდიანი თუნგები ჩაუდგა, ზემოდან დაადო სასოფლო პურებიანი ხაკი, რომელშიც საალუდე თასებიც ელაგა, ზედვა დააპირქვავა მოზრდილი საჯალაბო ქვაბი და ყველაფერი ეს საბლით ქოჭებს საიმედოდ ჩააკრა. ნავედით ჯერ კაცები და ბავშვები, თან ნავეყვანეთ სასოფლო საკლავი – კვამლეურად შეკრებილი ფულით ნაყიდი ციათეთრი ჭედილი. მე სოლომონს მივსაბლავდი. ნათაურისანი ვაშრაპა აფთარაულს ხელით მოჰქონდა.

ბუხურთისა და ილიურთის საშუალოზე, მწვანეგორის სახნაური ფერდობის ასწვრივ მოზრდილი ტაფობია. ესაა ჩვენი ზიარი სალოცავის, კარატის ჯვრის საბრძანებელი ადგილი. ტაფობის სათავე მხარეს, ათი-თხუთმეტი მეტრით მალა თვით სალოცავის ნიშია, ერთ მეტრამდე სიმაღლის ფიქალის ქვით მკვრივად ნაგები კუბური ყორე სასანთლე თახჩით. ყორე სიპის დიდი ფილებითაა შეთავებული. ზედ ადევს მთის ბროლის, „ხინჭრიკვას“, დიდი ლოდი. მასზევე ალაგია სიძველისაგან შეხავსულ-შეჟანგებული ირმის რქები. რქებს აბია მლოცავისაგან შეწირული „სამკადრეები“ – ტილოს თეთრი და პირისფერი ლენტები. ამავე ლენტებით აქვს შებმული ორი მომცრო უენოზარი, რომელსაც ხელოსანი ერთურთზე მირტყმით რეკავს ხოლმე. ნიშის ყორის წინ ფიქალისავე კედლით ბოლოგამაგრებული და ფილებით მოგებული ორ კვადრატულ მეტრამდე სიფართის ბაქანია გამართული. ხელოსანი, ილიკო, უკვე იქ იყო და ქუდმოხდილი ტრიალებდა ხატისკარს. რომ დაინახა, ბუხურელი მლოცავი მოდისო, დაიწყო ზარების რეკა და სანამ ჩვენი საკლავითა და სანირით ჯვარისკარს არ გავედით, გაუჩერებლად რეკდა.


ჯვარისკარს გასულელებს დაგვხვდნენ დოჭუდან მოსული აბულიძეები. ნიკო, თავისი ახლად მოყვანილი ცოლით, ალათოთი და მისივე ძმა, გედევანი, ცხრამე-

ტი-ოცი წლის ჯეილი. ამათ „სადისნულო“ მოეტანათ და ხატისთვის ღამე ეთენებინათ (ეს ძმები აფთარაულის დისნულებია).

უნინ, სანამ კომუნისტური დიქტატურა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსა და სახალხო ტრადიციებზე მათი აღმოფხვრის მიზნით იერიშს მიიტანდა, ხელოსანიც, შულტაც და მგოლავებიც ერთი კვირის წინვე „განიწმინდებოდნენ“ – განიბანებოდნენ და დღე და ღამე აქ, ჯვარისკარს ცხოვრობდნენ. აქ იყო საქვაბე და საალუდე დარბაზიც, ბეღელიც, სადაც ინახებოდა „ჯვარის ყანაში“ მო-

ვითა და ზარების რეკვით ხვდებოდა. მთავრობამ ძალდატანებით ეს ტრადიცია მოშალა. სოფლებმა სადღეობო ლუდის მოხარშვა-დაყენება სოფლის საქვაბეებსა და საფუერებში დაიწყეს. ხელოსანიც მხოლოდ დღეობის დღესლა ამოდის ჯვარში და „იყენებს წესრიგს“, რომელიც ძველისა და ნამდვილის აჩრდილსლა წარმოადგენს და რამდენადმე სიმბოლურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. აი ასეთი ხელოსანი იყო აქ დამხვდური ილიკო ბახტურიძე, მეტსახელად „ცრეცილა“.

ამოვიდნენ ილიურილებიც. ისინიც



წეული სულადი და ხატის ჭურჭელი და დროშაც, „საბერო“ – ნაგებობა შულტახელოსნებისა და მგოლავების ღამის სათევად. ლუდიც აქვე იხარშებოდა ორივე სოფლისთვის ზიარად, ზიარივე იყო სამსხვერპლო საკლავიც. დღეობის წინა დღესვე ხელოსანი დროშას „ააბამდა“ – შუბის ფორმის დროშის ტარს შეამკობდა „სამკადრეობით“ – ჯვარისთვის შენაწირი თეთრი და პირისფერი ლენტებით, წვერზე დაჰკიდებდა ზარებს და ხატის კარზე მოსულ მლოცავს ამ დროშის რხე-

ჯერ კაცები და ბავშვები. ამოიყვანეს სასოფლო საკლავი, ამოიტანეს ლუდი და სასოფლო პურები. შულტებმა საკლავები ხატის კარზე მიიყვანეს, თან მიაცილეს სამ-სამი ხმიადი, სამ-სამი სანთელი და თითო არაყიანი ზედაშეც. ასეთივე საკლავ-სანირით წარდგნენ ხელოსანთან აბულიძეებიც. ხელოსანმა სანთლები აანთო, ანთებული სანთლებით საკლავებს შუბლზე ბალანი შეუტრუსა და მერეღა მიაკრა ისინი ხატის ყორეზე. ზედაშეებიდან ერთ ყანში არაყი ჩაასხა, აღმოსავ-

ლეთის მხარეს შებრუნებულმა პირჯვარი გამოისახა და სადიდებელი დაიწყო, რომელიც სიტყვიერად თითქმის იმეორებს კოდის ლოცვისას ნათქვამს, ოღონდ ახლა ხშირად გაისმის სიტყვები: შენ შეენიე, გამარჯვებულო ილიურელთა, ბუხურელთა, წყალობა გაატანე შენ კარზე მოსულ მლოცავსა, ქუდოსანსა, მანდილოსანსა, ქალსა, ქალისშვილსა, დასა და დისწულსა, სტუმარსა და მასპინძელსა, რასაც გულით გევედრებოდნენ, იმ გულით შეივედრე, შეენიე და ემეშვლე. ლოცვის დამთავრებისას აქაც სამჯერ დაიგუგუნა მამაკაცების ერთობლივმა შეძახილმა – სწყალობდესო, რასაც ხმა მისცა გაღმა-გამოღმა მთა-გორების გამოძახილმა.

საკლავებს თოკები შეხსნეს, პირით აღმოსავლეთისკენ წამოაქციეს და დაკლეს, სისხლი ხატის ყორეებს მიაშხეფეს და სწყალობდესო ძახილით ხატის ბაქნიდან ქვემოთ გადაისროლეს. საკლავებმა იგორეს და ხატის ჩასწვრივ გამართულ საცეცხლურის სიახლოვეს გაჩერდნენ.

ორივე სოფლის თითქმის ყველა მამაკაცი საერთო საქმიანობაში ჩაება. შულტებმა საკლავები გაატყავეს, ააფემხოვეს, სანესოები – მარჯვენა მხარ-გვერდი ააჭრეს. მხრები მხოლოდ სახსრებში გადახსნეს და ეგრევე მთლიანები ჩაყარეს ქვაბებში მოსახარშად. კაცთაგან ზოგმა ტყიდან შეშა მოიტანა, ზოგი წყალზე წავიდა, ზოგმა ცხვრების შიგნეული წაიღო ხევზე გასარეცხად, სახაშედ გასამზადებლად. ზოგი თავ-ფეხის გატუსვა-გასუფთავებას შეუდგა. ზოგმაც ჯვარის ტყეში მოჭრილი ტოტებიან-ფოთლებიანი არყები გადმოიტანა და საჯარეში საჩრდილობლები გამართა. მოკლედ უსაქმურად არავინ რჩებოდა.

ამასობაში სოფლებიდან ქალებმა იწყეს დენა. ილიურელებს ივანთ მარო მოჰყვა თავისი განუშორებელი გარმონით. ბუხურელებს ხომ გურგენაანთ თინა ჰყავდათ სტუმრად. ისე რომ, იმ დღეს ჩვენს ჯვარისკრობას ორი განთქმული მეგარმონე ესწრებოდა. უეჭველია, თა-

ვანყვეტილი ლხინი გაიმართებოდა. ბუხურელი და ილიურელი ქალ-დედაკაცობა დიდი მიკითხვა-მოკითხვითა და სიხარულით ხვდებოდა ერთიმეორეს. დედებს სამხრე ხურჯინებით საზეიმო სუფრისთვის ნამზადები მოჰქონდათ. გაამზადეს ჯვარში მისატანი საკურთხი სუფრები: სამ-სამი სამყურა ხმიადი, თითო კალტისკვერი, სანთელი და პატარა ბოთლით არაყი. ესენი თეთრი ბოხჩებით ბავშვებს გაგვატანეს ხელოსანთან. ხელოსანი ხმიადებს ყუებს წამტვრევდა, ამ წამტვრევებს ხატის თახჩაში შეყრიდა, ერთ ხმიადს, ე.წ. თავნაქცევარას, უკანვე ჩააბრუნებდა ბოხჩაში. სანთელს ანთებდა, ზედაშით ზედაშის პატრონს დაამწყალობებდა. ცოტას მოსვამდა და სხვას გადასცემდა ან იქვე დადგამდა ყორის თავზე. ხმიადებსა და კალტისკვერებსაც იქვე, ნიშის გვერდზე დადებულ სიპზე ალაგებდა, სადაც ამ წმიდა პურებისა და „სითეთრის“ მოზრდილი გროვა დადგა.

ინყეს მოსვლა ცხენოსანმა სტუმრებმა. ყოველი მოსული – წყალობა ჯვარისაო, ცხენის ხატის კარზე სირბილით მიაგდებდა და გადმობტებოდა. – შენიც მწყალობელი იყოსო – ზედაშიან ბოთლს მიაგებებდნენ დამხვდურნი. ცხენებს მასპინძლები მოხდიდნენ, უნაგირებს დააბინავებდნენ და ბალახზე დასაბმელად ბავშვებს გაგვატანდნენ. ჩვენც მეტი რა გვინდოდა! იმ დღეს კარგად ვიჯერეთ გულები ცხენების ჯირითით.

ზედაშეების დალოცვა დამთავრდა. ხორცი მოიხარშა. შულტებმა საკურთხი სუფრები დააგეს. სამი სუფრა დაიგო: ილიურილებისა, ბუხურელებისა და აბულიძეებისა. საჯარის შუა ადგილას თეთრი ტილოს სუფრები დაფინეს, ზედ სამგან დაალაგეს ფურნის სამ-სამი პური, გვერდზე მიუდეს სამ-სამი ხმიადი და სამ-სამი სანთელი. საკლავის ის მოხარშული მარჯვენა მხრები სამად გაჭრეს და პურებს ზემოდან ხორცის თითო ნაჭერი დაადეს. თითო კოჭიანი თასი ალუდის ნათაურათი გაავსეს და ისინიც სუფრებზე დად-

გეს. მერე ხელოსანს მოუხმეს, სუფრები დაგებულია, მოდი დალოცეო. ხელოსანი წამოვიდა ხელში სახელოსნო ვერცხლის კოჭიანი თასით. სუფრებს მიუახლოვდა, სამჯერ პირჯვარი გამოისახა, სანთლები აანთო, თითო პურებში ჩაარჭო, თითო ხმიადებში და თითოც ალუდის ნათაურთან თასებს მიაკრა პირზე. მერე იმ თასებიდან ნაწილი თავის თასში გადმოასხა და სადიდებელი დაიწყო: „დიდო კარატის ჯვარო, გმირო კოპალე კარატისაო, ლახტიანო და მათრახიანო, დევთა მეომარო, დევ კერპთა პირის მშლელო, შენად სადიდებლად გაუშლია შენთა მოყმეთა ეს სუფრები, მოურთმევია ძღვენი, სანთელ-სამწკინი. სადიდებელი შენი იყოს, სამწყალობნო შენი მეხვეწურისა. წყალობას ნუ დაუღვევ, გამარჯვებულო, შენ ღმერთი გადიდებს, გაგიმარჯვებსა...“ და ასე გავიდა ბოლომდის. ეს სადიდებელი მთელმა მლოცავმა ფეხზე დამდგარმა მოისმინა. ხელოსანი რომ პირჯვარს გამოისახავდა, პირჯვარს იწერდნენ ისინიც. ლოცვის დამთავრებისთანავე კვლავ გაახშიანა გარემო მამაკაცების სამგზის ერთობლივმა შეძახილმა, სწყალობდესო.

კაცებმა საჯარეში ორ მწკრივად დასაჯდომები გამართეს: ზოგი ფიჭვის ხეების მოკლე-მოკლე ქორთუკები მოიტანეს, გამოიყენეს ცხენის უნაგირებიც. დასაჯდომების ამ ორ რიგს შორის თეთრი ტილოს სუფრები გაფინეს და დაჯარდნენ – კაცები ცალკე, ზედა მხარეს, ქალები ცალკე, ქვემოთ საჯარის კიდეზე. ამასობაში საკურთხ სუფრებზე დანთებული სანთლები დაიწვა. ზედამდექებმა პურები დაჭრეს. ის ნაჭრები, ხმიადები ხორცის „წილობები“ და ყველის ნაჭრები კაცებისა და ქალების სუფრაზე თანაბრად გაანაწილეს. დიასახლისებმა შინნამზადები საქმელები სპილენძის სინებსა და ხის ხონჩებზე გაანყვეს და კაცების სუფრაზე ბავშვების ხელით თავიანთ კაცებს გაუგზავნეს. თან შეუთვალეს, თეფშები არ დაკარგოთო. შულტებმა საჯარის სი-ახლოვეს ორი სანდე დადგეს, ალუდიანი

თუნგები შიგ ჩაცალეს. ამ სანდეებთან ერესტე დაჯდა მორის მოკლე გადანაჭერზე ხელში ალუდის დასასხმელი კოჩი-ხოთი. მის ახლო იდგა თასებიანი ხონი.

კაცების სუფრის თავში თამადისთვის დადგმულ ვერცხლიან უნაგირზე დასაჯდომად იასონი მიიწვიეს, ორივე სოფელში თავისი ენამჭევრობით ცნობილი თამადა. ერესტემ სალუდე თასებში ჯიხვის ყველაზე დიდი ყანნი აარჩია და თამადას გაუგზავნა. ზედამდექები ხელში ორ-ორი თასით მიდიოდნენ ერესტესთან, ის თასებს ლუდით უვსებდა, რომლებსაც ისინი სუფრაზე მსხდომთ ურიგებდნენ. ერთს ხელში არაყიანი ხელადა ეჭირა და მესუფრეებს ერთი ყანნით ასმევდა.

იასონმა ამ დიდი თასით პირველი სადღეგრძელო წარმოთქვა, მანაც რალაც სადიდებელსავით: დღეს დღესინდელს გაუმარჯოსო, დღეს ნახსენებ ღვთიშვილებსო, გმირის კოპალე კარატისას სადიდებელი იყოსო, შეენიოსო, წყალობა გაატანოსო აქ მოსულ მლოცავსო, მუხურელებსო, ილიურელებსო, სტუმარსა და მასპინძელსო, ქუდოსანსო, მანდილოსანსო, დასა და დისწულსაო, ქალსა და ქალიშვილსაო; რაც რამ სახვეწარ-სავედრებელი ჰქონდეს, სუყველა წაღმა შეუსრულოსო. მერე შესვა ოთხივ კუთხივ მთა-ბარის სალოცავების სადიდებელი; კარატის ჯვრის მოდე-მოძმე ფშავ-ხევსურეთის სალოცავების სადიდებელი; მოსაგონრები ბუხრთა ილიურთის წასულებისა, იმათი, ვისაც აქ ულოცია, ხატისთვის სამსახური მიურთმევია და დღეს აღარ არიან, იმათ სულებს ულხინოს ღმერთმაო. თქვა ცოდვილა-უპატრონოთა, შინმძახე განყვეტილთა, სახლ-კარჩამოშლილთა, კარგამოჯარულთა შესანდობარი. ცალკე და განსაკუთრებულად მოიხსენიეს ომის ბეგარაში დაღლილ-დახარჯულთა სულები, ვინც ბრძოლის ველზე დარჩა, ვისაც მშობლიური მიწა ვერ მიეყარა გულზეო. მოიხსენიეს მოლხინარი ახალგაზრდების, უდროოდ წასულთა, სიცოცხლით გაუმადლართა სულები.

ხალხის ჯარად დასხდომიდან სულ ცოტა ხანი იყო გასული, რომ გორს უკანიდან მოისმა ცხენთა ფეხის თქრიალი და მხედართა ყიჟინა. მეკოდები მოდიანო, შეჩოქოლდა ხალხი. ხატის კარზე ხელოსანმა დროშა შეარხია, ზარები აანკრიალა, წუთიც და საჯარეში ხუთმა-ექვსმა მხედარმა ცხენები შემოაგელვა. მათ ჯარად მსხდომი ხალხისკენ არც მოუხედავთ, პირდაპირ ხატისკარისკენ დააოთხეს ცხენები, წყალობა ჯვარისაო. ხატის კარზე დაიქვეითეს და დასადავებული ცხენებით ჯვარს გარს შემოუარეს. დიდი ამბით შეხვდნენ ხატის კარს ხელოსანი და მასთან ერთად მყოფი ხნიერი კაცები: რატომ დაიგვიანეთო, მეკოდებს დაგვიანება არ ეკუთვნებათო. – აბა, პირწყალაულებელნი ხომ არ წამოვიდოდით, სოფელი ჩამოვიარეთ, თითო გამარჯვებისა ყველგან შევსვით, ახიაში შეგვაგვიანდაო. ფიქრი არაა, თქვენი ჯვარი მაინც შეგვეწვევაო, უპასუხებდნენ ისინი. სუფრიდან რამდენიმე ჯეილი წამოდგა, მოსულებს მიეახლნენ, ცხენები ჩამოართვეს, საჯარეში ჩამოიყვანეს, დაღლილი, ათქანთქარებულები გაატარ-გამოატარეს, ქარი ამოაღებინეს, უნაგირები მოხადეს, ამასობაში მოსულეები ჩამოვიდნენ. – არა, მეკოდებო, ჯერ სუფრაზე ვერ დასხდებით, სანამ სამეკოდო ტარკოშას არ დაღვევთო, ალუდიანი ტარკოშათი შეეგება მათ ერესტე. წინ მომავალ მგელაურს ტარკოშა მიართვა. მან მოწინებით ჩამოართვა, იგი შეჩერდა, ყური მიგდეთო დაიძახა. – მეკოდებო, ბუხურელნო და ილიურელნო, მეკოდების წესრიგს გაუმარჯოსო, ნუ მოგვიშალოს თქვენი და ჩვენი სალოცავების მადლმა კოდ-მეკოდებო, ერთმანეთის იმედი და მეშვლობა. ვისაც ეს წესები დაუნესებია და უტარებია, იმათი სულებისა იყოს, იმათ სულებს ულხინოს ღმერთმა აქ იმათი სახსენებელი არ დალეულიყოსო. ლუდი მოსვა და მომდევნოს მიაწოდა, იმან სხვას და ის ტარკოშა ასე დაცალეს. მასპინძელმა ჯეილებმა ცხენების დასაბმელად პალოები

დათალეს, საბლებს შეაბეს, – აბა, ბალებო, მეკოდების ცხენებს კარგ ბალახში უნდა დაბმა, ბეროსწყაროსთან გარეკეთო. ჩვენც მეტი რა გვინდოდა, უბელოებს საცხვირები ჩაეუდეთ, ზურგებზე მოვევლეთ და წავედით. – არ აჭენოთ, ისედაც დაღლილები არიანო, მოგვაძახეს პატრონებმა. – არაო – ჩვენც. მაგრამ, როგორც კი თვალს მივეფარენით, ჯვარის ტყიდან ჯვარის წყარომდე და ჯვარის წყაროდან ბეროს წყარომდე ისეთი დოლი გავმართეთ, რომ თქვენი მოწონებული.

პურობა ეშხში შევიდა. გაიმართა ქალვაჟებს შორის თეფშების გაგზავნა-გამოგზავნა. ქალების ჯარზე მარომ ხელით მიმიხმო, მომანოდა თეფში. თეფშზე რამდენიმე მაჭკატი იდო, ერთი გალეტი და ერთიც ფოჩიანი კანფეტი. თეფშზე დაპირქვავებული იყო არაყიანი ჭიქა. თქვენ წარმოიდგინეთ, არაყი არ იღვრებოდა. – მიტროს მიუტანეო. – რომელია-მეთქი? – იქა და იქ რომ ზისო. თეფში მიუტანე. – ვინ გამოგატანაო? – თუმცა კარგად დაინახა, ვინც გამატანა. ვუთხარი. – დამიცადე, არ ნახვიდეო. მიტრომ ხილი სუფრაზე დაალაგა. ერთი ხელით თეფში დაიკავა, მეორის ორი თითით ჭიქის ფსკერს დააწვა და ისე ამოატრიალა, რომ თეფში ჭიქის პირს არ მოსცილებია, არაყის წვეთი არ დაქცეულა. მარო ჩვენკენ იყურებოდა. მიტრომ ჭიქა აწია, აწიშნა, შენ გაგიმარჯოსო და დალია. – ჭილტა მომიყვანეო. მე იქვე ბალახებში მოზრდილი ნითელფრთიანი ჭრიჭინა დავიჭირე და მივეყვანე. მიტრომ არაყის მეღვინეს ჭიქაში არაყი დაასხმევინა, თეფშზე დადგა. სუფრიდან ერთი ნითელი ვაშლი აიღო, ისიც თეფშზე დადო. ჩემს მიყვანილ ჭილტას ყელზე წურულა ბალახი მოაკრა, ბალახის მაგარი ბოლო ვაშლში ჩაარჭო და ეს ტყვეჭრიჭინიანი თეფში მაროსთან გამატანა. მე არ ვიცდი, ვაშლზე დაბმული ჭრიჭინა რამეს ნიშნავდა თუ არა. ან რა უთხრეს ერთმანეთს თეფშების ამ გაგზავნა-გამოგზავნით და შორიდან თვალე-

ბით მარომ და მიტრომ. ვიცი მხოლოდ ის, რომ მომდევნო ჯვარისკრობაზე მარო ქმართან, მიტროსთან ერთად მოვიდა და თან სამი მაზლიც მოიყოლა.

ახალგაზრდობა „ნამოზეზედავდა“ – ლხინი მოსწყურდათ, მაგრამ სოფლები იმ ზაფხულს მგლოვიარედ იყო. ბუხურელებს შაბლიანთ მარე ჰყავდათ წლის-ხარჯგადაუხდელი მიცვალებული, ილიურელებს იაკობიანთ თინა, მთიელი ორივე სოფელი ახალდედას რომ ეძახდა. ორივენი მეტად პატივდებული მანდილოსნები. სოფლების უხუცესებმა, როსტომმა და იობმა, თამადას ერთი სადღეგრძელოს უფლება სთხოვეს. ალუდიანი თასებით ხელში საჯარეში წინ წამოდგნენ და თინასი და მარეს შესანდობარი თქვეს: მართალია, სოფლები მგლოვიარეა, მაგრამ ჯვარისკრობა და ჯარობა ულხინრად

ხინრებო, დაუკარით კიდევაც, იმღერეთ და ითამაშეთო.

თასები დაცალეს.

ეს შესანდობარი კაცების ჯარზე ყველამ შესვა.

ცოტა ხვეწნის შემდეგ მარომ გარმონი გაჭიმა, იმღერა კიდევაც. მერე თინამ დაუკრა საცეკვაო. ქალების ჯარმა ტაში ააყოლა და ჩერქეზა დაუბატიყებლად გადახტა სათამაშოში, მისებურად მსუბუქად შემოუარა წრე და ეშხიანად დატრიალდა. ცეკვის ნამდვილი ცეცხლი დაანთო. რამდენიმე ქალიც ააცეკვა და დაჯდომა რომ დააპირა, კაცი იშოვეო, შესძახეს აქეთ-იქიდან. ბუხურელებო, ახლა თქვენი ჯერიაო და სათამაშოდ დიქტე გადაიწვია. ცეკვა-თამაში გაგრძელდა. თამადა დროდადრო ლხინს გააჩერებდა და სადღეგრძელოებს იტყოდა, ძირითადად შე-



ისევე არ შეიძლება, როგორც ჭირის დღე უტირლადაო. მიცვალებულები ღმერთმა აცხონოსო, მაგრამ იმათი მიზეზით რომ ჯარობის წესრიგი არ ჩატარდეს, იმათი სულებიც უფრო შესწუხდებიანო. ვაითუ, ჯვარსაც ამით უფრო ვაწყინოთო. მოლ-

სანდობრებს: ცოდვილა-უპატრონოებისას, ზვავ-წყალწალევეებისას, ცხენ-საკაცით ნალებებისას, მტრის ხელით ნახოცებისას; იმათსა, ვისაც თავისი ქვეყნის მინა არ ელირსა, უცხო ცის ქვეშ, უცხო მინაში ჩაიშალა იმისი ძვალ-მალა. თქვეს იმათი

შესანდობარიც, ვინც უცხო თემ-სოფლის კაცი ჩვენს მინაზე იყოს დამარხულიო, ვისაც აქ თავისი სისხლ-ხორცის მომხსენებელი და სუფრის გამშლელი არავინ ჰყვანდესო. მასპინძლად ის თორმეტი ფშაველ-ხევსური დაუყენეს, თუშეთის საშველად მოსულნი ქვათემთის ომში რომ დაიხოცნენ და გოგრულთის სამაროვანზე რომ განისვენებენო.

მზე დასავლეთის ცისკიდურზე დაქანდა, „გრილოები გამოიყარა“. ხალხი სუფრებიდან აიშალა. ქალებმა სუფრები აალაგეს. სტუმრებმა ცხენების შეკაზმვა დაიწყეს. ცეკვა-თამაში კიდე უფრო გახურდა. მოთამაშენი უკვე ფეხზემდგომთა წრეში ტრიალებდნენ. უკრავდა გარმონი, ჭექდა ტაში და ეშხში შესულ მოცეკვავეთა გაკვივლს ლოვნისა და წინაბუცის ფერდობები უხმობდა. წრეში თინა ტრიალებდა და სიქას აცლიდა მასთან მოჯიბრე ვეილებს.

– ქორბელელა ამოიტანეთ, ნულარ აგვიანებთო, გადმოსძახა ჯვარისკრიდან ხელოსანმა. ქორბელელა. ქორბელელაო, შეჩოჩქოლდა საჯარე. ათი-თორმეტი ვეილი გამოერჩა, ზოგმა ფეხსაცმელები გაიხადა, ზოგმა ქამარიც შემოიხსნა. დაკვრა და ცეკვა გაჩერდა. ხუთი ძეგლევა ვეილი წრედ დადგა მხარისმხარს გადახვეულნი. ხუთიც შედარებით ტანმორჩილი ბიჭი მათ მხრებზე შეადგა აგრეთვე მხარისმხარს გაბმულნი. კარგად დასწორდნენ, წელში და მუხლებში გაიშალნენ. წრის შუაში „მეციხოვნედ“ ბიჭია ჩადგა ფანდურით ხელში. ამ ორსართულიანმა ფერხულმა ნელა დაიწყო ნალმა ტრიალი. სამჯერ ადგილზე შემობრუნდნენ, მერე ნელა დაიძრნენ ჯვარის ნადარბაზალის თავზე პატარა ტაფობისკენ. ცდილობდნენ, ნაბიჯები და ნელი ტრიალი სიმღერის ტაქტისათვის აეყოლებინათ. სიმღერას ბიჭია ამბობდა, სხვები ამასვე იმიერებდნენ:

**„დღესამ დღეობა ვისია, წმიდისი
გიორგისია.“**

**გიორგი გალავანზედა უსარტყლო
გადმოსულიყო.
იმისი-დ გადმონავალზედ ხე ალვა-დ
ამოსულიყო.
ზედა მოსხმიყო ყურძენი, საჭმელად
მონეულიყო,
მაგის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროოდ
დაშაულიყო.
ყმათალ უმატე, გიორგი, თუ გინდან
მოსახელენი,
ცხვარსალ უმატე, გიორგი, თუ გინდა
რქაჯანგინი,
პურსალ უმატე, გიორგი, კოდნი თუ
გინდან სამსვენნი.
ქალ წყალზე დაგვიანდება, დაბანას
ქელპირისასა,
ვაჟ დარბაზს დაგვიანდება, შესმასა
ბარძიმისასა,
გიორგის გაღმარჯვებია, გიორგის
გომენრისასა“.**

ქორბელელამ ვაკე გაიარა და ფერდობს მოება. დაიძაგრა წვივები, დაიძაბა ურთიერთგადაჭობილი მკლავები. მთელი საჯარე იდგა და მლელვარედ შეჰყურებდა ქორბელელას მსვლელობას. ზოგნი პირჯვარსაც იწერდნენ, ღმერთო, მშვიდობით აატანინეო, გაისმოდა აქა-იქ. ქორბელელა მძიმედ მიიწევდა წინ, თუმცა სიმღერა არ ფერხდებოდა. ახალგაზრდების ჯგრო ფეხდაფერ მიჰყვებოდა და შეძახილებით ამხნევებდა ქორბელელაში მდგომთ. ქორბელელამ დაუშლელად ააღწია დანიშნულ ადგილამდის. მუხლებსა და მხარ-მკლავებს შვება მიეცა. სიმღერამაც უფრო ომახიანად დასჭექა. ტაფობში კვლავ სამჯერ შემობრუნდნენ და მერე მალლა მდგომები შიგნით ჩახტნენ და ქორბელელა დაშალეს. ქვემოთ, საჯარეში, მხიარული შეძახილებით ტაში დასცხეს. ბიჭიამ ფანდურზე საცეკვაო დაუკრა, რამდენიმე ვეილმა „შეყოლით“ იცეკვა. მერე ყველანი ჯვარისკენ წავიდნენ. ხელოსანმა ზედაშენი ბოთლები მიაგება. შესვეს მექორბელელეთა გამარჯვებისა. მერე „ხმიადები დაღრეკეს“. ხელო-

სანმა რომ ოჯახების მოტანილი ორ-ორი ხმადი და თითო კალტისკვერი დატოვა ხატის კარზე, კარგა დიდი გროვა დადგა. იქიდან ხმადებსა და კალტებს სათითაოდ იღებდნენ და სწყალობდესო ძახილით საჯარისკენ ისროდნენ. იქ ქვემოთ კი შეიქმნა მხიარული ყიჟინა და ზედახორა. ყველა ცდილობდა, ნასროლი ხმადებიდან რაც შეიძლება მეტი ეგდო ხელთ. ეს, მათი აზრით, ჯვარის მეტ წყალობას ნიშნავდა. ხმადებს დათელებული გოგობიჭები ერთმანეთზე გადადიოდნენ. იდგა ერთი ზედაგორა და ხორხოცი.

ქორბელელაც და „ხმადების დარეკვაც“ თუშეთში ათნიგენობებში ყველა ჯვარში იმართება. ქორბელელა ციხის სიმბოლოა. გაუტყეხელი ციხე კიდეც – თემ-სოფლის მტერთაგან გაუტყეხლობის გარანტია. თუ ქორბელელამ დაუშლელად აიარა მთელი გზა, ეს იმის ნიშანია, რომ მლოცავმა ყველა წეს-რიგი უნაკლოდ ჩაატარა და ხატიც იმ წელს ციხისა და თემ-სოფლის მშვიდობით ცხოვრების ნიშანს იძლევა. ჯვარისკრიდან ნასროლი ხმადები კი ციდან ღვთის წყალობად მოვლენილი მანანას სიმბოლოა.

„ხმადების დარეკვა“ დამთავრდა, ჩოჩქოლი ცოტა ჩანყნარდა, ყველა ფეხზე ტრიალებს, მაგრამ წასვლას არავინ ჩქარობს. წასასვლელად გამზადებულ სტუმრებს დაკაზმული და ძუაგამოკრული ცხენები სადავებით უჭირავთ. გაიოზი მივიდა ლორსამთან და რალაც უთხრა. მან ცხენის სადავე გაუნოდა. გაიოზი უნაგირზე მოექცა, ცხენი ადგილზე შეათამაშა და დაიძახა, ვისაც გული გერჩისტ და ცხენის იმედი გაქვთ, ტარკომაზე გამომიჭენეთო. ხუთი-ექვსი ჯეილი უმალ ამხედრდა და ყველამ ცხენები მწვაქესგორისკენ დაუშვეს. ერესტემ ტარკომა ალუდით აავსო და საჯარის კიდეზე წადგა. მხედრები საცხენე გზამდის ჩავიდნენ. სახარის ჯვრის ნიშთან ტაფობში შეჯგუფდნენ, შემობრუნდნენ და ცხენები აღმა დააოთხეს, გორის შუა ადგილამდის დაოთხილები ჯგუფად მოდი-

ოდნენ, მერე ძუნძულზე გადავიდნენ და დაცალცალკევდნენ. გაიოზი ლორსამის ცხენით დანინაურდა, ველარავინ დაენია და ალუდიანი ტარკომაც მას შეხვდა. ცხენ-მხედართა გამარჯვებისა იყოსო, ლუდი მოსვა და ტარკომა მომდევნოს გადასცა. ასე ამ სრბოლაში ყველა მონაწილემ შესვა „ცხენ-მხედართა გამარჯვებისა“ და ტარკომაც დაიცალა. დალილი ცხენები ბავშვებს მოგვცეს სატარებლად. ჩვენც მანამდის ვატარეთ, სანამ ცხენებმა სული კარგად არ მოიქციეს. ძალიან დალილი ცხენი უცბად რომ გააჩერო, შეიძლება წაიქცეს და მოკვდეს.

საჯარეში კი ცეკვა-თამაში და მხიარულება კვლავ გრძელდებოდა. შუა სათამაშოში ხირხალა დიქტეს ეცა და საჯარის კიდისკენ ილიურთის მხარეს დაითრია. დიქტეს ბუხურელები მიეშველნენ, ხირხალას – ილიურელები და ნამდვილი ზედახორა შეიქნა. ილიურელები თავის მხარეს აწვებოდნენ, ბუხურელები თავისკენ. საჯარო ძირზე პატარა ზურგობია. ეს მიჯნაა. ვინც ამ ზურგობიდან თავისკენ გადაითრევს მთელ გროვას თუ რომელიმე ერთ კაცს, გამარჯვება იმ სოფელს რჩება. გაიოზმა იმარჯვა. ამ არეული ქუნდრუზიდან გიგო გამოიტაცა, საჯარის პირზე დასცა და ფეხით ბუხურთის მხარეს დაითრია. ამჯერად გამარჯვება ბუხურელებს დარჩათ.

ეს ურთიერთგადათრევა არ არის, მხოლოდ ძალთა გამოცდა და შეჯიბრი შეჯიბრისათვის. საქმე ისაა, რომ სალოცავის კარზე წესრიგის დაყენების შემდეგ სუფრა სალამოს სოფლებშიც უნდა დაიგოს და დაილოცოს – ჯერ ერთში, მერე – მეორეში. და აი სად დაიგება პირველად სუფრა, სად წავა ჯვარისკრიდან სტუმარი, ეს შეჯიბრი ამისთვისაა. წელს ეს პირველობა ბუხურელებს შეხვდათ. ყველა – ცხენოსან-ფეხოსანი სტუმარი და მოლხინარი ბუხურთისკენ გაემართა. სოფლებში მხოლოდ უფროსები წავიდნენ, რათა სალამოს ძროხა-საქონლისთვის მიეხედათ. ბუხურელი შულტა და

ზედამდეგები დანინაურდნენ. სანამ „მზე ზღვად შევიდოდა“ დაკლეს საკლავი და შეუდგნენ სამზადისს. სოფლის საჯარეში ცეცხლი დაანთეს, საკლავის სანესობებიც ისევე მოხარშეს და კარგა დაღამებულზე საჯარეში სუფრა გაიშალა.

სანამ მასპინძლები საერთო სუფრის სამზადისში იყვნენ, სტუმრებმა ოჯახებში „ახია გააბეს“, რიგ-რიგით ჩამოიარეს ყველა ოჯახი. აქ სუფრას არავინ უშლიდა, მასპინძელი თითო-ორიოლა ყანწარაყს კი ჩამოურიგებდა. ძირითადად მღეროდნენ და თამაშობდნენ, იღბენდნენ მთელი გულით. კარგა მოგვიანებით უკვე შულტამ მიიწვია ყველანი საჯარეში საერთო სუფრასთან, სადაც თითქმის შუალამემდის გაგრძელდა თავანწყეტილი მხიარულება. ნაშუალამევს ილიურელები სტუმრებიანად დაადგნენ გზას თავისი სოფლისკენ. ბუხურელებო, ხვალ დროზე გამოდით, „საძახურად“ ნუ გაგვიხდებით, როგორც გჩვევიათ ხოლმეო, დაგვიბარეს და წავიდნენ.

ცხვარმოე და სანათლაკები

მაისის დამდეგს, უფრო სწორად, მაისის პირველ კვირას გამოჩნდება თუშეთში საზამთრო საძოვრებიდან დაბრუნებული პირველი ფარები. ძველი სტილით მაისის შვიდია მიჩნეული ცხვრის მთაში ამოსვლის თარიღად. ეს „ცხვარმოე“, მეცხვარეთა ბარიდან მთაში ამოსვლის პერიოდი.

საზეიმო განწყობილება მოიცავს ხოლმე ამ დღეებში თუშეთს: გარემო შეიბერტყება, სხვა ელფერს დაიდებს მთელი მთა-ბარი. საბოსლოებიდან სოფლებში გადმოსული ოჯახები ცხოვრების საზაფხულო ყაიდაზე გადადიან. ქალები სახლებს „აიგულებენ“ – მზეზე გამოჰფენენ საზამთროდ ჩალაგებულ ლოგინსა და ფლას-ფარდაგებს, დაასუფთავენ თახჩა-განჯინებს და ზედ გაამწკრივებენ

საგულდაგულოდ დარეცხილ-დანკრიალებულ რვალეულს – სპილენძის ჭურჭელს. გრძელ ტახტებზე „საგორავებს“ გაშლიან, კედლებს ფარდაგ-ხალიჩებით მორთავენ, თვითონაც მოირთვებიან, მოპენიანდებიან.

ვისიც უნდა იყოს სოფლის სიახლოვეს გავლილი ცხვრის ფარა – ნაცნობისა თუ უცნობისა, ხნიერი ქალები გაეგებებიან, მეცხვარეს ახლად გამომცხვარ თუშურ ქალებს – „კოტრებს“ ან „ერბოანყვას“ გაუტანენ. „წინაარაყიან“ ჩარექასაც მიაცილებენ, მშვიდობით მგზავრობას მოულოცავენ, შეასვენებენ – უმძიმესი გზით დაღლილ-დაქანცულს ორიოდე ყანწი არაყით გუნებას გამოუკეთებენ, კახეთის ამბებს გამოჰკითხავენ, აქაურსაც ეტყვიან, აგრეთვე ცხვრით მომავალი თავიანთი ქმარ-შვილების შესახებაც იკითხავენ.

შვიდი-რვა თვის წასული მამები, ძმები, შვილები ბრუნდებიან, შემოდიან ოჯახებში. გადგმოდგმება საგანგებოდ გადანახული არაყიანი კოკურები და შინაურობას დანატრებული კაცები სულ რამდენიმე დღით მისცემენ თავს კაცური განცხრომის უფლებას. შეიქმნება გადაძახილ-გადმოძახილი. ოჯახიდან ოჯახში გადაპატიჟება-გადმოპატიჟება, სოფელი ახმინდება, განსხვავებული ძალით დაინწყებს ფეთქვას თუშეთის ცხოვრების მაჯა. დაბლა ხბო-ძროხით აჭრელებული მთათა ფერდობები ზემოთ ცხვრის ფარებით გადათეთრდება. მწყემსების გაკვივლ-გამოკვივლი, დროდადრო თოფის ქუხილი, სოფლიდან სოფლისკენ მიმავალი გზა-ბილიკებზე ცხენის ფეხთა თქრიალი, ცხვრის ბინებთან ძაღლების ღავლა-ვი. სოფლის საქსლო ფარდულებიდან კი შორს გაისმის მქსოველი ქალების ბეჭების ძგრიალი. ხან აქ და ხან იქ გაინელება გარმონი და თან აჰყვება მომღერალი ქალის ხმანკრიალა სიმღერა:

**„მამინ ხარ კარგი, თუშეთო, მთას,
თოვლო, გადაზდიოდე,
ჭალას ჩაზდიოდ, ყირვანო, გორს**

**მწვანელ ამოზდიოდე,
 ხაგირში, ხარო-დ მოხნავო, კივილით
 გამოზდიოდე,
 სახარეს, ცხვარო-დ ბატკანო,
 უივილით შემოზდიოდე,
 უკვენ მოგდევედეს ჩობანი, ქორებულ
 გამოხკიოდეს.
 საქსლოში ქალო ლამაზო, ბეჭის ხმავე
 გამოზდიოდე,
 კაის ყმის მომლოდინეო, ზალო, კარს
 გამოზდიოდე“.**

მაისის ბოლოსთვის ამოქუჩდებიან მეცხვარეები. აქ საგაზაფხულო სამუშაოები დამთავრებულია: მოსახნავი მოხნულ-დათესილია, სათიბები შეკრული. მაგრამ მეცხვარეთა შრომის პერიოდი – ცხვრის წველისა და ყველის კეთებისა ჯერ არ დამდგარა. ყველა მოცლითაა – „გარემხრისანიც“ და „შინაურებიც“. მიძიმე ზამთრისა და გაზაფხულის შემდეგ სოფლები ერთად ყოფნის, ქარის ამოღების, მოლხენა-გართობის წადილითაა შეპყრობილი. ახალგაზრდობას ერთად ყოფნა მოჰნატრებია. ამ დროს იხდიან თუშები „სამხდო-სანათლავებს“ – დღეობებს, რომელიც არ უკავშირდება რომელიმე ღვთაებას ან ნიშნულ დღეს. იხდიან მას უმეტესწილად ერთობლივად მეზობელსოფლელები, საჯვარისყოფები, „სამეკოდეოები“, თემ-საზოგადოებები ზიარი ხარჯით – „სანაკრეფოთი“. ჩამოვილიან ახალგაზრდები, მოკრეფენ „სვეფორს“, საჭმელ-სასმელს, ფულს ზიარი საკლავისათვის, მოხარშავენ ლუდს და კვირის რომელიმე დღეს გამართავენ „სანათლავს“. ეს ლუდიც, საკურთხი სუფრაც და სამსხვერპლო საკლავიც „მესამხვდოე ანგელოზებისთვისაა“ შეწირული. ვინ არიან ეს მესამხვდოე ანგელოზები, ვისი და რისი მოცაური ღვთიშვილებია, ცხადად ვერავინ გეტყვის. ისინი თემსოფლის, მთელი თუშეთის მფარველნი, მშვიდობისმყოფელნი, შინ და გარეთ, მთასა თუ ბარში, ლაშქრობასა თუ ნადირობაში „დამშველებელნი“ არიან. „თქვენ

შენიეთ აქა მრევიალეთა, სვე-ფორის ჩამყრელთა, სანათლავის მომღებთა; ჯვარ დასწერიდითა, ხარის ქედსა, კაცის მარჯვენასა, ცხენსა, ცხენის მხედარსა. ბარაქა დაუდევენიდითა ნახნავსა, ნათესსა, ნათიბსა, ნამკალსა, ნანველსა, ნადღვებსა; ცის ნამს ნუ მოგვაკლებთ, გამარჯვებულნო, დედამინის მოსავალსა; ზდველ-ზამთარ მშვიდობისა მოღვარდითა, მშვიდობას აჭმიდით, მშვიდობას ახმარდითა, აგრემც თქვენ ღმერთი გადიდებსთ, გაგიმარჯვებსთა“.

ივანაურთის თემში ოთხი სოფელი შედის: ვესტმო, ვესტომთა, გოგრულთა, საჩილოლო. აქ სანათლავის მასპინძელი რიგ-რიგით ხან ერთი სოფელია, ხან მეორე, ხან მესამე და ხან მეოთხე. ოთხივე სოფელი ჯარად სხდება; მოდის უამრავი სტუმარიც. აქ შეავლებს თვალს ერთურთს „უკეთესის დროის“ ახალგაზრდობა, გაინეცს მათი გულები ერთმანეთისკენ და ძალიან ხშირად ეს თვალშევილებები მარიანობის თვეში მათი ერთად შეყრით მთავრდება.

**„გაზაფხულ ივანაურელთ სანათლავ
 ვიცით ზიარი.
 სამშაბათისად იქნების ვესტომთას
 ჯარზე ვზივარი.
 შემოჩინდების ეთერო, ლამაზი,
 ჩალათმიანი,
 ის დააყურებს გარმუნსა, მე ავდგებ
 ლაზათიანი,
 თვალი რო თვალსა მომიხვდებ, პატას
 დამცვენდებ, ტიალი“.**

ჩათავდება ეს „სამხდო-სანათლავებიც“, ხალხი ერთად ყოფნისა და ლხინ-გართობის ჟინს მოიკლავს, სულიერად განინმინდება, ხორციელად გამხნევდება და დასვენებული, განახლებული ენერგიით მოეკიდება საზაფხულო შრომა-საქმიანობას. ცხვარი იწველება, შეკრულ სათიბებში თივა იზრდება, ნათესებში ჯეჯილი ლაღანებს, გროვდება ფურის ნანველ-ნადღვების ბარაქა; სოფლის საქ-



სლოებიდან გამოდის „მექსლე“ ქალების ბეჭების ძგრიალი, დროდადრო გარმონის ჰანგები და თუშის ქალების ხმანკრიალა სიმღერებიც:

**„რა კარგა ხარი, ზაფხულო,
შიშაქო, ინველებოდე,
მომდგარო ნანიდარზედა,
ფარაო, იცოხნებოდე,
ბაკში გადახვალ, ჯეილო,
რაიოდ იოფლებოდე,
კასრო შენ ვერხვის ხისაო,
რაიოდ იქაფებოდე“.**

მართლაც რომ კარგი ხარ, თუშეთის ზაფხულო!

ალუდი

„ალუდი“ მიცვალებულის წლისთავია. მისი სულის საცხოვრებლად გაშლილი ბოლო და ყველაზე დიდი სუფრა, რომლითაც მთავრდება ოჯახში და საგვარეულოშიც მიცვალებულის გლოვა. „ალუდ-გადაუხდელი“ მიცვალებული „დაუმარხავად“ ითვლება. ამიტომ შეუძლია თუ არ შეუძლია, მქონებელია თუ უქონელი, ჭირისუფალი „ალუდს“ აუცილებლად გადაიხდის და მით უფრო დიდს, რაც უფრო გულდასაწყვეტი და სახელოვანია გარდაცვალებული. „ალუდს“ იხდიან ან „სადგინით“ – ცხენთა რბოლით (აქაურად – „რბევით“) ან ამის გარეშე. „სადგინი“, რომელსაც „დალაობაც“ ახლავს თან, მამაკაცების „ალუდისას“ იმართება – აუცილებლად „უკეთესის დროის“, ანუ ვაჟკაცობის ასაკის კაცისათვის, არცთუ ხშირად მოხუცისათვის და თითქმის არასოდეს ქალებისა და ბავშვებისათვის. იყო შემთხვევები ქალების „ალუდში“ დოლის გამართვისა, მაგრამ ეს წესის დარღვევად ითვლებოდა.

„ალუდის“ გადახდა, განსაკუთრებით „სადგინით“, ერთობ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული (ალბათ, ამიტომაც ჰქვია

მას მეორე სახელით „ხარჯი“). ოჯახს საამისოდ სჭირდებოდა ორი-სამი კოდი ქერი საალუდე ფორისათვის. კოდი-კოდნახე-ვარი სვილი პურისთვის, ორი-სამი კოდი სხვა „სულადი“ საარაყეებისთვის. ოთხი-ხუთი ჭედელი საკლავად, ათ-თხუთმეტი თოხლი „ცხენჯამაგირისთვის“ და, ცხადია, ფულიც სხვადასხვა ხარჯებისათვის. ამ ხარჯებში შეეშველებოდა ხოლმე ოჯახს დედულ-მამულის მხრის ნათესაობა „სანიჭრით“ – ვინ ცხვრით, ვინ ყველით, ვინ სულადით, ვინ ფულით და სხვ. „მოსანიჭრენი“ არც ისე ცოტანი იყვნენ და ამ გზით ოჯახს საგრძნობი შეღავათი ეძლეოდა.

„ალუდის“ გადახდის სამზადისში მთელი საგვარეულო და სამეზობლო მონაწილეობდა. ეშველებოდნენ ჭირისუფალს შემის მოჭრა-მოტანასა და „ქვაბკიდებაში“, არაყის გამოხდაში, პურის გამოცხობაში, სუფრაზე საჭირო ჭურჭლის მოგროვებაში და სხვ.

ერთი კვირით ადრე მოიხარშებოდა ლუდი, გამოიხდებოდა არაყი, ორი-სამი დღის წინვე დაიწყებდნენ პურების გამოცხობას.

ერთი კვირის წინვე შეუთვლიდნენ შორეულ სოფლებში ახლობელ-ნათესავებს, გარდაცვლილი ვაჟკაცის „ტოლ-სნორებს“. ზოგს ცხენით დაპატიჟებდნენ, ზოგს – უცხენოდ. საშუალოდ, ოცი-ოცდახუთი ცხენი მაინც უნდა მოსულიყო სადოლედ.

ცხენით მონვეულნი ადრევე დაიწყებდნენ „სარბევად“ ცხენების მომზადებას. მთაში ნაგდები, ნასუქი ცხენი დიდ მანძილზე რბოლას ვერ შეძლებს. ამიტომ დოლამდე ერთი კვირის წინვე ჩამოიყვანდნენ ცხენს მთიდან და პალოზე დაბმულს ინახავდნენ. დღეში ერთხელ ქერსაც აჭმევდნენ – გულს გაუფიცხებსო. ყოველ დილას ბანდნენ ცივი წყლით და საკმაოდ შორ მანძილზეც არბენინებდნენ – მუხლებში გამოიყრებაო. ასე რომ, „ალუდის“ დღისთვის ცხენს კარგ სპორტულ ფორმაში ჩააყენებდნენ. ვისაც სა-

კუთარი ცხენი არ ჰყავდა ან თავისი არ ეიმედებოდა, სხვას, „მონინავე“ ცხენის პატრონს, სთხოვდნენ, პატივი მეცი, ჩემი სახელით დოღში გამარევიყო.

თუშური „ალუდის“ ორიგინალური ნაწილი „დალაობაა“, მამაკაცთა სამგლოვიარო მოძახილი, რომელიც სვანური „ზარისაგან“ მელოდიის გარდა იმითაც განსხვავდება, რომ მას პოეტური ტექსტი ახლავს თან. თანაც იგი ერთხმანია. დალაობის ტექსტი თექვსმეტმარცვლიანი ურითმო ლექსია და შინაარსობრივად გარდაცვლილის ამქვეყნიურ საქმეთა სადიდებელს და მისი სიკვდილის გამო სინანულს წარმოადგენს. მას ერთი პირი ამბობს, სხვები, იმავე ხმაში უსიტყვო ბანს ეუბნებიან.

„ალუდის“ დღეს სოფლის საფუარში დაილოცება ამ მიცვალებულისთვის მოხარული ლუდიანი კოდები, დაიგება სუფრა, რომელზეც პურ-ყველი და ამ ალუდიანი კოდის ნათაურა დგას თასით. ხუცესი ამ თასს აიღებს და მიცვალებულის სულს ახსენებს: ღვთის წესითო, ღვდლის წესითო, ერუმსალეთის მადლითო, რაც წესი იყოსო, თუ აქ ნათქვამი სიტყვა იქ მიდიოდესო, იმისი სულის საოხი ყოფილიყოსო, ალაღად მოახმაროსო ჭირისუფლისგან აქ განეული ხარჯიო, ცასამც ცვრად გადაუნედებაო, გორსამ მწვანილად ამოუვაო, ზამთრისემც ნუ გაეყინება, ზაფხულისემც ნუ დაუობდებაო, აუღებელიმც აქესო წინ გაშლილი სუფრა, სანთელ-სამწკინიო. სუყველას სულესამც დაინევსო თავისასაო, ცხვისასაო, ობლისასაო, ოხრისასაო, ცოდვილა-უპატრონოთასაო. თუ ვინ ახათრებდესო ან დობილ-ძმობილობითო, სვიდიანათლიაობითო, სტუმარმასპინძლობითო, მინა-მამულის პატრონიო, წყალ-წისქვილის, კალო-ნაფუძრის, თოფ-იარაღის პატრონიო, სუყველასამც მოიწვევსო, ხელთ უსაგძლონიმც ნურავინ დარჩებიანო, მშიერნიმც დაუძღებიან, მწყურვალნიმც დაეთვრებიანო“. ამრიგად, ამ საფუარსაც და მთელს „ალუდის“ ხარჯსაც ამ

მიცვალებულის სახელი სძეს.

დილითვე ეზოში გამოიტანენ მიცვალებულის „ფლასს“. ეს თაღხნაჭრელებიან საფენზე, „ფლასზე“, განყოფილი მიცვალებულის ტანსაცმელი და იარაღი, რომელიც გასვენების მეორე დღეს ოჯახში ტახტზე გაფინეს. იგი მთელი წლის განმავლობაში, „ალუდის“ გადახდამდე, ასე რჩება. ჭირისუფალი მას დროდადრო გარეთ გამოიტანს და „დედათტირებას“ გაუმართავს – მონვეული მოტირლები დასტირიან მას. ამ ეზოში გამოტანილი ფლასის მარჯვენა მხარეს ძირს გაფენილ ტილოზე ალაგია სამი პური ცალ-ცალკე, რომლებსაც ზედ ადევს მოხარული ხორცის თითო ნაჭერი და „სითეთრე“ – ყველის ნაჭრები. იქვე განცალკევებით აწყვია „საკვამლო კვერები“ – პატარა მრგვალ პურებში ჩარჭობილია მიტკლის პატარა ლენტშებმული ჩხირები. „საკვამლო კვერი“ იმდენია, რამდენი მეკომურიც ცხოვრობს სოფელში. „ფლასისავე“ წინ, ფერხთით ძირს დაფენილ ტილოზე ყრია ქერის პატარა გროვა, დგას დოვიანი ბაკანი შიგ ჩადებული ქოჯოთი, დევს ერთი ნაპარსი მატყლი და მარილის ქვა. მარცხენა მხარეს ალაში დევს – შუბის ფორმის წითლად შეღებილ ალმის ტარზე შებმულია პირისფერი ან ღია ცისფერი აბრეშუმის ბაღდადი, რომელსაც ტარის საპირისპირო მხარეს კიდებენ, ნაპირებსა და შუაში სიმეტრიულად მიკერებული აქვს აბრეშუმის სამი სხვადასხვა ფერის ლენტი. ეს თუშთა საღამუქრო დროშის ანალოგია. ალამზე ტარის ზედა ნაწილში ბუნიკის ფორმის წვერთან ჰკიდია თითო წყვილი წინდა, ქუროები (შალით ნაქსოვი ხელთათმანები), ჩითები და ერთიც ხელით ნაკერი სათამბაქოე ქისა. ფლასის სათავე მხარეს მოტირალი ქალები სხედან.

ამგვარად, დაგებული ფლასის წინ დადგება ხუთი ცხენოსანი. ამათ შორის ლამაზად შეკაზმულ „სულის ცხენზე“, რომელსაც ახალი ხურჯინიც აქვს გადაკიდებული და გავაზე დახვეული ნაბადიც

ჩაკრული, ზის „მოდალავე“ – დალაობის ტექსტის მცოდნე და მოძახილის პირველი მთქმელი. იგივეა ამ „სადგინის“ წესიერად ჩატარებისთვის პასუხისმგებელი და მტყუან-მართალის გამრიგებელიც, თუ დოლის მონაწილეთა შორის რაიმე დავა ატყდება. უმეტესწილად იგივე თამადაობს „ალუდის“ სუფრასაც. დანარჩენი ოთხივე ცხენი უბელოა ან მხოლოდ ჩულგადაკეცებული, რომელსაც ზედ მოსართავი აქვს შემოჭირებული. ამ ოთხეულში ერთი აუცილებლად დედისძმის ცხენია. დანარჩენი სამიც მიცვალებულის ახლობლებსაა. აქ უკვე ცხენის პატრონის ნათესაობისა თუ სიახლოვის რაობას მნიშვნელობა არა აქვს. ცხენები სულის ცხენის გარდა ძუაგამოკრულები არიან, სარბოლად გამზადებულნი. ხუთივე მხედარს ხელში ლუდიანი თასები უჭირავს. მოტირალთაგან რომელიმე ქალი ადგება, ქერის გროვიდან ერთ მუჭა ქერს ცხენებს ფეხებში მიაყრის, დოვიანი ბაკნიდან ქოჯოთი ცხენებს მკერდზე დოვს მიაშხეფებს. მოდალავე მიცვალებულის სულს მოიხსენიებს, ცოტაოდენ ლუდს ცხენს ფაფარზე დაასხამს და დალაობას დაინწყებს. ამასვე გაიმეორებენ სხვა მხედრებიც. დალაობის სიტყვებს მხოლოდ მოდალავე ამბობს, სხვები მოძახილში ეუბნებიან ბანს. ყოველი ნახევარი სტრიქონის შემდეგ დამავალი ტონით ამბობენ მოძახილს: „ჰინდოოო, დალაეეე...“ დალაობის ტექსტი, ერთი მხრივ, წარმოადგენს წუხილს მისი ამქვეყნიდან უდროოდ წასვლის გამო, მეორე მხრივ კი, რწმენას იმისას, რომ იმ ქვეყნად იგი სასუფეველს დაიმკვიდრებს.

*„დალა თქვით, დალა, მხედრებო,
ძნელია დალაობაი.
ბრალთა, აფთარაულო, შენი
ულაშქროდ სიკვდილი...
ლაშქარს გიკითხვენ სწორები, წინამ
არ გაუძღვებია,
მაგ შენის თეთრის ცხენითა, ლაშქარს
არ აერეოდე.“*

*შენი სიათის თოფითა მდევარს არ
უბრუნდებოდე.
გამჭრეო, მოსამართლეო, გამრიგვე
თუშეთისაო.
კარზე გიდგენან სტუმრები, შინამ არ
შეუძღვებია?
კაცი ხარ სახელიანი, კარგამ არ
დაუხვდებია?
დედან გტირიან შვილობით, დანი
გტირიან ძმაობით.
ალამო, აფთარაულო, ბრალთა, დიდი
ბრალთა რომ:
ეგ შენი დედა, ბეჩავი, სანთლებურ
ჩამოდნებოდეს,
ეგ შენი ცოლი, ბეჩავი, სუროსებრ
ექანებოდეს.
შენის გვარისი ქალ-ზალი შავითა
იმოსებოდეს,
შენი ნაცვამი სამოსი დარბაზს არ
იცივთებოდეს,
შენი წვერი და ულვაში მწვანილად
ამოდიოდეს,
შენი ნაწოლი ლოგინი ია-ვარდივით
ჭკნებოდეს,
ალამო, აფთარაულო.
ლეკებს არ შევატყობინებთ გმირის
ერეკლეს სიკვდილსა.
ლეკეთში ლეკნი გიკითხვენ, ქისტეთ
არს დიჩინსთანაო,
გიკითხონ დიჩინთანაო, ქალაქ არს
ბატონსთანაო,
ქალაქს გიკითხავს ბატონი, ნავიდა
უფალსთანაო.
ალამო, აფთარაულო.
ნეტა შენ, საიქიოსა შენ შეხვალ მტრე
დისფერადა,
სულეთს გიდგენან კოდები,
გადმომდინარნი პერითა,
სუფრა გიდგ გარიგებული,
გაკეთებული თეთრითა,
ზედ გიდგას მეღვინეები, ხუციითა,
დიაკვნებითა,
ამოილებენ, დალევენ ვერცხლისი
ვაშრაპებითა,
შენდობა, აფთარაულო, ღმერთმა
გაცხონოს სულითა“.*

დალაობისას მოდალავეები სამჯერ შეჩერდებიან, ცხენებს ფაფარზე ცოტა ალუდს დააკურებენ და განაგრძობენ დალაობას. დამთავრებისას თასებს დაცლიან და ცხენებიდან ჩამოვლენ.

დალაობის შემდეგ ჭირისუფალი სტუმრებს შინ შეინვეს, სადაც სუფრაა გაშლილი. აქ ლუდით მიცვალებულის შესანდობარს იტყვიან, დიდხანს არ გაჩერდებიან, რადგან მთელი მხედრობა გარდაცვლილის დედისძმისას უნდა წავიდეს. ცხენი თუ დედისძმისას არ წავიდა, ის დოღში მონანილეობას ვერ მიიღებს. მხედართა შორის ერთი მეაღმეა, რომელსაც ალამი უჭირავს; ერთი – მეაღმე, რომლის ცხენსაც ხურჯინით ლუდიანი ტიკები ჰკიდია.

დედისძმის კარზე მხედრებს დახვდებათ ისეთივე წესით განყოფილი სუფრა, როგორც მიცვალებულის სახლში იყო. ალამს ამ სუფრასთან დაასვენებენ და მხედრები ერთ „დალაობას“ აქ შეასრულებენ. დედისძმისას მისულ სადოღე ცხენებს თითო მუჭა ქერს შეაჭმევენ და

აღვირის ყურთან პატარა თეთრ ლენტებს შეაბამენ. ეს იმის ნიშანია, რომ ცხენი დედიძმისას ნამყოფია და დოღში მონანილეობის უფლება აქვს. დედისძმა დისწულის ცხენების მისაღებად რომ ემზადება, ისიც ამ დღისთვის ლუდს ხარშავს. ამ ლუდით უმასპინძლება იგი დისწულის სტუმრებს და ცდილობს, რომ დაუთრობელი არავინ გაუშვას.

დედისძმიდან მეაღმე და მეაღმე ადრე წამოვლენ, ალამს „სააღმეში“ – ცხენთა სარბოლი მანძილის ბოლოს მიიტანენ და ტარით მონიშნულ ადგილას, სადაც ერთი დიდი მთის ბროლის ქვა დევს, დაარჭობენ. მეაღმეც იქვეა თავისი ლუდიანი ტიკებითა და თასებით. ელოდებიან დოღს. ამასობაში დოღში მონანილე ცხენები სადოღე ადგილისაკენ გაემართებიან. მათ თან ახლავს ორი ხელარგნოსანი ხნიერი კაცი – „დამსწორებლები“. გზად მხედრებს პატარა ათი-თორმეტი წლის ბიჭები დახვდებიან, რომელთაგან ყველა ცხენის პატრონს არჩეული ჰყავს მარჯვე მხედარი თავისი



ცხენისთვის. ცხენებზე ახლა უკვე ეს პატარა მხედრები გადასხდებიან. „დამსწორებლები“ ცხენებს მიუძღვებიან სადოლე ადგილის დასაწყისთან, იქ არგნების ტრიალით ცხენებს ერთად შეაჯგუფებენ, – აბა, ეხლა ღმერთმა ჯვარი დაგწეროსთო – ეტყვიან და გზიდან ჩამოეცლებიან. ინყება თავგამეტებული რბოლა. სარბენი მანძილი საკმაოდ გრძელია, თანაც რთული – აღმართ-დაღმართებიანი, ზოგან კლდოვან-კიბორჭებიანი. მხედარს დიდი სიმარჯვე ჰმართებს, რომ ცხენს ხელი შეუწყოს – სარბენი ბილიკი შეურჩიოს, წინა ცხენს კვალში არ ჩაუდგეს, რათა გასწრების შესაძლებლობის შემთხვევაში გზა ჰქონდეს, დასაწყისში ცხენის ძალები დაზოგოს, ბოლოს კი რაც შეიძლება გარეკოს.

სადოლე ადგილი უმეტესწილად სოფლიდან კარგად ჩანს. ხალხი გამოსულია დოლის საყურებლად. ყოველ დოლში ორი-სამი, ზოგჯერ მეტიც, მონინავე ცხენი ურევია. დიდ განცდებში არიან ამ ცხენების პატრონებიც და მათი თანასოფლელებიც. ყველას ძალიან უნდა, რომ გამარჯვების ალამი მათ სოფელში წავიდეს და არა სხვაგან.

დოლში ბევრჯერ ნამყოფი ცხენი „გაგერშილია“ – განვრთნილი. ასეთი ცხენი მხედარმა ნებაზე უნდა მიუშვას მხოლოდ, სხვა თვითონ იცის – სარბენ ბილიკსაც თვითონ ირჩევს და სირბილის ტემპსაც თვითონ უხამებს სარბოლ მანძილს. იგი თავიდანვე ძლიერ არ გაიქცევა, ძალებს ზოგავს. თანდათან უმატებს ტემპს და სადღაც დისტანციის შუაშილა გავა წინ. საკმაო მანძილით დანინაურდება, გაჩერდება და უკან იყურება, მომდევნო ცხენი რომ მიუახლოვდება, მერეღა გაიქცევა. ასე გალევს მთელ დისტანციას და ალამს რომ დაინახავს, უკვე მთელი ძალით გაინწევს და პირდაპირ ალამთან გაჩერდება. მხედარი ალამს მათრახით შეეხება და ცხენიდან ჩამოვა. მეალმე მას პირველ ნომერს მისცემს, ხოლო მეალმედ თასით ალუდს გაუნვდის, მხედარი გარდაცვლი-

ლის შესანდობარს იტყვის და დაცლილ თასს მეალმედს დაუბრუნებს. ამ წესით ყველა მომდევნო მხედარი მიიღებს თავის ნომერს და ერთ თას ალუდს.

დოლი დამთავრდება. მეალმედ ყველა იქ მყოფს ალუდით ათქმევინებს მიცვალებულის შესანდობარს. ტიკები აქ უნდა დაიცალოს. მხედრები ამხედრდებიან და წამოვლენ სოფლისკენ. უკანა გზაზე ალამი უკვე გამარჯვებული ცხენის მხედარს უჭირავს. ცხენი ხალისობს, ნავარდობს, თითქოს გრძნობს, რომ იგია საპატიო ჯილდოს მფლობელი.

დოლიდან დაბრუნებისთანავე ალამს კვლავ ფლასთან დადებენ და ახლა უკვე „სადალაოში“ სულისა და დედისძმის ცხენის გარდა დგანან პირველ სამ ადგილზე მოსული ცხენები.

ამის შემდეგ ჭირისუფალი სტუმრებს სუფრასთან მიიწვევს, რომელიც ერთობ უხვადაა გაშლილი. ეს ბოლო შესანდობარი სუფრაა მიცვალებულის ოჯახში და მასპინძელი ცდილობს, რომ მას არაფერი აკლდეს. ალუდი უხვად ისმება. სვამენ მხოლოდ მოსაგონრებს: ოჯახის ნასულებისა, მეგობრისა, ანუ დედისძმათა მიცვალებულებისა, ცოდვილა-უპატრონოებისა, ანუ იგივე შინმძახეგანყვეტილებისა – ვინც ისე წავიდა, რომ ამქვეყნად მომხსენებელი მემკვიდრე ვერ დატოვა, ვისი კერაც გაცივდა, სახლკარი ჩამოიშალა და განსაკუთრებული სასოებით ელოდებიან პატრონიანთა სუფრებზე მათს ხსენებას, ე.ი. მიწვევას. ითქმის მოსაგონრები „მტრის ხელით ნახოცებისა“, „ზვავ-წყალ ნალევებისა“, „მაქც-ფათერაკით დახოცილებისა“, თავისი ქვეყნის ცალურბელთ მონატურთა, ე.ი. იმათი, ვინც უცხო ქვეყანაში, უცხო მიწაზე დაიმარხა. „ცხენსაკაცით ნალეებისა“ და კიდევ სხვათი და სხვათი. ცალკე იტყვიან უგვირგვინოების, უსაკოების, მოლხინართა, სიცოცხლით გაუმაძღართა მოსაგონრებს. ამა-სობაში სუფრაზე მხიარულება იმატებს. ეს ხომ ის სუფრაა, რომლითაც თავდება ოჯახში და საგვარეულოში გლოვა. ამი-

ტომ მესუფრენი თავს უფლებას აძლევს, თავიანთ საუბარს მხიარული ელფერი მისცენ. სადღაც პურობის ბოლოსკენ „მეკოდები“ – მეზობელსოფლები, ისინი, ვინც ამ სოფლის ჭირსა და ლხინს თანასოფლელებისნაირად იზიარებენ და ერთიმეორის სალოცავებს ლოცულობენ – „სამეკოდოს“ მოითხოვენ. ჭირისუფალი საჯარის შუაში გამოიტანს ალუდიან სანდეს. „მეკოდები“ ამ სანდეს დაეპატრონებიან. ამ ლუდით სვამენ მეკოდეთა წასულების შესანდობარს, აგრეთვე, იმათსაც, ვისაც მეკოდების ეს წესი დაუნესებია და შთამომავალთათვის გამომოუცია დასამკვიდრებლად და შესასრულებლად, სვამენ თვითონაც და ასმევენ სტუმრებსაც. ისე, რომ ეს სამეკოდო სანდე აქ უნდა დაიცალოს.

სუფრა რომ დამთავრდება, მოდალავე აიღებს ალამს, გავა სოფლის გარეთ, მას გაჰყვებიან „სადგინის“ მონაწილე ცხენების პატრონები და მხედრები. აქ ხდება პრიზებისა და „ცხენჯამაგირების“ დარიგება. საპატიო პრიზები ერგება მხოლოდ პირველ ხუთ ადგილზე მოსულ ცხენს: პირველს – ალამი, უპირველესი საპატიო და საამაყო ჯილდო, მეორეს – ჩითები, მესამეს – წინდები, მეოთხეს – ქუროები და მეხუთეს – ქისა. რაც შეეხება „ცხენჯამაგირს“, იგი ყველა ცხენს ერგება პირველიდან ბოლოს ჩათვლით. ჭირისუფალი გამოიყვანს თოხლების ნოტოს – 15-20 თოხლს. პირველი ცხენის პატრონი ერთ თოხლს აარჩევს, მეორე და მესამე ადგილზე მოსულები ერთ თოხლს აარჩევენ. ყოველ მომდევნო სამ ადგილზე მოსული სამი ცხენი ერთ თოხლს გაინაწილებს. ამ სამი მოწილიდან, ვისაც უნდა, თოხლს აიყვანს, დანარჩენ ორს კი ამ თოხლის საფასურის ორ მესამედს გადაუხდის, რასაც ისინი თანაბრად გაინაწილებენ. თუ თოხლი ამ სამიდან ერთსაც არ უნდა, ჭირისუფალი მათ თოხლის ღირებულების თანხას მისცემს და ისინი თანაბრად გაიყოფენ. „ცხენჯამაგირიდან“ ორი წილი ცხენისაა, მესამე – მხედრისა. ხდება

ისიც, რომ ცხენის პატრონი „ცხენჯამაგირის“ თავის წილს მთლიანად მხედარს დაუთმობს – ბავშვია, ყოჩაღია და კიდევ უფრო გაიხალისებსო.

დადგება სტუმრების წასვლის დრო, მაგრამ სოფლიდან მოზრდილ მამროვანთაგან ისე ვერავინ გავა, რომ „სამამულე“ თასი არ დალიოს. სოფლიდან გასასვლელებში ჩადგამენ ალუდიან სანდებს, გვერდით მიუდგამენ გამდნარერბოიან ქვებს. სოფლიდან ყველა გამსვლელს საგანგებოდ არჩეული ჯიხვის რქის დიდი თასებით ერთ თას ლუდს დააღვინებენ. ეს „მეშაბაშეთა“ შესანდობარია, ვისაც ამგვარი „სამამულე შაბაშები“ უსვამს და დღეს აღარ არიანო. „მეშაბაშემ“ ამ სამამულე თასს ერთი ქიტი გამდნარი ერბო უნდა დააყოლოს. – ქარმუჯი ააღებინეთ, უქარმუჯო არავინ გაუშვათო, აფრთხილებს მასპინძელი ზედამდექებს. ყოველმა წამსვლელმა პურის ერთი ლუკმა უნდა აიღოს და „მექარმუჯეთა“, იმ მიცვალებულთა შესანდობარი თქვას, ვინც უცხო თემ-სოფლის კაცი თუშეთის მიწაზე იყოს დასამარებული, მომხსენებელი არავინ ჰყავდეს და „ქარმუჯს“ – პურის ლუკმას გვიხედავდესო.

მეკოდე სოფლის ჯეილები ერთ ლუდიან თუნგს გაიტაცებენ. მიცვალებულის სოფლელები წასართმევად გამოეკიდებიან, მაგრამ არ წაართმევენ, ორივენი სოფლის განაპირას დასხდებიან და ამ ალუდიანი თუნგით მოლხინართა შესანდობარს იტყვიან: – ვინც მოლხინარი, სიცოცხლით გაუმადლარი, სამზეო ხელუყრელი წასულიყოს ამ ქვეყნიდანო. ეს „სამკიდებროა“, ურთიერთსადავო – საცილობელი. „მოკიდება“ თუშურად რაიმეს მოდავებას ნიშნავს.

წასვლისას „მოსანიჭრებს“, ვინც „ალუდის“ გადახდისას ოჯახს „სანიჭრით“ შეენია, გარდაცვლილის პირადი ნივთებიდან რაიმეს უსახსოვრებენ – ქამარს, ხანჯალს, დანას, მათრახს, სასმისს და ა.შ. ეს „სანიჭარში“ აღებული ნივთი დიდხანს რჩება „მოსანიჭრის“ ოჯახში და

საბაბია იმისა, რომ ყოველ შესაფერის დროს ამ ოჯახში მისი შესანდობარი ითქვას.

მეორე დღეს სოფლის ქვრივი ქალები ჭირისუფლისაგან „საქვრივოს“ მოითხოვენ. მასპინძელი მათ საამისოდ მოხარულ ფლავს და ერთ თუნგ ალუდს გამოუტანს. ქვრივები ქმრიან ქალებს მოინვევენ და ამ ალუდით თავიანთი ქმრების შესანდობარს ათქმევენებენ. ამ დღესვე ჩამოარიგებენ სოფელში „საკვამლო კვერებს“ და ყოველ ოჯახში ამ კვერის მიტანისას მიცვალებულის სულს ახსენებენ.

მესამე დღეს „აილებენ ფლასს“. ამ დღეს ოჯახში სუფრა ისევ გაიშლება. ახლობელი ქალები საბოლოოდ დაიტირებენ მიცვალებულს. მერე ფლასზე ნადებ მიცვალებულის ტანსაცმელს და ყველა ნივთს „გაართვამენ“ – ოჯახიდან გაიტანენ, ვინმეს მისცემენ, მათი ოჯახში დატოვება არ შეიძლება. ტანსაცმელს უმეტესად ღარიბს აძლევენ, მისთვის მადლია და მიცვალებულის სულს ამით უფრო ეოხებაო. თოფ-იარაღსა და ქამარ-ხანჯალს მის თანატოლებს, უფრო ხშირად ძმობილს მისცემენ. არც „სულის ცხენი“ რჩება ოჯახში. მასაც ვინმე მის თანატოლს გადასცემენ დედისძმათა საგვარეულოდან, არა იშვიათად – ძმობილსაც. სულის ცხენის გაყიდვა არ შეიძლება, ის ახალი პატრონის ხელში უნდა დაბერდეს.

„ალუდის“ გადახდის მერე მიცვალებული „ახალ სულად“ აღარ ითვლება და ოჯახსაც, საგვარეულოსაც და სასოფელმეზობლოსაც ღვინის უფლება აქვთ – გლოვა დამთავრებულია...

მაშ ასე, ჩემო კარგებო, ლუდის მოყვარულებო და ლუდის მსმელებო. ამ „ნაწერ-შეგონებას“ იმითვე დავამთავრებ, რითიც დავიწყე: საქართველოს მთიანეთში, იმ კუთხეებში, სადაც ღვინის კულტურა მისი კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გამო არ არსებობდა, მას ლუდი ენაცვლებოდა, როგორც მწიდა, საკრალური სასმელი, რომელშიც იქაური მიწის ღალის მადლი იყო ჩაუნჯებული.

კახელი თუ პურ-ღვინის მადლს დაიფიცავდა, თუმი ლუდიანი წმიდა საწირ-სავედრებლის წინაშე იჩენდა მოწინებას. ხოდა, ერთხელ ნათქვამს კვლავ ციტირებით გავიმეორებ: „როცა ლუდიან კათხას ხელთ აიღებთ, გახსოვდეთ, რომ თქვენ წმიდა სასმელი გიჭირავთ და ისე ნუ შესვამთ, თუ პირჯვარს არ გამოისახავთ, ცისკენ პირს არ აიბრუნებთ და ღმერთი დიდებას მაინც არ იტყვიო“...

*მოთხრობაში გამოყენებულია ილუსტრაციები
ელდარ ნადირაძის წიგნიდან „ქართული ლუდი“
(მხატვარი გურამ რაზმაძე)*

ახალგაზრდა მწერლების ჯონაუნისი

ახლახან თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ერთობლივი ინიციატივით ჩატარდა ახალგაზრდა მწერალთა უკვე ტრადიციად ქცეული ლიტერატურული კონკურსი, რომელშიც ას სამოცამდე ახალგაზრდა მწერალმა მიიღო მონაწილეობა;

კომპეტენტური ჟიურის გადანყვეტილებით გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

„ცისკარი“ გთავაზობთ პოეზიის ჟანრში გამარჯვებული ერთ-ერთი ახალგაზრდა ავტორის ლექსებს.

მთაჰ ფანიანი



აფხაზეთს

გადაივლის ეს ღამეც და მთვარის ბინდიც
სადღაც წავა მშვიდად, მიჩუმად დება,
დაიხსომეთ – საქართველო, აფხაზებო,
აფხაზეთით იწყება და მთავრდება!

შარათანით, მგზავრულით თუ აზამაგით
მოვდიოდით ოდოიით, ცეკვა-ლხენით,
მაგრამ ბოლოს ერთიანად გავჩანაგდით
გატეხილი, გაძარცული ტაძრებივით.

ძველებურად ველარ ვუგებთ კაკანათებს
ჩიტებს, ანუ აფხაზეთის ცის შვილებს,
ცოტა ხნის წინ ავტომატი ვაკაკანეთ,
უფრო ადრე მორდუს ქალი ვიშვილეთ.

მოჩქეფს ბზიფი, თვალს უსწორებს ეშერი და
ცოტა ზევით ბანს გასძახის ფსოუს წყალს,
წუხელ, თურმე, სულ შემთხვევით, თემურსა და
იმ ჩვენს ხვიჩას ერთმანეთი მოუკლავთ.

ვაზის ჯვარი ნამტვრევებად მთლად ქცეულა,
ბოდბის კედლებს წამოსტკივდათ მუხლები,
წმინდა ნინო საფლავიდან გაქცეულა,
გაპარულან რძისფერ ცაზე ღრუბლები.

გადაივლის ეს ღამეც და მთვარის ბინდიც
სადღაც წავა მშვიდად, მიჩუმათდება,
დაიხსომეთ – საქართველო, აფხაზებო,
აფხაზეთით იწყება და მთავრდება!

წვიმს!..

წვიმს

უკვე გავალთ, საცაა, გარეთ,
დავტოვებთ საკნებს – ნესტიან ფუძეს,
დასერილი გვაქვს მაჯები დანით –
ადამიანი ყველაფერს უძლებს!

წვიმს

და განწყობას ვერაფრით ვერ ცვლის,
ქარს გული მაინც ტკივილით უცემს,
დილაც კი ველარ შემოჰყავთ მერცხლებს –
ადამიანი ყველაფერს უძლებს!

წვიმს

და გვანუხებს ქალაქის მკვიდრებს,
ვაყოლებთ დღეებს ნალევს და უმ ცრემლს
და მაინც ღმერთი არასდროს კვდება –
ადამიანი ყველაფერს უძლებს!

წვიმს!

ცაზე რუხი ღრუბლის სეტერი,
თავს გვახვევს ამინდს მოსაწყენს, უცვლელს
და როცა გვილხინს მაშინაც ვტირით –
ადამიანი ყველაფერს უძლებს!

წვიმს

და თავს მდიდრულ სამოსში ვირთობ,
ვშიმშილობთ, მარხვას ვასწავლით მუცლებს
და თითქოს გულიც აღარსად გვიკრთის –
ადამიანი ყველაფერს უძლებს!

წვიმს
 ძლივს ვერვევით ქალაქში ძუნძულს,
 გვიკვირს, სიცოცხლეს მთავრდება უცებ,
 ადრე თუ გვიან სიკვდილი გვიმძიმს...
 ადამიანი ყველაფერს უძლებს!

წვიმს!
 უკვე გავალთ, საცაა, გარეთ,
 დავტოვებთ საკნებს, ნესტიან ფუძეს,
 დასერილი გვაქვს მაჯები დანით –
 ადამიანი ყველაფერს უძლებს!

თოვლი-მოცარტი

იდგა ზამთარი თოვლის ბორცვებით,
 გაფითრებული ქუჩით, ბექობით,
 რომ შემძლებოდა, სუნთქვას მოგცემდი
 და ბედნიერი მოგიკვდებოდი.
 ვერ ვნახე სხვა გზა, შენს გულს, გასენილს,
 ვერ გაუფრთხილდი ვერას დიდებით,
 რომ შემძლებოდა, მოგათავსებდი
 ჩარჩოში და თან ჩამოგკიდებდი
 რწმენის კედელზე,
 რომ სამახსოვროდ მაინც მქონოდა
 ის შენი სული, ორთქლივით თბილი,
 ბევრჯერ მეგონა, ჩემით ვცხოვრობდი
 და ჩემს სიცოცხლეს ტოტივით ვთლიდი.
 თოვლსაც რა ექნა, ითხოვდა შველას,
 შენზე ჰყვებოდა ხშირად როცა კი –
 ჩამოდიოდა ფეხებშიშველა,
 თან სიცხიანი, როგორც მოცარტი.
 ვინრო ქუჩაზე ვერდატეული
 იწვა, თითქოსდა ძლიერ ბრაზობდა,
 ძლივს გადაჰქონდა მძიმე სხეული
 სინათლით სავსე სადარბაზოსთან.
 იდგა ზამთარი თოვლის ბორცვებით,
 გაფითრებული ქუჩით, ბექობით,
 რომ შემძლებოდა, სუნთქვას მოგცემდი
 და ბედნიერი მოგიკვდებოდი.



მანი მიხოტაძე

თეთრი კაბა

როცა აპრილით ივსება სული,
გაზაფხულს უყვარს გრძნობების ქარგვა,
აქვითინდება წყენით წარსული
რომ თეთრი კაბა სადღაც დაკარგა.

ნაზი ენძელა თან გაჰყვა ნიავს,
ალარ იმეტებს ღიმილს ნუგეში,
ვერც ცელქი სიო პოულობს იას...
დარდებს ირეკლავს წვიმის გუბეში.

ნეტავ, მათსავით სად იმალები?!
გეძებდი სადღაც მწვერვალზე სულის...
ჩემი თეთრონის გაცვდა ნალები,
ლექსებით ვკვებავ დაქანცულ სურვილს.

მარაოს მოჰგავს ცად სხივთა მწკრივი,
მზე დიადემით, სამოსით თხელით
დღეს გაეპარა და ვარსკვლავთ მძივი
მიმოუფანტავს ღამეს ღვთის ხელით.

კვლავ გაზაფხულით ივსება სული,
გრძნობით ინთება გულის საყდარი
და თეთრი ვარდი, ზღაპრით მოსული,
შენი ზაფხულით არის გამთბარი.

გადამავიწყდი...

გადამავიწყდი, არ ვიცი, რატომ...
 უმღერის ნაზად სიო ლელიანს.
 მზემ ცის ბილიკი გალია მარტომ,
 ვარსკვლავნიც უკვე მთვარეს ელიან.

გადამავიწყდი, ნეტავი, რატომ..?
 ფიქრებს გზადაგზა მიფანტავს ქარი,
 ჩუმი ოცნებით გაკვირტულმა რტომ
 შემოახატა ცას მინანქარი.

ავსებულა გულის მათარა,
 მცველებად დგანან დიდრონი მთები,
 ზღაპრულმა ნიმფამ სად არ მატარა –
 ლექსებად ფურცლებს შემოვენთები.

ცა შემოიხსნის მელნისფერ რიდეს,
 შემოაწყდება ყელს მძივი მნათის,
 წვიმის ღრუბელი ცრემლს აირიდებს
 და განთიადი მზით შემომნათის.

ღიმილის ღიღილო

ეაღერსება გრძნობით ზამბახებს
 შემოპარული სულს გაზაფხული,
 მე ისევ შენი სითბო მახარებს,
 სიზმრებში მყავხარ შემონახული.

მზეს ეფარება ღრუბლის ნაჭერი,
 ისევ აშინებს დილა საღამოს,
 როგორც ხობობი, ისე დამჭერი,
 დამჭერ და მერე ეძებ მაღამოს...

ო, ახლა ისევ მინდა გიხილო –
 გზას გასდგომიან უხმოდ მოგვები,
 თვალებს გიკოცნის ლურჯი ღიღილო
 და მეც მის ღიმილს შენკენ მოვყვები.

ნეტავი, სული ზეცად ავრეკლო

ელვამ გასერა ცის საფირონი,
 მინას ცრემლები აპკურა წმინდა.
 გადმოედინა ხატებს მირონი
 და ღამემ დილა უხმოდ დანინდა!

ბაგეს ჩურჩულით აღმოხდა ლოცვა,
 სულს შემომღიმის ნაზი მაჩიტა,
 მთის ფერდზე ნისლმა დაიწყო ცოცვა,
 თავგამეტებით გალობს ნარჩიტა.

ფარფატებს პეპლად ოცნების ფთილა,
 ნეტავ, ეს სული ზეცად ავრეკლო,
 სანთელი ლოცვით ჩამოღვენთილა,
 შორით ზარებს რეკს ტაძრის სამრეკლო!

მოვალ

მინდა, რომ თოვდეს იებად გულში
 და მონატრება ჰგავდეს ენძელებს,
 ზაფხულის ჰანგთა ზღაპრულ ჩურჩულში
 აკინძულ ბილიკს ღამე მიძნელებს.

სულმა იცვალა ფერი ამ ყოფით,
 მე სიყვარული ვინამე სულ სხვა,
 უშენოდ მაინც რაღაც არ მყოფნის,
 ეჭვმა და ფიქრმა სული დასუსხა.

შენთვის მაქვს გულში ეს გაზაფხული,
 შაშვი გალობს და გრძნობას ახელებს
 და აღსარების წინ, ვით მარხული,
 შენთან მოვალ და შემოგხვევ ხელებს.

უცნობი გრძნობა

ეს უძილობა ლექსმა მაგემა
და გამახსენა შენი თვალები.
ისე დამათრო შენმა ბაგემა,
თითქოს ბახუსით ვარ ნამთვრალევი.

უცნობი გრძნობა შენს თავს მაყვარებს,
თითქოს როიალს უკრავს რაველი,
დარაბებს მიღმა ქარი ხარხარებს
და ალბათ მიკვირს, აპრილს რად ველი...

ფიქრით დაღლილი გაფითრდა მთვარე,
ზღაზვნით მიინვეს ცაზე ღრუბელი,
ნეტავ, ამ გრძნობამ იცვალოს მხარე,
რომ შენთვის არა დამრჩეს უთქმელი.

ამქვეყნად ბევრი ოცნება დამრჩა,
გარეთ კი მარტი ტირის სულელი,
რომ კვლავ მოისხას აპრილმა ფარჩა
და აისს შენი მოჰყვეს სურნელი.

ღუმლით მივსდევ თბილისის ქუჩებს

ღუმლით მივსდევ თბილისის ქუჩებს,
შორს ნისლში თრთიან ნაძვის წინვები,
ქარი მეტეხთან ფოთლებს აქუჩებს,
მე ახლაც შენზე ფიქრში ვინვები.

ქრის და ტივს ატკენს ქარი ლავინებს,
ნეტავი, ასე რამ გაახელა...
თუ გული ცისკენ ისევ გამინვეს,
მომინვეს მისთვის ნატვრის გამხელა.

ეს ფოთოლცვენა მოჰგავს ფარვანას,
ოცნებას გულის ნათქვამში ვერ ვცვლი,
მიყვება ღამე ღრუბლის ქარავანს
და მთვარის შუქად იღვრება ვერცხლი.

სალალოზო იუმორესკა

ჭია-მაიავ, თეთრ ყვავილს
რად აწყენ ავი ამბით?
ნუთუ მშვენებით მას ჯიბრობ
ან მაგ წითელი კაბით?

ლამაზები ხართ ორივე,
ორნივ სუფთა და ლალი,
ცოტაც მაცალეთ სახლის წინ
ამიყვავილდეს ბალი.

გაგიტაცებთ და წაგიყვანთ,
იქით ამიბით მხარი.
ყვავილო, თეთრი კაბით და
წითელო შავი ხალით.

პეპელად აგდევნებივართ,
ქარი გზას მიბნევს ავი,
ცეცხლი მედება ვნებიანს,
თქვენით დავკარგე თავი!..

ანია ლახვიანაშვილი



სახლების მოზინაურება

შინ ვარ

ველოსიპედის ტარება მამაჩემმა მასწავლა, ცურვაც. უთენია გამომალვიძებდა, გადამაცმევდა ჭრელ კაბას, თმასაც თვითონ ჩამომვარცხნიდა და მივდიოდით. თავიდან იმის ველოსიპედზე ვიჯექი, ზურგზე მივეკრობოდი, ხელებს მაგრად შემოვხვევდი და არაფრის მეშინოდა. დაღმართზე რომ დავეშვებოდი, ზღვის სუნი მეცემოდა და მუხლებში ქარი გამივილიდა. ერთი სული მქონდა, მამაჩემის ზურგზე დავწოლილიყავი და ისე შემეცურა წყალში, მარტო იმის მხრებისთვის მეყურებინა და არ მეფიქრა, რომ ზღვა შეიძლება ოდესმე დამთავრდეს. წვიმა მიყვარდა, შევიდოდი მუხლამდე ზღვაში და ვიდექი და ვიდექი თბილ წყალში. მამაჩემი შორიდან მიყურებდა. გავწვებოდი მერე ქვებზე ზურგით და შევცქეროდით, როგორ ირეოდნენ ჩიტები ნაავდრალ ცაზე.

პატარა ჯადოსნური ყუთი ჰქონდა მამაჩემს, ხმებს ვინერდით: ადრე გაზაფხულზე ბავშვები რომ წყალში შეცვივდებოდნენ, იმათ სიცილს, აღელვებული ზღვიდან რომ გემების სირენის ხმა ისმოდა, შემოდგომის ნისლი რომ ჩამონვებოდა და ცეცხლს დავანთებდით – იმის

ტკაცატკუცს, დილით დედას საყვარელი ჩაიდან რომ დაუსტვენდა და ჩვენ ჩუმად, ჩვენთვის გვენატრებოდა იმის დასხმული ჩაი, ზაფხულის ქარი რომ გაებმებოდა ჩვენს ბაღში, მანდარინის ხეებს ფოთლებზე გადაეკლებოდა, ააშრიალებდა – იმას ვინერდით. ბევრს არ ვლაპარაკობდით მე და მამაჩემი, შევუწვებოდი ლოგინში გაყინული ფეხებით და მეკავა იმის ხელი ჩაძინებამდე. მზიან ამინდში წყალზე თვალდახუჭულ წოლასავით მშვიდი იყო ასე ძილი.

ხანდახან, როცა დედა ძალიან მოგვენატრებოდა, ჩამოათრევდა მამა სხვენიდან ჩემოდანს და ამოვყრიდით ჭრელაჭრულა კაბებს, დიდსახელოებიან ჟაკეტებს და ჰყვებოდა მერე, რომ ეს კაბა დედაჩემს ჩემს გაჩენამდე ეცვა, ის ჟაკეტი – ზამთრის უთოვლო საღამოებში, როცა ერთად ისხდნენ ცეცხლთან და მანდარინის გემო ჰქონდა ღამეებს. ამოვიღებდი სათითაოდ და ვყნოსავდი, ამას კვამლის სუნი ჰქონდა, იმას – მარწყვის მურაბის, იმას – დილის ზღვის. ვზუჭავდი თვალებს და დედაჩემის სუნს ვისხენებდი, იმის ხელებს, აბებს რომ დაიყრიდა ზედ და ყლაპავდა მძიმედ, ოღონდ ცოტა ხნით ჩასძინებოდა, ოღონდ ტკივილი გამოერეკა ტანიდან.

ამ სახლში ყველა კედელს დედაჩემის თვალები აქვს. ფანჯარაზე ჩამწკრივებულ ქოთნის ყვავილებს რომ გავხედავ, ასე მგონია, დედაჩემის იავნანა იციან. შინ ვარ.

ნასვლა დაიწყო

აიკიდებდნენ სახლებს ზურგზე და მიდიოდნენ. რჩებოდა უფარდო, თვალებდათხრილი ფანჯრები და ძაღლები – სულ რომ გზისკენ იყურებოდნენ. მე და მამაჩემიც ვრჩებოდით. ან სად უნდა წავსულიყავით. მივეყრებოდით ცეცხლთან, გავხუხავდით პურს და ვაყოლებდით შემწვარ ვაშლს. თოვლი თუ მოვა-მეთქი, ვეკითხებოდი. მივადებდი მხარზე თავს და: მოიყვანე თოვლი, თოვაში ზღვის დაღმართზე თვალდახუჭული დავეშვათ-მეთქი. აქ თოვლს რა უნდაო, – მეტყოდა, გადამისვამდა თმაზე ხელს და ვჩუმდებოდი. მერე სულ უფრო გახშირდა სროლა და მამაჩემმაც გზისკენ ყურება დაიწყო.

მძიმედ დააბიჯებდა იმ დილით. ჯერ დედას ჩემოდანი ჩამოათრია, ამოალაგა სათითაოდ კაბები, იწვა მერე წელში მოხრილი – მარტო დარდი იყო. ამოვუკოცნე თვალები და ვუთხარი ქარს გაჰყვამეთქი შენი სევდა, მამაჩემო. შევხედე და დარდის ხე იყო, უფოთლო, შუა სიზმარში იდგა, სიმარტოვეში.

წამოდგა, გაიმართა მერე, ხეებმა როგორც იციან ხოლმე დიდი ქარების შემდეგ. დედას ჟაკეტი მომახვია, იმისი ჩემოდანიც ხელში დამაჭერინა, თბილი, თბილი პური და მანდარინები ჩამიწყო შიგნით და ის ჩვენი ჯადოსნური ყუთიც. ვიდექით მერე სახლის წინ, სანამ მანქანა არ მოვიდა, სანამ ფანჯარასთან არ დამსვა მამაჩემმა, სანამ კიდევ რალაც არ ჩააცურა ჩემოდანში. ვუყურებდი და არ მოდიოდა, ვუყურებდი და ხე იყო მამაჩემი – ჩვენს სახლზე ფესვებშემოხვეული.

ლამდებოდა, რომ წამოვედით.

იდგა მამაჩემი და ხელს მიქნევდა.

ციოდა, ციოდა მაგრად.

გზაში ვარ

ამდენი სახლის სიმძიმეს ვერ გაუძლეს გზებმა, სულ სხვა მხარეს გადახარნენ და დავრჩით ასე – მიწა არ იყო, ზურგზე გვექონდა ჩვენი სახლები.

დიდი, დიდი ზამთარი გამოვიარეთ. დავადებდი თავს დედაჩემის ჩემოდანს და ეგ იყო ჩემი სახლი, ერთ ლუკმა პურს გადავყლაპავდი, მამაჩემის მიკრეფილ მანდარინზე ხელს გავითბობდი. ძლივს გამოვართიეთ ტანები ამ ზამთრის მდინარიდან. მერე ოთხი კედელი ვიპოვეთ და დავრჩით. მე ხეების მხარე ავირჩიე. ვიჯექი და ვუსმენდი, მერე ჯადოსნურ ყუთს ჩავრთავდი და ვინერდი იმათ შრიალს. დედაჩემის კაბები კედელზე ჩამოვკიდე, ქოთნის ყვავილიც გავიჩინე და დავდიოდი მამაჩემივით ზურგზე ხელებდაწყობილი. სალამოს ჩაიც რომ ავადულე და შემოვანყვე ჭიქაზე ხელები, მაშინ ვთქვი: მოვიშინაურე-მეთქი ეს კედლები, ეს სახლი.

ამის თქმა იყო და მოვიდნენ, ჩემი ხმით ალაპარაკებული კედლები მიაჩუმეს და, აბა, რანაირი შენი სახლიაო, მოხვიეს ხელი დედაჩემის კაბებს, გამოყარეს გარეთ და დამტოვეს ქარში. ამის მერე ათასი მაღალი და დაბალი შენობის კართან ვიდექი, ათას წვერიან და უწვერო კაცს მოვუყევი, რომ იმ კედლებმა დედაჩემის კაბების სუნი აკრიფეს, ჩემი ხელები დაიმასხოვრეს, ჩემი უსიზმრო ღამეები. ქვები იყვნენ, არც მისმენდნენ, აფრიალებდნენ ფურცლებს და, აბა, შენი სახელი სად წერილი ან მამაშენისო, ამ მიწაზე ერთი ქვა მაინც თუ დაგიდიათ მეორე ქვისთვისო. ჩამიდგებოდა წყალი თვალებში და გავიშვერდი ხელს – ამ ზღვის იქით არის მამაჩემი, იქ აჭმევს-მეთქი მიწას თავის სისხლს. სალამოს მდინარესთან ჩამოჯდება და სიზმრებს ატანს ჩემთან, მაგრამ იმ სიზმრებსაც მიწა ჭამს, იმ მდინარესაც, მამაჩემსაც ეგ შეჭამს-მეთქი. მერე არც არაფერი. მოვდივარ და სხვა ოთხ

კედელს ვეძებ, მოვათბუნებ ამ სახლს, მტვრიან მხრებზე ხელს გადავუსვამ, იმისი გასაღების ხელში მაგრად ჩაბლუჯვას ვისწავლი, ვეტყვი: მოდი, შენ ჩემი სახლი იყავი, მე შენი გოგო ვიქნები-მეთქი. მოვიჩვევ, მოვიშინაურებ და მოდიან ისევ. მოდიან და ვრჩები ისევ გარეთ. ქოთნის ყვავილით და დედაჩემის ჩემოდნით. ყველა მხრიდან ქარი უბერავს. როცა ასე ძალიან, ძალიან სიმარტოვება, ამოვადვრენ დედაჩემის კაბაში დარჩენილ სიზმრებს და მოვიკეცავ მუხლებს. სიზმარია ჩემი სახლი, იმ სიზმარში კიდევ მამაჩემი ნავით შედის ზღვაში, მერე ბევრი თევზით ბრუნდება და საღამოს დედას საყვარელი ყვავილებიანი ჩაიდნით ვადულებთ წყალს.

სიზმრები მალე გადის, მე კიდევ სულ ვრჩები. მოდის და მოდის დაღლილობის და სიმარტოვის მდინარე, ჩემს მხრებ შორის მოდის, ჩემს ხელებ შორის. მდინარეა ჩემი ტანი. სულ გზაში ვარ.

ამ ქალაქში თოვლი მოდის

მანდარინების სეზონი იყო, რომ ჩამოვედი ამ ქალაქში, ყველა ქუჩის კუთხეში ყიდდნენ. მივიდოდი, დავსუნავდი, იქნებ, მამაჩემის ხელების სუნი აქვს-მეთქი რომელიმეს. აქ ძალიან მაღლა ვცხოვრობ, ხეებს სულ ზემოდან ვუყურებ. შორს ტბაც ჩანს. უნდა მივიდე. გამოვალე ხოლმე ფანჯარას და ვზივარ შემოდგომის მზეზე თვალდახუჭული, ჩავრთავ მერე ჯადოსნურ ყუთს და ვინერ – როგორი ხმა აქვს ჩემს ყვავილს, როცა იზრდება, როგორ თამაშობს სახლობანას პატარა გოგო კედლის იქით.

მამაჩემს ჰგავდა ერთი ხე, გავუჩერდი ქუჩაში და ავუტირდი, მეშინია, მეში-

ნია, დაიგრძელე ჩემამდე ხელები, მოდი-მეთქი. მოვწყვიტე მერე ორი ფოთოლი და წამოვიღე, ამის გარეშე თოვას ვინ მაჩვენებს-მეთქი, რომ გათოვდა, მოვიკეცე მუხლები, გამოვალე ფანჯარა და აი, ფოთლები, რომ ყველა შემოდგომა გამოვლილი გვაქვს, რომ ამ თოვის ნახვა დავიმსახურეთ-მეთქი და გავუშვი ჰაერში. ჩავრთე მერე ჯადოსნური ყუთი და ჩავნერე, როგორ შრიალებდა თოვლი. მამაჩემს უნდა ვაჩვენო, როგორ თოვდა ამ ქალაქში.

გამთენიისას მოვიდნენ, ჯერ ქვევითა ხეები მოჭრეს, მერე ჩემი ჯერი დადგა. ვინ იცის, რამდენი მოშინაურებული სახლი გამიფრთხეს. იდგნენ კედლები მოშორებით, ჩუმად, სანამ დედაჩემის კაბებს აცლიდნენ; იდგა ფანჯარა თვალეზახელილი, სანამ ჩემი ჯადოსნური ყუთი მიწისკენ მიფრინავდა. და დავინახე, როგორ მოიხარა წელში მამაჩემი იქ, ჩვენს სახლში, და არც ჩამიხედავს შიგნით, ისე ამოვადვრინე ჩემოდნიდან წამოსვლისას მამაჩემის გამოტანებული წყლის თოფი. ამოვიღე და ვისროდი თვალდახუჭული: ეს – დედაჩემის კაბებისთვის; ეს – იმ ხმებისთვის, მამასთვის რომ უნდა ჩამეტანა; ეს კიდევ მოშინაურებული სახლების გაფრთხობისთვის-მეთქი. გავახილე თვალეზახელილი და იდგნენ სველები, სველები ზღვის წყლით, მე რომ ვცურავდი შებინდებისას, იმ ზღვის წყლით.

ავდექი და წამოვედი. ამ ტბამ უნდა მიშველოს, უნდა შევცურო და ჩემს ზღვაში ამოვყვინთო, სველი თმით მივიდე შინ, მამაჩემს მივეყუდო და ვუთხრა, რომ არც ერთმა სახლმა არ მიმიღო, ვერც ერთი ვერ მოვიშინაურე – ყველას ისეთი გასაღები უნდოდა, მე რომ ხელში ვერ დამეტი.

უნდა მივიდე და ვუთხრა: ჩამოვედი. შინ ვარ.

სიზმრების გადაჭრენა

ხეების მოჭრა

უთენია ვდგები და მივდივარ იქამდე, სახამ რალაცნაირი მძიმე სინათლე ჩამოდგება და ჩემს ქალს თეთრშერეული თმა გამოუჩნდება, ჩამონელილი მუცელი და გაუხეშებული ხელები. იშვიათად, როცა ყელზე მეხვევა, მგონია, რომ იმის ხელები ჩემს მოჭრილ ხეებს ემსგავსება, დახორკლილ ტანებზე რომ ხელს დავუსვამ, გამაჟრჟოლებს და თავქვე დავაცურებ, იმას მაგონებს. ადრე ნიაფივით ხელები ჰქონდა, რბილი, რბილი, მსუბუქი. თმაში რომ თითებს შემეცურებდა, გავიტრუნებოდი და იმის ხელების ქარს ვაყურადებდი, მშვიდს, მშვიდს, როგორც პირველ თოვას. მუცელი ჰქონდა ნეკნებზე გადაკრული, მივადებდი თავს და ვუსმენდი, როგორ სუნთქავდა. მერე ბევრი შვილის ნყალმა ჩაიარა. როცა სძინავს, ხელს ვადებ ამ რალაცნაირად დაღარულ მუცელზე, დავხუჭავ თვალს და ძილის მხარისკენ ვაცურებ ტანს. მერე თითქოს ხმას გავიგონებ ხოლმე, თითქოს კიდევ რალაცამ გაიშრიალა იმის მუცელში, თითქოს ჩრდილიდან ჩრდილში ვილაცამ გადაირბინა და ვერ დავინახე. გამეყინება, გამეყინება მთელი ტანი და გამოირიყება ისევ უძილობისკენ. ან რალა დამაძინებს. მოვიგდებ ცულს და მზის ამოსვლამდე მივდივარ, სინათლემ არ უნდა მომისწროს, ამ ბავშვების გამოყრილი ძვლები არ უნდა მომხვდეს თვალში, გასვლისას ხორცს რომ ავიგლეჯ და იმათ დავუტოვებ, ჩემი ყმუილი მგლებისას უნდა შეერიოს. ეგეთი დრო არის, კაცის ყმუილს მიწა იხვევს, ქარი არ არის, რომ ეს ყმუილი ყველა მხარეს ლეშის სუნით ნაილოს, ვინმეს სახლის წინ მშვიერი ლეკვივით მიუგდოს. მეც მთებს ვუყურებ, კბილს ენას ვაჭერ და ისე ვყმუი, ბავშვებს არ გაეღვიძოთ. მერე მივდივარ, მივდივარ და პირველ ხეს გამეტებით ვურტყამ.

მინის პური

უკვე წასულია, რომ ვდგები. გადმოვყრი ფეხებს ლოგინიდან და გამოვიბამ კოჭზე ახალ დღეს. თვალს არ ვახელ, რომ მიდის. მოვიკუნტები, მოვიკუნტები, მუხლებს მუცელთან მოვიკეცავ და არ ვუსმენ, როგორ მიაბიჯებს. ხმელი ფოთოლი რომ ჩამოვარდება და ქარი ხეებზე გაათრევს, ისეთი ხმა აქვს.

როცა მძინავს, არ მირტყამს. პირველად ბოლო ხე რომ მოჭრა ტყეში, მაშინ დამარტყა. სანვიმრად რომ მოიბურება ხოლმე მთებისკენ, ისე იყურებოდა. ვინეკი მიწაზე ჩუმად, ჩუმად, არც ვსუნთქავდი, ბავშვებს ვხედავდი მარტო – იდგნენ ერთად, რალაცნაირად მოკუნტულები, დაპატარავებულები. ავითრიე მერე წელი და შევიყუყუეთ სახლში. თხელი, თხელი გამხმარი პურის ნაჭრები მივეცი და სიზმარი იყო-მეთქი, ვუთხარი. მიეყარნენ მერე კუთხეში და მიეძინათ. მე დავრჩი. ჩამოვჯექი ეზოში, ღამე იყო ყველგან. არც ერთ სახლში არ ენთო შუქი. ხანდახან მოგუდული სიცილი ისმოდა მეზობელი სახლებიდან. ვუყურე მერე ჩემს დალურჯებულ ხელებს, ჩამოვდე თავი მუხლებზე და, ნეტა, გული როგორ არ მისკდება-მეთქი. შევერიე ისევ ჩემი სახლის ღამეს, მივეგდე ბავშვების მუცლის ყურყურში და დავინყე ლოდინი, მეც არ ვიცი, რისი.

იმ დღის მერე მინის პურებს ვაცხობ, ამოვიკეცავ კაბას, ჩავიყრი მიწას, კენჭებს გავაცლი მატლებს, მერე ცოტას წამოვიტირებ და ვაცხობ. არც ბავშვები ჭამენ, არც ის. მარტო მე მოვიტეხავ ხოლმე პატარა ნაჭერს, იმის მოსვლის დრო რომ დგება, ჩავიტენი პირში და ვარ ასე მინით პირამოვსებული. რომ დამარტყამს და არ ვიყვირო, ძუძუზე რომ მიკბენს, წელზე ხელს მომიჭერს, მერე გადაბრუნდება და დაიძინებს – არ ამეტიროს.

გზაზე კაცმა ჩაიარა

არც ტირის, რომ ვურტყამ. მინდა, რომ ცრემლები წამოსცვივდეს, ახალ მოჭრილ ხეს ჰგავდეს იმისი ტანი, სისველე რომ აქვს ჯერ კიდევ შერჩენილი.

ტყეში ხეები აღარ არის.

ხეები მენატრება. პური.

ისევ უთენია ვდგები და ხეების საძებნელად მივდივარ. არსად არ არიან, აღარ არიან, ყველა მოვჭერი. ხანდახან ღამით ჩამეძინება და მესიზმრება, რომ ხე ვიპოვე – დიდი, დიდი, ამაში ბევრ პურს გადამიხდიან. აი ხელიც შემოვხვიე, ამ მხრიდან დავარტყამ. გავახელ თვალებს და იკლაკნება ტკივილისგან ჩემი ცოლი. მაინც არ ტირის. არ ტირის და ფხიზელზე უფრო მეტად ვუჭერ.

გზაზე კაცმა ჩაიარა. იმ კაცს მანათობელა ფორთოხლები ეკავა ხელში. რა ტკბილი იქნება-მეთქი, თითებზე წვენი ჩამოგვივა-მეთქი მე და ჩემს ბიჭებს. ჩაიარა და ჩაიარა იმ კაცმა. სახლში მოვედი. ამ ჩემს ქალს სულ ფორთოხლის სუნი აქვს ყელში, საიდანაც წამოვიყვანე, იქ სულ ფორთოხლის ხეები იდგა. რამდენი მიწა ჭამა, მაინც ისევ ეგრება – არ შორდება სუნი.

უნდა მოვჭრა ფორთოხლის ხე.

ფორთოხლების იავნანა

ხეები აღარ არის და მაინც დაეხეტება. საღამოს მოვა, სახლს ერთ ფიცარს გამოაძრობს და ჭრის მერე ნაკუნებად. ერთი კედელი თითქმის მთლიანად აღარ გვაქვს. ღამე ქარი შემოდის და ფეხებთან მიწვება. თბილი ღამეები მენატრება, ჩემი სახლის თბილი ღამეები. დედაჩემი დავისიზმრე, ფორთოხლისხეებიანი ბალი. ჩავუნექი დედაჩემს ლოგინში, მოვიკუნტე, მოვიკუნტე, უკან დამაბრუნე და ნულარ გამაჩენ-მეთქი. გადაბრუნდა. ჯერ კედელს მიემსხვრა იმისი სიტყვები და მერე გავიგონე: უკვე შენი კაცი გყავს, შენი

შვილები და უკან როგორ დაგაბრუნო, აქ შენი ადგილი აღარ არისო. ტანი გამიბუჟდა. აღარასოდეს დავისიზმრებ დედაჩემს, მარტო – ფორთოხლის ხეებს, მაგათ იავნანას. დაფუნვები ძირში და აღარ შემეშინდება. იქნებ, იქ გოგოც გავაჩინო, სიზმრის გოგო. აქ მუცელში ჩავიქვავებ.

მოვჭერი

ძლივს ამოვართიე აღმართში ეს უხეებო დღეები, იმის ცემაში გაქვავებულ ხელები, ამოვედი და კაცი იდგა ჩემს სახლთან. იდგა და წავიდა მერე, შორიდან ვუყურებდი. ამას ვკითხე, ვინ არის-მეთქი და – შენს ცოლს ეცოდინებაო – გადააქნია თავი, იმას ვკითხე – ამ გზაზე ადრეც დამინახავს ჩავლილიო და შებრუნდა. შევედი ეზოში და იდგა ჩამოშლილი თმით, დიდი, დიდი ფორთოხალი ეკავა ხელში, არც გამოუხედავს ჩემკენ. მშვიდი იყო რალაცნაირად, ერთი ხელი მუცელზე ედო. წამოზრდოდა, ახლა შევამჩნიე.

მივედი და მოვჭერი ფორთოხლის ხე.

ხეებს რომ სდით, ისეთი სისველე არ ჰქონდა – უფრო თბილი იყო, წითელი.

მერე ბავშვები დავინახე.

მერე თოკი.

სიკვდილისკენ გავაცურე ჩემი ტანი.

სიზმრების გადაფრენა

არ ვიცი, როდის ამყვა, ვიცი, რომ გოგო იყო. მაშინვე ვიფიქრე, ჩემი გოგოს სიკვდილს დავისიზმრებ-მეთქი, მშვიდს, უმტკივნეულოს, როგორც ფოთლის ჩამოვარდნას შემოდგომის წვიმიან დღეს. ვერ დავისიზმრე. ყელში ბურთები გამეჩხირა. იმის მერე დაინყო ჩემი სიზმრების გადაფრენა. თავისით მესიზმრებოდნენ. ერთ დღეს მაცვლის საკრეფად ვიყავით მე და ჩემი გოგო ჭრელი კაბებით, მეორე დღეს მდინარის ნაპირზე ვყარეთ და მზეზე ვშრებოდით, მერე ვაშლის



ნამცხვარი გამოვაცხვით, მერე თვითონ გააჩინა შვილი ამ ჩემმა გოგომ. ყოველ დილით ამიფრინდებოდნენ ეს სიზმარჩიტები მაჯებიდან და შეერეოდნენ ცას. ვიდექი და ვუყურებდი. თურმე მარტო ჩემს კი არა, მამამისის სიზმრებსაც ხედავდა ეს ჩემი გოგო და უკან გაბრუნება დაინყო. იმის ყველა წიხლზე თითო ნაბიჯს ადგამდა უკან, ყველა ყელში ნაჭერაზე უკან მიათრევდა თავის სიცოცხლეს იმ მდინარისკენ, სულ რომ მიდის და მიდის, არც დიდდება, არც წყალი აკლდება.

იმ დილით ვიგრძენი, მთელი ტანით შესულიყო ჩემი გოგო მდინარეში. ეს წამოზრდილი მუცელი რილასი იყო – ისე ცარიელი ვიყავი, ნეკნებზე უნდა გადამკვროდა. გზაზე ერთმა კაცმა ჩამოიარა, ფორთოხლები ეკავა. იქნებ, ამის სუნზე მაინც მობრუნდეს-მეთქი ჩემი გოგო. ერთი ცალი გამოვართვი. ვიდექი ეზოში და ჩუმად ვმღეროდი: მოდი, მოდი, ჩე-

მო გოგო, მამაშენს დიდი ტყის სიზმარს დავასიზმრებ, იმ სიზმარში გამოვკეტავ, ოლონდ შენ მოდი და შენკენ არ გამოვახედებ-მეთქი. თითქოს ისევ დამიარა ქარმა მუცელში. მაშინ შემოვიდა ეზოში, ისეთი თვალები ჰქონდა, მივხვდი, ჩემს გოგოს ვერაფერი შემოაბრუნებდა.

არც არაფერი მტკენია, არც იმ ცულის მეშინოდა ოდესმე. გაფუყუჩდი სიკვდილს. მარტო უკვედაბადებული ბავშვები მეცოდებოდნენ, ოლონდ მამას არ დაემსგავსონ-მეთქი. სულ ბოლოს ის გავიფიქრე, ნეტა, ჩემი მაჯებიდან აფრენილი ერთი სიზმარი მაინც ახდენილიყო; ნეტა, ჩემი გოგო ეგრე დაუბადებლად არ მომკვდარიყო-მეთქი. მეტი არაფერი. ვინეკი მიწაზე, თბილად, თბილად, როგორც ფორთოხლის სურნელოვან დღეებში. ვინეკი და მიფრინავდნენ ცაზე ჩემი სიზმრები, მშვიდად, სევდიანად, როგორც ჩიტებმა იციან ხოლმე გვიან შემოდგომაზე.

ლიტერატურული ჟონაუსი „ამირანი“

თბილისის მეექვსე საავტორო სკოლამ დააარსა საყმანვილო ლიტერატურული პრემია „ამირანი“. პრემიას ამავე სკოლის დამფუძნებლის, პოეტის და პედაგოგის ამირან (პაკო) სვიმონიშვილის სახელი ეწოდა. გამოცხადებულ კონკურსს უმაღლვე გამოეხმაურნენ მოსწავლეები საქართველოს ყველა კუთხიდან. შეგროვდა ნაწარმოებები, შედგა ჟიური, ჩატარდა გამარჯვებულთა დაჯილდოება. მოსწავლეთა ლიტერატურულმა კონკურსმა ცხოველი ინტერესი აღძრა საზოგადოებაში. მკითხველს ვთავაზობთ პირველი პრიზის მფლობელების – დავით ღუმბაძის (პოეზია) და სალომე ბარბაქაძის (პროზა) ნაწარმოებებს.

დავით ღუმბაძე



ჩივილი

ვაგლახ, ზამთარი გაგვიხუნდა, უფრორე წვიმა,
და არ შემოგვრჩა სტროფებისთვის მშრალი ნაპირი,
ჩვენ რალა გვიჭირს, დაე, უკვე ინალვლოს იმან,
ვინც ამ წვიმაში დასველებას ახლა აპირებს.

ვაგლახ, აღარ გვაქვს შესატოპად პატარა ყურეც,
ერთ სათლში ჩაყრილ ლექსებსაც კი დაედოთ ობი,
ნახევარ მთვარე მთელი ღამე გადავახურეთ
და ახლა ვეძებთ რალაც ახალს, ნამდვილს და ყოფითს.

ვაგლახ, არც ისე ცოტად იქცა ჩვენ შორის ადლი,
მოგონებებსაც შორეული ვუწოდეთ უკვე.
აღარ შემოგვრჩა აღარც ერთი ღიმილის მაदლი,
მტერს და მოყვარეს, გუნდრუქს ახლა ორივეს ვუკმევთ.

ვაგლახ და ვაგლახ, ეს სიტყვაც კი გამიცვდა აქვე
(ფურცლის კუბოთი გავასვენებთ ამ ლექსსაც, ალბათ).
ლუნად დარჩენილ მომავალსაც გადავშლით და ქვა
უხლია წარსულს გადმომზირალს ჩარჩოდან ყალბად.

უფვილობა

მიშვილიშვილა მარტოობამ, ეულმა წლებმა,
თერმომეტრივით ჩამოვფერთხე ყველა ზამთარი.
გზა კი, რომლითაც ყველა სახლი ჩემს ბილიკს ება,
გადაბიბინდა, მისი თელვა მეც დავამთავრე...

აქ, ჩემს სოფელში, ყველა სახლის ვიცოდი სითბო
და ყველა სახლმა შეითავსა ხელობა ჩემი.
უფალო, ვიცი, ამ ბოლო დროს ზედმეტ დროს მითმობ,
რადგან ხალხისგან – მადლისგანაც – იცლება თემი.

წელსაც ფიფქებით მიიკემსა სოფელი ზეცამ,
შარშანნინ ამ დროს მომიქსოვა მეუღლემ დარდი,
ცრემლში იტევდა ვერდარწეულ აკვნებს და კეცა
ყველა ტკივილი, შვილის კბილის ტკივილის გარდა.

ახლა კი ყველა ზამთრობისას ნაფოტებს ვურთავ
ცეცხლს და კეთილი ფიქრებისგან დაცლილი ვასკვნი:
უფალო, ამდენ მადლს ვაკეთებ და შენ კი ხურდად
ვერ გაიმეტე მეაკვნისთვის მიზეზი აკვნის.

მერე

ზამთარსაც უკვე შემოადნა ბოლო ფიფქი და
მარტმა ანდერძი გადანელა მაისის თვემდე,
ყველა ამინდი გადავყარეთ (თითქმის) ხიდიდან
მდინარეში და დავინახე, რომ იქვე თვლემდნენ
წუხელ კოშმარად დალანდული სიზმრები. მერე
ღმერთზე ამბები შევთხზეთ... აქ კი აზრი გამებნა,
ჰო, სახურავზე ვიდექით და დაგვემხო ჭერი,
რომელიც ჯერაც არ შეუდგამთ, მერე წამებმაც
შეიდგა ზურგზე დიდი ტვირთი და ჩვენც ვწელავდით
დროს, სადღაც სამას სამოცდა და კიდევ ექვს დღემდე.
ქუჩაში აზრი (საზოგადო) მხოლოდ წელამდე
გვწვდებოდა, მაგრამ ვიცოდით, რომ აქ წლების შემდეგ...
სულ არაფერი არ ვიცოდით, უბრალოდ, გვწამდა,
რომ ჩვენ ოდესმე მივალწევდით სიმბოლურ „ბოლოს“,
მაშინაც ისევ ამ ქუჩებში და ისევ მარდად
ჩვენ გავუძლებდით ფერს ნაცრის და თან მწვავე ბოლის...
ხეჯოხებად კი დავიჭერდით ჩვენს წარსულს მყარად!
სენტიმენტები შემომანვა, ახლა კი დროა,
მარჯვენაზე რომ მივიჭედო კალამი ნალად

და თეთრ იპოდრომს გამოვუყვე შენკენ და ტროა ავილოთ. მერე მომიყვები შენი „მეს“ ზღაპარს (წვიმებიც მერე დაიკლებენ წონაში, ვგონებ), და ეს თვალებიც, სიშორეს რომ ტყესავით კაფავს, დაისვენებს და დაასვენებს მის ერთგულ მონებს. მერე კი, ალბათ, არ გვეცლება ძილისთვის არც ერთს, ხიდისქვეშეთში სიზმრები ხომ მრიცხველით წერენ რამეს და მოდი, ჯერ გვეღვიძოს – ჰორიზონტს გავცდეთ, ვიცი, ძილისთვის კვლავ მოვიცლით მერე და მერე...



გარეთ ისევ ზამთარი ძვლებში უჭერს ძაღლებს და სიცივეც კი გახევდა (საცოდავად) ბუნკერთან, ნაკვალევი იმ ლამეს, ძალღივით რომ დაგდევდა, მთვარემ შეისრუტა და მზე, რომელიც სულ შენთან ერთად ლამეს ათევდა, სიცივეს რომ ყინავდით, ახლა თითქოს კუთხეში ცალ სხივზე რომ შემდგარა, ბოლო დროა, რატომღაც ვეღარ დადის იმ ნაბდით, ფერიც შეუცვლია და უნდა იდგე შენ მყარად. ხომ ხედავ რომ ამ ოხერ შემოდგომის დღეებმა, პანჩურებად გვაყოლა ზიზილ-პიპილ ფერები, ამ ზამთარსაც რა მოკლეკლავიანი დღე ება, ნეტა, მაინც მოგვესწრო გადახვევა ფირების ბავშვობამდე. მინაზე მიორთქლილი ოცნება, ნელ-ნელა რომ წვეთებად და წვიმებად იშლება. და მერცხლისებრ ხმის ტემბრით იმ ხეზეც კი გიცნობენ, რომლიდანაც თოფის ხმაც იფანტება ნისლეზად. ბოლო დროა, აცივდა. ამინდებსაც ახველებს. ჩვენ კი ვზივართ ბუხართან კვამლს ვაყოლებთ ოცნებებს მომავალზე. გამოდი, თორემ მერე ამ ხელებს, რა გაყინავს ისევე, რომ სითბოც არ მოგბეზრდეს. გარეთ ცივა, ზამთარი ძვლებში ტეხავს ამინდებს.



სანომა ბახბაქაძე

ღუმფარებიანი გუბურა

*„ცა და მინა მარადიულნი არიან.
რად არიან ცა და მინა მარადიულნი?
თავიანთთვის არ არსებობენ.
აი, რად არიან მარადიულნი.“*

ლაო-ძი (დაო დე ძინი)

თავი I

მისტერ ჰოკეკმა, ჩვეულებისამებრ, უხმოდ მიირთვა ფინჯანი ჩაი და ერთი ნაჭერი ყველიანი და ერთი ცხევიანი პური მიაყოლა.

იანვარი იწურებოდა. სამზარეულოს მაგიდა, როგორც სხვა სამზარეულოთა მაგიდების უმრავლესობა, ფანჯარასთან იყო მიდგმული, იმ სკამის გარდა კი, რომელზეც მისტერ ჰოკეკი იჯდა, ახლომხლო პატარა ჯორკოც კი არ ჩანდა. ასე რომ, მაგიდასთან მიდგმული ერთადერთი სკამი (რომელსაც ისევ და ისევ მისტერ ჰოკეკი იკავებდა) სულაც არ იწვევდა სიცარიელის განცდას. ეს არ იყო მაგიდა, რომელსაც ოთხნი შემოუსხდებიან ხოლმე (დედა, მამა, გოგონა და ბიჭუნა – სხვადასხვა კომბინაციით). საერთოდაც, ამ მაგიდას ოთხი კი არა, სამი ფეხი ჰქონდა და რადგან მისტერ ჰოკეკს სულაც არ ანუხებდა მეოთხე ფეხის უქონლობა, რომ აღარაფერი ითქვას თავად მაგიდაზე, რომელიც, სხვა მაგიდების მსგავსად, ფანჯარასთან იყო მიდგმული და სწორედ ამიტომ მეოთხე ფეხის მაგივრობას

ფიზიკის ზოგიერთი კანონი და ფორმულა უწევდა (რომელთა ცოდნაც მისტერ ჰოკეკს, აგერ უკვე სამოცდაათი წელია, არ დასჭირვებია), სწორედ ამ მიზეზთა გამო, იგი უფრო საინტერესო საქმიანობებს კიდებდა ხელს, ვიდრე მეოთხე ფეხის შოვნაა მაგიდისთვის, რომელიც სამ ფეხზეც მყარად დგას. მაგალითად, იგი რწყავდა ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებულ, მასავით ჩამომხმარ მცენარეებს. ეს რაფა კაცს ლაზარეთს მოაგონებდა. თუმცა მისტერ ჰოკეკს არაფრით სურდა იმის დაჯერება, რომ წითელღეროიანი უცნობი მცენარე ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, როგორც ამას ბავშვები უმტკიცებდნენ (თუკი სიკვდილს შეიძლება ბუნებრივი ვუნოდოთ) და არ იყო ვეება აგურის მსხვერპლი, რომელიც ბავშვებმა ღია ფანჯრიდან შემოუგდეს.

„ფანჯარა რომ ღია არ ყოფილიყო, ნეტავ, მაინც ისროდნენ აგურს?“ – თავის თავს ეკითხებოდა ბატონი ჰოკეკი, მაგრამ, რადგანაც მანვე ბავშვებს ამას ვერ ჰკითხავდა, გადანწყვიტა, მდუმარედ, პროტესტის გარეშე განშორებოდა საყვარელ მცენარეს (ამ უკანასკნელმა ქალა-

ქის ნაგავსაყრელზე პოვა უკანასკნელი განსასვენებელი).

სამზარეულოს გარდა, ბატონი ჰოკეკის ციციქნა სახლი მოიცავდა ერთ საძინებელს, გაურკვეველი დანიშნულების ოთახს, რომელიც არასოდეს არ გაღებულა, საპირფარეოს (რომლის აბაზანაშიც მხიარულად ტივტივებდნენ რეზინის იხვები) და მომცრო სახელოსნოს, სადაც დაუსრულებლად ხატავდა დუმფარებიან გუბურებს.

მისი შთაგონების წყარო სწორედ იმპრესიონისტი მონე იყო, მაგრამ მისტერ ჰოკეკს საიდუმლო ჩანაფიქრი ჰქონდა, რომელიც საკუთარ თავს ძალიან დიდი ხნის წინათ გაანდო: იგი განუწყვეტლივ იმიტომ ხატავდა „დუმფარებიანი გუბურის“ ასლებს, რომ საბოლოოდ დუმფარებზე ბაყაყები შემოესვა. ეს არც ისე პოეტურია, თუმცა, მისტერ ჰოკეკის აზრით, ორიგინალს სწორედ რომ გუბურების მბრძანებელთა მქუხარე ორკესტრი აკლდა. „სხვა თუ არაფერი, ამგვარად „დუმფარებიანი გუბურა“ მონესი კი არა, ჩემი იქნება“, – ფიქრობდა იგი.

ეს კია, ძალიან ეშინოდა. ეშინოდა, შემოესვა ბაყაყები დუმფარებზე, რომელთაც, მისი ღრმა რწმენით, სწორედ ბაყაყები აკლდა. „ბაყაყების ყიყინი! აი, რა აკლია ორიგინალს, – იტყოდა ხოლმე მისტერ ჰოკეკი, – ჯადოსნური მელოდია რძის, იასამნისა და დაცვარული ბალახის სურნელში, რომლითაც გაჟღენთილია ყველა მისი შედევი“.

თუმცა ყოველთვის, როცა ბაყაყების გამოჩენის დრო დადგებოდა, მისტერ ჰოკეკი აკანკალდებოდა და საბოლოოდ ბაყაყები გუბურაში, ყვავილებში, ხიდიდან დაშვებულ მცენარეებსა და წყალში არეკლილ ღრუბლებში იდღაბნებოდნენ. დადარდიანდებოდა მხატვარი, მთელი კვირის, ხანდახან თვეების მანძილზეც კი არ ეკარებოდა ტილოს, მაგრამ ერთ დღესაც შეაღებდა სახელოსნოს კარს და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ამგვარად შეიქმნა ას ოცდაათი ასლი. ახლა ას ოცდამეთერთმეტზე მუშაობ-

და; ხატვას სამუშაოდან დაბრუნებული იწყებდა ხოლმე.

აი, მან საგულდაგულოდ გადანმინდა პურის ნამცეცები მაგიდიდან, თეფში გარეცხა და გაამშრალა, შემდეგ კარგად განმენდილი, ქონით გაპოხილი შავი რეზინის ჩექმები ამოიცვა, ყელზე ლურჯი ხავერდის ბაფთა კოხტად გაინასკვა და რადგან მისი სამზარეულოს მაგიდა (სწორედ ის, სამი ფეხი რომ ჰქონდა) ფანჯარასთან იდგა, მისტერ ჰოკეკს შეუმჩნეველი არ დარჩენია საავდროდ გამზადებული ზეცა და დანამული ფანჯრის მინები, ამიტომ ოხვრით ჩაიცვა ბაბუის ნაქონი ტყაპუჭი, ალაგ-ალაგ რომ გარღვეულიყო და მატყლი გამოლწევას ლამობდა. ამ შიგთავსს პატრონი ცერა თითით უკანვე ტენიდა ხოლმე. შემდეგ მოხუცმა კართან აყუდებული, გრძელტარიანი ცოცხი ამოიღლია და ქუჩაში გავიდა. ჟინჟღავდა. ქალაქის თავზე ტყვიისფერი ღრუბლები ნისლში გახვეულიყო. ამგვარმა ნისლმა მხოლოდ იმ ქვების თავზე იცის თავმოყრა, რომელშიც ქათამი იხარშება.

მისტერ ჰოკეკმა ცენტრალურ ქუჩას მიაშურა. ქალაქს ჯერ კიდევ ღრმა ძილით ეძინა. მხოლოდ რამდენიმე ბინიდან აღწევდა სუსტი ნათება ქუჩაში. რამდენად შეუსაბამოც უნდა ჩანდეს, მოხუცმა ეს ნათება მიწიდან ახლად ამოღებულ სტაფილოს შეადარა ფიქრებში. უეცრად ცხვირის ნესტოები აუცახცახდა, ვილაც კვერცხს წვავდა.

მომდევნო ქუჩაზე მოხარშული თევზის სურნელი ტრიალებდა და მისტერ ჰოკეკმა წარმოიდგინა, როგორ სხლტებიან ვერცხლისფერი თევზები მოკირწყლულ ასფალტზე. მეოთხე და მეხუთე ქუჩების გადაკვეთაზე, ერთ-ერთ სადარბაზოსთან, შავებში ჩაცმული ადამიანები სიცივისგან ცახცახებდნენ. კალათებში და გამჭვირვალე ქალაღებში შეფუთულ ყვავილებს მიძიმედ დაეხარათ მშვენიერი თავები, ღვარად ჩამოსდიოდათ ცრემლები. ქალმა საქმიანად ჩამოუარა ყვა-ვილებს, ფრთხილად დაფერტხა სათითა-

ოდ. წვიმის წვეთებად დაიღვარნენ ბოლომოჭმუჭნილი ვარდები და ასფალტზე მიმოაბნინეს ფურცლები. რამდენიმე მამაკაცი მორიდებით აყუდებოდა კედელს და სიგარას აბოლებდა. წვიმით, ნისლითა და ვარდების მომაკვდავი სურნელით დამძიმებული კვამლი ძირს მიიწვედა და ადამიანების ფეხებთან ირწეოდა.

ხალხმა უხმოდ მისცა გზა მოხუც მეეზოვეს, რომელიც ვეება ტყაბუჭში ჩაკარგულიყო და ცოცხის ბოლოს სველ მინაზე მიათრევდა. მიუხედავად ყველაფრისა, ამ ქუჩაზე სუნი არ იდგა.

თუკი, ცხოვრებაში მუდმივად ერთი ადგილი ტკეპნეთ, როგორც საფლავის ფხვიერი მიწა, მცირე ცვლილება ბრმისთვისაც არ დარჩება შეუმჩნეველი. სწორედ ამიტომ მოხუცმა მეეზოვემ, როგორც კი თავი აწია, მაშინვე შეამჩნია ვეება, რუხი აბრა. აბრებს ხომ შუა ქუჩაში სწორედ იმიტომ აკრავენ, რომ ყველამ დაინახოს. მით უმეტეს, თუ აბრა ქალაქის სამმართველოს კედელზეა გამოკრული. ხოლო, როდესაც ხელისუფლება ხალხის ყურადღების მიქცევას ცდილობს, მაშასადამე, რაღაც ცვლილებებია მოსალოდნელი.

მისტერ ჰოკეკი აბრის წინ შეჩერდა, თუმცა წინ გვარიანი გზა ედო. იცოდა, ქუჩები დაბინძურებული დახვდებოდა, მაგრამ ეს უღიმღამო აბრა იმდენად მისტიკური ჩანდა ნისლისა და მინიანი სტაფილოს ფონზე, რომ მოხუცს მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეეძლო.

ყურადღება!!! ყურადღება!!!

მსოფლიო დიდი განსაცდელის წინაშე დგას!

გინდათ, ბოლოს და ბოლოს, გაიგოთ, ვინ ხართ?

გინდათ, იცოდეთ, რისთვის იარსებეთ საუკუნეების მანძილზე?

გინდათ, შეიტყოთ, საით მიექანებით?

ამ კითხვებს თავადვე გასცემთ პასუხებს, თუ ხვალ, შუადღის სამ საათზე, მობრძანდებით აქ, მთავარ მოედანზე (დასწრება ფასიანია).

სამიოდე დღის შემდეგ ყველაფერს წყვედიადი მოიცავს!!!

თქვენ გაქვთ უფლება, იცოდეთ, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან!!!

მისტერ ჰოკეკი გახვევებული იდგა აბრის წინ, ცოცხის ტარს დაყრდნობილი ვერც კი ამჩნევდა, ნელ-ნელა როგორ იყრინდა მის უკან თავს ხალხი. წინ მდგომები ჩურჩულით გადასცემდნენ ნაკითხულის შინაარსს დანარჩენებს და ყველანი შენუხებულნი იქნევდნენ თავს.

მოხუცი მეეზოვე თითქოს გამოფხიზლდა, შეტრიალდა, მოქალაქეები შეათვალიერა.

– თქვენ რას ფიქრობთ ამ სიახლეზე? – შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

– სიახლეზე? – გაიკვირვა მოხუცმა და აბრისკენ გაიქნია ჭალარა თავი, – ამაზე მეკითხებით?

– დიას! განა კაცი ყოველდღე შეხვდება ამგვარ განცხადებებს?!

– არა, – გულწრფელად აღიარა მისტერ ჰოკეკმა. – ასეთ განცხადებებს ყოველდღე ნამდვილად ვერ ვნახავთ.

შემდეგ მან თავაზიანად მოიბოდიშა, გაჭირვებით გამოაღწია აჩორქოლებული მოქალაქეების წრიდან და ჩვეულ რიტმში განაგრძო ცოცხის მოსმა. წინ გრძელი გზა ედო.

აბრასთან კი ხალხის ნაკადი თანდათან მატულობდა.

თავი II

იმავე საღამოს ქალაქს ადამიანები მოაწყდნენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ადამიანები, რომლებიც კითხვებს სივრცეში ფანტავენ; ადამიანები, რომლებიც ეძებენ სხვათა და საკუთარ კითხვებზე პასუხებს; ადამიანები, რომლებიც, ტომრებმოკიდებულები, ჟგუფ-ჯგუფად დადიან და შვებას ბუნების ნიაღში პოუბენ; ადამიანები, რომლებიც სქელყდიან თუ თხელყდიან წიგნებს ფურცლავენ და სხვებზე მეტი იციან. აქ იყვნენ სუსტი და

ძლიერი, ზედაპირული და ღრმა ადამიანები; მდუმარე ადამიანები, რომლებიც დღეებს კედელს აყუდებულები ატარებენ და სხვათა ცხოვრებას თვალს ადევნებენ. ჩამოდიოდნენ დროის მფლანგველი, შთანთქმელი თუ დამზოგავი ადამიანები. თქვენ აქ შეხვდებოდით ადამიანებს, რომლებსაც მინაზე ვერ ეპოვათ საკუთარი ადგილი და ოცნებობდნენ, ერთ დღესაც ფრთები გამოსხმოდათ. მაშასადამე, აქ იყვნენ ადამიანებიც, რომლებიც ოცნებობენ და მეოცნებეებად იწოდებიან. ჩამოდიოდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც სამყაროს სუუულ სხვა თვალით უყურებენ და თავიან ფიქრებსა და ემოციებს ხელოვნებაში აბანდებენ; ადამიანები, რომლებიც დაიჭერენ ხელში გრძელ, წვერნამახულ ჯოხს და დედამიწას ბედნიერების ძიებაში შემოივლიან. ქალაქისკენ მოემართებოდნენ პრაქტიკული, სკეპტიკური, პრესტიჟული, ფულიანი, უფულო, მორწმუნე და ათეისტი ადამიანები. მოემართებოდნენ ადამიანები სიყვარულით და უსიყვარულოდ, ადამიანები აუარება პასუხისმგებლობით... აქ შეხვდებოდით ჭეშმარიტების მაძიებელ ადამიანებს, ასევე ადამიანებს, რომლებიც ბადებენ ჭეშმარიტებას და ადამიანებს, რომელთაც ეჭვი ეპარებათ ჭეშმარიტების არსებობაში. აქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ქმნიან პრობლემებს და ადამიანები, რომლებიც ხედავენ ამ პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას; ადამიანები, რომლებიც ეძებენ; ადამიანები, რომლებიც პოულობენ და ადამიანები, რომლებიც ქმნიან საკუთარ თავს; ადამიანები, რომლებიც მიუყვებიან საკუთარ გზასა თუ გზებს და ადამიანები, რომლებიც სხვათა გზებზე დაცოცავენ; ადამიანები, რომლებიც ეძებენ ცხოვრების აზრსა თუ აზრებს და ადამიანები, რომლებიც უსათვალოდ თუ სათვალოდ სიგარეტის ბოჭემურ კვამლს მიღმა უცქერენ ცხოვრებას.

ისინი, ყველანი, აქ იყვნენ. ადამიანები მოდიოდნენ...

თავი III

მთავარი მოედანი ვეებერთელა, სიბრტყეზე გაშლილ ამფითეატრს წააგავდა. ათიათასობით სკამი წრიულად დაელაგებინათ, შუაგულში კი ფიცრული ტრიბუნა აღემართათ, რომელზეც გრძელი მაგიდები და ხავერდის სავარძლები ჩაემწკრივებინათ. მიუხედავად იმისა, რომ კრება სამსაათზე იყო დანიშნული, ხალხმა დილიდანვე დაიწყო თავმოყრა. უფასოდ რომ არავის შემოეღნია, მთელი მოედანი მეტალის მაღალი ღობით შემოესაზღვრათ, რომელსაც ჯერ ისევ დასტრიალებდნენ თავს მუშები. შესასვლელში კი შეიარაღებული ჯარისკაცები მორიგეობდნენ და თითოეული მომსვლელისგან თითო ვერცხლის მონეტას იღებდნენ. დღის ორი საათისთვის მოედანზე ტევა აღარ იყო. ათასობით ადამიანი იდგა ფეხზე, ზოგიც ხეზე ამძვრალიყო. მაგრამ როდესაც დასადგომი ადგილიც აღარ დარჩა და კარიბჭე ჩარაზეს, ასობით ადამიანი ღობეს მიანყდა და მისაყურადებელი ადგილების მოსაპოვებლად ბრძოლა გამართა.

სამის ნახევარზე ქალაქის სამმართველოს შენობის კარი გაიღო და იქიდან ჰალსტუხიანი მამაკაცები და კოხტად დავარცხნილი ქალები ხელის ქნევით და ღიმილით გამოვიდნენ. ხალხი მათ შეძახილებითა და ტამისცემით შეეგება. პროცესიას წინ სხდომის თავმჯდომარე მოუძლოდა, მას მოსდევდნენ პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, მინისტრები, მათი მოადგილეები, ელჩები და საპატიო სტუმრები. პროცესიის კუდში კი „დანომრილი“ ადამიანები მოემართებოდნენ. ზოგს ფურცლები ეჭირა ხელში, ზოგს მარაო, ზოგიც ვეება ტილოებს მოათრევდა, ზოგს ხელები ზურგზე შემოენყო და ჩაფიქრებული მოაბიჯებდა. აქ იყვნენ ახალგაზრდებიც და ასაკოვნებიც, ქალებიც და კაცებიც. და ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, იმდენად ბევრნი, რომ, როდესაც ტრიბუნაზე მოიყარეს თავი, მთელი მოედანი მათმა ჩრდილმა ჩააბნელა.

ისინი მოეწყვენ აბრების ქვეშ, რომლებზეც ეწერა: „ლიტერატურა“, „სახვითი ფერწერა“, „კინო და თეატრი“, „მუსიკა“, „სკულპტურა“ და „დანარჩენები“. ასე შესანიშნავად რომ ჩამწკრივდნენ, ამას ხანგრძლივი რეპეტიციებით მიაღწიეს. ლიტერატორების უმეტესობა მწყობრში იდგა, თუმცა, მუსიკოსების განყოფილებაზეც თავს იწონებდა სიმრავლით. მოქანდაკეების ადგილას არავინ იდგა ტილოგადაფარებული სკულპტურისა და რამდენიმე მომცრო ლარნაკის გარდა. რაც შეეხება აბრას „დანარჩენები“, ამ აბრის ქვეშ, როგორც ჩანს, მოათავსეს ისინი, ვინც ხელოვნების არც ერთ დარგს არ მიეკუთვნებოდა, მაგრამ მათ წინასწარ მოეთხოვათ, ჩვენი არსებობა არ უგულვებელყოთ. ასეთი ადამიანი კი მხოლოდ ერთი იყო. ის სკამზე იჯდა მუხლებზე დაყრდნობილი და საკუთარ ფეხსაცმელებს დასჩერებოდა.

სრულ სამ საათზე თავმჯდომარე წამოდგა და მიკროფონს მიუახლოვდა.

– ძვირფასო თანამოქალაქენო და პატივცემულო სტუმრებო, – დაიწყო მან. მისმა ხმამ ექვსივე გამაძლიერებლიდან ვულკანივით იფეთქა და მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ის საგანგებოდ ამ დღისთვის მომზადებულ სიტყვას წარმოთქვამდა, მისი აღელვებული საუბარი ხალხს ლავასავით ეღვრებოდა გონებაში.

ამის შემდეგ თავმჯდომარე სავარძელში ჩაესვენა და მწერალ №1-ს მოუხმო მიკროფონთან. მწერალი №1 წინ გამოვიდა. მის მკერდზე მიმაგრებული ფურცლიდან, გარკვევით იკითხებოდა მისი რიგითი ნომერი. ვინაიდან თავის რიგს, მის გარდა, კიდევ 73 მწერალი ელოდა, პირველი მწერლის აღწერა დამავალდებულებდა, აღმწერა დანარჩენებიც, რაც დიდ დროს წამართმევს, ამიტომ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მისი შინაგანი სამყარო ბევრად უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი ჰალსტუხი. სხვა მხრივ კი, ის ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც უნდა გამოიყურე-

ბოდეს დანომრილი მწერალი სამყაროს აღსასრულამდე ორი დღით ადრე.

მან უბიდან დაკეცილი ფურცელი ამოიღო და გაშალა.

„– საპნის ბუშტები სულ მალა და მალა მიინევდნენ“, – თითქმის ჩურჩულით თქვა.

შემდეგ კი, აი, რა მოისმინეს იქ თავშეყრილმა ადამიანებმა:

„– საპნის ბუშტები სულ მალა და მალა მიინევდნენ და თან მიჰყავდათ ძაფზე გამობმული თევზები.

– როგორი ამინდი იდგა?

– მზე ანათებდა. პაციენტი სკამიდან წამოიწია და ხელი თავზემით დაკიდებული ნათურისკენ გაიწვინა, რომელიც მისი აქ მოყვანის დღიდან მოყოლებული გამოუდმებით ბრუნავდა. აქ უნდა ითქვას, რომ ექიმს მსგავსი არაფერი შეუნიშნავს, ამიტომ რთული დასადგენია, ბრუნავდა თუ არა ნათურა ან ენთო თუ არა, საერთოდ.

– მზე კვერცხის გულში ამოვლებული ნათურასავით ეკიდა ნისლიდან ამოზრდილ ლამპიონზე.

– მაშასადამე, მზე ნისლში, ლამპიონზე დაკიდებული ანათებდა და თანაც კვერცხის გულწასმული?

– ამოვლებული! კვერცხის გულში ამოვლებული!

– გასაგებია! – აქ ექიმმა რაღაც ჩაინიშნა, – შემდეგ რა მოხდა? საით გაფრინდნენ თევზები?

– ბუშტები! ბუშტები მიფრინავდნენ, თევზები კი მათ მიჰყვებოდნენ. ვიცი, არ დამიჯერებთ, მაგრამ... ბუშტები დასკდა. დიახ, ასე, უბრალოდ (მან ტაში შემოკრა).

– დაუჯერებელი არაფერია. ჩანს, ძალიან მალა აფრინდნენ. მოგესხენებათ, წნევის ძალა...

– მაგრამ... – სხვა პაციენტმა, სკამზე უხმოდ რომ ირწეოდა, აქამდე ჩაქინდრული თავი აწია. – ამ ბუშტებს ხომ თევზები მიჰყავდათ! ნუთუ თქვენთვის არაფერს ნიშნავს ის ფაქტი, რომ თევზებმა ფრენა არ იციან?! დასწყევლოს

ღმერთმა! მითხარით, ნუთუ, ბოლოს და ბოლოს, თევზებმა არ დაიმსახურეს, რომ იფრინონ?!

– ნუ ყვირით, – დაუყვავა ექიმმა, – რა თქმა უნდა, მეტად საინტერესო და ფილოსოფიური სიზმარი უნახავს ედგარს.

– ფილოსოფიური... – ზიზლით ჩაილაპარაკა პაციენტმა, – ბარელამ თქვით, რომ ეს ღრმა სიზმარია და ბუშტები მალე კი არა, უფსკრულისკენ ეწეოდნენ ედგარს.

– ბუშტებზე ედგარი არ იყო გამომუშლი. და ძალიან დამავალებთ, თუ აღარ შემანყვეტინებთ! თქვენამდეც მოვალ. ეს ფორმულარი კი დღის ბოლომდე უნდა შევავსო. განვაგრძოთ, ედგარ. ყველა ბუშტი დასკდა?

– უკლებლივ ყველა, – ედგარმა ნაღვლიანად დაუქნია ქალარა თავი.

– და თევზები? რა ბედი ეწიათ თევზებს?

– ისინი ძირს ჩამოცვივდნენ“.

ხმის ვეება გამაძლიერებლები დადუმდნენ. მოედანზე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, როგორსაც მხოლოდ სასაფლაოზე, მზის ამოსვლისას (ამოსვლისას!), და სარკის წინ მარტოდ მდგარი თუ შეესწრებით. შიგადაშიგ მუშები მძლავრად დაჰკრავდნენ ხოლმე ჩაქუჩებს და რკინის ჟღარუნი ექოდ იფანტებოდა ყრუ კედლებს მიღმა. მერე მწერალმა №1-მა ხალხს უთხრა, მორჩაო, და ხალხმაც მქუხარე ტაშით დააჯილდოვა.

შუალამე დიდი ხნის გადასული იყო, როცა მოხუცმა სახელოსნოს კარი გამოიკეტა და სამზარეულოს მიაშურა. აქ მან ხელები დაიბანა და გამდინარე წყალს თან გააყოლა ფერები, რომლებმაც ოკეანეებისკენ აიღეს გეზი. კარადიდან ყველი, ძეხვის რამდენიმე ნაჭერი და პური გამოიღო და, სანამ წყალი ადუღებოდა, შორეულ ნათებას აკვირდებოდა, რომელიც მთავარი მოედნიდან მოდიოდა. დროდადრო გაურკვეველი ბგერები აღწევდა მის ყურამდე. რომელიღაც პოეტი ლექსს კითხულობდა. მოხუცმა შეძლო, გაერჩია

სიტყვები: „მყრალი თევზები“, „მეჩეთი“, „ფარდა“, „ვანილი“. ხოლო ერთხელ პოეტმა ისე ხმამაღლა შესძახა, მომეცით ნება, ამოვყვინთო ამ ზედაპირული სიღრმეებიდანო, რომ მოხუცს სიტყვაც არ გამოპარვია. ამასობაში წყალიც ადუღდა. მისტერ ჰოკეკმა ორთქლავარდნილ ჭიქაში თაფლიანი კოვზი ჩადო და ძეხვს სიფრიფანა ნაჭერი ჩამოათალა. კარგა ხანს მდუმარედ ილუკებოდა. შემდეგ, ისევე, როგორც დილით, მაგიდიდან ნამცეცები გადამინდა, პური, ყველი და ძეხვი შეინახა, ჭიქა გამორეცხა, შუქი ჩააქრო და დასაძინებლად გასწია.

რაზე შეიძლება ფიქრობდეს ძილის წინ სამოცდათვრამეტი წლის მეეზოვე, რომელსაც გული ანუხებს, წელში სტეხს, წარამარა ახველებს, ნახატი დასასრულებელი აქვს და მეორე დღეს მთელი კვარტალი უნდა განმინდოს სიბინძურისგან. მოხუცი მეეზოვე კატაზე ფიქრობდა, რომელიც მისი სარკმლიდან მოჩანდა. იგი გაუნძრევლად იჯდა დებიუსისეული მთვარის შუქით განათებულ სახურავზე და სადღაც იცქირებოდა. მოხუცს არ შეეძლო დაენახა – კატა მთვარეს უყურებდა, ვარსკვლავებს, მოედანს, სახურავებს თუ უფოთლო ხეებს, რადგან კატა ზურგით იჯდა.

კედლის საათი რიტმულად ერეკებოდა დროს. მისტერ ჰოკეკს უბაღნო, შემჭკნარ ხელზე ჩამოეყრდნო თავი და მთვარის გუშაგს თვალს არ აცილებდა. მოედნიდან კი კვლავ ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღწევდა მგოსანთა შეძახილები და მქუხარე ტაშისცემა.

იქნებ, პოეტურადაც მოგჩვენებოდათ მთვარის შუქში გახვეული, სფინქსივით გაქვავებული კატის სილუეტი იანვრის მინურულის ამ ღამით, მაგრამ მოხუცს წამითაც არ უფიქრია, რომ კატასა და სამყაროს აღსასრულს რაიმე საერთო ჰქონდათ ერთმანეთთან. არ უფიქრია, რომ ცხოველებმა უკანასკნელ საათებში სიღრმისულად აზროვნება დაიწყეს და ტიბეტელი ბერების სიმშვიდით გას-

ცქეროდნენ ჰორიზონტებს. მოხუც მეეზოვეს ის აწუხებდა, რომ სიტყვები ვერ ეპოვა იმ განცდის აღსაწერად, რომელიც მას ამ ღამეული თვალთვალისას დაეუფლა, თუმცა სიტყვები ხომ სხვებისთვის გვჭირდება, სხვებს კი სულაც არ ესაჭიროებოდათ იმის ცოდნა, რაზე ფიქრობდა მოხუცი მეეზოვე, როცა კატის უძრავ სილუეტს თვალს არ აცილებდა.

როდის-როდის ინათა. კატა მზის ამოსვლას აღარ დალოდებია – ეს ხომ მეტ პოეტურობას შესძენდა – თავი შეარხია, კუდი აწია და წავიდა. მისტერ ჰოკეს კი ჩასძინებოდა და ძილშიც არ ასვენებდა ის აზრი, რომ საკითხი არასწორად იყო დასმული.

თავი IV

კრება დილაუთენია, შვიდი საათისთვის განახლდა. ამ დროისთვის მუშებს მოესწროთ კედლების ამალღება ისე, რომ სახურავებიც კი აღარ მოჩანდა. ასაკოვანი მწერალი №47 ძილში მომკვდარიყო, ამიტომ კრება მწერალმა ქალმა №48-მ განახლდა.

ლოკოკინები

„რატომღაც გავრცელებულია აზრი, თითქოს მეოცნებე ადამიანები დღენიადაც ცას შესცქერიან და მიწას არ უყურებენ. მე კი ვიცნობდი მეოცნებეს, რომელიც ცას სულაც არ შესცქეროდა და არც ღრუბლების თვლით ირთობდა თავს, როგორც ეს მეოცნებეთ სჩვევიათ. ერთი ორჯერ თუ აიხედავდა მაღლა, ისიც იმის გასაგებად, იწვიმებს თუ არაო.“

ერთ მშვენიერ დღეს, როცა წვიმამ (რომელმაც მეოცნებეთაც კი გაუწყალა გული) გადაიღო და ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე ცისარტყელა გადაიჭიმა, ჩვენი პატარა ქალაქის მთავარ კარიბ-

ჭეს უცნობი, გულჩათხრობილი ადამიანი მოადგა. სწორედ ასე იფიქრა ულვაშან-კეპილმა გუშაგმა, რადგან უცნობს ხელები ზურგზე დაეწყო და თავი ჩაელუნა. „ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა“, ამბობდა შემდეგ გუშაგი, „თითქოს რაღაც დაეკარგა და გამალებით დაეძებდა...“

უცნობი მეზობელი ქალაქიდან მოდიოდა. „იქ უკვე გავაკეთე კეთილი საქმეები!“ – განმარტა მოკლედ.

სულ მალე, ჩამოსვლიდან მეორე დღესვე, როგორც კი მზეს ღრუბლები გადაეფარა, უცნობმა, თუმცა ჩვენთვის უკვე ნაცნობმა მეოცნებე ადამიანმა ჩვენს პატარა ქალაქშიც დაიწყო კეთილი საქმეების კეთება: დადიოდა, დაეძებდა ქუჩაში მოსეირნე ლოკოკინებს და მათ უბეში ისხამდა. ერთხელაც ერთი გაოგნებული მოქალაქე (ეს მე ვიყავი) ჩაეძია, რას აკეთებო. უცნობმა უპასუხა, ლოკოკინებს წვიმაში და ნაწვიმარზე უყვართ სეირნობა, ქალაქელ ლოკოკინებს კი წვიმის ეს მემკვიდრეობითი სიყვარული დიდ საფრთხეს უქმნის, რადგან გზებსა და ტროტუარებზე დალოლავენ და წუთში ათობით ლოკოკინა (თუ მეტი არა) ხდება ბორბლების და ფეხსაცმელების მსხვერპლიო.

– მოგიცლიათ! – დამცინავად შეათვალა იერა მოქალაქემ, – ერთ წამში ასობით ადამიანი ილუპება მსოფლიოში სხვა, უფრო სერიოზულ მიზეზთა გამო, ვიდრე წვიმის სიყვარულია, თქვენ კი დაეძებთ ლოკოკინებს და იმის შემდეგ, რაც სამშვიდობოს გაიყვანთ, არც კი იცით, ოციოდე წუთის შემდეგ იგივე საფრთხე ემუქრებათ თუ არა.

უცნობმა სევდიანად გაიღიმა და თავი დახარა. მოქალაქეს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ლოკოკინებიანი კაცი მისმა ნათქვამმა ჩააფიქრა და სიამაყით განიმსჭვალა, როცა უცნობმა თავდახრილმა განაგრძო გზა.

– პასუხიც კი ვერ გამცა, – გაიფიქრა მოქალაქემ და თავანუელმა შეაბიჯა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ეს მოქალაქე მე გახლდით, ფსიქიატრიულის დირექტორი.



ჩვენს პატარა ქალაქში სულ წვიმდა და წვიმდა. უცნობიც დადიოდა და აგროვებდა ლოკოკინებს. ხანდახან, შუალამისას, გაიგონებდით მის აღტაცებულ შეძახილს: „კიდევ ერთი ვიპოვე“...

ერთხელაც, მთელი დღის შრომით დაღლილი, ტროტუარზე ჩამოვჯდა და თვალები დახუჭა. წარმოიდგინა, როგორ დაეძებდა ნაწვიმარზე თავის ბევრ, ბევრ შვილთან ერთად ლოკოკინებს. უეცრად ზარივით წკრიალა ხმამ მიმართა: „ბატონო, აი, ინებეთ პატარა ლოკოკინა, რომელიც ჩემი ველოსიპედის ბორბალს იყო აკრული“.

კაცმა თვალები გაახილა და თოვლივით ქათქათა ხელი დაინახა, რომელიც მას პატარა, დახმარების მოლოდინში მყოფ არსებას უწვდიდა. ეს თეთრი ხელი ჩვენი ქალაქის ტურფას, მერის, ეკუთვნოდა. მერის და უცნობს დანახვისთანავე შეუყვარდათ ერთმანეთი და მალე იქორწინეს კიდევ.

მაგრამ მერის ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ისინი კი ამ წარმატებას ასე იოლად ვერ აპატიებდნენ კაცს, რომელიც უბით ლოკოკინებს დაატარებდა. სულ უკან დასდევდნენ და, სადაც კი ლოკოკინას დაინახავდნენ, საბრალო კაცის თვალწინ კედელს მიანარცხებდნენ ხოლმე ან წინ უსწრებდნენ და, სადაც კი გაივლიდა, სულ გაჭყლეტილი ლოკოკინები ხვდებოდა. გაგიჟდა კაცი. აღარ იცოდა, რა ელონა. ხულიგნებს ქვებს ესროდა და უყვიროდა, ისინი კი დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ.

ერთხელაც საბრალო კაცი ჩემთან მოიყვანეს. სანოლზე მივაბით, ყველგან გასრესილი ლოკოკინები ელანდებოდა და ტიროდა. ერთი თვე იტანჯა და მერე დარდისგან მოკვდა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – სამგლოვიარო პროცესიას გაჟლეტას გადარჩენილი ლოკოკინები

შეადგენდნენ, წინ კი ფეხმძიმე მერი მიუძღოდა. კოკისპირულად წვიმდა...

იმ დღის შემდეგ აღარასდროს უწვიმია ჩვენს პატარა ქალაქში.

მერის ბიჭუნა ეყოლა და კარლო დაარქვა. ეგონათ, მამასავით ლოკოკინების სიყვარული გამოჰყვებოდა, მაგრამ არაფერი ამდაგვარი. ერთი ჩვეულებრივი ცელქი ბიჭუნა იყო, მერე ხულიგანი გახდა და ბოლოს დარჩენილი ცხოვრება ციხეში გაატარა.

ლოკოკინებიანი კაცის ნაღვლიანი ისტორია ყველას მოეწონა. თავმჯდომარემ ხალხს დრო მისცა, რომ მოსმენილი გაეაზრებინა, თავად კი მონვეულ სტუმრებს მიუბრუნდა, რომლებიც საორგანიზაციო საკითხებზე კამათობდნენ.

ამასობაში დამსწრე საზოგადოებამ კარგად გაიაზრა ორმოცდაშვიდივე ლიტერატურული ნაწარმოები და ვიღაცამ გამოთქვა აზრი, დრო არ ითმენს, სასწრაფოდ უნდა გადავწყვიტოთ, რა ვიღონოთო. მუშები კვლავ გულისშემალონებლად უკაკუნებდნენ და ადულებდნენ კედელს, რომელიც თანდათან გუმბათის ფორმას იღებდა. შეწუხებულმა ადამიანებმა გადაწყვიტეს, მასპინძლებისთვის კრების მიზანი შეეხსენებინათ და ახმაურდნენ. თავმჯდომარემ პატარა ჩაქუჩი დაჰკრა მაგიდას, როგორც მოსამართლემ – სასამართლო პროცესზე. მისი გადაწყვეტილების თანახმად, სახვითი ფერწერის მწყობრიდან სცენაზე გამოვიდა №1 წარმომადგენელი და თან გამოიტანა ტილო, რომელიც მხოლოდ რამდენიმე მღუმარე წუთის შემდეგ მიაბრუნა ხალხისკენ.

ეს იყო მუნკის სასონარკვეთა, მუნკის „კვილი“. უსქესო არსებას ყურებზე აეფარებინა ხელი, რათა საკუთარ კვილს არ დაეყრუებინა. ხალხი აღტაცებული ყიჟინით შეხვდა სასონარკვეთის ამ შთამბეჭქდავ ფერებსა და ფორმებს...

შემდეგმა წარმომადგენელმა საკუთარი ნახატი გამოიტანა. ეს იყო სპილოსოდენა თეთრი ტილო, რომლის მარჯვენა დაბალ კუთხეში მხატვარს შავი წერტილი

მიეხატა. ხოლო იმის შემდეგ, რაც გათანგული და მშვიერი ხალხი აზუზუნდა, შედევი გაიტანეს.

№3-მა და №4-მ ერთობლივი ძალებით გამოაგორეს ბორბლებზე შემდგარი „მონა ლიზა“ და საზოგადოებას სთხოვეს, ამ ქალბატონის იდუმალ ღიმილზე ეფიქრათ.

ქალაქის თავმა რომ შეატყო, ხალხი დაილალო, მუსიკოსებს მოუხმო სცენაზე. მათაც არ დააყოვნეს და ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია დააგუგუნეს, რომელსაც ადამიანებისთვის უნდა მოეთხრო იმ საოცნებო დროებაზე, როცა ყველანი ერთმანეთის ძმები და დები იქნებოდნენ და ქვეყნად არ იარსებებდა შუღლი.

დღის მეორე ნახევრისთვის იაპონელმა მსახიობებმა წარმოადგინეს პანტომიმური სპექტაკლი, რომლის დასასრულსაც მთელი თამაშის მანძილზე ჩაძინებული ღმერთი იღვიძებდა და, როცა ვერავის იპოვნიდა, ვისთვისაც შეეძლებოდა ეკითხა თავისი სიზმრების შესახებ, გადაწყვეტდა – შეექმნა რეალური სამყარო და საღებავებსა და ფუნჯს მოიმარჯვებდა.

მისტერ ჰოკეი მთავარ მოედანზე ახლად წამომართულ კედლებს დაუყვა. კედელს აკრულმა ხალხმა ბუზღუნით დაუთმო გზა. მოხუცი გრძელი ცოცხის ენერგიული მოსმით მათ ფეხებქვეშ სიგარეტის ნაწვევებს და კოლოფებს, უკანასკნელ ფოთლებს, ბოთლებს, მტვერსა და მიწას აგროვებდა, უახლოეს ნაგავსაყრელზე მიჰქონდა და შემდეგ კვლავ უკან ბრუნდებოდა.

– მოგიცლიათ, – შეჰღიმა ახალგაზრდა ბიჭმა, რომელსაც შეყვარებულისთვის გადაეხვია ხელი და ქლიავის ორცხოობილებს ახრამუნებდა, – აქ სამყაროს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება, თქვენ კი აუღელვებლად აგროვებთ ფოთლებს.

მოხუცმა თვალმოჭუტულმა შეათვალიერა ორცხოობილიანი კოლოფი, რომელიც გოგონამ გაუწოდა.

– ოდესღაც მეც ვახრამუნებდი ორცხოობილებს, ოღონდ მაშინ მხოლოდ ვა-

ნილიანი ორცხოობილები იშოვებოდა. თანაც, მე სამაგისო კბილები აღარ მაქვს, მაგრამ, თუ გვერდით ჩაიჩოჩებით, მაღლობელი დაგრჩებით. მანდ სიგარეტის კოლოფი უნდა ეგდოს სადღაც.

შეყვარებულები მოხუცს ჩამოეცალნენ და უბოროტო ხითხითით განაგრძეს ორცხოობილას ხრამუნი.

– გჯერათ იმის, რასაც აქ განიხილავენ?

– რას განიხილავენ?

– სამყაროს დასასრულს, რომელიც კარზეა მომდგარი.

– მართლა? და რას ამბობენ?

– ლექსებს კითხულობენ, – საკუთარ ნათქვამზე თავად გაეცინა ბიჭს, – მაგრამ ჩვენ ამ სისულელების არ გვჯერა.

ბიჭმა შორიახლოს შეჯგუფულ ახალგაზრდებს დაუქნია ხელი, რომლებმაც სიცილით დაუკრეს კვერი თავიანთ ამხანაგს.

– მაინც რისი გჯერათ? – მისტერ ჰოკეის ცოცხის მოსმა არ შეუწყვეტია.

– ჩვენ, მაგალითად, არ გვწამს ღმერთის და სინმინდეების არსებობის.

– არ გვწამს ამ უაზრო თავყრილობისა და სამდღიანი სააზროვნო კურსების.

– მართალია! ჩვენ არ გვჯერა იმის, რომ სამყაროს აქვს დასაწყისი და დასასრული! – სიტყვა ჩამოართვა მეგობრებს გოგონამ, რომელსაც ხელში ორცხოობილიანი კოლოფი ეჭირა.

– რა საინტერესოა, – მოხუცმა ღიმილით შეათვალიერა გოგო-ბიჭები, შემდეგ თავი დაუკრა და მეზობელ ქუჩას მიაშურა.

თავი V

რადგანაც შეუძლებელია, ბექდური ასოებით (ამას ხელნაწერთაც ვერ მოვახერხებდი) გამოვსახო ფერები, მელოდიები და მსახიობთა მოძრაობები, ვამჯობინე, სანამ ეს ისტორია დასასრულს მიუახლოვდება, გიამბოთ, თუ რა წაუკითხა ხალხს უკანასკნელმა ორმა მწერალმა.

№73 მწერლის ნაამბობი:

„ფილოსოფიის ფაკულტეტი წარმატებით დავამთავრე. მშობლებმა პატარა სოფელში გამგზავნეს, სადაც დედაჩემის შორეული ნათესავი, მოხუცი ჰაინრიხი, კანტივით კარჩაკეტილი ცხოვრობდა და ვარსკვლავებიან ცასა და ადამიანს შორის კავშირს ეძებდა. დედაჩემთან გამოთხოვების სცენა მეტად ნაგავდა პარიზისკენ მიმავალი დ'არტანიანის უკანასკნელ წუთებს გასკონიაში, როდესაც მას დედა გადაეხვია და გულაჩუყებული აქვითინდა. მამაჩემმა, რომელსაც მუდამ ბატონობით მივმართავდი, მტკიცედ ჩამომართვა ხელი.

– ყმანვილო კაცო, აი, თქვენ ათასი მარკა, თავდაუზოგავი შრომის ჯილდოდ!

განა მართლა ასე მითხრა! მან პანანინა კოლოფი გამომინოდა და მიბრძანა, ისევე მოვფრთხილებოდი იმას, რაც კოლოფში ინახებოდა, როგორც ბაბუაჩემი და მისი ბაბუა უფრთხილდებოდნენ.

მატარებელში სიამოვნებით მივირთმევედი ცხვირსახოცში სათუთად გამოსვეულ ბუტერბროდს და, სავარძელში მყუდროდ მოკალათებული, ვათვალისწინებდი ნოემბრის ნესტიან ტყე-ველებს, რომლებიც უნამუნოს ბურუსში ერთგვარ ხამანკებად იფანტებოდნენ ისე, როგორც ძვირფასი ქვები სიორას ტილოებზე.

არ დაგიმალავთ და ახლა, როცა მშობლებისგან უთვალავი მილი მაშორებს და პასუხისმგებლობის მანტია მხრებზე დაუდევრად მაქვს მოგდებული, ვალიარებ, რომ არ მიყვარს ფილოსოფია. მე არ მიყვარს ის სქელყდიანი წიგნები, რომლებიც ყრუდ ეხეთქებიან ერთმანეთს ჩემს ჩემოდანში.

აი, შევცქერი მომხიბლავ გოგონასა და ბიჭუნას, რომელთაც ტილოს გრძელი, ნაქარგი კაბები აცვიათ. ბიჭს, ისევე, როგორც მის თანამგზავს, მხრებამდე აქვს დაშვებული გაბურძენილი თმა, რომელიც ხორბლის თავთავებს მაგონებს. შევცქერი მათ სამაჯურებს, გვირილების გვირგვინს გოგონას თავზე და მათ შიშ-

ველ ფეხებს. თვალს ვერ ვაშორებ მათ ხელებში ვისკის ბოთლებს და ბოლმით ვიბერები, ისეც ცოდნით გაბერილი. ჩემს გონებაში მომნიჭებას იწყებს აზრი, რომ სანამ ბებერი ჰაინრიხის სახლში შევაბიჯებ, რათა იქ სამარადჟამოდ დავობდე, შევიარო სადგურის მახლობლად პირველივე ლუდხანაში და ყელი გავისველო. წყვილი გაქუცულ ტყაპუჭებში შეფუთვნილა. ვუცქერ მათ ქათქათა ფეხებს და ეჭვიც არ მეპარება, რომ მათი ჭუჭყიანი ფეხსაცმელები სავარძლის ქვეშ აწყვია. მორიდებით ვიკაკვები ნელში, ვითომდა ჩემი ლაპლაპა ფეხსაცმიდან მტვრის გადასანმენდად. ჩემი ვარაუდი გამართლდა! ორივე წყვილი რეზინის ჩექმა ადგილზეა.

ამ მოკრძალებული გამოძიების შემდეგ ნელში ვსწორდები და ბუტერბროდის ჭამას განვაგრძობ. მატარებელი ჩერდება. ჩვენ, ყველანი, მაშასადამე, მე და ის წყვილი ინტერესით ვიცქირებით სარკმელში, ე. ი. მე ვიცქირები ინტერესით, გოგონა კი ცრემლად დაღვრილ წვიმის წვეთებს აყოლებს ნატიფ თითებს. ვენერა მილოსელს რომ ხელები ჰქონოდა, ალბათ, სწორედ ამგვარი იქნებოდა.

კონდუქტორი კარს აღებს და შენუხებული შენიშნავს, რომ საკმაოდ ცივა. შემდეგ უკანვე გადის და მე ვეკითხები ჩემს თავს თუ რატომ არაფერი თქვა მატარებლის უჩვეულო დაყოვნების შესახებ. ჩვენ კვლავაც ვიცდით, ე. ი. მე ვიცდი, ბიჭი კი იღებს ტუჩის ჰარმონიკას და უკრავს მხიარულ მელოდიას. მეჩვენება, რომ ჩაჟამული პეიზაჟები გვირილებით იფარება და კრიალა ციდან პანანინა ბალერინები ნარნარით ეშვებიან მინდვრებზე. თქვენ ვერ იპოვნით მათ პარიზის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მე კი ვამჩნევ, რომ ერთ-ერთ მათგანს ხელში ქოლგა უჭირავს და ვფიქრობ, რომ ეს აქსესუარი სრულიად ზედმეტია ვება მზის დისკოს ქვეშ, რომელიც მინდვრებს კამკაშით დასჩერებია თავს. მე ვინვდენ ხელს, რათა ბალერინას ქოლგა

გამოვართვა, მაგრამ უეცრად გვირილებიან, ნათელ მინდორსა და პატარა ქალებს მოლუსკისფერი პეიზაჟი ყლაპავს. ბიჭი ტუჩის ჰარმონიკას ჯიბეში იღებს და მის მხარზე მიძინებულ გოგონას თავზე ეფერება.

კონდუქტორი შემოდის. ჩაი შემოაქვს. მე აღშფოთებით აღვნიშნავ, რომ მატარებელი უკვე მრავალი საათის განმავლობაში გაუნძრევლად დგას ამ ნვიმაში. კონდუქტორი მიღიმის, საათზე იხედება და მომიგებს, რომ შვიდ წუთში სადგურში შევალთ. მაშასადამე, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შეუჩერებლად მივქროდით. ისლა დამრჩენია, კონდუქტორს მოვუბოდიშო და განვაგრძო სარკმელში ცქერა, სადაც პეიზაჟები ერთმანეთს გუგუნით ენაცვლებიან“.

მიუხედავად იმისა, რომ იანვრის უკანასკნელი საღამო იდგა და გვიან ბინდდებოდა, მოედანზე უჩვეულოდ ჩამობნელდა. ლამპიონები დიხსაც აანთეს, მაგრამ ხალხი ერთმანეთის ჩრდილებმა დაფარა. ნიავიც კი არ იძვროდა. ამის მიზეზი კი სწორედ ის მეტალის გუმბათი იყო, რომელსაც თავზე მუშები მოქცეოდნენ. რამდენიმე საათის შემდეგ ზეცის ის პატარა მონაკვეთიც აღარ გამოჩნდებოდა. მაგრამ მანამდე ხალხს შეეძლო, ეცქირა სავსე მთვარისთვის, რომელიც თითქოს ამ უჩვეულო ქვევრს ჩაჰყურებდა. თუმცა, სცენაზე უკანასკნელი მწერალი გამოვიდა, №74 და ყველას დაავიწყდა გუმბათიცა და სავსე მთვარეც.

ყველაფერი, რაც უკანასკნელია, სევდას არ აღძრავს. თუკი გვეტყვიან, რომ მთვარეს უკანასკნელად ვხედავთ, ჩვენ, ალბათ, მივაშურებთ ყველაზე მაღალი სახლის სახურავს ჩვენს ქალაქში და მთელი ღამის განმავლობაში თვალს არ მოვაცილებთ მთვარეს. მაგრამ, თუკი გათანგულები და მშვიდები ვისმენთ სამოცდამეთოთხმეტე ლიტერატურულ შედევრს და გვეტყვიან, რომ რიგში აღარ დგას აღარც ერთი ლექსი, პოემა თუ მოთხრობა, უკანასკნელ ძალებს მოვიკრებთ, სა-

ხეზე დაინტერესებულ გამომეტყველებას მოვირგებთ და მოსასმენად მოვემზადებით. სწორედ ასეთი ათასობით დაინტერესებული ადამიანი მიაჩერდა №74-ს.

ჩრდილოეთის ქართა

ქროლა

*„დღენი მიქრიან, როგორც
ჩრდილოეთის ცივი ქარები,
ჩვენ კი კვლავ ვცდილობთ და თან
არც ვცდილობთ,
რომ შევიცნოთ ჩვენი არსება ამ
ქვეყანაზე.
მოვა დრო, დედამინა შეირხევა და
ყველას უსასრულობისკენ გვიბიძგებს
და რა დარჩება ჩვენგან? მხოლოდ
ნაფეხური.
ისიც კი ქრება.
დღენი მიქრიან და ჩვენც მათთან
ერთად ვზზრიალებთ.
ვცდილობთ, შევიგრძნოთ სიცოცხლე,
როგორც ნაზი ამბორი,
და როცა დასტოვებს სული ჩვენს
სხეულს,
რალა დარჩება, მხოლოდ იმედი.
როგორც მდინარის ერთი ტალღა
მეორე ტალღას,
შთამომავლობა ენაცვლება
შთამომავლობას
და ერთს მაინც თუ გაუმართლა,
თავის წინაპრებს აქ დაიბრუნებს.
დღენი მიქრიან, როგორც
ჩრდილოეთის ცივი ქარები,
და ჩვენც გვგონია, რომ მათში მცირე
სითბო მაინც ვიპოვეთ.
ბოლოს ერთხელაც დაჰბერავს ქარი
და ცივ საფლავეში ვაცნობიერებთ,
რომ ჩვენ უკვე აღარ ვარსებობთ“.*

ხელოვანი ტაშით დააჯილდოვეს.

დასასრული

ამ დიდ სცენაზე, ვისაც კი სურდა, ყველამ თქვა თავისი სათქმელი. მხოლოდ განმარტოებით მჯდარი კაცი ელოდა ჯერაც თავის რიგს. ის არ დაენომრათ, რადგან მის უკან არავინ იდგა. ადგა ეს კაცი, აიღო თავისი სკამი და იმ ადგილას დადგა, საიდანაც სულ ცოტა ხნის წინათ ხალხი კითხვებზე გასაცემი პასუხების რეცეპტებს ისმენდა. შემდეგ დაჯდა, სკამის საზურგეს მიეყრდნო და გუმბათის ხერგელს მიაჩერდა, საიდანაც ჯერ კიდევ მოჩანდა, როგორ იკარგებოდა ბინდბუნდში იანვრის ზეცა.

ხალხმა იფიქრა, უნდა, რომ მივბაძოთო და მათაც ცისკენ დაიწყეს ცქერა. ზოგს კისერი დაელალა და ისევ კაცს მიაშტერდა. ზოგმაც მოუთმენლად შემოუძახა: თუ აკეთებ რამეს, გააკეთეო. მერე ვილაცამ შენიშნა, რომ სამყაროს აღსასრულამდე სულ რამდენიმე საათი დარჩენილიყო. ამ აშკარა აპოკალიფსმა ხალხში კვლავ გააღვიძა შიში, რომელიც სულ დავინწყებოდათ. კარის გაღება მოითხოვეს – თავიანთ სახლებში სურდათ დაბრუნება. ქალაქის თავი კი გაჰყვიროდა, აქ უსაფრთხოდ იქნებითო, მაგრამ მისი ხმა აღარავის ესმოდა. სამაგიეროდ, ყველამ გაიგო, როგორ ჩამოჰკრა საათმა ცხრაჯერ და დაზაფრული ხალხი გასასვლელს მიაწყდა. ისინი ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, კარიბჭეს ეჯავჯავურებოდნენ, სკამებს ისროდნენ, ერთმანეთზე გადადიოდნენ. უფრო სუსტები კვნესით იკარგებოდნენ ბრბოს ფეხებქვეშ, ძლიერნი კი გუმბათის კედლებზე ცდილობდნენ აცოცებას, მერე კი, ხელებდასერილები ძირს ცვიოდნენ. მხოლოდ რამდენიმემ მიაღწია გუმბათის დაუსრულებელ ქრილს, მაგრამ იქიდან მუშებმა გადმოყარეს, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, მოედნის გადახურვა დაესრულებინათ.

კაცი კი სცენაზე მშვიდად იჯდა და იმ ქრილში იცქირებოდა.

მერე გაშმაგებული ბრბო სცენისკენ გამობრუნდა, საიდანაც დაცვის თანხლებით ქალაქის თავი და მონვეული სტუმრები აჩქარებით მიემართებოდნენ სამართველოს შენობისკენ. ხალხი მათ გაეკიდა, მაგრამ შეიარაღებული მეომრები ჩამოეფარნენ. სამართველოს კარი დაიკეტა, ხელოვანები კი გარეთ დარჩნენ, ბრბოში არეულები.

ის კაცი კი თვალს არ ამორებდა ზეცის უკანასკნელ ნაფლეთს, რომელსაც მალე მეტალი დაფარავდა. მრავალი მეტალის შენადნობი, რომელიც ადამიანებს დაიცავდა იმისგან, რაზეც არავინ არაფერი იცოდა.

როდის-როდის მიწყნარდა ეს ჯოჯოხეთი. ახლა ადამიანები დაჭრილებს ეძებდნენ გვამებს შორის. ზოგიც თავისთვის მიმჯდარიყო კუთხეში (თუკი შეიძლება წრეს კუთხე ჰქონდეს) და ტიროდა.

მერე ის უკანასკნელი, ღამედ ქცეული ცის მონაკვეთიც დაიფარა და კაცმა თავი ჩაქინდრა.

ეს კაცი მაყურებელი იყო.

მოხუცი მეეზოვე კი შეუჩერებლად ხატავდა. სანთლის მკრთალი შუქიდან სინათლეს კრებდა ფუნჯით და მზის სხივებზე აბნევდა დუმფარებს შორის. ბოლოს ფუნჯი ჭიქაში ჩადო და წამოდგა. მისი ძვლები ისე ჭრაჭუნობდა, როგორც ხმელი ტოტები შემოდგომის ფოთლებქვეშ, როცა ნადირი ზედ გაიბრუნს. ერთხანს ისე ირწეოდა, როგორც მაშინ, ქალაქის სამართველოს შენობაზე გამოკრულ აბრას რომ კითხულობდა. მერე ხელი ჩაიქნია, გარეთ გამოვიდა და კარი გამოიხურა. სამზარეულოს მიაშურა. მალე ინათებდა კიდევ, მაგრამ მაინც გამოიღო კარადიდან პური, ყველი და ძეხვის ერთადერთი ნაჭერი. მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი ილუკმებოდა და ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებულ მცენარეებს ათვალეერებდა. გვიმრა პატარა ქოთანში ველარ ეტეოდა, ხვალ აუცილებლად გადარგავდა ეზოში. კაქტუსებს ეკლები გაჰყვითლებოდა – უწყლობის ბრალი თუ იყო.

მთავარი მოედნიდან ნათება აღარ აღწევდა, აღარც ხალხის გუგუნი ისმოდა. ლამპიონების ანთებაც დავიწყებოდათ. მოხუცი მეეზოვის პატარა ქალაქის სახურავები მთავრის შუქში გახვეულიყო. აღარც მისი ნაცნობი კატა ჩანდა სადმე ან, იქნებ, რომელიმე სახლის საკვამურს ამოფარებოდა. მოხუცი იხსენებდა ყველა იმ სიტყვას, რომელიც ოდესმე გაეღვებოდა გონებაში. მაგალითად, სიტყვა „საკერავი მანქანა“. ეს არ იყო ნივთი, რომელიც ახსნიდა მთვარესა და სახურავებს, კატებსა და ძაფის გორგლებს, ხელოვნებასა და ადამიანს, თევზსა და მდინარეს შორის კავშირის არსებობას. საკერავი მანქანა ვერ შეავსებდა, ვერ ამოკემსავდა სიცარიელეს, რომელიც მოხუც მეეზოვეში ისადგურებდა. ან, იქნებ, სამყარო დაცარიელდა და მოხუცი მეეზოვე ივსებოდა მისით. ასე იყო თუ ისე, მოხუც მეეზოვეს შეეძლო დაეფიცა, რომ საკერავი მანქანის შორეულ, ბავშვობიდან მონაბერ გუგუნში ნათლად დაინახა, როგორ ბრუნავდა მთელი სამყარო ნემსს აყოლილი ძაფით. მერე მანქანა დადუმდა.

რა თქმა უნდა, იმ ღამით სამყარო არ განადგურებულა. დედამინა კვლავ ძველებურად განაგრძობდა ტივტივს უსასრულობაში, როგორც თევზებისთვის გადაგებული ჭიაცყელა. თუმცა ეს არცთუ ისე მხატვრული შედარებაა მაშინ, როცა კოსმოსში პლანეტებსაც კი თავიანთი მუსიკა დაჰყვებათ თან. გუმბათის კარიბჭე, რომელიც სამყაროს აღსასრულსა და ხალხს ერთმანეთისგან მიჯნავდა, ღრჭიალით გადაიხსნა. მოედანზე დილის სუსხმა და სინათლემ შეაღწია. ადამიანებმა გამოღვიძება დაიწყეს. ვერც კი გაიგეს, ისე ჩასძინებიათ. გამოდიოდნენ გარეთ და პატარა ქალაქის სახლებს და ქუჩებს ისე აკვირდებოდნენ, თითქოს პირველად ხედავდნენ. თითქოს, მოხუცი მეეზოვის მსგავსად მათაც შენიშნეს მოკირწყლულ ქუჩებზე ასხლეტილი თევზები, დაკვირვებული ხის ტოტების სურნელი შეიგრძნეს და მოისმინეს თებერვლის ქარის პირ-

ველი სიმღერა. იგრძნეს, რომ სამყარო და სიცოცხლე კვლავაც მათ ძარღვებში ფეთქავდა. იგრძნეს, მიხვდნენ, მაგრამ სიტყვები აკლდათ. ხოლო იმან, ვინც სახელი დაარქვა ამ განცდებს, სიტყვებსა და საკუთარ თავს შორის რიტმი ვერ იპოვა.

ადამიანები მიმოდიოდნენ ქუჩებში და ფეხქვეშ ფანტავდნენ როდენის ნამსხვრევებად ქცეულ „მოაზროვნეს“ და „ღვთის ხელებს“. სცენის ძირში აყუდებული მუნკის „კივილი“ ისეთივე ამოუთქმელი დარჩა, როგორც შექმნისთანავე იყო. იაპონური ფაიფურის ისტორიული ლარნაკები, რომელთაც ხალხისთვის სინატიფეზე უნდა მოეთხროთ, ახლა მტვერში, გათელილი ადამიანების უსიცოცხლო გვამებს შორის სულს ლაფავდნენ. აქ იყო წელში გადატეხილი „მონა ლიზა“, რომელსაც ხალხისთვის ღიმილით უნდა ეცქირა და მათაც ეფიქრათ, რომ მის ღიმილში იმალება რალაც იმქვეყნიური. ხელოვანთა რიგითი ნომრები კი მთელ მოედანზე პირველი თოვლივით მიმოფანტულიყო. თავად ხელოვანები და ისინიც, ვინც ხელოვანთა შედეგები წარადგინეს, ამ სასწაულის სიბრძნით გასხვიოსნებულები ეძებდნენ ახალ წინადადებებს, სტროფებს, მელოდიებსა და ფერებს. ისინი, ცალ-ცალკე და ყველა ერთად, ეზიარებოდნენ ხელოვნებად ქცეულ შიშს და ძრწოლას, ეზიარებოდნენ ჯერ კიდევ თბილი სისხლით გაჟღენთილი მინის პოეტურობას. მერე სამმართველოს აივანზე მსოფლიოს მნიშვნელოვანი პირები გადმოდგნენ და ვისაც არ ეზარებოდა, ყველამ წარმოთქვა ერთი-ორი მაღალფარდოვანი სიტყვა ღვთისა და სამართლიანობის სადიდებლად, ბედის მადლიერმა ხალხმა კი ისინი მქუხარე ტაშით დააჯილდოვა.

მემანვენი ბიჭუნამ დიდხანს აკაკუნა მეეზოვის სახლის კარზე, მაგრამ არავინ გამოპასუხებია. მან კეთილსინდისიერად დადო მანვნის ქილა კართან და გზა განაგრძო. ასე განმეორდა მომდევნო დღეებშიც. მანვნის ქილები ერთმანეთს ემა-

ტებოდა, სანამ ერთ დღესაც მეეზოვეთა უკმაყოფილო ხელმძღვანელი არ მიადგა მისტერ ჰოკეკს. ხოლო, როდესაც მან კარი არ გაუღო, განრისხებულმა ხელმძღვანელმა, სამსახურიდან დათხოვილი ხარო, ამცნო. მოხუცი კვლავ არ გამოეპასუხა და მაშინ ხელმძღვანელმა ერთი სხვა მეეზოვის დახმარებით კარი შეამტვრია.

ხრწნაშეპარული მოხუცი მეეზოვის სხეული სამზარეულოს სკამზე განისვენებდა. სანიმუშოდ დანკრიალებულ მის სამზარეულოში კი ერთი ბუზიც არ ჭანებდა.


მისტერ ჰოკეკი ხელისუფლების ხარჯზე დაკრძალეს, მისი უნაკლოდ შესრულებული ნახატების ასლები კი მეზობლებმა დაინანილეს, რათა შემდეგ ერთმანეთისთვის მიეყიდათ. მხოლოდ ერთი ასლი დარჩა ხელუხლებელი, მაგრამ ის გამოუსადეგარი იყო, რადგან მოხუცს მისი დამთავრება ვეღარ მოესწრო. უკვირდათ, ამოდენა ნიჭის პატრონი რატომ დაათრევდა დღე და ღამე ცოცხს და ასლების გაყიდვით თავს რატომ არ ირჩენდაო, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ამას არსებითი მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა.



ელისო ვირსალაძე

ჭეშმარიტი სიღიაღე

ელისო ვირსალაძე საუბრობს სვიატოსლავ რიხტერზე



სვიატოსლავ რიხტერი

2015 წლის მარტში მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა გენიალური პიანისტის და პიროვნების სვიატოსლავ რიხტერის დაბადებიდან მე-100 წლისთავი. ამ ფაქტთან დაკავშირებით **მლბა იუსოპი** ესაუბრა ჩვენი დროის დიდ ქართველ პიანისტს – ქალბატონ ელისო ვირსალაძეს.

რაკი გენიალური ადამიანების აზრები, შეხედულებები, ხშირად პიროვნული თვისებებიც სულიერად ნათესაურია მუსიკის, ლიტერატურის, ხელოვნების თუ მეცნიერების სხვადასხვა დარგთან დაკავშირებით, ვფიქრობ, მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება ეს ინტერვიუ, რომლის უმნიშვნელოვანესი მხარეა გულწრფელობა და სიმართლე – ორივე დიდი ხელოვანის პიროვნული და მოქალაქეობრივი სიმაღლე რომ გამოსჭვივის.

მთარგმნელი

ოლგა იუსოვა: – ქალბატონო ელისო, შემოგრჩათ თუ არა მოგონებები იმის შესახებ, როდის გაიცანით სვიატოსლავ რიხტერი? ესწრებოდით თუ არა თბილისში მის კონცერტებს? მე გამიგონია, რომ ნეიჰაუზი ხშირად ისვენებდა საქართველოში, რიხტერი კი მის სანახავად ჩამოდიოდა. თქვენ იცოდით ამის შესახებ?

ელისო ვირსალაძე: – პირველად რიხტერი რომ მოვისმინე კისლოვოდსკოში, მაშინ 9 წლისა ვიყავი. ბუნდოვნად, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც მახსოვს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ბავშვი ვიყავი, მისი სახელი ჩემთვის უკვე მნიშვნელოვანი იყო. თბილისში ის ჩამოვიდა თავისი კარიერის დასაწყისში. დიდხანს ცხოვრობდა ნაცნობებთან, მეცადინეობდა და ამდიდრებდა რეპერტუარს. ომის დროს

და მის შემდეგაც ატარებდა კონცერტებს. ნეიჰაუზი კი ხშირად სტუმრობდა საქართველოს ზაფხულობით მთაში დასასვენებლად (კერძოდ, ბაკურიანთან – ციხისჯვარში – ნ. მ.). რიხტერი კი მის მოსანახულებლად ჩამოდიოდა.

იყო სამწუხარო მიზეზიც მისი ჩამოსვლისა: ცნობილმა პიანისტმა ვალენტინა კუფტინამ თავი მოიკლა მეუღლის – მეცნიერ-არქეოლოგის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ. მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. თბილისში რიხტერმა მის ხსოვნას მიუძღვნა კონცერტი. ის დიდ პატივს სცემდა კუფტინას, როგორც მუსიკოსს და პედაგოგს. ამ კონცერტზე მეც გახლდით.


ჩვენს ოჯახში, შინაურ საუბარში უფრო ხშირად ფიგურირებდა ჰენრიხ გუს-

ტავის ძე: დიდებას და მას ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, როგორც პედაგოგებს. რიხტერის კონცერტების განხილვა კი მას ჩემთან არ შეეძლო, რადგან როცა მე მათ ვისმენდი, დიდება უკვე სახლიდან ვეღარ გადიოდა და, რა თქმა უნდა, ვეღარც კონცერტებს ესწრებოდა.

- 1962 წელს მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსისათვის რომ ემზადებოდით, ნეიჰაუზი გამეცადინებდათ. იქნებ მაშინ შეხვდით რიხტერს და მანაც შეგნიშნათ თქვენ?

- ვფიქრობ, სულაც არ შევუნიშნავარ და, საერთოდ, დარწმუნებული ვარ, რომ კონკურსზე არც მოსულა, რადგან „მონამლული“ იყო პირველი კონკურსით, რომლის ფიურში პირველად და უკანასკნელად იჯდა (საქმე ის იყო, რომ პირველ კონკურსზე რიხტერმა ვან კლიბერნს 10 შესაძლებლიდან 100 ქულა დაუწერა. ამის შემდეგ ის ფიურის წევრად აღარ მიუწვევიათ - ნ.მ.).

აი, მისმა მეუღლემ - ნინა ლვოვნამ კი მომისმინა პირველ ტურში და კარგად დავამახსოვრდი. ესეც მისგან საკმარისი იყო (იცინის). სამაგიეროდ, მის სახლში



მე იმავე წელს მოვხვდი. ეს იმიტომ, რომ ჰ. ნეიჰაუზს მაშინ არ ჰქონდა ბინა და თავის მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა რიხტერთან. ასე აღმოვჩნდი სიცოცხლეში პირველად მათ სასიამოვნო გარემოში.

- ოდესღაც, ახალგაზრდობაში, რიხტერი ცხოვრობდა ნეიჰაუზთან, აქ კი უკვე პირიქით იყო!

- მართალი ბრძანდებით. რიხტერმა დაუთმო ბინა თავის მასწავლებელს, მაგრამ ჩვენ მაშინ ერთმანეთს არ შევხვდარივართ. მე იქ მივდიოდი მხოლოდ ნეიჰაუზთან სამეცადინოდ. ხოლო რიხტერი გავიცანი 1966 წელს. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მან ჩამიტარა გაკვეთილი თავის სახლში. მე დავუკარი მოცარტის B-dur სონატა 333. და ახლახან ჩემი გამოსვლა „დეკემბრის საღამოებზე“ მის პატივსაცემად დავიწყე სწორედ ამ სონატით. მაშინ მასთან სამეცადინოდ მე სპეციალურად ავირჩიე შედარებით პატარა ნაწარმოები. მან კი ისეთი რამეები მითხრა, რაც, რა თქმა უნდა, დამამახსოვრდა სამუდამოდ. ის ჩვეულებრივად მიზიარებდა რალაც ასოციაციებს ამ სონატაში სხვადასხვა ადგილებთან დაკავშირებით. მახსოვს, მეორე ნაწილში მან ჩემი ყურადღება მიაპყრო ერთ ჰარმონიულ სვლას, რომელიც, მისი აზრით, მოასწავებდა ვაგნერს.

- რიხტერის შესახებ ერთ-ერთ წიგნში მოყვანილია მისი სიტყვები მოცარტზე. ის ამბობს, რომ მოცარტში არ აკმაყოფილებს სიცინცხალე, სიახლე. ამას რიხტერი აბრალებს მოცარტის მამას, რომელმაც, მისი აზრით, ძალიან ადრე დაიწყო უუნდერკინდი შვილის ტალანტის ექსპლოატაცია.

- იცით... არც ბოლომდე ვენდობი ყველანაირ წიგნებს რიხტერზე. ეს შესაძლოა ნათქვამი ყოფილიყო გარკვეული (ნიუანსით) განწყობილებით. ცხადია, ბევრ საკითხში მისი აზრი იყო ურყევი, მაგრამ ასე ვერ იტყვი ყველა მის გამონათქვამზე ცხოვრებისა და მუსიკის შესახებ. ზოგი მისი მოსაზრება სულაც არ იყო ეჭვშეუვალი, - მითუმეტეს, როცა ეს ეხება მო-

ცარტს. მე, პირიქით, ბევრჯერ მსმენია მისივე სწორედ საწინააღმდეგო აზრები მოცარტზე, რომ აღარა ვთქვათ, როგორ ხშირად უკრავდა იგი მოცარტს და უკრავდა ისე, რომ სრულიად უარყოფდა თქვენ მიერ მოხმობილი ციტატის შინაარსს.

რიხტერი საერთოდ იყო გუნება-განწყობილების ადამიანი და ამიტომ, როცა მეუბნებოდა: რიხტერი ისე არაჩვეულებრივად წერს თქვენზეო, ამის გამო ჩემს თავს ეიფორიაში ჩავარდნის უფლებას არ ვაძლევ. დიახ, თავის დღიურებში მან ჩემზე დაწერა კარგი სიტყვები და ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. მაგრამ არ ღირს ამ სიტყვების რალაც ხარისხში აყვანა. ჯობს იგი მიიღო თავშეკავებით.

– ვფიქრობ, ამ სიტყვების წყალობით ბევრი აღგიქვამთ „მისი წრის“ წევრად. საერთოდ არსებობდა „რიხტერის წრის“ გაგება? და თუკი არსებობდა, რამდენად ფართო ან ვიწრო იყო იგი?

– იყვნენ მუსიკოსები, რომლებიც მას ჩემზე გაცილებით ადრეც იცნობდნენ და უფრო მჭიდრო ურთიერთობაც ჰქონდათ, მაგალითად, ნატალია გუტმანი... ჩემზე კი შემოძლია ვთქვა, რომ მქონდა პატივი, ვყოფილიყავი მისი ნაცნობი ჩემი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში.

– ის მიგნებებიც, რომლებიც თქვენ გეჩვენებათ უმნიშვნელოდ, დღეს ძალიან ღირებულია ჩვენთვის.

– მესმის, რიხტერზე ხომ რალაც აბსურდული ხმები დადის, რომლებიც არ ესადაგება სინამდვილეს. ამავე დროს, მასზე საუბარი რთულია, რადგანაც იმდენად მრავალსახა, მრავალნახნაგოვანია როგორც ხელოვანი, რომ ვერანაირი მოგონება მასზე ვერ იქნება აბსოლუტურად ზუსტი. ისევე, როგორც ყველაფერი, რაც კი გამოუთქვამს, არ შეიძლება ჩაითვალოს დოგმად. ამასთან, ეს ისეთი უზარმაზარი მასშტაბის პიროვნებაა, რომ შეუძლებელია მასზე აღმატების გარეშე ისაუბრო.

მინდა ვთქვა, რომ სწორედ აღმატებითი ხარისხია მისი შეცნობის ზუსტი ორიენტირი.

ის იყო კიდეც უჩვეულო მოვლენა, მრავალმხრივი ტალანტით დაჯილდოებული ადამიანი. მას შეეძლო გამხდარიყო მხატვარი, მსახიობიც, რეჟისორიც, დირიჟორიც და ალბათ კომპოზიტორიც, რომ მოესურვებინა, მაგრამ გახდა პიანისტი და სიცოცხლის ბოლომდე თავის არჩევანს უერთგულა. ესეც უნიკალური შემთხვევაა. მე ვიცნობ მუსიკოსებს, რომლებიც „გადაახტნენ“ თავის ინსტრუმენტებს და გახდნენ დირიჟორები. და, რა თქმა უნდა, მათ ვერ ჩავთვლით ამ სფეროს სრულ პროფესიონალებად. დიდი როსტროპოვიჩიც კი იყო არა იმდენად დირიჟორი პროფესიონალი, რამდენადაც გიგანტი შემსრულებელი, თავისი ქარიზმით რომ შთააგონებდა ადამიანებს.

– რიხტერსაც შეეძლო გამხდარიყო ასეთივე გიგანტი.


– რა თქმა უნდა. მე ამაზე არ ვლაპარაკობ. მაგრამ რიხტერს თავისი არჩევანი ჰქონდა. არ ვიცი, რამ აიძულა მხოლოდ თავისი ინსტრუმენტის ერთგული ყოფილიყო, სამწუხაროდ, მისგან არაფერი გამიგია ამის შესახებ. მიზეზი, ალბათ, იმაშია, რომ ფორტეპიანო თავის თავში



ითავსებს შემსრულებლისათვის უზარ-
მაზარ შესაძლებლობებს. არ დავიღვები
ვამტკიცო, რომ სიცოცხლე არ კმარა მის
სიმდიდრეთა გასახსნელად.

– ცნობილია, რომ სვიატოსლავ თეო-
ფილის ძე ხშირად ეძებდა საერთო პარა-
ლელებს მუსიკალურ, ლიტერატურულ
თუ მხატვრულ სახეებს შორის. თქვენც ასე
მიგაჩნიათ? ვიცი, რომ ბევრი შემსრულე-
ბელი მუსიკას თვლის აბსტრაქტულ ენად
და თუ აქედან გამოვალთ, მაშინ სხვადას-
ხვა ასოციაციას შეუძლია ნაწარმოებს მო-
ახვიოს შინაარსი, რომელიც ავტორს არც
ჰქონია მხედველობაში.

– გამოგიტყდებით, სხვაგვარად ვფიქ-



რობ. სახეები, რომლებიც მიჩნდებიან,
არიან და არც არიან. მათ ვერ დაარქმევ
რეალისტურს. ხშირად მათ ანალოგი არც
ცხოვრებაში და არც ხელოვნებაში არ გა-
აჩნიათ. ისინი უფრო აბსტრაქტული არი-
ან. ამასთან, იმდენად ინდივიდუალური,
რომ მე არც შემიძლია მათი ვინმესთვის
გაზიარება. როცა ვმუშაობ სტუდენტთან,
შემიძლია მხოლოდ ზოგადად გამოვყო
რალაც კონკრეტული მაგალითით წარ-
მოდგენა ადამიანის ფიზიკურ მდგომარ-
ეობაზე. ზოგჯერ თვით მუსიკაშია მი-
ნიშნება დაღლილობაზე ან აღმაფრენაზე,
სევდასა თუ მხიარულებაზე. ყველაფერი
ეს თვით მუსიკის ხასიათიდან გამომდი-
ნარეობს, დაკავშირებულია მხოლოდ ამ
ნაწარმოებთან და არ ეხება ხელოვნების
სხვა სახეებს.

– როგორ აცნობიერებთ, როგორია იმ
პირობათა ერთობა, რისი წყალობითაც
გახდა შესაძლებელი ასეთი გენიის გამო-
ჩენა?

– რიხტერი სუფთა ფენომენური მოვ-
ლენაა. მთელი ეს თვისებები მასში ჩა-
დებული იყო გენეტიკურად. სადაც და
როდესაც არ უნდა დაბადებულიყო, ის
გახდებოდა ისეთი, როგორსაც ჩვენ მას
ვიცნობთ. ვერც კი ჩამოთვლი იმ ნიშ-
ნებს, რომლებიც იძლევიან ასეთ უნიკა-
ლურ შენადნობს, ასეთ არაჩვეულებრივ
რეზულტატს. მისი პიროვნული ნიჭიერე-
ბა განპირობებულია ფანატიზმითაც და
ხელოვნების სიყვარულითაც. ის ერთნაი-

რადაა გატაცებული მისი მრავ-
ალი სახეობით. ყოველთვის
მაოცებდა, რომ რიხტერმა
ყველაფერი იცოდა, ყველა-
ფერი ახსოვდა. და ეს იყო
არა მექანიკური მეხსიერება,
არამედ ხელოვნების ყველა
ფაქტის განცდა. ყველაფერს,
რასაც კითხულობდა, ხედავ-
და ან ისმენდა, ის ატარებდა
თავის გულში. მისთვის არ არ-
სებობდა წვრილმანი, ყველა-
ფერს ანიჭებდა მნიშვნელო-
ბას. წვდებოდა ყველა მოვლენის არსს,
ცდილობდა ყველაფერი განეცადა.

– დამეთანხმეთ, რომ რუსეთის ქალა-
ქებში მის ცნობილ მოგზაურობაში აისა-
ხა ადამიანებისადმი სიყვარული, ამპარ-
ტავნობის სრული უარყოფა და მეჩვენება,
რომ ბევრი სხვადასხვა თაობის მუსიკოსი,
მათ შორის ახალგაზრდებიც, მას ამაში
ცოტათი ბაძავენ.

– უთუოდ, ყველაზე საოცარია, რომ
მისთვის ეს სრულიად ბუნებრივი იყო.
ყოველგვარი პათოსური პოზის, თავი-
სი კეთილშობილების დემონსტრირების
სურვილის გარეშე. უბრალოდ, მას სურ-
და დაეკრა იქ, სადაც ჯერ არავის არ და-
უკრავს. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონ-
და, როგორ დარბაზში ან რა როიალზე
დაუკრავდა, ამ მხრივ სულაც არ იყო

კაპრიზული. რამდენადაც ვიცი, მასთან ერთად მგზავრობდა ამწყობი, მაგრამ ამ ფაქტსაც არ შეეძლო ინსტრუმენტის ხარისხზე ზემოქმედება. და როცა ვიგებ, რომ პიანისტებიდან ვილაც გაემგზავრა სხვა ქვეყანასა თუ ქალაქში თავისი ინსტრუმენტი, მეცინება.

– რისტერის მრავალრიცხოვანი მოგონებებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ყოველგვარი მატერიალურისადმი სრულიად გულგრილი იყო.

– ნამდვილად, იმდენად გულგრილი, რომ არც კი იცოდა, მაღაზიაში რა რა ღირდა. ფულის ფასი საერთოდ არ იცოდა. ეს იყო მისი პიროვნების ორგანული თვისება და ასეთ ფონზე სრულიად ბუნებრივად ჩანდა მისი დაჟინებული გატაცება ხელოვნებით.

– თავის საყვარელ ნაწარმოებზე ის ასახელებს შუბერტის ფანტაზიას „მოხეტიალე“. თქვენთვის კი მასში ახლობელია მწირი, ყარობი, გენიოსი, გულგრილი ყოფითობისადმი, ფიქრით და გრძნობით ამალღებული...

– ჩვენ ყველა მწირები ვართ ამქვეყნად. ასეთი ფილოსოფია არც მისთვის იყო უცხო. შესაძლოა ამითაც ხსნიდა თავის სიყვარულს ამ ნაწარმოებისადმი. ოჰ, ამ ადამიანზე იმდენი რამ შეიძლება ითქვას და იმდენი სხვადასხვაგვარი პარალელი გაივლოს... გესმით? პირველ რიგში, ის იყო უდიდესი არტისტი და რამდენადაც სრულყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი მისი შესრულება, ასევე არ შეიძლება აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ჩაითვალოს ვინმეს აზრი მასზე ან თუნდაც მისივე აზრი საკუთარ თავზე.

არცერთი მისი შესრულება არ ჰგავდა წინა შესრულებას. ჩემთვის ეს ყველაზე ძვირფასია არტისტში. რისტერი იყო საერთოდ სხვადასხვაგვარი. შემსრულებელი, რომელიც ყოველთვის უკრავს ერთნაირად – არტისტი არ არის. სცენაზე ხდება ნაწარმოების იმწუთიერი დაბადება და კონცერტთან ერთად იგი მიდის წარსულში. წამი... და ის უკვე აღარ არის!

თეატრი ნაწილობრივ ენათესავება საშემსრულებლო ხელოვნებას. ცხადია, თეატრშიც შესაძლებელია ინტერპრეტაცია, იქ არის სიტყვები. არიან არტისტები და ამასთან ერთად რეჟისორიც, ვისზეც დამოკიდებულია მსახიობების თამაში. აქ კი მხოლოდ შენ ხარ შენი თავის რეჟისორი.

– რისტერს გულს ხომ არ უტეხდა პუბლიკის რეაქცია? იმ ღრმა რუსეთშიაც ხომ ყოველთვის ადეკვატური ვერ იქნებოდა პუბლიკა (იგულისხმება ღრმა პერიფერია – ნ.მ.). ნამდვილად ვერ შეძლებდნენ ჯეროვნად მისი ყოველი უნიკალური ინტერპრეტაციის შეგრძნებას!

– მისი ამოცანა იყო, მსმენელამდე კი არ დასულიყო, არამედ აეყვანა იგი თავის სიმაღლემდე. მისი მოსმენა, რა თქმა უნდა, არ იყო გართობა და არც ყოველთვის სიამოვნება, მაგრამ, პირველ რიგში, ნაწარმოების შესრულებისას ტარდებოდა რთული სულიერი სამუშაო. რისტერის მოსმენა არ იყო ადვილი.

– ვალენტინ ნიკოლოზის ძე ჩემბერჯი აღწერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ერთ-ერთ გამოსვლას, როცა პირველ განყოფილებაში რისტერი უკრავდა შუმანის სიმფონიურ ეტიუდებს. დაუკრა ისე, რომ თვითონაც კმაყოფილი იყო, მაგრამ მიიღო მხოლოდ თავშეკავებული მოკლე ტაში. აი მეორე განყოფილებაში კი თითქოს ჩვეულებრივად შეასრულა მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“ და დარბაზი აფეთქდა აპლოდისმენტებით. ცოტა არ იყოს, ნაწყენიც დარჩა, მსმენელების ასეთი არა-ადეკვატური რეაქციით.

– ასეთი რამ კონცერტებზე ხშირად ხდება და ეს ნორმალურია. შენ გეჩვენება, რომ უკრავ კარგად. ხალხს კი არ მოსწონს ან პირიქით. ყველაფერი ძალიან სუბიექტურია. ზოგჯერ ვერაფრით ახსნი, რატომ ვერ მიდის შენი ენერჯია მსმენელამდე? ბევრ სხვადასხვანაირ ნიუანსს შეუძლია იმოქმედოს პუბლიკასთან ემოციების გაცვლის პროცესზე. ხანდახან კონცერტი არტისტის ბრძოლაა თავის თავთან, რათა შექმნას საჭირო განწყობა

და ამ განწყობას აზიაროს მსმენელი. აქ ყველაფერი გაუთვალისწინებლად ხდება.

**– დათვლა ოცდაათამდე, როგორც გვე-
უბნებოდა რიხტერი – შველის?**

– მის გამოსვლებში ბევრი რამ რეჟი-
სორულად იყო გათვლილი. ის ამბობდა,
რომ როცა ასრულებდა ლისტის h moll
სონატას, 30-მდე დათვლა ეხმარებოდა
დარბაზის სრულ გაჩუმებაში. რა თქმა
უნდა, ამ წამებში სრული მობილიზება
აუცილებელია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშ-
ნავს მანქანისა თვის პედანტურ მიბაძ-
ვას. რომ დაჯდეს ახალგაზრდა პიანისტი
და კონცერტის დაწყებამდე ჩუმად ითვა-
ლოს, ეს კარიკატურული იქნება.

**– რატომაა რიხტერი ხანდახან საკუთა-
რი თავით უკმაყოფილო? რიხტერზე მონ-
სენზონის ცნობილი ფილმის ბოლო ფრაზა
– „მე ჩემი თავი არ მომწონს!“ – მტკივნეუ-
ლი მოსასმენია.**

– ვფიქრობ, იმ მომენტში, როცა ითქვა
ეს ფრაზა, მას უხდებოდა მძიმე ფიზიკუ-
რი მდგომარეობის გადალახვა, და როცა
ავადაა ადამიანი, დაჯილდოებული ასეთი
სიცოცხლის სიყვარულით, ძალით, ენერ-
გიით, მაშინ სავსებით გასაგებია, რომ
მასში თავს იჩენს თავისი თავით უკმა-
ყოფილება.

ხოლო საშემსრულებლო ხელოვნება-
ში უკმაყოფილება და საკუთარი თავი-
სადმი უკომპრომისობა ბუნებრივია. იმი-
ტომ, რომ ასეთი მუსიკოსი ყოველთვის

ისწრაფვის, შეასრულოს ის სრულქმნილი
ვარიანტი, რომელიც შინაგანად ესმის.
ხანდახან რიხტერი ხარჯავდა დღეებს და
საათებს, რომ ეს სრულქმნილება ეპოვა
პატარა ფრაზაში, ზოგჯერ სულაც რამ-
დენიმე ტაქტში. მომწონს შნაბელის სიტყ-
ვები: „მე ვუკრავ მხოლოდ იმ ნაწარმო-
ებებს, რომლებიც შესრულებაზე მაღლა
დგანან!“

**– ასე, ალბათ, შეიძლება ბევრ ნაწარმო-
ებზე ითქვას...**

– ფაქტობრივად, პიანისტის მთელ რე-
პერტუარზე. რამდენჯერაც უნდა დაფუკ-
რათ, შედეგით კმაყოფილება შეუძლებე-
ლია.

**– მე იმის თქმა მინდოდა, ხომ არ
გრძნობდით მასში იმ ფარულ ნაღველს,
რომელიც ბევრ დიდ ადამიანს აწუხებს?**

– დიახ, ეს ასეც იყო და არც შეიძლე-
ბოდა სხვაგვარად ყოფილიყო. ეს ბუნებ-
რივია.

**– ჩემბერჯის წიგნში უწერია, რომ ერთ-
ერთი ბრწყინვალე კონცერტის შემდეგ აბ-
სოლუტურად გამოფიტულმა რიხტერმა
თქვა: მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი
კარგად დასრულდა, მაინც ნაღველი და
სინდისის ქენჯნა მანუხებს.**

– მაღლობა ღმერთს, რომ ყოველთვის
ასე არ ხდებოდა. ვშიშობ, ამ ციტატის
გამო მკითხველს არ შეექმნას მის ხა-
სიათზე მცდარი წარმოდგენა. ხომ სავ-
სებით შესაძლებელია, რომ ეს სიტყვე-
ბი წარმოთქმული იყო დაღლილობის შედე-
გად. მინდა გითხრათ, რომ ასეთი ჩანაწერე-
ბი, ასეთი მოგონებები ძალიან სათუთი რამაა.
მათ შემოაქვთ დაბნეუ-
ლობა, გაურკვეველობა,
თითქოს ამოწურავენ
მთელი რიხტერის პი-
როვნების მრავალფე-
როვნებას.

**– ვერა გორნოსტა-
ევა აღნიშნავდა, რომ**



რიხტერთან ვერავიზე ძვირს ვერ იტყოდი. თქვენც ეთანხმებით?

– მართლაც, სინამდვილეში ის არავის არ ახსენებდა ცუდად. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამოიგია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არსებობდა აკრძალული თემები. მასთან შეიძლება ლაპარაკი ბევრ რამეზე. ის ხომ აბსოლუტურად ბუნებრივი ადამიანი იყო. ყოველ შემთხვევაში მე არასოდეს მეშინოდა მეტყვა რამე და ამისათვის გავეკიცხე. უბრალოდ, მის გარემოცვაში არ იყვნენ აგრესიულად განწყობილი ადამიანები, საუბრის თემები კი უმთავრესად ეხებოდა საინტერესო და მაღალ მატერიალს.

– შეიძლება თუ არა ითქვას, რომ თქვენს სულიერ სიახლოვეს ხელს უწყობდა უახლოესი ადამიანების ტრაგიკული ბედი. მას დაუზვრიტეს მამა, თქვენ კი ბიძა...

– ამის შესახებ მასთან არასოდეს მისაუბრია და დარწმუნებულიც არ ვარ, რომ იცოდა ჩვენი ოჯახის ტრაგედიის შესახებ. საქმე ისაა, რომ მაშინ ასეთი ოჯახები ბევრი იყო ჩვენს წრეშიც. თითქმის ყველას ჰყავდა მშობელი ან ვინმე ნათესავი დახვრეტილი ან დაპატიმრებული. მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ როცა ჩამოდიოდა, ჩვენს თბილისელ მეგობრებს ეამბნათ მისთვის, ჩვენი ოჯახის შესახებ.

ამაზე უფრო ფართოდ უნდა ვილაპარაკოთ. ამ საფუძველზე სულიერი სიახლოვე, რაზედაც თქვენ ბრძანებდით ვრცელდებოდა უამრავ ადამიანზე. ეს იყო ჩვენი ცხოვრების ფაქტი, რასაც ვერსად გაექცევი. საშინელებაა, რომ სიახლოვე იყო ასეთ ტრაგიკულ ნიადაგზე. საშინელებაა. ისიც, რომ ასეთ პირობებში ადამიანების წინაშე იდგა გადარჩენის ამოცანა... მაგრამ თქვენ უნდა გეცხოვრათ, აგერჩიათ სასიცოცხლო გზა. და ეს გზაც ყოველთვის არ იყო სწორი და პატიოსანი. გადარჩებოდნენ სხვადასხვაგ-

ვარად. ვილაც მოერგებოდა, შედიოდა პარტიის რიგებში, რაკი სირცხვილად არ თვლიდნენ კომპრომისის გზას. ვილაცები კი, რომ როგორმე თავისი პროფესიით ემსახურათ, ხელს აწერდნენ რალაც წერილებს, ოღონდ კი მათთვის ხელი არ ეხლოთ, ჰქონოდათ დაკვირის, წერის საშუალება. მაგრამ იყვნენ მესამენიც, ვინც არანაირ დათმობაზე არ მიდიოდა სინდისთან. ამიტომ მათი გზა ბევრად უფრო რთული გახლდათ.

– ცნობილია, რომ თქვენს კონცერტს სულ ბოლოს ის ესწრებოდა 1997 წლის 22 ივლისს. მაშინ უკვე ძალიან ავად იყო.

– დიახ, ჩვენ, ნატალია გოტმანი, ვიქტორ გრეტიაკოვი და მე ვასრულებდით შოსტაკოვიჩის ტრიოს. პირველ განყოფილებაში კი მე დაფუკარი ჩაიკოვსკის დიდი სონატა. სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი თუ რიხტერი მობრძანდებოდა ამ კონცერტზე, რაკი ძალიან შეუძლოდ გრძნობდა თავს. ეს იყო მის ცხოვრებაში ბოლო ფესტივალი – საფრანგეთის ქალაქ ტურში.

– ვერა ვასილის ასულმა გორნოსტაევამ იმ მცირეოდენ ადამიანთა შორის დაგასახელათ, რომელთა თვალწინაც დაასრულა ცხოვრების გზა სვიატოსლავ რიხტერმა. და იქვე ისიც დასძინა, რომ ასეთი ადამიანების წყალობით ბედნიერად შეიძლება ჩაითვალოს მისი ბოლო დღეები.

– ასე არ შემიძლია გითხრათ. მართლაც ვიყავი მასთან ნიკოლინა გორაზე



გარდაცვალებამდე 3-4 დლით ადრე. შეუძლებელი იყო გეყურებინათ, როგორ თანდათან ქრებოდა. ახლაც მიჭირს იმ დღეების გახსენება. არის ჩემს ცხოვრებაში რამდენიმე ისეთი მძიმე მოგონება, როცა ვცდილობ ავიცდინო მათზე ფიქრი. ერთ-ერთი ასეთია – როგორ ილეოდა, ქრებოდა რიხტერი. აქამდე მიჭირს საუბარი ამაზე.

– თქვენ ახსენეთ რიხტერის ფესტივალის ტურში. მაგრამ თქვენ ხომ იმ მცირედენ მუსიკოსების რიცხვს მიეკუთვნებით, ვინც თითქმის ყველა „დეკემბრის საღამოებში“ მონაწილეობდა. გახსოვთ, როგორ იწყებოდა ეს?

– დიახ, სვიატოსლავ თეოფილის ძემ თვითონ მიმიწვია და სანამ ის ცოცხალი იყო, ბევრჯერ დავუკარი ამ ფესტივალზე. შემდეგ კი – უფრო იშვიათად. „დეკემბრის საღამოები“ მთლიანად მისი იდეა იყო, აბსოლუტურად ნოვატორული და რევოლუციურიც კი. ქვეყნად ბევრი მუზეუმი, სადაც ტარდება მუსიკალური საღამოები... მაგრამ ეს ფესტივალი რალაციით განსაკუთრებული იყო. მან აქ შეაერთა სხვადასხვა ხელოვნება – ფერწერა და მუსიკა. თვითონ წყვეტდა, როგორი იქნებოდა თითოეული ფესტივალის თემატიკა და პროგრამები. შინაარსობრივად იგი ყოველთვის იყო დახვეწილი და ელიტარული – ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ამ ფესტივალზე ძალიან ბევრი შემსრულებელი ჩამოდიოდა არა მარტო მოსკოვში, არამედ პირადად მასთან და მხოლოდ იმიტომ, რომ თვით რიხტერისაგან მიწვევა საამაყო იყო...

„საღამოების“ ჩატარება არცთუ ადვილი იყო, მაგრამ რიხტერის თანამებრძოლის და თანამოაზრის ირინა ანტონოვას წყალობით ყველაფერი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. მცირედენ უხერხულობებს ფარავდა იმის სიხარული, რომ შენ მონაწილეობ რიხტერის მიერ ორგანიზებულ ფესტივალში. მის სიცოცხლეში ფესტივალი უნიკალური იყო. ასეთი გიგანტის დასწრება საღამოებს ანიჭებდა

უდიდეს მნიშვნელობას.


– თქვენს საკუთარ ფესტივალს თელავში შეიძლება ვუნოდოთ რიხტერისეული ღონისძიება? ფესტივალში ხომ უმძლავრესია საგანმანათლებლო აქცენტი?

– როცა 80-იან წლებში დავიწყეთ ფესტივალის მზადება ოლეგ კაგანთან და ნატალია გუტმანთან ერთად, ჩვენ გვინდოდა, ის ნეიჰაუზისათვის მიგვეძღვნა. მაგრამ ეს იდეა ვერ განხორციელდა. ფესტივალი რომ თბილისში ჩატარებულიყო, საქმე უფრო მარტივად იქნებოდა. რაკი ფესტივალი ტარდებოდა თელავში, ჩვენ უნდა გვეგულისხმა ადგილობრივი თავისებურებები. ნეიჰაუზისადმი მიძღვნა გამოიყურებოდა რამდენადმე ხელოვნურად, მე კი ეს არ მინდოდა. მხოლოდ ბოლო წლებში გაიზარდა საგრძობლად ინტერესი ფესტივალისადმი. ამიტომ შემდეგი ფესტივალი, რომელიც ოქტომბერში შედგება, მიეძღვნება რიხტერს. უფრო მეტიც, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლეში, ვისი ქალიშვილიც – ნინო – გახლდათ გრიბოედოვის მეუღლე, გამოფენილი იქნება რიხტერის ახლობელ მხატვართა ნამუშევრები. წარმოდგენილი იქნება მისი საკუთარი ნახატებიც. ჩვენს ფესტივალზე მსმენელები და მუსიკოსები ჩამოდიან მთელი საქართველოდან, ჩამოჰყავთ თავიანთი მოსწავლეები, რადგან კონცერტების პარალელურად იმართება ღია გაკვეთილები. გამოსვლებში მონაწილეობენ ახალგაზრდა შემსრულებლებიც, მაგალითად, ოისტრახის სახელობის კვარტეტი. ესენი ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები არიან. მე მათთან უკვე ვუკრავდი... სისტემატურად იკრიბება საფესტივალო ორკესტრი.

– ქალბატონო ელისო, კიდევ რას მოიგონებდით რიხტერის იუბილესთან დაკავშირებით?

– ჩვენ ყოველთვის გვინდა გამოვკვეთოთ ჩვენი გრძობები, აზრები, მოგონებები, რალაც დავაფიქსიროთ, შევაჩეროთ მშვენიერი წამები. ეს თითქმის შეუძლებელია, მეშინია ვთქვა რაიმე და არ გაის-

მას ყალბად. ასეთი ადამიანის მოგონების დროს შორისდებულთა ინტონაცია ცი მნიშვნელოვანია. თქვენ შენიშნავდით: ბევრჯერ მოგონებათა თავისებურება ასეთია – ყველა გარდაცვლილი გენიოსის ირგვლივ უცებ აღმოჩნდება, რომ ყველა მისი მეგობარია. ეს ამაზრზენია. ამასაც არ კმარა და თავიანთი ფანტაზიებისა



და ვარაუდების მიტმასნებასაც ცდილობენ. გადაფურცლეთ რამდენიმე წიგნი და მიხვდებით, რომ ყველა ავტორს ამოუჩემებია თავისი რიხტერი და მის ნამდვილ სახეს თქვენ ველარც ჩამოაყალიბებთ...

ზოგიერთ ჩემს მოგონებას 100 პროცენტით მეც ვერ ვენდობი. თუნდაც, არ შემიძლია გავიხსენო მისი გამოსვლების ზოგიერთი დეტალი, თუმცა, როცა მოსკოვში ვხვდებოდი, ვცდილობდი ყველა მისი კონცერტი მომესმინა. ეს ხომ ყოველთვის კოლოსალური, ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო. მახსოვს, როგორ უკრავდა მერზლიაკოვის სასწავლებელში ბახის კარგად ტემპერირებული კლავირის პირველ ტომს, შემდეგ მეორეს. უნდა გენახათ, რა ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აფიშა არ არსებობდა, კონცერტებზე მოხვედრა შეუძლებელი იყო. წინასწარ არავინ გაუფრთხილებიათ. მაინც ხალხის ვეებერთელა ნაკადი მოაწყდა,

თუმცა ბევრმა ვერ შეძლო იქ შეღწევა. ან თუნდაც მისი კონცერტები, ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში და სხვა და სხვა. არავის წყენა არ მინდა ჩვენი თუ უცხოელი დიდი შემსრულებლებიდან, მაგრამ რიხტერის ზოგიერთ კონცერტზე სული გეკვრებოდა. მათ შემდეგ ძნელი იყო ჩვეულებრივ მდგომარეობაში დაბრუნება. ძნელი იყო თუნდაც რომელიმეს დაყენება მის გვერდით. მის დაკვრას სადღაც მიჰყავდი, მერე ეს მდგომარეობა გახსოვს მთელი სიცოცხლე.

შესაძლოა ვერ აღვადგინო მისი შესრულების რომელიღაც ტექნიკური ნიუანსი, მაგრამ ჩემი არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება, ჩემი ნარმოუდგენელი, არამინიერი მდგომარეობა ამ კონცერტებზე არ დამავინწყდება არასოდეს.

– დღესდღეობით ვინმე ახდენს თქვენზე ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებას?

– სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად. ზოგჯერ შემიძლია ვთქვა, რომ რაღაც ძალიან მომეწონა. რა თქმა უნდა, შეიძლება აღმაფრთოვანოს ვინმეს შესრულებამ, მაგრამ იმის თქმა, რომ რაღაც შთაბეჭდილებამ შემარყია, არ შემიძლია.

– ვფიქრობ, თანამედროვე მსოფლიოში იმდენი რამ ხდება, რაც ადამიანს ძარცვავს სულიერად, აიძულებს ყოფით საზრუნავებში ჩაიკარგოს... ამიტომ შესრულება ველარ არის რიხტერისეულ დონეზე მსმენელები კი ვერ განიცდიან ჭეშმარიტი მუსიკით ტკბობას.

– რა თქმა უნდა, ასეა. კონცერტზე შეიძლება აღფრთოვანდეთ შემსრულებლის ტექნიკური დონით, ვირტუოზობით. მაგრამ აი, მთავრდება ასეთი შესრულება და მისგან გულში არაფერი რჩება. ეს საშინელებაა. ჩვენ ყველამ, შემსრულებლებმაც და მსმენელებმაც ჩავინაცვლეთ რაღაც საფეხურით!

– კიდევ ერთი მომენტი. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე მივიჩნევ

სერიოზულად. შემინიშნავს, ვინც უნდა გა-
ისსენო გენიალური ადამიანებიდან, ყველა
მთრთოლარე სინაზით ეპყრობა ბუნებას,
ცხოველებს. რიხტერიც არ იყო გამონაკ-
ლისი. თუ სკამზე კატას ეძინა, არაფრით
არ ჩააგდებდა, თუნდაც ფეხზე მდგარიყო,
ოღონდ ფისო არ შეენუხებინა (ეს ცნობი-
ლი ფაქტია – ნ.მ.).

– ასეა, მაგრამ ეს არ იყო მისი სენტი-
მენტალური გულის აჩუყება, არამედ იყო
სერიოზული ცხოვრებისეული ფილოსო-



ფია. საერთოდ, ვფიქრობ, თუ ადამიანს
არ უყვარს ცხოველები, მას ადამიანე-
ბის სიყვარულიც არ შეუძლია. არ მეს-
მის, რას აკეთებს კაცობრიობა იმის ნაც-
ვლად, რომ გაერთიანდეს და ერთად უპა-
სუხოს იმ გამონვევებს, რომლებიც მის
წინაშე დგას. ბუნების გადარჩენა – იგივე
საკუთარი თავის გადარჩენა. ჩვენ ხომ
ყველას ერთი სიცოცხლე გვაქვს. და რომ
დაფიქრდეთ, რაზე ხარჯავენ მას ისინი,
ვინც იწყებს ომებს, ხოცავს ადამიანებს
და ცხოველებს, ცუდად შეიძლება გახ-
დე. და ამავე დროს ჩვენ ვიცით, როგორ
სრულფასოვნად ცხოვრობდნენ რიხტე-
რის მსგავსი გენიოსები. თუმცა მათი

დრო იყო მკაცრი, მძიმე დანაკარგებით,
მაგრამ მათი ნათელი ენერგია ყოფნიდა
ზოგადად ცხოვრების გარდაქმნას...

– თქვენს სტუდენტებს აინტერესებთ
რიხტერი? გეკითხებიან მის შესახებ?

– სტუდენტებიც სხვადასხვაგვარნი
არიან. ზოგმა მშვენივრად იცის ჩვენი
ქვეყნის პიანიზმის ისტორია. მათ შორის
რიხტერის ბიოგრაფიული ფაქტებიც! ვი-
ლაცას კი ეს ნაკლებად აინტერესებს.
ზოგჯერ გვხვდებიან მუსიკოსები, რომ-

ლებიც თავის მოკ-
რძალეზულ შესაძ-
ლებლობებს განიხი-
ლავენ მეტისმეტად
სერიოზულად. ჩვენ-
თან ახლა ხომ ყვე-
ლა გენიოსია, ყველა
ვარსკვლავია, თანაც
დაბადებიდანვე! მე
მსმენია ისიც, რო-
გორ აბუჩად მოუხ-
სენებიან რიხტერი.
ეს, უბრალოდ, სასა-
ცილოა.

როცა რიხტერი
ცოცხალი იყო, თვით

მისი არსებობის ფაქტი ყველას, ვინც კი
მას იცნობდა და აფასებდა, აკავებდა რა-
ღაც სიმდაბლისგან, სიმდარისგან. ასე-
თი მასშტაბის პიროვნებები მაღლა წევენ
ადამიანის საქმეებს და საქციელის თამა-
სას, უჩვენებენ გზას ჭეშმარიტებისაკენ,
თითქოს ანათებენ, ასხივებენ სივრცეს
თავის ირგვლივ...

საბედნიეროდ, მისი ხსოვნა არ გვაძ-
ლევს უფლებას, ერთმანეთში ავურიოთ,
სად არის ცრუ და სად ჭეშმარიტი სიდი-
ადე!

თარგმნა
ნესტან მესხმა



ჯანი ბეიანიძე

მითოსურ-ფოლკლორული ნაკადი ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებაში

ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედების წყაროთა შორის ქართული კლასიკური მწერლობის, პოეტის თანამედროვეობისა თუ საქართველოს ისტორიიდან აღებული თემების გარდა შეინიშნება მძლავრი მითოსურ-ფოლკლორული ნაკადიც. მასთან განსაკუთრებით მძლავრია ქართული ხალხური პოეზიის ინტონაციები, სტილი, პერსონაჟები, სახეები. ამასთან, არცთუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება ანტიკური მითოსის და შუამდინარული მითოლოგიის გამოყენების შემთხვევები. მითოსურ-ფოლკლორული მასალა ჯანსუღ ჩარკვიანს თავისი თანამედროვეობის შესაბამისად, საკუთარი ხელწერის შესატყვისად გადაუმუშავებია და მის ახლებურ გააზრებას გვაძლევს. ანტიკური თუ შუამდინარული მითოსის და ქართული ფოლკლორის გამოყენება ჯანსუღ ჩარკვიანის თაობის ქართველი პოეტებისთვის (მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, მორის ფოცხიშვილი, ოთარ ჭილაძე და სხვები), უცხო არ არის – ისინი წარმატებით იყენებენ მათ. ახალია ის მნიშვნელობა, რომელსაც ჯანსუღ ჩარკვიანი ანიჭებს გამოყენებულ მასალას, გარდატეხს რა მას საკუთარ პოეტურ პრიზმაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტიკური მითოსის

გამოყენების შემთხვევები ზემოხსენებულ პოეტთა შემოქმედებაში, რომელნიც ერთგვარად ხარკს უხდიან დადგენილ ტრადიციას – ანტიკური მითოსის საშუალებით გადმოსცენ საკუთარი სათქმელი. თავისი თაობის სხვა პოეტებისგან განსხვავებით ჯანსუღ ჩარკვიანი ანტიკურობას შედარებით ნაკლებად გამოიყენებს. ეს შემთხვევები ამინდს ვერ ქმნის, მაგრამ მაინც საგულისხმოა, ვინაიდან ამდიდრებს და სიღრმეს სძენს პოეტის შემოქმედებას; ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიის მთავარი წყარო მაინც ქართული ფოლკლორია, ჩვენი ხალხური პოეზიაა, რაც კიდევაც აღუნიშნავთ ჩვენამდე ელგუჯა მალრაძეს და მაკა ჯოხაძეს ჯანსუღ ჩარკვიანის ოთხტომეულის წინასიტყვაობაში. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით, ჯერ კი განვიხილავთ იმ მაგალითებს, რომლებიც ანტიკური მითოსის ათვისება-გათავისებას ეხება. პოემაში „რწმენის კედელი“ გვხვდება ასეთი სტრიქონები:

**ფერეიდანი მჭირსა, რჯულძაღლო,
ფერეიდანი და საქართველო.
მინდა იმ წუთში შემოვუძახო
და გულში ისარს მტყორცნის**

კენტავრი...

ვაჟა-ფშაველას პოეზიის მოტივებს აქ

მოხდენილად ერწყმის ანტიკური მითოსის პერსონაჟის, ცხენ-კაცის, კენტავრის ხსენება – კენტავრი ნესოსი ბერძნული მითოსის გმირის, ჰერაკლეს მტერი იყო და ებრძოდა მას. საქართველოს მტრის სახე სწორედ კენტავრის სახეშია პერსონიფიცირებული, ისევე, როგორც ლექსში „გაზაფხული“:

**მთვარეში მოჩანს ტყუპი კენტავრი
და ლურჯი ქრისტე ჯვარზე გაკრული.**

კენტავრის დაკავშირება მთვარესთან და ქრისტესთან ერთობ ორიგინალურია და პოეტის ოსტატობაზე მეტყველებს. აღსანიშნავია ასევე, რომ ჯანსუღ ჩარკვიანთან კენტავრი ტყუპია, რაც უკვე სიახლეა.

ჰერაკლეს ხსენება გვხვდება პოემაში „პარალელური ხაზები“, შერწყმული პოპულარულ ქართულ გადმოცემასთან – ბაზალეთის ტბის ოქროს აკვნის ლეგენდასთან:

**აქ გაჩნდა კაცი,
მთათა შუა, სამხრეთ კავკასის,
თუ საკრამულებთან,
ბაზალეთის ოქროს აკვანში.
მთავარია, რომ კაცი გაჩნდა
ნასახლეზე,
ჩვენს ურამდელი ჭრილობები
აჩნდა სახეზე.
როგორც ჰერაკლე,
დადიოდა ლომის ტყავითა,
იდგა მინაზე სიმხნევითა
და სიმყარითა.**

პოემაში აღწერილი გმირი ჰერაკლესავით უკვდავი ქართველი გმირია, რომელიც ჰერაკლესავით ღალატით მოკლეს. მისი ბედი ისევე ტრაგიკულია, როგორც ჰერაკლესი:

**ერთ წლამდე ზარით უგლოვიათ
ღმერთის სწორფერი,
წლის თავზე მეხი დასცემია
გმირის ობელისკს (ეს „ზარით გლოვა“
უკვე ქართული ფოლკლორია).**

პოემაში „გაფრთხილება“ პოეტი ასეთი სიტყვებით მიმართავს სამშობლოს:

**და სანამ შენს მხარს ვყავარჯნობ,
სანამ არ მექვია დაღლილი,
მე ცერბერივით გდარაჯობ,
ანუ ერთგული ძაღლივით.**

ლათინური ცერბერი, ბერძნული კერბეროსი ანტიკურ მითოსში ჰადესის დარაჯი, საშინელი ურჩხული, რომელიც ჰადესში ყველას უშვებდა, იქიდან გარეთ კი არავის, ჯანსუღ ჩარკვიანს ორიგინალურად დაუხატავს. კერბეროსი ბერძნულ მითოსში უარყოფითი მნიშვნელობით არის მოცემული, ჯანსუღ ჩარკვიანის პოემაში კი მას დადებითი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული – ერთგულების სიმბოლოდ არის გამოყვანილი.

ანტიკური, ბერძნული მითის იშვიათი ვარიანტია დამუშავებული პოემაში „პარალელური ხაზები“, სადაც მოხსენიებულია გმირი თეზევსი და მისი საგმირო საქმეები. მას უთუოდ მოეპოვება პროტოტიპი, ისეა აღწერილი, ოღონდ ვინ, ეს უკვე ძნელი სათქმელია. სავარაუდოდ, ეს შეიძლება ავტორიც იყოს. მოხსენიებული მითი უკავშირდება სიმონიდეს კეოსელს (ძვ.წ.556-468წ.წ.), ბერძენ ლირიკოსს, რასაც თვითონ პოეტი აღნიშნავს ერთ-ერთი თავის სათაურში: „სიმონიდე კეოსელი – ბერძენი ლირიკოსი“:

**ფეას ეძახდნენ კრომიონის გარეულ
ლორსა.
ყველაფერს სჭამდა, ინუნებდა
რატომლაც რკოსა.
ამ ლორში იჯდა კაცისმკვლეელი, ერთი
ყაჩალი,
თავის ბებუთით, თავის ეშვით, თავის
ნაჯახით.
გამვლელ-გამოვლელს ძარცვავედა და
ხეზე ჰკიდებდა,
გადარცულები იძახოდნენ:
„მძარცველს დიდება“.
თეზევსმა მოკლა ყაჩალი და მიუგდო
ღელეს,
ის სიკვდილის წინ იძახოდა: „დიდება
მკვლელებს“.
მე ორთაბრძოლა წავაგეო – ბრძანა
თეზევსმა,**



*თვისი სახელი მაკადრაო ყოვლის
შემძლესა.
ავაზაკებში გადაეშვა, სიკვდილს
ექებდა.
მძარცველ სკირიონს ორღესული
დაჰკრა ფერდზედა.
ერთი ყაჩალი, ღორის ნიღბით, ერთი
მძარცველი,
ერთიც მართალი – ავაზაკთა
თავზარდამცემი.
მაგრამ თუ იტყვის ისტორია ცოდვას
გამხელილს:
სამთავე ივლის ქვეყანაზე მკვლელის
სახელით.*

აქ აღწერილია თუ რა გმირობა ჩაი-
დინა ათენში მამასთან მიმავალმა თე-
ზევესმა, როგორ მოკლა გარეული ღორი,
ტიტონისა და ექიდნას ნაშობი, რომელიც
ქალაქ კრომიონს აოხრებდა; გარდა ამი-
სა, მან მოკლა ღმერთი ჰეფესტოს შვილი
პერიფეტე, რომელიც მგზავრებს უმიზე-
ზოდ ხოცავდა. შემდეგ თეზევესმა მოკლა
„პიტიოკამპტოსი“ – ისთმოსის ფიჭვნარ-
ში მცხოვრები ფიჭვთამდრეკელი სინისი,
რომელიც გამვლელებს წამებით ხოცავ-
და – ორ ფიჭვს მოდრეკდა, ადამიანს ფე-
ხებით კენწეროებზე მიაბამდა და შემდეგ
ფიჭვებს აუშვებდა – მსხვერპლი შუაზე
იხლიჩებოდა. ასევე თეზევესმა მოკლა
ავაზაკი სკირონი, რომელიც ყველა გამ-
ვლელს აიძულებდა, მისთვის ფეხები და-
ებანა და, როცა მსხვერპლი დავალების
შესასრულებლად დაიხრებოდა, სკირონი
მას კლდიდან აგდებდა ზღვაში ამოშვე-
რილ წვეტიან ბრეკებზე. თეზევესს ასევე
კეფისის ველზე შეხვდა „გამჭიმავი“ ყაჩა-
ლი პროკრუსტე თავისი სარეცლით, რო-
მელიც თეზევესმა ისევე მოკლა, როგორც
ყაჩალი ხოცავდა თავის მსხვერპლთ – ჭი-
მავდა ან ფეხებს აჭრიდა. ეს იყო თეზევე-
სის უკანასკნელი გმირობა. ჯანსუღ ჩარ-
კვიანს თეზევესის მითი სიმონიდეს კეოსე-
ლისგან უნდა ჰქონდეს აღებული, რომე-
ლიც თავისთავად მითოსს ემყარება.

არგონავტების მითის გამოძახილს
ვხვდებით ლექსში „ლადო ასათიანს“, სა-

დაც საქართველოს მძიმე მდგომარეობაა
აღწერილი:

*ემშაკის კერძი გამოჩნდა,
რქები აქვს ოქროს ვერძის,
გარეშე მტერი მოძალდა,
ჩვენ კი თვისტომებს ვებრძვით.*

მითოსის გამოყენების თვალსაზრისით
ერთობ საინტერესო სურათს გვაძლევს
ჯანსუღ ჩარკვიანის პოემა „ეა“, რომე-
ლიც შუმერულ-აქადური მითოსის მო-
ტივებზეა აგებული, რასაც თვითონ ავ-
ტორიც აღნიშნავს – ეპიგრაფში უწერია
„შუმერული პოემა“. აქ მოხსენიებული
ენქი (შუმერულად „ბატონი მინა“) შუმე-
რული წარმოშობის ღმერთია, რომელიც
მამრობითი პანთეონის ტრიადაში მესამე
ადგილზეა ეას სახელით (ანუ ენლილეა).
შუმერული მითოსის მიხედვით, ეა და-
კავშირებულია დილმუნის ქვეყანასთან,
უფრო ზუსტად, იგი ამ ქვეყნის პირველ
მცხოვრებად არის გამოყვანილი. სხვა,
უფრო გავრცელებული ტრადიციის თა-
ნახმად, ეას სამყოფელი მტკნარი წყლე-
ბის ოკეანეა, საიდანაც მისი ძალით ჩქეფს
ყოველი წყარო და მოედინება ყოველი
მდინარე დედამიწის ზურგზე. როგორც
წყლის მომნიჭებელი, ეა წარმოდგენილია
ხარად, რომელიც თავისი უხვი „თესლით“
ავსებს მდინარეთა კალაპოტებს (ზურაბ
კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის
ლექსიკონი, მეცნიერება, 1984, გვ.25). ეა
მონაწილეობს პირველკაცის გაჩენაში და
ამიტომაც შუამდინარულ მითოლოგიაში
იგი კაცობრიობის მფარველ ღვთაებად
მიიჩნევა. მისი წყალობით გადაურჩა წარ-
ღვნას ერთადერთი ადამიანი ზიუსუდრა,
იგივე უთანაფიშითი, რომელსაც უნდა
აღედგინა წარღვნის შედეგად დაღუპუ-
ლი ცივილიზაცია. შემთხვევითი არ არის,
რომ, ბაბილონური თეოგონიის თანახმად,
ეას პირმშოა მარდუქი, რომელიც აბზუ-
ში, მის სამფლობელოში იბადება. ამავე
ეპოსში მოთხრობილია, როგორ დაამარ-
ცხა და შებორკა ეამ ქაოტური სანყისი
აბზუ და როგორ აქცია იგი თავის სამ-
ფლობელოდ (იხ. კიკნაძე, გვ.26).



ჯანსუღ ჩარკვიანის პოემაში „ეა“ აღწერილია ღმერთთა ეს ბრძოლა, კეთილსანყისად მიჩნეულია ეა – ახალი თაობის, მესამე თაობის ღმერთი:

**ჩამავალ მზეს მივესალმე,
ხვალ ისევ ამოფრინდება,
ეა, შენა ხარ მესამე,
ვინც ამომავალს გვპირდება!**

ახალი თაობის ბრძოლა თვითდამკვიდრებისთვის, ძველი, დახავსებული სამყაროს რღვევა, თაობათა ბრძოლა პოემაში შუმერულ-აქადური მითოსის მოტივებით არის გამოხატული. პოემაში გვხვდებიან შუამდინარული მითოსის პერსონაჟები – აბზუ, აბუბუ, შამაში, ნანნა, ალადი, აზაგი, არურუ, მართუ, იშხარი, ენქიდუ და ისინი დაკავშირებულნი არიან ქართულ, უპირატესად სვანურ სამყაროსთან (მაგ.: „ო, დიდო შხარა, აღავლენენ იშხარის ლოცვას“). პოემაში ჩართულია აგრეთვე ამირანის – ახალთაობის გმირის სახე, რომელიც დახატულია ამირანის ეპოსის მოტივების გამოყენებით:

**ვერძის სამი ნახტომით ბორკილები
დალენა,
შავი ზღვიდან ამოდის, გვერდით
მოსდევს ფასკუნჯი.
ისე გამოიარა გველეშაპის მუცელი,
მოიმწყვდია ზამთარი თვალუნვდენელ
ლაჯებში.
ერთხელ როგორ მოკვდება სამჯერ
დაბადებული?
ერთხელ დედის მუცლიდან, ერთხელ
ხარის ფაშვიდან,
ერთხელ ზღვის ტალღებიდან,
მაგრამ რადგან ვაჟია, რადგან
შუბლმზიანია,
უსათუოდ, უსათუოდ უნდა იხსნას
მზე.**

ფასკუნჯი ამირანის ეპოსში არ გვხვდება, სამაგიეროდ, გვხვდება ქართულ ხალხურ ზღაპრებში, როგორც სამყაროს სამი სკნელის შემაერთებელი, და ამავე მნიშვნელობით უნდა იხსენიებოდეს ჯანსუღ ჩარკვიანის პოემაშიც. ამირანის ინიციაციის აღწერის დროს პოეტი უნ-

და გულისხმობდეს გამარჯვებულ ახალთაობას, რომელმაც ამირანივით გაიარა ინიციაცია თაობათა ბრძოლაში.

ქართულ ფოლკლორში ესოდენ ხშირად გამოყენებული სახე დევისა ხშირად გვხვდება ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიაშიც თავისი დადებითი თუ უარყოფითი მნიშვნელობით და ყველგან მოხდენილ შედარებას ქმნის:

**გულდაჩეხილი მუზარადები
აცვიათ დევებს ცხრათავიანებს**
(„სახელი“),
**ასევე – „და იდგნენ მთები, როგორც
დევები,
ელანდებოდათ ყოველლამე კოშკი
შეშლილი,
ახალი მთვარე, ცხრათავიან დევის
ეშვივით“** („სამი თამარი“),
**ან – „გიყვები ზღაპრებს, დევებს
ვუხმობ ცხრათავიანებს“** („ეა“).

ლექსში „თავო ჩემო“ დევი თავისი ზღაპრისეული მნიშვნელობით არის ნახსენები:

**კი ბატონო, ზღაპარია,
იყო, მაგრამ არა იყო,
იმ კლდეზე რომ ნაპრალია,
წვიმის წყალი ჩამდგარიყო.
მაგრამ ვერცა დევი ნახო,
ვერცა კიდევ ეშმას სახე.
გულში უნდა შეინახო,
რაც ნახე და ვერა ნახე.**

ამ ლექსში ყურადღებას იქცევს ასევე ქართული ხალხური ზღაპრის დასასრულის გადამღერება: „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი მომკვდარიყო...“

ლექსში „სიკეთე“ დევი ცხრათავიანია და ადამიანის მტერია ისევე, როგორც გველეშაპი:

**გველეშაპის და ცხრათავა დევის
მუქარით ცეცხლის ალი ვერ ჩაქრეს.**

საგულისხმოა, რომ ადამიანის მტერი გველეშაპი ერთობ ორიგინალურად ჰყავს პოეტს დახატული ლექსში „დედა“, სადაც გველეშაპი სიმბოლურად დროს, წელთასვლას უნდა აღნიშნავდეს და ფილოსოფიურად უნდა იყოს გააზრებული:



*გიმზერ ბუხართან დალილს და
დაცლილს,
ირგვლივ სიზმრული ფრენენ
ზღაპრები,
გველეშაპები ნავიდნენ მკაცრნი,
მოვიდნენ ნაზი გველეშაპები.*

„ჯანსუღ ჩარკვიანი ხალხური ინტონაციების, უმეტესად მთის ინტონაციების მხოლოდ ბრწყინვალე ინტერპრეტატორად კი არ გვევლინება, არამედ ხშირად თავადაცაა მათი შემქმნელი“ – ამბობს მაკა ჯოხაძე და ეს მართლაც ასეა:

*ნეტავ შენს საიქიოსა, შიგ შეხვალ
მტრედის ფერადო,
ცალ ფრთასა მეც მათხოვებდე
შენსკენ გამოსაფრენადო,
ამირანივით იცოდი დევებთან
დაჭიდებო,
გენუკვი, თან ნამიყვანე, მოახლე
დაგჭირდებო.*

ამირანი, ბოროტ დევებთან მებრძოლი, არაერთგზის ჰყავს ნახსენები პოეტს:

*„მუხა – ფესვით და კორძახით,
ერის რთველო და მზის ლხინო,
ხოლო ამირან მოგვძახის –
მასვით დევების სისხლიო“.*

ანდა – *„იყო ამირანიც, ყარამან
ყანთელიც,
იყო მილიონი ცხვარ-ძროხის
დამთვლელი“* („იყო“).

ასევე – *„ეს მიჯაჭვული ამირანია,
რომელსაც ყურშა მოუკლეს თოფით“* („ეა“).

და არა მხოლოდ ამირანი იყო მტერთან – დევებთან მებრძოლი, არამედ კოპალაც, ღვთისშვილი:

*კოპალას სისხლო, ამირანის სისხლო
ჩახჩახა,
შენ ვინც აგრეხა, შენს ძირშივე
მოკვდა ყაჩაღად
„ვაზის საგალობელი“.*

პოეტს პოემაში „ჯაჭვის თორანი“ ასევე ნახსენები ჰყავს დევებთან მებრძოლი გმირი იახსარი, კოპალას მოძმე ღვთისშვილი.

ამირანის ეპოსის პოეტური ვარიანტის

გამოძახილი ჩანს ლექსში „პატარა გოგო დამეკარგა“, რაც სიღრმეს მატებს ლექსს:

*ღრუბელ-ღრუბელ ვარონინე
თამარი და თამარისი,
ვინც მე იმას მაპოვნინებს,
ჩემი სული ალალ მისი.*

მონადირის ციკლის გმირი ბეთქილი გვხვდება ლექსში „ვაჟას ხმა“, სადაც პოეტი ბეთქილს ლირიკულ გმირთან აიგივებს და მის სახეს მითოსურ სიღრმეს სძენს:

*მაინც შენით ვარ აქამდე,
შენი სიმკაცრით ხელთვემნილვარ,
ქვა დამეც, უფრო გავქვავდი,
უფრო ვიქეცი ბეთქილად.*

ქართული ხალხური პოეზიის გმირის, კაი ყმის არაერთგზის ხსენება გვხვდება ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებში, როგორც იდეალი გამქრალი გმირისა:

*„ალარც არსებობს სიმრავლე
მამულში კაი ყმისაო“* („ტირილი“).
ასევე: *„საკართანოსაც იტყვიან,
იტყვიან კაი ყმისასა,
აქეთ მოყვრისას შაჰფრენენ, იქით
ჩაქოლვენ მტრისასა,
კარგ ყმას კარგ ღვინო უნდების,
ცუდას ჯოჯო და შამანი,
სანნახელ აფთიაქია – ღვინოა ჩვენი
ნამალი“* („ვაზის საგალობელი“).

კაი ყმა ზოგჯერ პერსონიფიცირებულია პოეტის სახეში, პოეტის იდეალში, ლექსის ლირიკულ გმირში (იხ. „მუჟღვერ – მზე მიდის“). მირზა გელოვანისადმი მიძღვნილ ლექსში კი კაი ყმად მირზა გელოვანია შერაცხული. ასევე ხალხური ლექსის გამოძახილს ვხვდებით სტრიქონებში:

*როგორც ვერ განვრთნი არწივს,
ვინ თქვა კაი ყმის განვრთნა.*

პოემაში „გაფრთხილება“ ასევე გვხვდება კაი ყმა, რომელიც აქ ქართველ ვაჟკაცს აღნიშნავს, პატრიოტს და სამშობლოსთვის თავდადებულს, რომელსაც საკარგყმოდ „ბარი უნდა დაუკლან მზის მაცქერალი“ („მგლები“).

ქართული ხალხური ლექსი „თხამ ვენახი შეჭამა“ ოსტატურად არის გამოყე-



ნებული პოეტის თანამედროვეობის დასახასიათებლად:

**ბერსიკვდილი თუ დაგვაცლის,
თორემ მალე მზე ჩავა,
ბოლმამ შური, შურმა კაცი,
კაცმა კაცი შეჭამა.**

პოეტთან არაერთგზის გვხვდება სურამის ციხის ლეგენდის გამოძახილი, რომლითაც იგი საქართველოს მძიმე მდგომარეობას ასახავს და ახალ გმირს ახასიათებს, აცხადებს სამშობლოსთვის თავის განწირვისთვის მზადყოფნას, მოიხსენიებს თავდადებულ გმირებს, აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოების მებრძოლებს („ცრემლი“, „ზურაბის გახსენება“, „ქვები“ და სხვა).

ჯანსუღ ჩარკვიანს არაერთი ქართული ხალხური ლექსი აქვს გადამუშავებული და გამოყენებული ახალი სათქმელისთვის. მაგ. „მზე დედაა ჩემი“ მასთან ასე გამოიყურება:

**მზე დედაა, მთვარე მამა,
ცის ქვეშ ჩემი სახლია,
გაქცეული ვარსკვლავები
გულში ჩამიმარხია**

(„ეკლის გვირგვინი“).

იგივე ლექსია გამოყენებული პოემაში „მეექვსე დღე“, იქვე მის ციტირებასაც ვხვდებით.

ლექსში „ჩიტი“ გვხვდება პერიფრაზები ქართული ხალხური სიმღერებიდან „ჩიტო, გვრიტო, მარგალიტო“ და „ინდი, მინდი, ფერად შინდი“, რომლებიც ახალ კონტექსტშია ჩართული და განწყობილებას ქმნის. ასევე – საკუთარ განწყობილებას გადმოგვცემს პოეტი ქართული ხალხური ლექსის „მზეო, ამოდი, ამოდის“ გამოყენებით:

**კვლავ არაფერი გამოდის,
კვლავაც ეშმაკი მბატონობს,
მზეო, ამოდი, ამოდი,
ამო რა, შე უპატრონო...**

საქართველოს უკვდავების სიმბოლოდ აქვს გამოყენებული ჯანსუღ ჩარკვიანს „ვეფხისა და მოყმის“ ლექსის მოტივები (იხ. ლექსები „ჩამქრალი კერია“, „ერთან-

მინდა“, „და ვეფხის დედას ვეტყვი სამძიმარს“, „ოცი წლისანო!“ და სხვა, სადაც მოყმედ ქართველი თანამედროვე ვაჟკაცია მიჩნეული).

ხალხურ კილოზეა დანერგილი პოეტის მთელი რიგი ლექსები, სადაც ვხვდებით დიალექტიზმებსაც და პერიფრაზებსაც ხალხური ლექსებისა, გამოყენებულს სამშობლოსადმი სიყვარულის გამოსახატავად (უსათაურო „აბა რა გითხრა, რა მიყვარს“, უსათაურო „ველკეთილს იქით თოვლია“, პოემა „ჯაჭვის თორანის“ ეპიზოდი „ხმა იდუმალი“ და სხვა), მაგ.:

**ვას შენსა მზესა – დედასა,
ვას შენსა მამას მთვარესა,
ვას, შენსა ცხენსა ბერდაგსა
მინდორი გაუთავესა.**

პოემის „მეექვსე დღე“ ერთ-ერთი მოქმედი პირია ხალხური მთქმელი შორით ბათარეკა, რომლის ნათქვამ ლექსშიც პოეტს გამოუყენებია მსოფლიო ფოლკლორში პოპულარული ზღაპრული მოტივი მეზადურის და ოქროს თევზისა. ნიშანდობლივია, რომ აქ მოქმედება მტკვრის ნაპირას მიმდინარეობს და მე-თევზე ქართველია:

**მდინარე მტკვრიდან ოქროს თევზი
ამოჰყვა ბადეს,
მეთევზე გეო სიხარულით აღზევდა
ცამდე.
ოქროს თევზმა კი მოიქნია კული
ლამაზად –
აგისრულებო: სამი რამე მთხოვე
ანაზღად.
მეთევზე გეოს ზედ დაასხდნენ
თვალეები შუბლზე,
ისე, ვით ცხენზე მშვენიერზე –
შემოჯდა შურზე
და სთქვა: პირველი – ძმის ვენახი
ამიჩხეო,
მეორე – მოჰკალ ჭაჭულაანთ ღამის
მეხრეო.
მესამე – მომეც ჯანი ვით ვირს –
თვალეებსაცრიანს...
ეს თქვა და თევზმა გეო ვირად
გადააქცია.**



პოეტის ოსტატობაზე მეტყველებს, რომ ცნობილი ზღაპრის სიუჟეტი ქართული სინამდვილის შესაბამისად გადაამუშავა და ორიგინალური გააზრება მისცა, იუმორით შეფერილი ფინალით შურიანი ადამიანის ბედი გადმოსცა.

ამავე პოემაში ვხვდებით ზღაპარ „წითელქუდას“ მოტივებსაც, გააზრებულს ერთობ ორიგინალურად და ფილოსოფიურად:

**რის მჩაგვრელი, რა მჩაგვრელი,
ტყეში გოგო თავის იღბალს უცდიდა,
მონადირემ გაჭრა მგელი,
წითელქუდა არ გამოდის მუცლიდან.**

წითელქუდა ნახსენებია ასევე პოემაში „ეა“ ერთ-ერთი პერსონაჟის – ირინოლას დასახასიათებლად („ეს მე ვარ, წითელქუდას კაბა მაცვია“).

აქვე გვხვდება კაფიაობაც. კაფიაობენ პოემის პერსონაჟები – ოლია და პოეტი. მთელი ეს ტექსტი ხალხურ კილოზეა შექმნილი და ქართული კაფიაობის მიხედვით გამართული, აღსავსე სხვადასხვა ხალხური და წარმართული მოტივით, რაც ლაშარის ხსენებით გამოიხატება. იგივე შეიძლება ითქვას პოემა „პარალელური ხაზების“ ეპიზოდზე „ფშაური ლეგენდა“, სადაც მოთხრობილია ლაშარის ჯვრის ამბავი, ნახსენებია ბაზალეთის ტბის ოქროს აკვანი – ქართველი გმირის გამზრდელი – და ანტიკური ჰერაკლე შედარებულია ქართველ გმირთან. აქვე გამოყენებულია ქართული ანდაზაც „კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო“.

ლაშარის ჯვარი რამდენჯერმე გვხვდება ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიაშიც. მაგ. პოემაში „მირზა გელოვანი“ – იხ. თავი „მახსოვარი“. ყურადღებას იქცევს სიტყვა მახსოვარის გამოყენებაც – მახსოვარი არის ძველის მცოდნე, გამხსენებელი.

პოეტი ასევე იხსენიებს სამას არაგველსა და ცხრა ძმა ხერხეულიძეს, როგორც ლეგენდარულ გმირებს (ლექსი „დედა“).

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიაში ქართუ-

ლი ანდაზების და ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმების გამოყენება. მაგ. გამოთქმა „ძაღლის ბედი“ ილბლიანობის მნიშვნელობით გამოყენებულია ლექსის „ძაღლის ბედი“ რეფრენად: „*მე რომ ჩემი ძაღლების ბედი მაინც მქონოდა*“. ასევე „ძაღლის ბედი“ გვხვდება ლექსში „ბედი კაცისა და ძაღლისა“, ფილოსოფიურად გააზრებულ-გაგებულნი:

**მაგრამ ნაწნალი პურის ძებნაში
ძაღლის და კაცის იქნებ ხვედრია?
რას იზამ, ძმაო, ამ ცხოვრებაში
ძაღლს – კაცის, კაცს კი ძაღლის
ბედი აქვს.**

ასევე, ანდაზა „შეძახილით ხე გახმაო“ გვხვდება ლექსში „იქნებ აყვავდა?“:

**რაცა ხარო, ეგა ხარო, ნალარით და
ბუკითა,
„შეძახილით ხე გახმაო“, აყვავდაო,
თუ გითქვამს?**

როგორც ვხედავთ, ანდაზა აქ ახალი აზრით არის დატვირთული.

ანდაზა „ყვავსაც თავისი ბახალა უყვარსო“ გვხვდება პოემა „რწმენის კედელის“ დასაწყისში, ასევე ფილოსოფიურად გააზრებული:

**დაბრუნდი უკან, დაბრუნდი უკან,
შენს სალამურზე ვილაცა უკრავს,
ყვავსაც კი თავის ბახალა უყვარს,
გემუდარები, დაბრუნდი უკან.**

ანდაზა „ობლის კვერი ცხვაო, გვიან გამოცხვაო“ გვხვდება პოემაში „გაფრთხილება“, სადაც იგი შემდეგნაირად არის გადამუშავებული:

**აღსდგა და გამოგვეცხადა,
ორნი თვალნი აქვს ორბისა,
ცაზე მზისნაირ მზეს ხატავს,
კვერი გამოცხვეს ობლისა.**

ეს ობლის კვერი გვხვდება ასევე პოემაში „ჯაჭვის თორანი“ გაჭირვებული ადამიანის საბოლოო გამარჯვების აღსანიშნავად. ობლის კვერია ნახსენები პოემაში „ქვები“ პოეტის თანამედროვე თუ გარდასული გმირების საქმიანობის აღსანიშნავად:

**ნატანჯი და ნაგვემი, კვერს ობლისას
აცხოვდით.**

**ქვებში დაიკარგენით, მაგრამ ქვებში
გაცოცხლდით.**

ანდაზა „ასჯერ გაზომე, ერთხელ გას-
ჭერი“ გვხვდება პოემაში „გაფრთხილე-
ბა“: „სიფრთხილე – უცებ ნუ აღტაცდები,
ასჯერ გაზომე ერთხელ გასჭერი“. აქვე
გვხვდება ანდაზა „ერთი თხილის გული
ცხრა ძმამ გაიყო“, რომლითაც პოეტი
იტალიის ეროვნულ გმირს, ფორე მოსუ-
ლიშვილს ახასიათებს:

*ვინ შემოგვრჩა, ღმერთმა იცის,
ერთხილი,
სად გაიყო ცხრა ძმამ ერთი თხილი.*

ხატოვანი გამოთქმა „ციხე შიგნიდან
ტყდება“ გვხვდება პოემაში „გამოეყო
ნათელი წყვიდად“:

**და თუ ოდესმე შენი ციხე გატყდა
შიგნიდან,
მე დამაბრალე, მეციხოვნე მე ვარ
რადგანაც.**

განსაკუთრებით ხშირად მიმართავს
ჯანსუღ ჩარკვიანი ქართულ ხალხურ პო-
ეზიას. რიგ შემთხვევაში იგი ახდენს ციტი-
რებას ამა თუ იმ ხალხური ლექსისა, რიგ
შემთხვევაში კი გადამუშავებული სახით
წარმოგვიდგენს საკუთარი, ახალი სათქმე-
ლის გადმოსაცემად. მაგ. პოპულარული
ქართული ხალხური ლექსი „კიდევაც და-
იზრდებიან“ მას ახლებურად გაუაზრებია
პოემაში „გამოეყო ნათელი წყვიდად“:

**ვდღესასწაულობთ, გამოეყო ნათელი
წყვიდადს,**

ალგეთს ლეკვებსა ისევა წვრთნიან!
ამ თვალსაზრისით საინტერესოა პოე-
მა „ჯაჭვის თორანიც“:

**ჯარისკაცებს იხსენებენ რწმენითა და
იმედით...**

**მგლები ალგეთისელები ბოლომდე
ვერ მივედით.**

ალგეთის მგლის ლეკვები საქართვე-
ლოს მომავალი თაობაა, რომელსაც პოე-
ტი შეჰხარის და იმედით შეჰყურებს.

ამავე პოემაში გვხვდება გადამუშავე-
ბული ქართული ხალხური ლექსი „ბინ-
დისფერია სოფელი“ თავისი ფილოსოფი-
ური მნიშვნელობით:

**„ძნელი ყოფილა, ძნელი ყოფილა
ერის ჩუქურთმის სულში შენახვა,
ბინდისფერია ნუთისოფელი,
არ დაანებო მისი შელახვა“.**

ანდა: **„ბინდისფერია სოფელი,
თანდათან უფრო ბინდდება,
კარ გვიბავ ცოდვა-მადლისა, კარგსა
არაფერს გვპირდება...
... ვაი, რა სიომ მოჰბერა, უშენოდ
გაგვიჭირდება.
ბინდისფერია სოფელი, თანდათან
უფრო ბინდდება“.**

აქ ფოლკლორული მასალის გამოყენე-
ბით გამოხატავს პოეტი თავის უკმაყო-
ფილებას თანამედროვე ყოფის გამო.

ზემოხსენებულ პოემაში გვხვდება
ხალხური ლექსიც „მოვიჩქაროდი შენკე-
ნა!“ ასევე სხვადასხვა მოტივები ხალხუ-
რი ლექსებიდან, მაგ.:

**თუ გათენდები, გათენდი,
მზე დაწვა, მთვარე შობაო,
ნუხელ მგელს ცხვარსა ვართმევი,
ღმერთმა თქვა გამარჯობაო.**

პოეტის ოსტატობაზე მეტყველებს ის,
თუ როგორ ერწყმის ხალხურობა პოე-
ტის ხმას. აქვე გამოყენებულია ქართუ-
ლი ხალხური ხმით ნატირლები, სადაც,
გარდა ხალხური კილოსი, ახალი სათქმე-
ლის გამოსახატავად გვხვდება ჩართული
სტრიქონებიც. მაგ.:

**ბათაკავ, გული დამღლია,
გული, რომელიც ძმის არის,
ვინც ჩემზე იტყვის ლალია,
ჩემსავით ლალიმც ის არის.**

მომავლის იმედის და ახალი ცხოვ-
რების იმედის გამოსახატავად გამოუყე-
ნებია პოეტს ქართული ხალხური ლექსი
„ზენ ბაცალიგოს თოვლი თოვს“ პოემაში
„ჯაჭვის თორანი“:

**ზენ ბაცალიგოს თოვლი თოვს,
ქვენ ბაცალიგოს შრებაო.
ისევ იპოვის ტოლი ტოლს,
ყვავილიც გაიშლებაო.**

პოემაში „გაფრთხილება“ გამოყენე-
ბულია პერიფრაზი ხალხური სიმღერისა
„ნუთისოფელი ასეა“, აქ საქართველოს



მომავლისადმი რწმენაა გამოხატული:

**მე შევლევდვარ ძმობას და თრობას,
ამქვეყნად ვინმე თუ შევლევია,
დაუნგრევია სოფელი მტრობას,
მაგრამ სიყვარულს უშენებია.**

ჯანსუღ ჩარკვიანი თავის ლექსებში ხშირად იხსენიებს ქართულ ხალხურ სიმღერებს, როგორც საქართველოს სიმბოლოს, ქართული სულის მატარებელ რელიეფს. ყველაზე ხშირად იგი ახსენებს მზის სვანურ ჰიმნს „ლილეს“, რომელიც ზოგან შუმერული მზის ღმერთის – შამაშის სახელთან არის დაკავშირებული (იხ. პოემები: „ეა“, „სვანეთი“, „ღია ბარათი“, „მუჟღვერ – მზე მიდის“, „რწმენის კედელი“); ლექსში „ანზორ ერქომაიშვილს“ ნახსენებია „მრავალჟამიერი“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „კუჩხი ბედინერი“; ლექსში „111 წლის შემდეგ“ კი მოხსენიებულია „ჩაკრულო“.

ხშირად ახსენებს პოეტი ზღაპარს, ზღაპრულს ძალიან კარგის, შესანიშნავის მნიშვნელობით. საგულისხმოა, რომ იგი იყენებს ზღაპრის ფინალის ტრადიციულ სტრიქონებს „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“ (იხ. ლექსი „თავო ჩემო“):

**კი ბატონო, ზღაპარია,
იყო, მაგრამ არა იყო,
იმ კლდეზე რომ ნაპრალია,
წვიმის წყალი ჩამდგარიყო.**

საინტერესოა, რომ ჯანსუღ ჩარკვიანთან ფოლკლორული პერსონაჟი ჭინკაც გვხვდება ფრიად ორიგინალური გააზრებით. მაგ. იგი ერთგან შედარებულია მომღერალ მაიკლ ჯექსონთან („ჭინკა გენიოსი მაიკლ ჯექსონია“), ხოლო პოემაში „გაფროთხილება“ ჭინკა გვხვდება თავისი

მითოსური მნიშვნელობით („ახლა ანთებულ ჭალებში ათასი ჭინკა იცინის“.).

ადამიანთა მითოსური სამყოფელი „სულეთი“ და „სამზეო“, რომლებიც „შავეთისა და სულეთის“ ლექსების ციკლში გვხვდება, ჯანსუღ ჩარკვიანის პოემა „ჯაჭვის თორანშიც“ გამოჩნდება, როგორც ქართველ გმირთა სამყოფელი:

**ლაშქარს გიკითხვენ სწორები, წინ
ალარ გაუძღვებია,
ვაი, თუ შავი ყორნები შენი სისხლითა
სძლებიან.**

**მინაში არ მეგულები, ცაში კვლავ
გორდა ტრიალობს,
სამზეოს დაკლებულები სულეთში
გროვდებიანო.**


როგორც ვხედავთ, აქ კილოც ქართული ხალხური ლექსებისეულია.

ხალხური ლექსი „თებერვალი დადგაო“ პოემაში „სამი თამარი“ პოეტს გაზაფხულის აღსაწერად გამოუყენებია:

**შორით გამოჩნდა თეთრი მწვერვალი,
ხეში და წყალში დგას თებერვალი**
(შდრ. ხალხური „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“).

მითოსურ-ფოლკლორული ნაკადი საინტერესო სურათს ქმნის ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიაში, ამდიდრებს მას, სიღრმეს სძენს და ახლებურად არის გააზრებული. პოეტის ოსტატობაზე მეტყველებს ის, რომ ფოლკლორის და მითოსის გამოყენებით იგი ქმნის არაერთ ნოვაციას და არაერთ უაღრესად ქართულ სახეს, აკავშირებს წარსულს მომავალთან და არსებულ სინამდვილესთან, თავისი პოეზიით ინახავს და უკვდავყოფს ფოლკლორს და მითოსს.

დიმიტრი ლიხაჩოვი



XX საუკუნის გამოჩენილი რუსი მკვლევარი აკადემიკოსი დიმიტრი ლიხაჩოვი, მსოფლიოს არაერთი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის საპატიო პროფესორი და ნეფრი, ქართული კულტურის, საზოგადოდ, და, კერძოდ, ქართული მწერლობის უაღრესად მცოდნე, გულმართალი სპეციალისტ-შემფასებელი იყო. მისი პირადი ინიციატივითა და უშუალო, ქმედითი ძალისხმევით საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში არსებულ „პუშკინის სახლში“ (სანკტ-პეტერბურგი) ჩატარდა სიმპოზიუმი – „ძველი ქართული ლიტერატურის დღეები“, რომელშიც, არცთუ მცირერიცხოვან ქართველ მკვლევარებთან ერთად, მონაწილეობდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებიც, რამაც მნიშვნელოვანი ფონი შეუქმნა ძველი ქართული ლიტერატურისა და, საზოგადოდ, ქართული კულტურის პოპულარიზაცია-გაცნობიერებას (გამოიცა კრებულები, დაინერა არაერთი სამეცნიერო სტატია, სიმპოზიუმი სათანადოდ გაშუქდა მაშინდელი მასმედიით...).

აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვის თანამშრომლობა და კეთილგანწყობა ქართულ სამეცნიერო წრეებთან შემდგომშიც ინტენსიურად გრძელდებოდა. კომუნისტური რეპრესიების სუსხი, სხვა გამოჩენილ ინტელიგენტთა მსგავსად, დიმიტრი ლიხაჩოვმაც იწვნია. მცირე ფრაგმენტი მისი მოგონებების წიგნიდან, რომელიც სოლოვეცკის კუნძულების „მკვიდრთა“ გაუსაძლის ყოფას ეხება, ვფიქრობ, კიდევ უფრო წარმოაჩენს მის პიროვნებას და ფაქტებისა და მოვლენებისადმი მისეულ დამოკიდებულებას.

მთარგმნელი

მოგონებანი

ფრაგმენტები

...მთლად საცნაურად ვერ გამოიმზერდა ჩვენი მეციხოვნეების ქმედებანი. დაგვაპატიმრეს იმის გამო, რომ კვირაში ერთხელ რამდენიმე საათით ვიკრიბებოდით, ვმსჯელობდით ჩვენთვის საინტერესო ფილოსოფიურ, სახელოვნებო, რელიგიურ თემებზე; თავდაპირველად გაგვამწესეს ციხის საერთო საკანში, ხოლო შემდგომ დიდი ხნით ლაგერებში. იმავე

დროულად კომბინირებულად გვახვედრებდნენ თანამოქალაქეებს, ისეთი წრის ხალხს, ვინც ჩვენსავით დაინტერესებულნი იყვნენ მსოფლმხედველობრივი საკითხებით. გასახლების ადგილებში ფართოდ და უხვად ვხვდებოდით ამგვარადვე მოაზროვნე ადამიანებს მოსკოვიდან, როსტოვიდან, კავკასიიდან, ციმბირიდან. გავიარეთ გიგანტური ურთიერთსწავლების

სკოლის წლები, რის შემდგომ ვითქვიფებოდით ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის სივრცეებში.

საბიბლიოთეკო საკანში, რომელშიც საქმის გამოძიების დასრულების შემდეგ, სასჯელების მოლოდინის პერიოდში, შევხვდი სექტანტებს, ბაპტისტებს (ერთმა მათგანმა სადღაც დასავლეთიდან გამოკვეთა ჩვენი ქვეყნის საზღვარი და დახვრეტის განაჩენს მოელოდა, ღამით ვერ იძინებდა), სატანისტებს (ასეთებიც იყვნენ), თეოსოფებს, შინგაზრდილ მასონებს... საგანგებო სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ფელეტონისტები – „ძმები ტურები“ – დროდადრო ცდას არ აკლებდნენ, რომ ჩვენ წარმოვესახეთ სასაცილო, ბოროტად საქმილო არსებებად (მათ „ლენინგრაფსკაია პრავდაში“ სიცრუით აღვსილი ფელეტონი – „მუხების ფერფლი“ – გამოაქვეყნეს, სხვებზე – „ცისფერი ინტერნაციონალი“ და მისთ.). მოგვიანებით ფელეტონი – „მუხების ფერფლი“ ერთ-ერთ სტატიამი გაიხსენა მ. ბახტინმა.

ბოლოს და ბოლოს, ერთხელაც ყველანი გამოგვიძახეს („ნივთების გარეშე“) ციხის უფროსთან, რომელმაც სამგლოვიარო ჟღერადობით გვამცნო განაჩენი. ფეხზე მდგარნი ვისმენდით მსჯავრს. სწორუპოვრად იხილვებოდა იგორ ევგენიევიჩი ანიჩკოვი. იგი გამომწვევი გულგრილობით ათვალთვრებდა კაბინეტის შპალერს, ჭერს, არ უყურებდა უფროსს და როდესაც მან დაამთავრა კითხვა, მომლოდინემ იმისა, რომ მივეჭრებოდით ჩვეულებრივ, ტრადიციული ლამენტაციებით (წუნწუნი, ჩივილი – მთარგმ.): „ჩვენ უდანაშაულონი ვართ“, „მოვითხოვთ ჭემმარიტ გამოძიებას, ღია სასამართლოს“ და ა. შ., იგორ ევგენიევიჩმა, რომელსაც 5 წელი მიუსაჯეს, ისევე, როგორც მე, ხაზგასმით, უდრტვინველად იკითხა: „სულ ესაა? შეგვიძლია, წავიდეთ?..“ და პასუხს არც კი დალოდებია, მოტრიალდა და კარებისაკენ გაემართა, ჩვენც გავვიყოლია, რამაც უფროსისა და ბადრაგის

სრული გაოგნება გამოიწვია. ეს იყო დიდებული წამი!..

ბედნიერებად მივიჩნევდით, რომ ყველას თავი გვიკრეს სოლოვეცკის კუნძულებზე – სამწლიანი პატიმრები და ისინიც, ვისაც 5 წელი მოგვისაჯეს – ყველანი ერთად, საერთო ვაგონში, ოღონდ ცალცალკე, რკინის ცხაურებიან გალიაში (ე. წ. „სტოლიპინის“ ვაგონების დერეფნები, რომელნიც ბადრაგისათვის იყო განკუთვნილი, გამოყოფილი იყო რკინის უჯრედებით). და მაინც ვახერხებდით ერთმანეთთან ურთიერთობას, ვუზიარებდით ერთურთს სავარაუდო ცნობებს ჩვენი მომავალი ბედ-იღბლის შესახებ, დაკითხვების პერიპეტიებზე – ყველას თავისი სათქმელი ჰქონდა. მთავარი საზრუნავი, საერთო წუხილი იყო ერთი რამ – ყველაფერზე მეტად ის გვაშინებდა, რომ ლაგერში, ალბათ, ერთმანეთს დავაშორებდნენ.

არ აღვწერ დეტალურად კემიში ჩემი ჩასვლის პირველ დღეებს, მეცამეტე ასეულში გატარებულს (კემი – ერთ-ერთი ლაგერი პატიმრებისა ხუცესების კუნძულზე, სოლოვეცებზე). საქმე ისაა, რომ როგორც კი მომეცა შესაძლებლობა, მოვწყობილიყავი საკანცელარიო ბარაკში, დავიწყე ჩანაწერებზე მუშაობა, ჩანაწერებს ვინახავდი საკანცელარიო ქალაღდეში, შემდგომ ისინი გავატანე მშობლებს, რომლებიც ჩემთან საპატიმრო პაემანზე ჩამოვიდნენ 1929 წლის გაზაფხულზე. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ვაგონიდან გადმოსვლისას, ჩასვლისთანავე მებადრაგემ ჩექმიანი ფეხით სახე დამისისხლიანა, აბურად გვიგდებდნენ და გვაგინრობდნენ ყოველნაირად, როგორადაც კი ხელი მიუწვდებოდათ. გვიყვიროდნენ: „აქ საბჭოთა ხელისუფლება კი არა, სოლოვეცკის ხელისუფლებაა!“ აქედან მომდინარეობს სახელწოდება ცნობილი დოკუმენტური ფილმისა: „სოლოვეცკის ხელისუფლება“.

კუნძულზე ეტაპის მიმღები მეციხოვნე ბელოზეროვი ვირტუოზულად იგინე-

ბოდა. მხეცივით ხან დაგვაცხრებოდა, ხან გაგვერიდებოდა. ვერაფრით ვერ ვიჯერებდი, რომ ეს კომმარო რეალობა იყო. მახსოვს ერთ-ერთი ყველაზე „შესანიშნავი“ დაზაფვრათაგანი: „მკვდრების ცინგლის ლოკვას გაიძულვით!“ როდესაც ამაზე გამეცინა (არა იმის გამო, რომ ამაში რაიმე სასიხარულო დამენახა), ბელოზეროვმა დამიღრიალა: „სასაცილო წინ გელოდებათ!!!“ ეგაა, რატომღაც არ მცემა.

უნდა აღვნიშნო, რომ უფროსების შესახებ ჩვენ მხოლოდლა პატიმართა შორის მოარული მითქმა-მოთქმით ვიცოდით და ჩემს ჩანაწერებში გაიპარა რამდენიმე ცდომილება; ზოგი მათგანი (შეცდომები) შემდგომ დამკვიდრდა ლიტერატურაში – განსაკუთრებით ა. სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგით“ და მათით, ვისაც მე ვუყვებოდი ლაგერის შესახებ...

1928 წელს, როგორც მახსოვს, ვწერდი, რომ ხალხმა იცოდა თუ რა იყო ციხე, ეტაპი, ლაგერი; იცოდნენ ისიც თუ როგორ უნდა „აღეკაზმათ“ გასახლებულნი – რა გაეტანებინათ საგზლად. საჭირო იყო, ჰქონოდათ მსუბუქი ბარგი, მასში – ყველაზე მეტად საჭირო: მომცრო, თბილი ქვეშსაგები, საბნის მაგიერი გადასაფარებელი, დათბუნებული, დალიანდაგებული ზედა სამოსი (телогрейка)...

1929 წლის გაზაფხულზე ჩვენთან, სოლოვკებზე, ჩამოვიდა მაქსიმ გორკი, დაჰყო იქ სამიოდე დღე (ზუსტად არ მახსოვს, ამის დადგენა შესაძლებელია მისი თხზულებათა სრული კრებულის მეშვეობით).

სოლოვეციკიდან გაქცეულთა (ე. წ. „მარბენალთა“) მონათხრობიდან (ისინი გარბოდნენ მატერიკზე, ხშირად ფეხით – ფინეთში, ზოგჯერ გემების ტრიუმფებით) დასავლეთში გავრცელდა ხმები შესახებ იმისა, რა საშინელი სისასტიკე სუფევდა კუნძულების ხე-ტყის დასამზადებელ ჩვენეულ პუნქტებში.

გორკის მისიის დედააზრი, როგორც ჩანდა, ის იყო, რომ შეცვლილიყო დასავ-

ლეთის საზოგადოებრივი შეხედულება. საქმის არსი: ამერიკის გაერთიანებული (და არა – შეერთებული (მთარგმ.) შტატების კონგრესმა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღეს დადგენილება, აღარ შეეძინათ ხე-ტყე საბჭოთა კავშირში. ხე-ტყის მასობრივი მასშტაბებით დამზადება ორგანიზებული იყო ფრენკელის მიერ, რომლის განაცხადი მოარულ მონოდებად იქცა: „პატიმართა შესაძლებლობიდან ამოვწურეთ ყველაფერი პირველ სამ თვეში!“ ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა ხე-ტყის დამზადების პუნქტებში.

გორკის უნდა დაეშოშმინებინა საზოგადოებრივი მოსაზრება-შეფოთებანი. და მან ეს მოახერხა. ხე-ტყის შესყიდვა ისევე განახლდა. მავანი და მავანი, შემდგომ ამ გორკისეული მისიისა, ამბობდა, რომ თავისი სიცრუით გორკი იმედოვნებდა, შეემსუბუქებინა პატიმართა ხვედრი, მავანი იმ აზრისა იყო, რომ ამით მას სურდა, რუსეთში ჩამოეტყუებინა მწერალი ქალი ბუდბერგ-ზაკრევსკაია, ვინაც შიშის გამო მასთან ერთად არ დაბრუნდა რუსეთში. არ ძალმიძს, დადასტურებით ვამტკიცო, რომელი ვერსიაა სწორი. შესაძლოა, ორივე ერთად. გორკის ელოდნენ მოუთმენლად.

ძლივს, როგორც იქნა, რადიოსადგურიდან გამოჟონა ხმებმა. მაშინვე გახურდა მზადება როგორც ლაგერების უფროსების მხრიდან, ასევე პატიმრების მხრივ, რომელთაც ჰქონდათ რაღაც კავშირთიერთობანი გორკისთან; ემზადებოდნენ ყველანი, ზოგიერთი მათგანი იმედოვნებდა გორკის გულის შინაგანი სიმების შერხევას და ამით გათავისუფლების შესაძლებლობას.

ერთ „მშვენიერ“ დილას „კეთილდღეობის ბოლავს“ მოადგა თბომავალი გემი „გლებ ბოკი“ – გემბანზე მაქსიმ გორკი. კრიმკაბის ფანჯრებიდან კარგად მოჩანდა გორაკი, რომელზეც კარგა ხანს შეყოვნდა მწერალი. მას ახლდა ერთობ უცნაური ბანოვანი – ტყავის ქურთუკით,

ყელმაღალ ჩექმებში ჩატანებული ტყავის გალიფეთი და ტყავისვე კეპით. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ეს არსება იყო მისი რძალი (ვაჟიშვილის, მაქსიმის მეუღლე). იგი გამონყოფილი გახლდათ, ვითარცა გამოფეკილი „ჩეკისტკა“ (საგანგებო კომისიის თანამშრომელი მდედრი). აღკაზმულობა ამკარად მიზანდასახული და წინასწარმოფიქრებულად აღიქმებოდა. გორკისაც თავს „უმშვენებდა“ უკან გადაწეული კეპი (ლენინის კვალობაზე). გორკის მიახლეს მონასტრისეული ეტლი, რომელშიც შებმული იყო, ღმერთმა უწყის, საიდან მოძიებული ცხენი. ამან გამოაცა. ადგილი, სადაც იგი ელოდებოდა ეტლს, ახლაც კი შემოძლია, ზუსტად მივანიშნო.

ყველანი ვხარობდით, თითქმის უკლებლივ ყველა პატიმარი. „გორკი ხომ ყველაფერს დაინახავს, იგი გამოცდილია, ყველაფერს მიხვდება, მას ვერ გააცურებენ. ხე-ტყის დამზადების პროცესს დააკვირდება, კუნძებზე წამებას, სეკირკას შეიცნობს, შიმშილს, ავადმყოფობის ამბებს მოისმენს, სამსართულიან „ნარებს“ ნახავს, არაკანონიერ, სასამართლოს მიერ მიუხეველ განაჩენებზე გაიგებს... ყველაფრის, ყველაფრის შესახებ...“ ჩვენ ველოდით. ჯერ კიდევ ერთი თუ ორი დღით

ადრე გორკის ჩამობრძანებამდე შრომითი კოლონიის გასასვლელის ორივე მხარეს, დეკორაციის მიზნით, მინაში ჩაამაგრეს ტყეში მოჭრილი ნაძვები. ადგილობრივი მონასტრის კრემლიდან ყოველდამით გადიოდა პატიმართა ეტაპები – კრემლისა და ნარების განტვირთვის მიზნით. პირველად მოხდა, რომ ლაზარეთში დაარიგეს ხალათები.

კუნძულის თვალყურებისას გორკის გამუდმებით თან ახლდა მისი „ტყავიანი“ თანამგზავრი. პირველ დღეს, როგორც მახსოვს, მოინახულა ლაზარეთი. შესასვლელში და კიბეზე, რომელიც მეორე სართულს აკავშირებდა, თეთრ ხალათებში გამონკეპილი „პერსონალი“ იდგა საპატიო ყარაულივით. გორკი მეორე სართულზე არ ასულა. წაიბურტყუნა: „არ მიყვარს ალღუმები“ და გამოსასვლელისკენ დაადო თავი. იყო იგი შრომით კოლონიაშიც. შევიდა სკოლის შენობის წინ მდგარ განაპირა ბარაკში. ახლა (80-იანი წლები) ფრთა მოშლილია და კარები – დაყრუებული. მე ვიდექი ბარაკის წინ შეგროვებულ ბრბოში, რადგან სამუვი მქონდა და შრომით კოლონიასთანაც მომიწია ახლო კონტაქტი. მას შემდგომ, რაც გორკი ბარაკში შევიდა, იქიდან 10-15 წუთის შემდეგ გამოვიდა შრომი-



მ. გორკი სოლოვეცკის კუნძულებზე НКВД-ის თანამშრომლებთან ერთად

თი კოლონიის უფროსი, არმიის ყოფილი სარდალი ინოკენტი სერაფიმოვიჩ კოჟეენიკოვი თავის მოადგილე შიპჩინსკის თანხლებით. შემდეგ მათ გამოჰყვა ნაწილი კოლონისტებისა. გორკი, მისი მოთხოვნისამებრ, განმარტოვდა ასე თოთხმეტი-ოდე წლის ბიჭთან, რომელმაც გაბედა და ისურვა, მოეთხრო გორკისთვის „მთელი სიმართლე“ – ყველაფერი იმ ტანჯვანამების შესახებ, რასაც ეზიარებოდნენ ფიზიკური შრომით დაკავებული პატიმრები. გორკის დიალოგმა ბიჭთან ორმოც წუთს გასტანა (მე მაშინ უკვე მქონდა ჯიბის საათი, რომელიც მამამ მაჩუქა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე და ეს საათი მალულად გადმომცა სოლოვკებზე პირველი პაემანის დროს). როგორც იქნა, გორკი გამოვიდა ბარაკიდან, დაელოდა ეტლის მოსვლას, იდგა მარტოდმარტო და ყველას დასანახავად ტიროდა. ყველაფერი ეს საკუთრივ ვიხილე. პატიმართა ბრბო ზეიმობდა: „გორკიმ ყველაფერი შეიტყო. ბიჭმა მას ყველაფერი ამცნო“.

შემდგომ გორკი სეკირკაზე იმყოფებოდა. იქ კარცერი გადააკეთეს: ხარხიბი გამოიტანეს, შუაში დადგეს მაგიდა და ზედ გაზეთები დაახვავეს უნესრიგოდ. კარცერში დარჩენილი პატიმრები (ისინი, რომელნიც ჯანმრთელად გამოიყურებოდნენ) მაგიდასთან დასვეს საკითხავად. გორკი ავიდა კარცერში, ერთ-ერთ „მკითხველთან“ მივიდა და გაზეთი შემოატრიალა (პატიმარს დემონსტრაციულად უკუღმა ეჭირა). ამის შემდეგ გორკიმ სწრაფად დატოვა „სამკითხველო“. გორკი ბიობაღშიც იმყოფებოდა. როგორც ჩანდა, სასადილოდ თუ ჩაის დასალევად. ბიობაღი განთავსებული იყო ლაგერის ტერიტორიის მიღმა (ისევე, როგორც მელიების საშენი). იქ მცირერიცხოვანი ჯგუფი „სპეციალისტებისა“ შედარებით ნორმალურ პირობებში ცხოვრობდა.

ამის მიღმა, როგორც მახსოვს, გორკი არსად არ ყოფილა. იგი რძალთან ერთად „გლებ ბოკის“ გემბანზე ავიდა, სადაც მის გასართობად იმყოფებოდა სპეციალუ-

რად, წინასწარ შეზარხოშებული ჯგუფი ბერებისა, შერჩეული იმათგან, რომელნიც შენიშნულნი იყვნენ, ვითარცა ბახუსის მიმართ არამტრულად განწყობილნი.

ბიჭი კი უმალ სადღაც გაქრა. შესაძლებელია, იქამდეც კი, ვიდრე გორკი გამგზავრებოდა. ბიჭის შესახებ საკმაო მითქმა-მოთქმა დაგროვდა, ბევრი, ო, რაოდენ ბევრი! „იყო კი ბიჭი?!“ ლოგიკის მიხედვით, თუ ის მართლა არსებობდა, გორკიმ რატომ ვერ მოიაზრა, რომ თავისთან ერთად წაეყვანა? გაყოლებაზე უარს ვერავინ ეტყოდა... მაგრამ ბიჭი არსებობდა. მე ვიცნობდი ყველა „კოლონისტს“.

გორკის სოლოვკების კუნძულებზე ჩამოსვლის შედეგები ბევრად შემზარავი იყო. მწერალი ვალდებული იყო, ეს წინასწარ გაეთვალისწინებინა.

გორკი ვალდებული იყო, გაეცნაურებინა, რომ აუცილებლად შეიქნებოდა სიტუაცია-ვითარება, რომ მისი გამგზავრების შემდგომ ყოველგვარი „უნესრიგობა“ ლაგერში თვით პატიმრებს დაბრალდებოდა. ესაა კლასიკური ხერხი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებისა. გორკის გამგზავრებისთანავე დაიწყო დაჭერები და გარემოებათა გამოძიებანი. ერთობ საყურადღებოა ასეთი დეტალი: როდესაც გორკი რძალთან და გამყოლ სპეცსამსახურის მუშაკთა თანხლებით კემიში, ხუცების კუნძულზე ჩავიდა, იქ ქარსა და ყინვაში დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტებზე მუშაობდნენ მხოლოდლა საცვლებისამარა პატიმრები (არავითარი სახაზინო ტანსაცმელი, საცვლების გარდა, იმ დროის ლაგერებში არ მოიძიებოდა). თეთრეულში გამონყობილი ტუსალების ამ პარტიის თვალსაწიერიდან გაქრობის არავითარი საშუალება არ გამოიძებნა. ხუცების კუნძული, სადაც ნავსადგური იყო (სახურავის გარეშე, შემოუფიცრავი, ფარლალა, ყოველი მხრიდან ქარი უბერავდა). ტყიანი ადგილი იყო, ეს მე სათანადოდ ვიცი, რამეთუ საკუთრივ ჩვენვე „გლებ ბოკიზე“ ტვირთს ერთი-ორი საა-

თის განმავლობაში ვეზიდებოდით (ჩვეულებრივი ტვირთის შემდგომ დადგა რიგი ნახევრად გაყინული და ცოცხალ-მკვდარი პატიმრებისა).

ტუსალების ჯგუფს (პარტიას) უფროსობდა სისხლის სამართლის დამნაშავე, კრიმინალი, ეშმაკი, გაქნილი პატიმარი და მან მიაგნო გამოსავალს – როგორ დაემალათ თვალმხერიდან მოშიშვლებულ კუნძულზე ტიტველი პატიმრები. მან ბრძანება გასცა: „მოეწყვეთ!“, „შეამჭიდროვეთ რიგები!“, „მჭიდროდ, მჭიდროდ“ (თან ერთვოდა დახვეწილი გინებების ტირადები: „უფრო მჭიდროდ, თქვენი ასე და ისე!!!“. წარმოიშვა ადამიანთა სხეულების ურთიერთშეტმასნილი მასა, რომელიც სიცვიდან კანკალებდა. შემდეგ მებლვაურებს უბრძანა, მოეტანათ ბრეზენტი და აფრები („გლებ ბოკიზე“ ანძებიც იყო). ყველას ერთიანად გადააფარეს. გორკი დატვირთვის პროცესში თავიდან ბოლომდე გემბანზე იმყოფებოდა, ეხუმრებოდა და ფამილარულად ესაუბრებოდა ლაგერის ხელისუფლების პირებს. საკმაოდ დიდი დრო გავიდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც „ბოკიმ“ კარგა მანძილით მოიტოვა კუნძული, ბრეზენტები გადახადეს ხალხს. რა დარჩებოდა მის ქვეშ, თქვენვე წარმოიდგინეთ. არ გასულა დიდი დრო გორკის გამგზავრებიდან, დაიწყო ბანაკის მკვიდრთა უკანონო დაჭერები. ორივე კარცერი – სეკირკაზე და კრემლში – გადატენილი იყო ტუსალებით.

მოსმენილი მაქვს ასეთი მონათხრობიც. სოლოვეცკის ლაგერში, ჯერ კიდევ გორკის ჩამოსვლამდე, კემის ლაგერის

სამმართველოში იმყოფებოდა ევროპიდან გამოგზავნილი კომისია ტომსონის ხელმძღვანელობით. მოსკოვში შეთანხმებული იყო, რომ კომისიას შეეძლო, თავისუფლად, მეთვალყურეობის გარეშე ემოქმედა, როგორც სურდა და სადაც ენება, დამოუკიდებლად შემდგარიყო კონტაქტები პატიმრებთან, ესაუბრათ პირისპირ. კომისიის წევრები ცხოვრობდნენ კემიში, ლაგერის ერთ-ერთი უფროსის ბინაში – პატრონი თითქოსდა შევლებულბაში იმყოფებოდა. მათ შეაგროვეს დიდძალი სამხილი მატერიკზე გასატანად, გადაიღეს ფოტომასალა, ჩაიწერეს ბევრი რამ, მაგრამ ერთ სწორუპოვარ ჯიბგირს მიეცა ასეთი დავალება – მოეპარა მთელი მოძიებული მასალა. მან შეკრიბა თავისი ხელის ბიჭები, რომლებმაც სათანადო მომენტში ერთად მდგარი კომისიის წევრების ადგილსამყოფელთან მოხერხებულად მოაწყვეს ზედახორა, უჩუმრად მოაჭრეს კომისიის წევრს მხარზე ჩამოკიდებული ფოტოაპარატი, მოიპარეს დოკუმენტები, ჩანაწერებიანი ნიგნაკები ჯიბიდან ამოაცალეს. ამის საზღაურად ლაგერის უფროსობამ მათ გადაუხადა რამდენიმე კილოგრამი ფქვილი და რაგინდარა სანოვანე ნატურით („ღირსების ფასი ჩვენს სოფელში“). კომისია ხელცარიელი გაემგზავრა, მაგრამ მოხდა თუ არა ყველაფერი ისე, როგორც აღვწერე, დაბეჯითებით ამის თქმა არ შემიძლია...

თარგმნა
ოლეგ გოლიაძემ

XX საუკუნის გერმანულენოვანი პოეზიის მოზაიკა

მთარგმნელი და შემდგენელი

**დათო
ბახბაქაძე**



გიორგი თრაკლი
(1887–1914)

თხოვნა

ლუციფერს

სულს შეაწიე შენი ცეცხლი, მხურვალე დარდი;
შუალამის ჟამს თავი ოხვრით ამაღლებულა,
გაზაფხულის მწვანე გორაკზე, იქ, სადაც ერთ დროს
დაიცალა სისხლისგან კრავი, უღრმეს ტკივილს
დაითმენს იგი; მაგრამ სიბნელე თან სდევს აჩრდილს
ბოროტეულის ან მიესწრაფვის სველი ფრთებით
მზის ოქროს დისკოს, და შეაძრწუნებს
ტკივილებით დაფლეთილ მის მკერდს ზარის გუგუნი,
შლეგი იმედი; აღმოდებული ვარდნის ნყვდიადი.

წითელი სახეები

წითელ სახეებს შთანთქავს ღამე,
 ხაოიან გალავანთან
 ბავშვის ჩონჩხი ხელს აცეცებს ჩრდილში
 მთვრალისა, დამსხვრეული სიცილ-ხარხარი
 ღვინოში, დარდი მოვარვარე,
 სულის ტანჯვანი – ქვასავით უტყვად დაშთენილა
 ანგელოზის ცისფერი ხმა
 მძინარის ყურში. ჩაშლილი შუქი.




ჰაიმიტო ზონ ღოდერკერი
 (1896 – 1966)

ვენის ფტრუდელჰოფის კიბეზე

საფეხურებს რომ ეფინება კვლავ ფოთლეული,
 შემოდგომურად სუნთქვას არის მაშინ ჩვეული
 ის ყველაფერი, კიბეს წლებმა რაც შეატოვა.
 იქ, სადაც ერთ დროს წყვილმა მთვარე დაიმარტოვა –
 ადევნებული სადა ქუსლს და მძიმე ნაბიჯებს –
 რაც დგას ორივე ომის ხსოვნით და არ აპირებს,
 დათმოს შუაგული, ლარნაკია ხავსმოდებული.

ბევრი დაეცა და გულს მიწყვიტა დარდი ერევა,
 უმცირეს ჟამს კი წარმოაჩინს მშვენიერება.



გიუნტერ აისი
(1907 – 1972)

შეცვლილი სანახი

ნაღველი მოდის სამხრეთიდან,
რათა ვხედავდეთ თოვლიან მინდვრებს
და ტყის ნაკაფებს,
დავინწყებულ
ადგილებს გულში,
ალაგ-ალაგ შეჯგუფებულ ხეებს ეჭვისა,
ურყევი რწმენის მიმორწეულ გზებს
და ლობებს შეჭირვებისა.

გრძნობენ თუ არა გარდაცვლილნი მთით მონაბერ ქარს,
ამას ნასვენი ველ-მინდვრები გაამჟღავნებენ
(განსხვავება ისეთივე თვალსაჩინოა,
როგორც არის განსხვავება თოვლის ნარჩენთა).
კვლავაც ვრცელდება
თხუნელების ბორცვაკთა ცნობა,
მაგრამ ვარგისი აღარ არის
ამ სოფელთა დასახლება.

ხსოვნა

ჭაობები, ჩვენ რომ შესვლას ვაპირებდით, ამომშრალია.
ტორფმა გაგვიტოხო სალამოები.
ქარი შავი მტვრით გაჯერებულა.
ის საფლავის ქვებს ნაჭგვრის სახელებს
და ჩვენ დაგვიტანს
ამ დღის თარიღით.

საღაც მე ვსახლობ

როცა სარკმელი გამოვადე,
ჩემს ოთახში შემოცურდა ქარავანი თევზთა,
ქაშაყთა. ჩანდა,
სწორედაც მთელი გუნდი მოლივლივებდა.
ზოგნი მსხლის ხეებს შორის ცეკვავდნენ,
მაგრამ მათი უმრავლესობა
ჯერ კიდევ ტყეში,
ნაკრძალთა და კარიერთა თავზე რჩებოდა.

თევზთა მოდგმა აბეზარია. მათზე მეტად კი მანუხებენ
მეზღვაურები
(მაღალი რანგის მეზღვაურებიც, შტურმანები და კაპიტნები),
ღია სარკმელს ხშირ-ხშირად რომ მოადგებიან
და ასანთს მთხოვენ ცუდი თუთუნის გასაბოლებლად.

ბინა უნდა გამოვიცვალო.

მარტი

ზოგი ჯერ კიდევ იმედოვნებს,
რომ წელიწადი აქ დასრულდება.
მაგრამ თოვლის დინებები
უმონყალოა.

ძილქუშს შავად შეუღებავს
თხუნელას ბენვი.
მისთვის, შენ რომ ესანდომები,
კვირები გავა,
ვიდრე შენი ხელის ზურგზე
გაიღევა სეტყვის მარცვალი.

ასპიდის დაფაში ჩამარხული
ბავშვობა უკან დაბრუნებულა:
ბალახი წელში იმართება და აყურადებს.

მზავრობა

შეგიძლია, ზურგი აქციო
კეთროვანი კაცის რაკუნას,
სარკმელი და ყური დაიხშო
და დაელოდო, ვიდრე ჩაივლის.

მაგრამ თუ ერთხელ მოგეყურა,
მინყივ ჩაგესმის

და, რადგან უკვე არსად წავა,
შენვე უნდა გადაიხვეწო.

ისეთი ბოხჩა გამოკარი, რომ არ დამძიმდეს,
რადგან ზიდვაში შენ არავინ შეგეშველება.
გაიძურნე და გაღებული დატოვე კარი,
არ დაბრუნდები.

შორეთს ენიე, რათა ეს ხმა ჩამოიშორო,
გემით იმგზავრე ან უდაბურ ადგილს შეუდექ:
არ დადუმდება კეთროვანი კაცის რაკუნა.

შორს დაგირჩება კეთროვანი, რაკუნა კი შენთან დარჩება.
ყური დაუგდე, რარიგ ფეთქავს დაფდაფი იმას,
რაც შენივე გულის ფეთქვაა!



მიხეილ გუშენბერსონი
(1919 – 2004)

გლახები

არ გვიცხოვრია დედამინაზე.
უნუგეშონი ვეშვებით თავქვე.
ხეობაში სწრაფად ცემის ხმები გაისმის
და მწიგნობრული ნათესები
სიქაგაცლილ გორაკებზე მრავლდებიან შრიალით, სწრაფად.
შეუფერხებელ ლიანდაგზე სანდო ბორბლებით
ქვეყნიერება წუილით მიქრის,
არ საჭიროებს არც ხელებით, არც ფეხებით
ხართა რქებზე ჩამოსვენებას.
თავისი ხარის დამკარგავი
ნახევრად კვდება.
ახლოს არის სავალთა ბოლო.
ის, რაც ამჟამად, ჩვენს დროში ხდება,

ყველა ჯადოქრის ჭვრეტის ძალას აღემატება,
ჭიაკოკონა უძლურია ჩვენს დასაცავად.
დედამინა არის მხოლოდ საპნის ნაჭერი,
ხელიდან რომ გვისრიალდება.
ვრჩებით ბინძურნი და არ ვყოფილვართ
ქრისტეშობამდე ასე ლატაკნი.

ზღვასანი

უკვე მზე ჩადის და ხმელეთზე გადასვლის დროა.
მთის ნამგალა ქიშს ემიჯნება ნამგალა მთვარე.
მალე ნავს ქვიშას მივანებებ. ხშირად მსმენია,
იქ, შემალღებულ ხეობაში, სახლი დგას თურმე,
რომელშიც ცხოვრობს მარტო, როგორც აბლაბუდაში,
ბილწი სურნელით მიმზიდველი დიასახლისი,
თავბრუდამხვევი დემონური შროშანის ხიბლით
მოტყუებულ მსხვერპლს შემზარავად სისხლს რომ ამოსწოვს.
ო, უმალ ლოცვამ დამიფაროს განსაცდელისგან!
აი, მდუმარე ჩემი ჩრდილი მიმიძღვის ზევით,
კლდოვან ნაპრალებს ამარიდებს, ბილიკს არ კარგავს.
ზღვა ენაფება მენამულ ცას, უსაზღვრობაში
კვლავაც უნიჩბოდ შეცურდება ყვითელი მთვარე.

სამსხვერპლო ზეზა

ზურგმორკალული მიინევს მალლა,
მოძრავ წინწარში.
ადამიანის ოფლი კი ამ დროს
ფრთებს უკრავს, ბორკავს.
სხვა მხრივ, აღმასვლა სიტყვებისთვის ჰაერივით მსუბუქი იყო.
ახლა მათ ხუთავს ყოველი დარტყმა,
მხურვალე მზერით მოქნეული ბასრი ფოლადი
სამსხვერპლო ხეს როცა ესობა.

მაგრამ მას კვლავაც თან ახლავს ცოდნა
დღისგან ღამის განსხვავებისა.
საკურთხეველთა, წითელთა და შავთა, მსგავსია
საათები, შეჩეხილი საფეხურები
შენწყვეტილი მისი აღმასვლის.

ზურგმორკალული ეშვება ქვემოთ,
ჩამოყრილი კუნთებით და –
ნახევრად მთვრალი,
სიზმრის სველ ჭებში.
ბნელ ფარეხში
მისწვდება თხის ცურს.



ვილჰელმ სტაბო
(1901 – 1986)

მაიერ ჰელმბრეხტი

მაიერ ჰელმბრეხტს თვალისჩინი როცა წაერთვა,
მარჯვენა ხელიც რომ დაკარგა, მარცხენა ფეხიც,
ის ალაყაფის კართან იდგა და გაჰყვიროდა,
სახლიდან კი როდის-როდის მამამისი გამოვიდოდა,
დაცინვით რომ მისალმებოდა.

თივის სურნელი ტრიალებდა კარ-მიდამოში,
გომურში კი ხარი ბლაოდა და ისვენებდნენ ნაბლა ფურები.
არც პურს აძლევდა მამამისი, არც ნებას რთავდა,
რათა ჩალის საგებელზე ჩამომჯდარიყო.
ის არც ხბოს კლავდა.

საპყარს აბუჩად იგდებდა და ირონიით ეკითხებოდა
სამოსზე და ფეველის ტომრებზე.
უძღებ შვილს ჭიშკარს მიუხურავდა,
ის კი იდგა თვალდავსილი, ყავარჯენზე ჩამოყრდნობილი.

სად არის შენი ყვითელი თმა, მაიერ ჰელმბრეხტ?
ის სხლტეს მიჰკვრია, როგორც ძენძი – დასართავ ჯარას.
ბუდის საშენად იყენებენ გაზაფხულზე
წივნივა და ჩხიკვი შენს კულულს.

გადამთიელი გლეხები კი მონარჩენებს გინყალობებენ.
ისინი გოჯასოფლებიდან პირუტყვის ჯოგს ერეკებიან.
ისინი ტყისკენ გიბიძგებენ. ვერ ხედავ ტოტებს,
შენ რომლებზეც ჩამოგახრჩობენ.

ყაყაჩოს თავი

მინდვრის ბოლოში, საფრთხობელების რაკარუკი სადაც გაისმის,
ქარში გიზგიზებს ყაყაჩოს თავი, მოხდენილად გვირგვინდადგმული.
აბრეშუმის საბუდარში ზრუნვით ინახავს
ძილის ლურჯ მარცვლებს.

ჭრიჭინები უხალისოდ ჭრიჭინებენ ბალახისგან განძრცვილ ფერდობზე.
ხმელი გარსი ზანზალაკივით აჟღერებულა.
მაგრამ ის მალე დადუმდება. ხვალ, ალბათ, მონყვეტს გლეხის გოგო.
ზაფხულისგან რალა დარჩება?



ბეატე მარია კრუხენი
(1948)

შამანი

მე შენ გხედავდი,
შენი სახის მიღმა გხედავდი.

შენ სათუთი ხარ,
ოცნება ხარ,
ღრუბელი ხარ, რომ მიცურავს ზაფხულის ცაზე,
ყველასათვის უხილავი სურნელება ხარ,
ჟღერადობა ხარ ხავერდოვანი, რომლის შეხება ტკივილს მაყენებს

მე შენ გხედავდი,
შენი სახის მიღმა გხედავდი.

შენს ტალღას, არვის რომ არ დაინდობს
შენს ძალას, ასე ვერცხლისფრად და ბნელად ავარდნილს
სიცარიელეს შენსას, ვერვინ რომ ვერ აღავსებს
ყვირილს, რომლისაც ეშინიათ და გაურბიან

მე შენ გხედავდი,
შენი სახის მიღმა გხედავდი,
შენში ფოთოლი მოცახცახე და უცნობი სიბნელე სუფევს

მე შენ გხედავდი,
მე ჯერ შენი სახე ვიხილე,
ნუგეშისმცემი ჩვეულება
თვალის და პირის, თმის და კანისა,
ხოლო ჩემს სავალს შენი სახის მიღმა მივყავდი

გაეხდი შამანი
და შეგიყვარე

გზა სიცოცხლისკენ

მძინარენი ვართ
იქ სადაც ჯერაც არ გაგვიზომავს დრო და
არც სივრცე არ აგვიგია

გაღვიძებულნი, არ კი ვიცით რისი წყალობით,
ჩვენს თვალწინ ვხედავთ
გზას სიცოცხლისას

იქნებ ფიქრი ვართ
იმ სურვილით დაბადებული
რომ ვინმეს გვერდით ვიმყოფებოდეთ

მერე კი ჩვენს თავს
მივათვლით მრავალთ
გზას შეყოლილებს
მოსვლით და წასვლით მარადისში რომ მეორდებიან

ფიქრები
ჯერაც მძინარეთა და იმათი
სიცოცხლეს რომ არ ეძიებენ
თანამგზავრნი არიან ჩვენი

ქალაქი ნისლში

ნისლი ადის მდინარის თავზე
დაუღლელ ქალაქს დასცქერის უხმოდ,
მისით დაცულნი ვივინყებთ, რომ უკვე დღე დადგა

ნელ-ნელა გვტოვებს სანატრელი, განაპირდება
 უფრო და უფრო ჩუმი ხდება მისი ნაბიჯი,
 და ჩიტუნების ჭიკჭიკსაც უკვე,
 სხვა სამყაროდან რომ გვეყურება,
 დაუღლელი სინათლე შთანთქავს,
 და გზადმოფისთვის
 ცაში მსუბუქად ამავალი კოცონი ხდება

ეს ის ჟამია
 გზას შინისკენ რომ ველარ ვიგნებთ
 და კვლავ სიცოცხლის თაურწყაროს მივუჯაჭვივართ

ერთობა

დღე სრულიყოფა, როცა იგი ღამეს ისრუტავს
 როცა სიბნელე დაინთქმება მის სინათლეში
 მაგრამ სიბნელე სინათლის ქვეშ მოციმციმე საფუძვლად რჩება

იგივე სიბნელე,
 რომლის ფენებშიც
 თავს იმაღავენ უკანასკნელ სიღრმეთა ჩრდილნი
 მელოდია უხმო სიშავის
 რომ, ეს წმინდა ხმა,
 რომელიც ერწყმის ჩვენს სუნთქვას და სულად იქცევა
 სინათლე,
 გამჭვირვალეობა და დიდებულება
 მომაკვდავი გოთური ტაძრის
 ვინრო და ბევრისმცოდნე სარკმლებით
 შუქის თვალეებით

ეს სიბნელე ჩაიკარ გულში,
 და ის გახდება ნაყოფიერი და ამოსუნთქვის საშველს მოგცემს
 და ჩაგიკრავს თავის
 წიაღში
 თესლივით, ზამთარს ნიადაგში რომ ატარებს დაძინებული,
 რათა აყვავდეს და გაბრწყინდეს ახალი წლის სიკაშკაშეში

ერთობა ჰქვია
 სიბნელე რომ სინათლეში გადაიზრდება
 და სინათლე რომ საკუთარ თავს შეიმეცნებს ამ სიბნელეში
 ხოლო მერე დღე სრულიყოფა

**ინგრიდ ჰენიესი
(1954)**



შრომათმისჯილი

ბელორუსი
მოხუცი ქალი
თავისი წარსულის შესახებ ყვება:

გერმანიაში შრომათმისჯილი,
მოგვიანებით, როგორც კოლაბორაციონისტი,
დეპორტირებულ იქნა ციმბირში.

მისი ცხოვრება
მძიმე შრომა იყო.
თავის სახლში, ხის ლურჯ სახლში,
მაგიდასთან მიმჯდარი, ოხრავს.
თავს ვერ მალავს მისი კბილების ცუდი პროტეზი.


„ახლა კი შეიძლებოდა მეცხოვრა,
მაგრამ უკვე სიკვდილის დროა.
მთელი ცხოვრება
მძიმედ ვშრომობდი –
არ მინდა სიკვდილი“.

თავის სახლში, ხის ლურჯ სახლში,
მაგიდასთან მიმჯდარი, ოხრავს.

კეთილი რჩევა

მან მითხრა:
ბოლოს და ბოლოს, რამე იღონე!
შეირჩიე ახალი ვარცხნილობა,
ისეთი, შენი თავი რომ ვერ იცნო!
შეიმუშავე ახალი კონცეპტი!
გაიჩინე ჩემი გულისთვის
ახალი საყვარელი,
გაიხსენე შენი ჰობი,
წადი კინოში,
ბოლოს და ბოლოს,
უბრალოდ, რამე მოიმოქმედე!

ჰასილი შახშინი



ოსტატი

სოფელ ჩებროვკაში ცხოვრობდა ვინ-მე სიომკა „ფოცხვერა“ – თავქარიანი, არშემდგარი ხურო, ანონილი, გამხდარი, დიდცხვირა. შეხედულებით დევგმირს არ ჰგავდა, მაგრამ, როცა ხალათს გაიხდიდა და მზისგულზე მაისურის ამარა რჩებოდა, როცა ცულს გაეთამაშებოდა და თან ბრიგადირს ეხუმრებოდა, სწორედ მაშინ ჩანდა მისი ძალ-ღონე. სიომკას ძლიერი, დაკუნთული ხელები ჰქონდა, პატარა ცული ეჭირა და გაბედულების საჩვენებლად ღრიალებდა:

– ვინ გგონივართ, მანქანები? მაშინ, მოდი და შემეშველე, დავძაბუნდი, ოღონდ უქნიდან ფრთხილად მომიახლოვდი, ტლინკები არ ავყარო!

სიომკა ავი კაცი არ არის, მაგრამ მას, როგორც თვითონ ამბობს, ყველაფერი ამქვეყნიური ყელში ამოუვიდა და თავის „ცხენის“ ძალ-ღონეს აქეთ-იქით ენის მოქავებაზე, ღრიალზე ხარჯავს, ნყობილებიდანაც გამოდის ხოლმე; დროდადრო მაგრად სვამს, თუმცა წელიწად-ნახევარია, პირში წვეთი არ ჩაუშვია, მერე მოინყინა და სმა კვლავ გააგრძელა.

– სიომკა, რატომ სვამ? – ეკითხებოდნენ.

– ისე, რა, ერთი კვირაა, ისე დავდივარ, თითქოს თქვენ წინაშე დამნაშავე

ვიყო, სულაც არ მინდა გული გატკინოთ. იმ დროს ყველა თქვენგანზე ვფიქრობ, მგონია, რომ ჩემზე უკეთესები ხართ. აი, წელიწად-ნახევარია არ დამიღევია და, რომ გიყურებდით... ტფუ! ყოველდღე კასრთან ხომ არ ვიყურყუტებ!

სიმთვრალეში ჭკუას არ კარგავდა, ცოლს არ შეურაცხყოფდა, უბრალოდ, ვერ ამჩნევდა.

– სიომკა, გაფრთხილდი, გალოთდები. ყველა ლოთი ასეა: ერთი თვე არ დაღვევენ, ორი, სამი, მერე კი ისევ... სიცოცხლე მოგებზრდა? ეს გინდა? – აშინებდნენ.

– კარგი, მე ვსვამ, თქვენ – არა. განსაკუთრებული რა გააკეთეთ, ვინ დაგაფასათ ან შეგაქოთ? თქვენსავით ვმუშაობ, შვილები ჩაცმულ-დახურულები მყავს, ზოგიერთებივით არ ვიპარავ. – ამბობდა სიომკა.

– შენ ხომ „ოქროს ხელები“ გაქვს! შეგეძლო, უკეთესადაც გეცხოვრა – რომ არ სვამდე.

სიომკა თავის ხელფასს მთლიანად ოჯახს აძლევდა, სმაში ზედმეტად გამოუმუშავებულ ფულს ხარჯავდა. ისეთ კარადას გააკეთებდა, რომ ხალხი განცვიფრდებოდა. შორიდანაც აკითხავდნენ, დიდ ფულსაც უხდიდნენ. ერთმა მწერალმა,

ზაფხულში ჩებროვკაში რომ ისვენებდა, საოლქო ცენტრში წაიყვანა და იქ სამუშაო ოთახი მოუწყო. გადანყვიტეს, რომ კაბინეტი სოფლური ქოხისთვის მიემსგავსებინათ (მწერალი წარმოშობით სოფლიდან იყო და მშობლიური კერა ენატრებოდა).

– ფული გადასაყრელი აქვთ! – უკვირდათ თანასოფლელებს, როცა სიომკა უყვებოდა, როგორ მოაწყვეს თანამედროვე ქალაქურ ბინაში მე-16 საუკუნის ქოხი.

– პარკეტზე ნაპობები დავალაგეთ, გავაშალაშინეთ და მორჩა – არც კი შეგვიღებავს; მაგიდაც ფიცრებისგან გავაკეთეთ; კედლების გასწვრივ ძელსკამები გავამწკრივეთ; კუთხეში ფიცრის სანოლი დავდგით, სანოლზე, ლეიბისა და საბნის ნაცვლად, ქერა, ნაბადი და ტულუპი დავაგეთ; ჭერი, სიშავისათვის, სარჩილავი სანათით შევბოლეთ; კედლებს ნაგვერდულა ფიცრები ავაკარით.

– საქმე გამოლევიათ სულელებს. – თავს აქნევდნენ სოფლელები.

– მწერალმა მე-16 საუკუნის სურათები მაჩვენა და ქოხი მეც იმ სურათების მიხედვით გავაკეთე. – ამბობდა შეფიქრიანებული სიომკა.

სხვათა შორის, როცა სიომკა ქალაქში, მწერალთან ცხოვრობდა, არ სვამდა, კითხულობდა წიგნებს, ათვალეირებდა ძველ ხატებსა და სართავ ჯარას. ეს საუნიჯე მწერალს თავზე საყრელად ჰქონდა.

სწორედ იმ ზაფხულს, როცა სიომკა ქალაქში იყო, მისი ყურადღება ჩებროვკიდან სამ ვერსზე მდებარე სოფელ ტალიცის პატარა ეკლესიამ მიიპყრო. ტალიცაში ოცი კომლიდან რვაღა იყო დარჩენილი. ქვის მომცრო ეკლესია კარგა ხნის წინ დაეკეტათ. ის ტალიცისკენ მიმავალი გზის მოსაზღვრე ფერდობიდან უცებ გამოჩნდებოდა ხოლმე. მაშინდელმა ხალხმა, რაღაც მოსაზრებით, ეკლესია (როგორც მიღებული იყო) ამაღლებულ

ადგილას კი არ ააშენა, არამედ დაბლობზე, ფერდობს ქვემოთ. სიომკას ბავშვობიდან ახსოვდა, რომ, თუ ტალიცაში მიდიხარ, მოსახვევში, ფერდობთან უცებ დაინახავ ალვის ხეების სიმწვანეში ჩაფლულ თეთრ ეკლესიას.

ჩებროვკაშიც იყო ეკლესია, მაგრამ აშკარად გვიანდელი დროისა – კედლებდაბზარული, დიდი, მაღალი სამრეკლოთი. ისიც კარგა ხანია დაეკეტათ. ამ ორ ეკლესიას: ერთს – დიდს, მეორეს – პატარას, ფერდობის ძირში მიყუყულს, ერთმანეთს თუ შევადარებდით, აშკარად პატარა აჯობებდა. ის ყველას ხიბლავდა თავისი სინატიფით და კიდევ იმით, რომ თვალში უცებ მოგხვდებოდათ. ჩებროვკის ეკლესია ხუთი კილომეტრის მანძილიდან ჩანდა (ამშენებლებს სწორედ ეს ჰქონდათ გათვალისწინებული), ტალიცის ეკლესია კი თითქოს განგებ მიმალეს გარეშე თვალისაგან. ის მგზავრისთვის უეცრად მთლიანად წარმოსდგებოდა...

ერთხელ, უქმე დღეს, სიომკამ ტალიცის ეკლესიისაკენ კვლავ გასწია. ფერდობზე დაჯდა და ტაძარს ყურადღებით დააკვირდა... ირგვლივ სიმშვიდეს და სიჩუმეს დაესადგურებინა. სოფელშიც სინყნარე სუფევდა.

რამდენი ხანია, რაც დგას სიმწვანეში ჩაფლული თეთრი მზეთუნახავი! დუმს... რამდენჯერ შესწრებია გარიჟრაჟსა და დაისს, რამდენჯერ დაანვიმა და დაათოვა... და მაინც – დგას... თვალს ახარებს. დიდი ხანია მინად იქცნენ მისი ამშენებლები, კარგა ხანია მტვრად იქცა ის ოსტატი, ვინც მისი პროექტი შექმნა. რაზე ფიქრობდა ის უცნობი ოსტატი, რომელმაც ეს ნათელი ქვის ზღაპარი დატოვა? ღმერთს ადიდებდა თუ თავის წარმოჩენა უნდოდა?.. მაგრამ, ვისაც თავის გამოჩენა უნდა, ის შორს არ დაიმალება, არამედ დიდი გზების სიახლოვეს ანდა სულაც ქალაქების ხალხმრავალი მოედნებისკენ ისწრაფვის – იქ უკეთ შეამჩნევენ. ეს სხვა რამეზე ზრუნავდა, სინატიფეზე

ხომ არა? როცა კაცი კარგად მღერის, თვითონაც არ იცის, რისთვის მღერის. სათნო, კეთილო კაცო! არც კი ვიცი, საიქიოს, შავ წყვიდადში ხმა როგორ მოგანვდინო ან კი რას მეტყვი? კარგია, ლამაზია, თვალს ახარებს... განა საქმე ეს არის? ის თვითონაც გრძნობდა თავისივე ქმნილების სილამაზეს. მერე რა? – არაფერი! თუ სიხარულის უნარი გაქვს – გიხაროდეს, თუ შეგიძლია სხვაც გაახარო – გაახარე... თუ არ შეგიძლია – იუფროსე ან ისეთი რამ მოიმოქმედე, რომ ეს ზღაპარი დაანგრეო: ორი კილოგრამი დინამიტი ჩაუდე და მორჩა!.. ყველას თავისი მიზნებია.

სიომკამ შეამჩნია, რომ კარნიზის ქვეშ ოთხი ქვა ელვარებდა და დანარჩენი ქვებისგან განსხვავდებოდა. მიუახლოვდა, დააკვირდა და მიხვდა, რომ ოსტატს უნდოდა, მთელი კედელი გაეკრიალებინა, რადგან მზიან დღეებში (მზე კი ფერდობის უკანა მხრიდან ამოდიოდა) ეკლესია გუმბათიდან საძირკვლამდე მთლიანად აელვარდებოდა. ოსტატი საქმეს შეუდგა, მაგრამ რატომღაც თავი მიანება. იქნებ მან, ვინც გასამრჯელოს აძლევდა, უთხრა: „კარგი, ასე იყოს!“

სიომკა იმანაც ააფორიაქა, რომ დაინტერესდა, როგორ „შლიფავდნენ“ ქვებს. ალბათ, ასე: ჯერ მსხვილი ქვიშით, მერე – სილით, მერე – მაუდით ან ტყავით... შრომატევადი საქმეა.

ეკლესიაში სარდაფის გავლით შეაღწევიდა. სიომკამ ეს ბავშვობიდანვე იცოდა. არაერთხელ შემძვრალა ბიჭებთან ერთად. სარდაფში შესასვლელი, რომელიც ოდესღაც ორმაგი კარით იხურებოდა (კარი დიდი ხანია, რაც წაეღოთ), თითქმის ჩანგრეულიყო და შამბნარს დაეფარა... სიომკა დიდი გაჭირვებით შეძვრა ქვებს შორის ნაპრალში. ხან ოთხად, ხან სამად მოკეცილია შეაღწია კარიბჭეში. ეკლესია შიგნით ვრცელი იყო. სიომკა ოდნავ არხევდა გუმბათის თუნუქის ფურცელს და მისი ხმა, რომელიც გა-

რეთ ოდნავ ისმოდა, აქ შემადრწუნებლად ჭახუნებდა. სარკმლებიდან შემოჭრილი მზის სხივები ეკლესიის დაჩრდილულ სივრცეში ელვარებდა. სიომკამ დაჩრდილულ სივრცეში დაიხედა. მზის სხივები ეკლესიის დაჩრდილულ სივრცეში ელვარებდა. სიომკამ დაჩრდილულ სივრცეში დაიხედა. მზის სხივები ეკლესიის დაჩრდილულ სივრცეში ელვარებდა.

სილამაზითა და იდუმალებით აღელვებულმა სიომკამ მიმოიხედა და მხოლოდ ახლა აღმოაჩინა, რომ კედლებსა და იატაკს შორის სწორი კუთხე კი არ იყო, არამედ შიგნით ჩაღრმავებული თანაბარი მომრგვალება. ქვემოთ, კედლების გასწვრივ, დაახლოებით ერთი მეტრის დაშორებით, საძირკველს მიჰყვებოდა ადამიანის სიმაღლის ქვის დაშენება, რომელიც ზემოთა კედელს თანდათან ერწყმოდა. ეს რისთვის იყო საჭირო, სიომკა თავდაპირველად ვერ მიხვდა. მხოლოდ ის შეამჩნია, რომ დაშენების ქვები კარგად იყო დამუშავებული და დაწყობილი: ქვემოთ მუქი ფერის, ზემოთ ბაცი და ბოლოს თეთრ კედელს ერწყმოდა. გუმბათი განსაკუთრებული ქვისგან იყო აგებული და, როგორც ჩანს, „გამლიფული“, რადგან გუმბათის ქვეშ საზეიმო ბრწყინვალეობა და სინათლე დავანებულიყო. გუმბათს მხოლოდ ოთხი ვიწრო სარკმელი ჰქონდა.

სიომკა საკურთხევლის წინ, საფეხურზე დაჯდა და ფიქრებში ჩაიძირა. რისთვის დასჭირდა ქვის ეს დაშენება? ეს ფაქტი სიომკამ ასე ახსნა: ოსტატმა სწორი კუთხეები გააუქმა, ანუ კვადრატი დაარღვია, რადგან ეკლესია მომცრო იყო და შიგნით სივრცის შთაბეჭდილება შექმნა, რადგან ისე არაფერი თრგუნავს სულს, როგორც გალია-კვადრატი. ამიტომ მან ქვემოთ მუქი ფერის ქვები დაალაგა და მერე დაშენება კედელს შეუერთა. ამრიგად, კედლებმა თითქოს გაიწიეს.

სიომკა ტაძარში იქამდე იჯდა, სანამ ქვის იატაკზე დაცემული მზის შუქი მის ფეხებს არ მისწვდა. ეკლესიიდან გამოძვრა და შინისაკენ გასწია.

მეორე დღეს თავი მოიავადმყოფა და სამუშაოდ არ წავიდა. რაიონულ ცენ-

ტრში გაემგზავრა, სადაც მოქმედი ეკლესია მდებარეობდა. მოძღვარი ეკლესიასთან ახლოს, საკუთარ სახლში ინახულა. მამამ თავისი ვაჟი დაითხოვა და უბრალოდ მიუგო:

– გისმენ.

ჯერ კიდევ ჭარმაგი მღვდლის მუქი, ცოცხალი, გასხივოსნებული თვალები სიომკას პირდაპირ და მტკიცედ უცქერდნენ.

– შენ ტალიცის ეკლესიის შესახებ გსმენია? ტალიცა, ჩებროვკის რაიონი... – სიომკამ რატომღაც გადანწყობა, რომ მწერლებთან და მღვდლებთან „შენობით“ უნდა ელაპარაკა.

– ტალიცის? ჩებროვკის რაიონი... მომცრო, ხომ?

– დიახ.

– ვიცი.

– რომელი საუკუნისაა?

მღვდელი ჩაფიქრდა.

– რომელი? არ მინდა მოგატყუო... ვფიქრობ, ჯერ კიდევ ალექსი მიხაილოვიჩის დროინდელია... მისი ვაჟი ძალიან არ ანებივრებდა ხალხს ტაძრებით. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარი. მერე რა?

– როგორი ლამაზია! – წამოიძახა სიომკამ, – თქვენ როგორ გგონიათ?

– მადლობა უფალს, რომ კიდევ დგას. დიახ, ლამაზია. დიდი ხანია არ მინახავს, მაგრამ მახსოვს. ისე ჩანს, თითქოს დაბლაა.

– ვინ ააშენა, ცნობილია?

– ეს მიტროპოლიტთან უნდა გაიგოთ. ამას მე ვერ გეტყვი.

– თქვენ ფული ხომ გაქვთ?

– დაფუშვით გვაქვს.

– კი არ დაფუშვით, არამედ გაქვთ. ახლა ხომ სახელმწიფოსგან გამოყოფილი ხართ?

– ამას რისთვის ამბობ?

– შეაკეთეთ, ეს ხომ საოცრებაა! მე შევაკეთებ. ამ ზაფხულს შევაკეთებ. ორი-სამი დამხმარე და ყინვებამდე შევაკეთებთ. გასამრჯელო მოგვეცით...

– ძვირფასო, მე ამ საკითხებს არ ვწყვეტ. მეც მყავს უფროსი... მიტროპოლიტთან მიდი! მორწმუნე ხარ? – მღვდელი თვითონაც შეშფოთდა.

– საქმე ეს როდია. მე, როგორც სხვები, უარესიც – ვსვამ. მეცოდება, ასეთი სილამაზე რომ იკარგება. ახლა ხომ ეკლესიებს აღადგენენ?!

– სახელმწიფო აღადგენს.

– მაგრამ სახსრები ხომ თქვენც გაქვთ!

– სახელმწიფო აღადგენს თავისი ხარჯით. მიდი, მიდი მიტროპოლიტთან.

– სად არის? აქვე?

– არა, უნდა გაემგზავრო.

– ოლქში?

– ოლქში.

– ფული თან არ მაქვს. მე მხოლოდ შენამდე მოვალწიე.

– მე მოგცემ. სადაური ხარ?

– ჩებროვკიდან, ხურო, სემიონ „ფოცხვერა“.

– აი, სემიონ, გაემგზავრე! ის გამჭრიახი კაცია... ყველაფერი უამბე. მხოლოდ შენგან!

– როგორ ჩემგან?! – ვერ გაიგო სიომკამ.

– შენით მოხვედი, თუ აგირჩიეს და ისე გამოგზავნენ?

– ჩემით.

–სულ ერთია. გაემგზავრე! სანამ გზაში იქნები, დაფურეკავ. საქმის არსი უკვე ეცოდინება და მიგიღებს.

სემიონი ცოტა ჩაფიქრდა.

– კარგი! მერე გამოგიგზავნი.

– მერე მოვილაპარაკოთ. მიტროპოლიტისგან რომ გამობრუნდები, შემომიარე, მომიყვი.

მიტროპოლიტი, ბრგე, ჭალარა, მუდამ ფხიზელი მოხუცი, სიომკას გულისხმიერად შეხვდა.

– მამა გერასიმემ დამირეკა... აბა, მომიყვი, მომიყვი ტაძრის შეკეთება როგორ მოიფიქრე?

სიომკამ ლამაზი ფინჯნიდან ცხელი ჩაი მოსვა.

– როგორ? უყურებ, როგორი სილამაზეა და არავის სჭირდება!

მიტროპოლიტმა ჩაიცინა.

– ლამაზი ეკლესიაა, ვიცი. ალექსი მიხაილოვიჩის დროინდელია. ხუროთმოძღვარი ვინ არის, ჯერ არ ვიცი. გაგება შეიძლება. მინები კი ბორიატინსკებს ეკუთვნოდათ... ოსტატი რატომ გაინტერესებს?

– ისე, დიდი გამომგონებელი ადამიანია!

– დიდი ოსტატია, მერე გავარკვიოთ მისი ვინაობა. ჩანს, ვლადიმირისა და მოსკოვის ტაძრებს იცნობდა.

– როგორ მოიფიქრა! – და სიომკამ უამბო, როგორ გამოიცნო ძველი ოსტატის საიდუმლო.

მიტროპოლიტი უსმენდა, თავს უქნევდა, ხანდახან ლაპარაკში ჩაერეოდა: „ხედავ!“ „უყურე მაგას!“ სიომკამ თავისი შეხედულება გაუზიარა – რომ აღმოსავლეთის კედელი ისე უნდა „გაიშლიფოს“, როგორც ოსტატს უნდოდა; გუმბათი დაიხუროს, მოოქროვდეს და ზედა სარკმლებში ფერადი მინები ჩაისვას. მაშინ გუმბათის ქვეშ ისეთი სინათლე იქნება, ისეთი, რომ!.. ოსტატმა გუმბათისათვის განსაკუთრებული ქვა შეარჩია. სავარაუდოდ, ქარსის შემცველი და თუ ნარინჯისფერ მინებს ჩავსვამთ...

– კარგი, კარგი, შვილო ჩემო, – ჩაერია მიტროპოლიტი, – ნებას გრთავ, შეაკეთო ტალიცის ეკლესია. ახლა დამისახელე, ამ საქმეს ვის მიანდობ? მე თვალს არ დავახამხამებ და დავასახელებ: სემიონ „ფოცხვერა“, ჩებროვკელი ხურო. ოღონდ, საქმე ის არის, რომ შეკეთების უფლებას არ მომცემენ. შვილო ჩემო, სამწუხარო საქმეა.

– რატომ?

– მეც ამას ვკითხულობ: „რატომ?“ ისინი კი მკითხავენ: „რისთვის?“ ტალიცაში რამდენი კომლია? – ამას უკვე მე გეკითხები.

– ცოტაა...

– საქმე მარტო ეს როდია. რელიგიასთან ბრძოლა როგორღა იქნება, თუ ისინი მრევლს გაამრავლებენ? ამაზე იფიქრე.

– ლოცვა რა საჭიროა! მუზეუმები ხომ არის...

– აი, მუზეუმი სწორედ რომ სახელმწიფოს საქმეა, ჩვენ არ გვეხება.

– ახლა როგორ მოვიქცე?

– გეტყვი, როგორ მოიქცე. შეადგინე წერილი: ასე და ასე, ტალიცაში ეკლესია მიგდებულა. ჩვენთვის მას ღირებულება არ გააჩნია...

– ჩვენ ასეთი წერილი ჯერ არ დაგვიწერია. შენ თვითონ დაწერე.

– მე არ შემიძლია. მონახე, ვისაც შეეძლება ან კიდევ შენ, შენი სიტყვებით... უკეთესიცაა...

– ვიცი! მყავს ასეთი კაცი! – სიომკას მწერალი გაახსენდა.

– და ის წერილი ხელისუფლებას, ოლქის აღმასკომს გაუგზავნე. უკვე ისინი გადაწყვეტენ. თუ უარს გეტყვიან, მოსკოვში მისწერე, მაგრამ მოსკოვში ჯერ ნუ მისწერ, დაიცადე, სანამ აქ უარს არ გეტყვიან. იქიდან შეიძლება კომისია გამოაგზავნონ...

– ხალხს გულს გაუხარებდა, იდგეს!

– ჩემთან რაც ილაპარაკე, არ დაწერო. არსად თქვა. ეს საქმეს მხოლოდ გააფუჭებს. მშვიდობით, შვილო ჩემო. უფალი გფარავდეს!

სიომკამ, როცა მოდიოდა, შენიშნა, რომ მიტროპოლიტი კარგად ცხოვრობდა: სახლი, ალბათ, რვა ოთახი... ეზოში „ვოლგა“ იდგა. სიომკას ეს არ ესიამოვნა, გაუკვირდა და გადანყვიტა, რომ მშობლიური საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიემართა. ეს მღვდლები რალაცას ამუქებენ...

გადანყვიტა, რომ თავდაპირველად მწერალთან მისულიყო. მოძებნა მისი სახლი... მწერალი შინ არ დახვდა.

– შინ არ არის! – მკვახედ მოუჭრა ახალგაზრდა მსუქანმა ქალმა და კარი მოუჯახუნა. მაშინ, როცა აქ მე-16 საუ-

კუნის „ქოხს“ აკეთებდა, ეს ქალი არ უნახავს. საშინლად მოუნდა „ქოხის“ ნახვა და კვლავ დარეკა.

– მე ვარ!

კარებს იქიდან ქალის ხმა მოისმა და კარი გააღო...

– კიდეც რა გინდათ?

– იცით, მე აქ ნიკოლაი ეფიმიჩის კაბინეტი გავაკეთე... მინდოდა მენახა...

– ღმერთო ჩემო! – წამოიძახა ქალმა და კარი დაკეტა.

„ჩემი აზრით, ის სახლშია და რაღაც მნიშვნელოვანზე საუბრობენ“. – ფიქრობდა სიომკა. ის იმედოვნებდა, რომ ქალი გულლიად ეტყოდა: „ვიღაც იდიოტმა, ვინც შენი კაბინეტი მოაწყო“ და მწერალი გამოვიდოდა, მაგრამ ის არ გამოსულა. ალბათ, მართლაც შინ არ იყო.

სიომკა საოლქო აღმასკომში მივიდა. საოლქო აღმასკომის თავმჯდომარესთან საკმაოდ უცნაურად მოხვდა. მისაღებში მდივანმა ქალმა უსაყვედურა:

– რატომ იგვიანებ?! ზოგს არ ღებულობენ და სწყინთ, ზოგს უნდა ელოდო. დანარჩენები სად არიან?

– იქ. მოდიან. – მიუგო სიომკამ.

– მოდიან?

მდივანი ქალი კაბინეტში შევიდა, ცოტა ხანი დაჰყო, გამოვიდა და გაჯავრებულმა უთხრა:

– შებრძანდით.

სიომკა კაბინეტში შევიდა. თავმჯდომარე შეეგება.

– ხმაური კი ატეხეთ, ხმაური! – უსაყვედურა ღიმილით, – ვხმაურობთ, ძმებო, ვხმაურობთ. გამარჯობა!

– მე ეკლესიის გამო ვარ, – უთხრა სიომკამ და თავმჯდომარეს ხელი ჩამოართვა. – თქვენს თანაშემწეს სხვაში შევეშალე. მარტო მოვედი... ეკლესიის გამო... – რომელი ეკლესიის?

– ჩვენთან, ტალიცაში, მე-17 საუკუნის ეკლესიაა, საოცრად ლამაზი! თუ შევაკეთებთ, მაშინ... სალოცავად კი არა!.. ის ფასეულია, მაგრამ არა რელიგიის

თვალსაზრისით. სამ კაცს თუ დამახმარდნენ, ყინვებამდე შევაკეთებდი, – სიომკა ჩქარობდა, რადგან ვერ იტანდა, როცა უაზროდ უყურებდნენ. ასეთ დროს ყოველთვის ნერვიულობდა.

– გეუბნებით, რომ სოფელ ტალიცაში არის ეკლესია, – უკვე ნელა ლაპარაკობდა, მაგრამ თანდათან ღიზიანდებოდა, – საჭიროა მისი შეკეთება, მიგდებულისა. რუსი ხალხის სიამაყეა, მასზე ყველამ ხელი ჩაიქნია. თუ შეკეთდება, კიდეც სამასი წელი იდგება და თვალსა და გულს გაახარებს.

– ჰმ, – ამოთქვა თავმჯდომარემ, – ახლავე გავერკვევი, – და მაგიდაზე ლილავს დააჭირა თითი.

კარებში მდივანმა ქალმა შემოიხედა.

– ზავადსკის თხოვეთ.

– ესე იგი, თქვენთან, სოფელში ძველი ეკლესიაა, საყურადღებოდ მიგაჩნიათ, როგორც მე-17 საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი. ასეა ხომ?

– ზუსტად ასეა! ოღონდ იქ ბევრი არაფერია შესაკეთებელი: გუმბათი გადავაკეთოთ, ზოგან ქვები დავამაგროთ, შეიძლება ავამაღლოთ, ჯვრით...

– ახლავე, ახლავე... ჩვენ გვყავს ამხანაგი, რომელიც სწორედ ასეთი საქმით არის დაკავებული. აი, ისიც.

კაბინეტში ჯერ კიდეც ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდა – ლამაზი, შავი, დატალღული თმა ჰქონდა და ნიკაპზე ფოსო ემჩნეოდა.

– იგორ ალექსანდროვიჩი, ეს ამხანაგი მიიღეთ.

– წავიდე, – შესთავაზა იგორ ალექსანდროვიჩმა.

ისინი გრძელ დერეფანს გაუყვნენ, წინ იგორ ალექსანდროვიჩი მიდიოდა, სიომკა კი ნახევარი ნაბიჯით უკან მისდევდა.

– მე თვითონ ტალიციდან არა ვარ, ჩებროვკიდან ვარ. ტალიცა ჩვენგან...

– ახლავე, ახლავე, – იგორ ალექსანდროვიჩმა თავი უკანმოუხედავად დაუქნია, – ახლავე ყველაფერში გავერკვევით.

„აქ დროს უქმად არ კარგავენ“. – გაფიქრა სიომკამ.

შევიდნენ კაბინეტში... თავმჯდომარის კაბინეტთან შედარებით უფრო ღარიბულად გამოიყურებოდა – უბრალო ოთახი, მაგიდა, სკამი, კედლებზე ნახაზები, ნიგნებით სავსე თარო.

– აბა? – უთხრა იგორ ალექსანდროვიჩმა და გაუღიმა, – დაჯექით და ყველაფერი დაწვრილებით მომიყევით.

სიომკამ ყველაფერი თანმიმდევრულად უამბო. სანამ ის ლაპარაკობდა, იგორ ალექსანდროვიჩი უსმენდა, თან ნიგნების თაროზე რაღაც საქალაქდეს ფურცლავდა. მოძებნა, რაც სჭირდებოდა, საქალაქდეს ხელისგულით იჭერდა, რომ არ დახურულიყო, მოუთმენლობა ეტყობოდა... სიომკამ ეს შეამჩნია.

– მორჩა? სულ ეს არის? – ჰკითხა იგორ ალექსანდროვიჩმა.

– ჯერჯერობით ეს არის!

– აბა, მომისმინეთ. „ტალიცის ეკლესია... №№№№№-ის ოლქი, ჩებროვკის რაიონი, – დაიწყო კითხვა იგორ ალექსანდროვიჩმა, – ეგრეთ წოდებული სიკვდილის ადგილი, სავარაუდოდ, მე-17 საუკუნის 70-90-იანი წლები. ვინმე თავადი ბორიატინსკი ტალიცაში დაიღუპა მტრის ხელით“... იგორ ალექსანდროვიჩმა ქალაქდეს თვალი მოარიდა და ვარაუდი გამოთქვა: – შესაძლებელია, რომ ნასვამი ძმები ან ნათესავები, ესე იგი... „დაიღუპა მტრის ხელით და ამ ადგილზე ააშენეს ეკლესია. ხუროთმოძღვარი უცნობია. როგორც ხუროთმოძღვრული ძეგლი, ფასეული არ არის, რადგან, თავისი დროის შესაბამისად, რაიმე სიახლე ან მოულოდნელი გადანყვეტილება, ან ამდაგვარის ძიება ავტორს არ უჩვენებია. მეტ-ნაკლებად ვლადიმირის ტაძრების ასლია. ყურადღებას იქცევს ეკლესიის ზომებით, მაგრამ ესეც ნაკარნახევია არა ხუროთმოძღვრული შეხედულებით, არამედ აშკარად დამკვეთის მატერიალური შესაძლებლობით. ღვთისმსახურება შენ-

ყდა 1925 წელს“.

– გინახავთ? – ჰკითხა სიომკამ.

– მინახავს. აი, ეს არის პასუხი შენს კითხვაზე, – და საქალაქდის ნერილი ამოიღო, – მე, როგორც თქვენ, მოვტყუვდი...

– შიგნით შეხვედით?

– ვიყავი, როგორ არა. ჩვენი ოლქიდან სპეციალისტებიც წავიყვანე...

– რა თქვეს სპეციალისტებმა დაშენების თაობაზე?

– კედლების გასწვრივ? საქმე ის არის, რომ ბორიატინსკებს თავიანთ ეკლესიაში ასაფლავებდნენ და საძირკველი საფუძვლიანად დათხარეს. ეკლესია, თუ შენიშნეთ, ოდნავ გვერდზე გადახრილია. მოგვიანებით ტაძარში დასაფლავება შეწყვიტეს და ასეთი დაშენება გააკეთეს... თუ ყურადღება მიაქციეთ, დაშენებაზე წარწერებია, იმ ადგილებში, რომელთა ქვემოთაც საფლავებია.

სიომკა დაიბნა.

– მაგრამ... როგორი ლამაზია! – გაჯიუტდა.

– დიახ, ლამაზია, – იგორ ალექსანდროვიჩი წამოდგა, თაროდან ნიგნი გამოიღო და ტაძრის ფოტოსურათი აჩვენა, – ჰგავს?

– ჰგავს.

– ეს ვლადიმირის ღვთისმშობლის საფარველის სახელობის ტაძარია, მე-17 საუკუნის. ყოფილხარ ვლადიმირში?

– მე რაღაც არ მჯერა... სიომკამ საბუთზე მიუთითა. – ჩემი აზრით, თქვენმა სპეციალისტებმა თვალი აგებეს. მოსკოვში მივწერ.

– ეს სწორედ მოსკოვიდან მიღებული პასუხია. მეც მოვტყუვდი, ვფიქრობდი, რომ ესეც მე-12 საუკუნისა იყო... ვფიქრობდი, რომ ვილაცამ დამოუკიდებლად, სხვისი მონათხრობის მიხედვით გაიმეორა, მაგრამ სასწაულები არ არსებობს. თქვენ სოფლის საბჭომ გამოგზავნათ?

– არა, მე თვითონ.

სემიონი იმავე დღეს შინისკენ გამობ-


რუნდა. ჯერ ისევ დღე იყო და რაიონულ ცენტრში მამა გერასიმეს ეწვია.

მამა გერასიმე ეკლესიაში იყო ღვთისმსახურებაზე. სიომკამ მის ახლობლებს მორჩენილი ფული გადასცა, ნაწილი ბილეთისათვის და ბოთლი წითელი ღვინისთვის დაიტოვა დაუბარა, რომ ვალს ფოსტით დაუბრუნებდა და შინისკენ გასწია.

მას შემდეგ ტალიცის ეკლესია აღარ უხსენებია, აღარ ნახულობდა, თუ ტალიცის გზაზე მიდიოდა, ფერდობთან მდგარ

ტაძარს ზურგს შეაქცევდა და მდინარის იქით, მდელოსკენ გაიხედავდა, ეწეოდა და დუმდა. ხალხმა ეს შეამჩნია და ვერავინ ელაპარაკებოდა. ოლქში რისთვის მიემგზავრებოდა და სად მიდიოდა, არ ეკითხებოდნენ. რადგან არაფერს ამბობს, ესე იგი, თქმა არ უნდა და რატომ ვკითხოთო?

თარგმნა
მარინე ამბარდნიშვილი



ახალგაზრდა მწერლების ჯონაურსი

ამჯერად ვთავაზობთ თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ერთობლივი კონკურსის თარგმანის ჟანრში გამარჯვებულ ერთ-ერთ მოთხრობას.

ინხილე ტობეა



ჩვენ მისამართი შევიცვალეთ

მას შემდეგ, რაც საცხოვრებელი ადგილი შევიცვალეთ, ერთადერთი გადაცემა, რისი ყურების უფლებაც მაქვს, საინფორმაციო გამოშვებაა, რომელიც ზუსტად 20 საათზე იწყება და რომელსაც ყოველდღე, ვახშმის შემდეგ ვუყურებ მშობლებთან ერთად. მას შემდეგ, რაც საცხოვრებელი ადგილი შევიცვალეთ, კი არ ვვახშმობთ, ქათმებივით ვიკენკებით, თან – თითქმის ხმის ამოუღებლად. შორიდან რომ შემოგვხედოთ, შეიძლება მუნჯების ოჯახი გეგონოთ. ადრე კი ყველაფერი სხვაგვარად იყო – დედა და მამა მუდმივად ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ და მათ ხანგრძლივ დიალოგში პერიოდულად მეც ჩავერთვებოდი ხოლმე – ხან სკოლის ამბებს ვყვებოდი, ხან რამე

სასაცილოს ვიხსენებდი და თან უამრავ შეკითხვასაც ვსვამდი. სანდრაც გამუდმებით ტიკტიკებდა რალაცას თავის ენაზე. თუმცა დედა ხშირად აწყვეტინებდა „საუბარს“ მოსაფერებელი სიტყვებით ან, პირიქით, ტუქსავდა და თან ბავშვისთვის საშიშ სხვადასხვა ნივთს სასწრაფოდ წაგლეჯდა ხოლმე ხელიდან, რათა მისთვის თავიდან აეცილებინა ყოველგვარი საფრთხე და დღე მშვიდობიანად ჩაგვემთავრებინა. ამ ყველაფრის შედეგად ჩემს მშობლებს საუბრის შუა გზაზე მიტოვება უწევდათ, რაც მამას ძალიან აღიზიანებდა. თუმცა ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა სამსახურიდან გადაღლილი ბრუნდებოდა. სხვა დროს კი ისიც ყოველთვის მზად იყო, ასპარეზი „პატარებისთვის“

დაეთმო. ეს პატარები ჩვენ ვიყავით – მე და ჩემი და. სულ პატარა კი ჩვენ ორში სანდრა იყო. ჰოდა, ყოველ საღამოს ოთხივე ერთად შემოვუსხდებოდით მაგიდას და მხიარულად ვვახშობდით. თუ ყურადღებას არ მივაქცევთ შიგადაშიგ პატარ-პატარა ნაკამათებას, რაც არცთუ ხშირად ხდებოდა. სანდრა უკვე დამოუკიდებლად იჯდა მაგიდასთან სპეციალური საბავშვო სკამის დახმარებით და როცა ჩვენ გვერდით წამოსკუპებულს ვხედავდით, უნებლიეთ სიცილი გვიტყდებოდა. იგი საკმაოდ გონიერი ბავშვი იყო და ძალიან მცირე ასაკში გაათვითცნობიერა, რომ სამივე მისი „ფან-კლუბის“ წევრი ვიყავით. ამიტომაც რვა თვისა უკვე მაღალი დონის „მსახიობი“ იყო.

მაგრამ შარშან საცხოვრებელი ადგილი შევიცვალეთ და მას შემდეგ ჩვენი მხიარული საღამოები ისევე უკვალოდ გაქრა, როგორც წყალში მოცურავე ყინულის ნატეხი.

როგორც წესი, 19 საათზე ვვახშობთ. ზოგჯერ ცოტა უფრო ადრეც. ეს იმ შემთხვევაში, როცა დედას შაკიკი ანუხებს, რაც არცთუ იშვიათად ხდება. ასეთ დღეებში 20-საათიან საინფორმაციო გამოშვებასაც ვერ უყურებს ჩვენთან ერთად, რადგან წამლის დალევიდან 5 წუთში ჩაილაპარაკებს, რომ უკეთ არის (რაც შეუძლებელია, რადგან წამალი ჯერ კუჭამდეც ვერ ჩააღწევდა), უბრალოდ, დასვენება სჭირდება. თუმცა მისი ცუდად ყოფნის მიზეზი რომ შაკიკი არ არის, ეს ისეთივე ცხადია, როგორც $2 \times 2 = 4$. მაგრამ მას შემდეგ, რაც საცხოვრებელი ადგილი შევიცვალეთ, დედას ხშირად სჭირდება დასვენებაც და ამისთვის მიზეზების მოგონებაც. არადა, ასეთ დროს მისთვის ყველაზე სასარგებლო ტირილი იქნებოდა, რომელიც იმ უგემურ კაფსულაზე მეტად უშველიდა, ჯიუტად რომ სვამს თავის ტკივილის დროს. ამ ყველაფერს მამა

მიხსნის ხოლმე ძალიან მშვიდი ხმით და თან მარიგებს, რომ, დედას საქციელის მიუხედავად, მასზე არ უნდა გავზრახდე.

მოკლედ, ზუსტად 19 საათსა და 58 წუთზე მამაჩემის გვერდით ვჯდები ან დედასა და მამას შორის. ეს იმ შემთხვევაში, თუ დედას შაკიკი არ ანუხებს და ჩვენთან ერთად უყურებს ტელევიზორს. მე გაუჩერებლად ვწრიალებ, სანამ კომფორტულად არ მოვეწყობი ჩემს ადგილზე, შემდეგ კი ოცნებას ვიწყებ. წარმოვიდგენ, რომ კინოთეატრში ვარ, რაზეც წამდვილად არ ვიტყვოდი უარს. მაგრამ მას შემდეგ, რაც საცხოვრებლად სხვაგან გადავედით, მსგავს ადგილებში აღარ დავდივართ – არც კინოთეატრში, აღარც აუზზე, მოკლედ, არსად. საბედნიეროდ, ტელევიზორს მაინც ვუყურებთ. დივანის პატარა ბალიშმა უკვე ჩემი საჯდომის ფორმა მიიღო. ცოტა ხნით წამოვდექი და რომ შევხედე, ჩაკბეჩილ ვაშლს მივამსგავსე, რომელიც თვალსა და ხელს შუა გაქრა. უჰ, როგორ მიყვარს ვაშლი! კიდევ, იცით, რას გეახლებოდით დიდი სიამოვნებით? ერთ დიდ კათხა შოკოლადს ვანილით. მაგრამ საკამარისია ოცნება... როგორც იქნა, კარგად ჩამოვდე ჩემი ტაკუნები სავარძელზე და უკვე მზად ვარ „ნიუსების“ მოსასმენად. ასე ეძახიან ახალ ამბებს, რომლებსაც საინფორმაციო გამოშვებებში გადმოსცემენ. ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი საყვარელი გადაცემაა, მაგრამ სულ არაფრის ყურებას წამდვილად ვჯობს. სათვალეც მოვირგე, თვალეები რომ არ დამიზიანდეს. უფრო კი იმიტომ, რომ დედას ვასიამოვნო და კიდევ ერთი სანერვიულო არ დავუმატო. იცით, რას ვერ ვიგებ? თავიდან, როცა მუდმივად მავიწყდებოდა სათვალის გაკეთება, დედა სისტემატურად მაძლევდა შენიშვნას. ახლა, როცა უკვე ჩვევად მექცა მისი ტარება, საერთოდ აღარ აინტერესებს ჩემი თვალეების მდგომარეობა.

სიმართლე გითხრათ, ეს ცოტათი მწყინს, რადგან, წესით, ჩემი საქციელით კმაყოფილი უნდა იყოს. მაგრამ ამ ბოლო დროს, დედას რომ რამით ასიამოვნო, ეს, პრაქტიკულად, შეუსრულებელი მისიაა.



ტიკ, ტიკ, ტიკ!

ეკრანზე წამების ათვლა დაიწყო, რაც ყოველთვის ცუდ გუნებაზე მაცენებს. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ძალიან კარგად ვიცი, ტელევიზორში რა როგორ ხდება – იქ დიდხანს არასდროს გრძელდება ის, რის ნახვასაც ხანგრძლივად ვისურვებდით. ყველაფერი, რასაც უჩვენებენ, დროში შეზღუდულია. ჯერ დაწყებული არ არის გადაცემა და ლამის უკვე მთავრდება. კადრები ისე სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს, მათ ნორმალურად აღქმას ვერ ვასწრებ და თან ამ გამოსახულებების ფერად ქარიშხალში ყველაფერს გვიჩვენებენ – ფეხბურთიდან ომამდე, ომიდან ხანძრამდე, ხანძრიდან ჯასტინ ბიბერამდე, ჯასტინ ბიბერიდან პაპანაქებამდე, გაუსაძლისი სიცხიდან სტივ ჯოხსის სიკვდილამდე და რა ვიცი, კიდევ რას აღარ... ისე, სტივ ჯოხსი ვახსენე და, ძალიან ვწუხვარ, რაც მოხდა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, 56 წლის კაცი უკვე საკმაოდ ბებერია. ჰოდა, ვერ ვხვდები, ახალ ამბებში რატომ გადმოსცემენ ცნობას მისი გარდაცვალების შესახებ? სანდრა, რომელიც შარშან გარდაიცვალა, მხოლოდ ოთხი წლისა იყო, თუმცა მასზე ტელევიზიით არაფერი უთქვამთ... და, ნეტავი, ათი წელი ბევრია სიცოცხლისთვის? ეს კითხვა მასწავლებელსაც დავუსვი სწორედ იმ დღეს, როცა დედამ უთხრა, რომ საცხოვრებლად სხვაგან გადავდიოდით, მაგრამ მას პასუხი არ გაუცია. შეიძლება არ იცოდა ან არ უნდოდა, ჩემთვის სიმართლე ეთქვა. ეს კითხვა იმიტომ მანუხებს, რომ მე ზუსტად ათი წლისა ვარ.

გაკვეთილზე ჯდომისას ნახევარი სა-

ათი ძალიან დიდი დროა, ტელევიზორის ყურებისას კი თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, ისე მალე გაირბენს ოცდაათი წუთი, იმის მიუხედავად, რომ საინფორმაციო გამოშვება ჩემი საყვარელი გადაცემა ნამდვილად არ არის. როცა წამყვანი დამშვიდობებამდე მადლობას გვიხდის ყურადღებისთვის მე, დედას და მამას (კი, კი, ზუსტად ასე ამბობს: მადლობას გიხდით თითოეულ თქვენგანს, ვინც ჩვენთან ერთად ადევნებდით თვალს სალამოს ახალ ამბებს), დედა სასწრაფოდ იღებს პულტს და ჰოპ! ეს კაცი, ცომივით გაბრტყელებულ თავზე ყელეგაგლეხილი თმით, წამში უჩინარდება. ტელევიზორის ყურების დრო ამონურულია. დედა მკაცრად მოწესრიგებულია: 20 საათი და 30 წუთია. ჰოდა, მევალება შემდეგი: კბილების გახეხვა, ფისი-ფისები და – პირდაპირ სანოლში. დასაძინებლად წასვლამდე მამას ვეხუტები. მას ბაიკერის ტყავის ქურთუკის სასიამოვნო სუნი აქვს, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ ჩაუცვამს. კოცნისას ნვერით ლოყაზე მჩხვლეტს, რაზეც უნებლიეთ მეცინება. ეს ჩვენი ერთგვარი თამაშია, რომელსაც შედეგად ყოველთვის დედას ბუზლუნი მოჰყვება. როცა გაღიზიანებულია, თუ უარყოფითი ემოციებისგან არ დაიცალა, ვერ იძინებს. ამის გამო დედა ათას საყვედურს ეუბნება მამას ისეთ რალაცებზე, რაც მას არ გაუკეთებია. ასეთი რალაცები კი ჩემზე ძალიან მოქმედებს. ყველაფრის მიუხედავად, დედასაც ვკოცნი. მას ქოქოსის სურნელი აქვს. დასაძინებლად მივდივარ და თან თავში სულ ომებისა და ვიღაც პოლიტიკოსების გამოსახულებები მიტრიალებს. რა უაზრობაა, ისინი ყველა ერთმანეთს ჰგვანან, ყოველთვის ჰალსტუხებსა და პიჯაკებში არიან გამონყობილები და თან სულ რალაც საბუთებს ანერენ ხელს მუდმივად მოღიმარი სახეებით. თუმცა ყველამ იცის, რომ ასე მხოლოდ კამერის წინ იქცევიან. მოკლედ, ყველა ეს გამოსახულება, ერთმანეთში

არეული, ჩემს თავში ქაოსურად ტრიალებს. გუშინდელი და დღევანდელი კადრები ერთმანეთს ენაცვლება. მოუთმენლად ველი ხვალინდელ დღეს, რომ ჩემს მეხსიერებაში არსებულ დომხალს ახალი გამოსახულებები დავუმატო... უცებ მამას სახე დამიდგა თვალწინ, ძილის წინ ჩვენი პატარა თამაშით გამხიარულებული, რომელსაც, დედას უკმაყოფილო შენიშვნების წყალობით, მალევე უქრება სახიდან ღიმილი. მას შემდეგ, რაც საცხოვრებელი ადგილი შევიცვალეთ, თითქოს უფლება აღარ გვაქვს, ბედნიერები ვიყოთ.

– პიჟამა ჩაიცვი! მეც ცოტა ხანში ამოვალ და გაკოცებ.

შეიძლება ითქვას, რომ დედა არსად გადაბარგებულა, ის ისევ წარსულში დარჩა. აი, უკვე ერთი წელია, რაც ახალ, ერთსართულიან სახლში ვცხოვრობთ, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ოთახებში შესასვლელად კიბეზე ასვლა აღარ გვჭირდება. კი, ჩვენს ძველ სახლს ნამდვილად ჰქონდა ხის რვა საფეხური და თან სულ ბოლო საშინლად ჭრიალებდა. მას შემდეგ, რაც სანდრას თითქმის სულ ეძინა და საძინებლიდან იშვიათადლა გამოდიოდა, ვცდილობდი, ძალიან ფრთხილად ავსულიყავი კიბეზე. როგორც იტყვიან, ქურდული ნაბიჯებით მივიპარებოდი, რომ ხმაურზე არ გაღვიძებოდა. ამ დროისთვის ერთ ოთახში უკვე აღარ გვეძინა, მაგრამ მეც მინდოდა ხოლმე მასთან ასვლა ძილის წინ საკოცნელად. ამ დროს ყოველთვის ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ უკვე დიდი ვარ. რადგან ერთ-ერთი განმასხვავებელი დიდებასა და პატარებს შორის სწორედ ეს არის – კოცნა ძილის წინ. ეს ხომ უფროსების მოვალეობაა. თუმცა სინამდვილეში ძალიან კარგად ვიცოდი, რომ მხოლოდ ცხრა წლის ვიყავი, რაც არც თუ ბევრია, მაგრამ როცა უფროსი და ხარ, ასეთი პატარ-პატარა თვალთმაქცობები გეპატიება.

ახლა კი, პრობლემა იმაშია, რომ ყოველ საღამოს დედას მიერ ნათქვამი ფრაზა „პიჟამა ჩაიცვი! მეც ცოტა ხანში ამოვალ და გაკოცებ“, პირდაპირ ტვინში მირტყამს. სიტყვები ისე ქაოსურად მეორდებიან და ირევიან ჩემს თავში, როგორც გალიაში გამომწყვდეული ჩიტი, რომელიც კედლებს ეხეთქება გარეთ გამოსასვლელად. მაგრამ როგორც კი წარმოვიდგენ, რა შეიძლება მოჰყვეს ჩემს ხმის ამოლებას, მხიარული სურათი მიდგება თვალწინ – ვხედავ, სათითაოდ როგორ ვკრეფ ჩემს სარძევე კბილებს დედას ხელისგულიდან, რომელსაც ტელევიზორის პულტი უჭირავს... და საბოლოოდ – ისევ სილაჩრე.

ამ სცენის წარმოდგენით ავდივარ წარმოსახულ კიბეზე. პიჟამას ვიცვამ და თან თავს ვიმიძებ, რომ დედას შეიძლება დაავინწყდეს ძილის წინ ჩემს ოთახში შემოსვლა. თუმცა ამის მე თვითონაც არ მჯერა. ასეთ დროს, ჩემგან განსხვავებით, სანდრა ხშირად ეძახდა დედას, მისთვის კოცნა რომ გამოეცემა. მისი მხრიდან ეს ნორმალური იყო, პატარებს ასეთი საქციელი ეპატიებათ.

საბანში კარგად გახვეული წარმომვიდგენ, რომ ჩვენი ახალი, ერთსართულიანი სახლი გემია. ისე, მართლა ჰგავს გემს ვერანდისა და სხვადასხვა ადგილზე განლაგებული პატარ-პატარა, ორ-ორი საფეხურის გამო, რომლებიც დედას სახიფათოდ მიაჩნია, მე კი ვგიჟდები, ისე მომწონს. უკვე ძილის პირზე ვარ მისული. გემმა სვლა დაიწყო. რხევებს ვგრძნობ. აზვირთებული ტალღების ხმა მესმის. სადღაც თოლიები წივიან. მარილის გემოს ვგრძნობ, დამპალი წყალმცენარეების სუნი მცემს და მართლა შუა ზღვაში მგონია თავი. სანდრაც ჩემ გვერდითაა, თავის პატარა შეზღონგზე წევს და ირუჯება, ყოველგვარი თავსაფრისა და გზისგან დამცავი კრემის გარეშე. მოკლედ, სრული თავისუფლება აქვს. „მზისგან დამცავი“ და არა „გზისგან დამ-

ცავი“. უბრალოდ, ვცდილობ, მეც გამოვიგონო სასაცილო სიტყვები, როგორც ამას სანდრა აკეთებდა. ამ შემთხვევაშიც ზუსტად ვიცი, ასე იტყოდა, გზისგან დამცავიო. ვიცი იმიტომ, რომ ჩემს პატარა დას ჩემი ხუთი თითივით ვიცნობდი.



ჩემს ჩაბნელებულ ოთახში დედა შემოდის. მას შემდეგ, რაც საცხოვრებელი ადგილი შევიცვალეთ, ძილის წინ ლამის ნათურას აღარ ვანთებ. ვწევარ ზურგზე, სარივით გაჭიმული, და თვალები დახუჭული მაქვს, ვითომ მძინავს. ამ ბოლო დროს ბევრ რამეს ვაკეთებ თავის მოსაჩვენებლად, რადგან ასე უფრო ნაკლებად მტკივნეულია ყველაფერი. ამიტომ ყველასთვის ასე ჯობს. დედაც თავს ისე მაჩვენებს, თითქოს დაიჯერა, რომ მძინავს და მეც ვითომ დავიჯერე, რომ დედამ დაიჯერა, მე რომ მძინავს. აი, მამას კი არ უყვარს თავის მოსაჩვენებლად რამის კეთება. სწორედ ამიტომ არის აღმართული ყინულის კედელი მასსა და დედას შორის. ზუსტად ამიტომ, ძილის წინ მოვალეობის მოსახდელად კი არ მკოცნის, წვერით მჩხაპნის და მეთამაშება.

დედა სანოლთან ჩაიმუხლებს, მაგრამ დაპირებული კოცნის მაგივრად ჩემს ბალიშში რგავს თავს, საიდანაც ტირილის მოგუდული ხმა ისმის. ეს ყოველივე აქ ხდება, ზუსტად ჩემი მარჯვენა ყურის გვერდით და მე, რა თქმა უნდა, ყველაფერი მესმის. მესმის, მაგრამ არაფერს ვამბობ. ეს ჩემი და დედას ერთგვარი საიდუმლოა, თან, ისეთი მძიმე და დამთრგუნველი, რომ დედას ჩემი გაფრთხილებაც კი არ სჭირდება, ვინმესთან რამე არ წამომცდეს.

ჰოდა, ველოდები.

ველოდები.

ველოდები,

რომ დედა წავიდეს; რომ დედა დამშვიდდეს; იქნებ, გაიხსენოს, თავისი ორი პატარა გოგონადან ერთი კიდევ

რომ ჰყავს და სულ არაფერს ერთი რომ ჯობს... ადრე ველოსიპედებით იმდენს ვსერირობდით, საჯდომები გვტკიოდა. ადრე ქვაბში დარჩენილი შოკოლადის ამოსვლეპა გვიყვარდა, რის გამოც ვახშმის დროს უკვე აღარ გვშოიოდა. ადრე ყურებამდე პირგადახსნილები ვუსმენდით მამას მოყოლილ სახუმარო ამბებს, რაზეც დედაც სიცილით იგუდებოდა. ადრე ვცდილობდით, ხელიდან დავსხლტომოდით დედას, ჩვენთვის მზისგან დამცავი კრემი რომ არ წაესვა. ადრე, მისი დარიგების მიუხედავად, მე და სანდრა ყველაფერს პირიქით ვაკეთებდით, ზოგჯერ ძალიან ცუდადაც ვიქცევოდით, მაგრამ ამ ყველაფერზე დედას მაინც ეცინებოდა, რადგან, როგორც ამბობდა, ჩვენ ცხოვრების მორევში ვიყავით ჩართული.



მაგრამ მას შემდეგ, რაც საცხოვრებლად ერთსართულიან სახლში გადავედით, თითქოს სამივე განსვენებულები ვართ. მღვდელმა თქვა ეს სიტყვა და იქიდან გავიგე. ძალიან ვწუხვარ, რაც მოხდა, მაგრამ მე არ ვარ განსვენებული. მე ცოცხალი ვარ და ხშირად ვუმეორებ ჩემს თავს – მეარმოვმკვდარვარარმოვმკვდარვარარმოვმკვდარვარ. საბოლოოდ ენა მებმება და სასაცილოდ ვბლუკუნებ. ყოველ შემთხვევაში, მე მეცინება, რადგან ბოლო დროს გადავწყვიტე, რომ ყველაფერი სასაცილოდ მომეჩვენოს... სანდრა მულტფილმების ყურების დროს გარდაიცვალა, მაგრამ მე რა ვქნა, რა გავაკეთო?! ამაში მე ხომ არ ვარ დამნაშავე.

დედა ყველაფერს ერთ ქვაბში ხარშავს – მულტფილმებსაც და სანდრას სიკვდილსაც. მის თავში ახლა სრული ქაოსია. ტელევიზორი ნომერი პირველი მტერი გახდა. თუმცა ამავედროულად ის სანდრასთან დამაკავშირებელი საშუალებაა, რადგან მისი ყურების დროს ისეთი შეგრძნება გვაქვს, რომ ოთხივე ისევ

ერთად ვართ, მიუხედავად იმისა, რომ სამილა დავრჩით. ყოველდღე ვუყურებთ ახალი ამბების გამოშვებას, რადგან იქ ყველაზე და ყველაფერზე ლაპარაკობენ, ჩვენ გარდა. იქ საშინლად ტრაგიკულ ამბებს გადმოსცემენ ძალიან შორეულ ქვეყნებზე, რაც დედას ამ ყველაფრის ყურებას უადვილებს. აბა, ფილმში ან სერიალში ყოველთვის არის ისეთი მომენტები, რეალობას რომ გვახსენებს, ეს კი დედასთვის ძალიან მძიმე ასატანია. ყველაზე მეტად კი მაშინ უჭირს, როცა რომელიმე სერია კარგად მთავრდება ან თუ კადრში ბევრი ჯანმრთელი და მხიარული ბავშვი გამოჩნდა. ამიტომ ახალ ამბებში გადმოცემული სისასტიკის ნახვას ვამჯობინებთ. ჰოდა, ყოველ საღამოს სამივე ვსხდებით „სანდრას დივანზე“ (ასე დედა ეძახის მისი გარდაცვალების შემდეგ), ტელევიზორის წინ, ეკრანის ცისფერი შუქით სახეგანათებულები „Schtroumpfs“-ის პერსონაჟებივით. მულტფილმია ასეთი, ლურჯი კანი აქვს ყველას. როცა დედა შაკიკის გამო დასაწოლად ადრე ადის (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ახალ სახლს კიბე არა აქვს), ისე სთხოვს მამას, ყურადღება მომაქციოს, თითქოს რამე საფრთხე მელოდეს იმის გამო, რომ დივანზე ვზივარ და ტელევიზორს ვუყურებ. თითქოს სანდრას სიკვდილის მიზეზიც სწორედ ეს ნივთები გახდა და, ვაითუ, ახლა მე დამიშავონ რამე.

კვირა დილით ჩვეულებრივზე ადრე გამეღვიძა. დედას და მამას ჯერ ისევ ეძინათ. დროის გასაყვანად ჩემს ოთახს მოვაველე თვალი. შემდეგ გარეთ გავიხედე და აღმოვაჩინე, რომ სანოლიდან წამოდგომის გარეშე საკმაოდ დიდი სივრცის დანახვა შემეძლო. მარჯვნივ გახედვისას ბაღში აბიბინებულ ბალახს ვუყურებდი, სულ ცოტათი წინ გადავიხარე და ცაც გამოჩნდა. მართლაც კარგი რამე ყოფილა ეს ერთსართულიანი სახლი. სანყე-

ნია, დედა არაფერს რომ არ აკეთებს მის გასალამაზებლად. სამწუხაროდ, მამამ ვერაფრით დაითანხმა, კედლები ლამაზ ფერებში შეეღებათ. ძველმანების ბაზრობაზე წასვლაზეც უარი უთხრა. არადა, შეიძლება იქ უამრავი ორიგინალური ნივთისთვის მიგვეგნო, რომლებითაც მერე მთელ სახლს გავაფორმებდით. ისიც სანყენია, დედას სურვილი რომ არ აქვს, ჩემს ოთახში რბილი იატაკი დავაგოთ და „Hello Kitty“-ის ნახატებიანი შპალერი გავაკრათ. თითქოს ამის გამო სანდრა იექვიანებს.


21 მარტი იყო. რიცხვი იმიტომ მახსოვს, რომ ზუსტად ჩემი სანოლის თავთან, ძალიან უფერულ კედელზე კალენდარი მეკიდა. ინტერესით დავაკვირდი მასზე გამოსახულ მარტისთვის ფოტოს: უზარმაზარი მზით განათებულ მინდორზე ყაყაჩოები ყვაოდა. ამ სურათის დანახვამ სიმღერის გუნებაზე მომიყვანა, რაც დიდი ხანია აღარ გამიკეთებია. აქამდე ყოველთვის მეშინოდა, ჩემი გულისგამანვრილებელი „ტრალალალა-თი“ დედა არ შემეწუხებინა. მაგრამ ამ დილით რატომღაც ეს სიფრთხილე გადამავიწყდა. ვმღეროდი მხიარულ სიმღერას არცთუ ზრდილობიანი ტექსტით, რომელზეც სანდრა ძალიან ბევრს იცინოდა ხოლმე და ასე ლილინ-ლილინით წამოვდექი სანოლიდან პასტელის საღებავების ყუთის მოსაძებნად. ფეხები ჩუსტებში ჩავყავი, რომ არ შემცივნოდა და ჩემი ოთახის მოხატვა დავიწყე, რომელსაც საავადმყოფოსავით თეთრი და უღიმღამო კედლები ჰქონდა. ზუსტად იმ დილით ჩემმა მშობლებმა, როგორც იტყვიან, დილის ძილი გამოაცხვეს. უკვე რამდენი თვეა, ასეთი რამ აღარ უქნიათ. თუმცა მე ისე ვიყავი გართული კედლების გაფერადებით, ვერც შევამჩნიე, დრო როგორ სწრაფად გავიდა, სანამ საღებავის სუნით შეწუხებული, ჩემს ოთახში ხველებ-ხველებით

შემოსული დედა და მამა თავზე არ დამადგნენ. სასწრაფოდ შევწყვიტე ხატვა. სიმწრით მოვიკვნიტე ტუჩი და ფუნჯი ზურგს უკან დავმალე, რაც იმ სიტუაციაში ძალიან სულელური საქციელი იყო. დედა მომიახლოვდა. ჩემდა გასაკვირად, დატუქსვა არ დაუნყია. ჩაიმუხლა. ზედმეტად მშვიდი გამოხედვა ჰქონდა, თუმცა შევატყვე, რომ ნამტირალევი იყო. გა-

მილიმა. შემდეგ მაკოცა. მას ერთმანეთში არეული ქოქოსისა და ბაიკერის ტყავის ქურთუკის სურნელი ჰქონდა.

„სათვალის გაკეთება აუცილებელია, თვალები რომ არ დაგიზიანდეს, ჩემო საყვარელო...“

თარგმნა
ნანა სამჭკუაშვილმა



ნიჰინ შოუ

ბობონები ზაფხულის კაბეზში

მეხუთე ავენიუ მზის სხივებით კაშკაშებდა, როდესაც ბრევერტს გამოსცდნენ და ვაშინგტონის მოედნისაკენ გაემართნენ. ნოემბერი იდგა, მაგრამ მზეს სითბო მაინც შერჩენოდა, და ყველაფერი კვირა დილის ყაიდაზე იყო: ავტობუსები, კარგად გამონწყობილი ხალხი, წყვილ-წყვილად რომ მიმოდიოდნენ, და სიმშვიდეჩამდგარი ფანჯრებდახურული სახლები.

მაიკლს ფრენსისისთვის ხელი მაგრად ჩაეჭიდა და მზიანი ქუჩით ორივენი ცენტრისაკენ ნელა, ტაატით მისეირნობდნენ. ნამძინარევე სახეებზე თითქოს ღიმილი გაკრავდათ, დილით კარგად ისაუზმეს და თანაც დღეს კვირა იყო. მაიკლმა დილები შეიხსნა და ლაბადაც მსუბუქ ნიავზე აუშრილდა. ნიუ-იორკის ამ ნაწილში უმეტესად ახალგაზრდა და სასიამოვნო გარეგნობის ხალხი ცხოვრობდა, რომლებიც უხვად ირეოდნენ უსიტყვოდ მოსეირნე წყვილის გარშემო.

– ფრთხილად! – შესძახა ფრენსისმა, მერვე ქუჩას რომ კვეთდნენ. – კისერი არ მოიტეხო.

მაიკლს გაეცინა და ფრენსისიც აჰყვა.

– არც ისეთი ლამაზია, – უთხრა ფრენსისმა – რომ მისი ყურება კისრის მოტეხად ღირდეს.

მაიკლს ისევ გაეცინა. ამჯერად უფრო

ხმამალლა და ცოტა უხეშად.

– უშნო გოგო არ იყო, კარგი კანი ჰქონდა. სოფლელი გოგოსი. როგორ მიხვდი, იმას რომ ვუყურებდი?

ფრენსისმა თავი გვერდზე გადაიქნია, თავისი ფარფლებიანი ქუდის დახრილი კიდის ქვემოდან ქმარს აღმაცერად გაუღიმა.

– მაიკ, ძვირფასო... – ჩაილაპარაკა მან.

მაიკლმა ისევ გაიცინა, ოღონდ ამჯერად მის სიცილს სიმსუბუქეც ახლდა.

– კარგი, – თავი დაუქნია მაიკლმა – პროტესტი მიღებულა. მაპატიე. უბრალოდ, კანი ჰქონდა რა... ნიუ-იორკში სად ნახავ ასეთს. მომიტევეთ.

ფრენსისმა მხარზე მსუბუქად მოუთათუნა ხელი და ოდნავ ააჩქარებინა ვაშინგტონის მოედნისაკენ სვლა.

– კარგი დილაა, – თქვა ფრენსისმა. – შესანიშნავი დილაა. როცა ერთად ვსაუზმობთ, მერე მთელი დღე კარგად ვგრძნობ ხოლმე თავს.

– მზე, დილის ვარჯიში, ფაფუკი ნამცხვარი და ყავა მაიკთან ერთად – საკმარისია განცხრომისათვის?

– დიახაც. თანაც, მთელი ღამე გემრიელად მეძინა, თოკივით გყავდი შემოხვეული.

– პარასკევს ღამით! – თქვა მაიკლმა

– ეგეთი თავისუფლების ნებართვას მხოლოდ სამუშაო კვირის დასასრულს ვიძლევი.

– სუქდები, – მოუჭრა ფრენისმა.

– ჰო, არა? მე: გაჩხიკული კაცი ოჰაიოდან.

– ძალიანაც გიხდება, მომწონს. – ფრენისი დატკბა. – კიდევ ხუთი ფუნტი ქმარი.

– მეც მომწონს, – სერიოზულად აღნიშნა მაიკლმა.

– რაღაცა მომაფიქრდა, – თქვა ფრენისმა.

– ჩემმა ცოლმა რაღაცა მოიფიქრა. ჩემმა ლამაზმა გოგომ.

– მოდი, მთელი დღე ნურავის შევხვდებით. უბრალოდ, მე და შენ ვისეირნოთ. მარტო მე და შენ. ამოუვიდა ჩვენი დანახვა ხალხს ყელში, სულ მათ სასმელს ვსვამთ, ან ჩვენსას, მე და შენ მარტონი მხოლოდ ლოგინში ვრჩებით...

– ჰო, შესანიშნავი შეხვედრის ადგილია, – გაელიმა მაიკლს. – ...თუ დიდხანს დარჩები ლოგინში, ვისაც კი იცნობ, ნელ-ნელა ყველა იქ მოგროვდება.

– ოჰ, თქვა რაღაცა... – წარბი შეიკრა ფრენისმა. – მე სერიოზულად გეუბნები.

– კარგი, გისმენ. სერიოზულად.

– მინდა, მთელი დღე ჩემი ქმრის გვერდით გავატარო. მინდა, რომ ის მხოლოდ მე მელაპარაკებოდეს და მხოლოდ მე მისმენდეს.

– მერე, რა გვიშლის ხელს? – გაიკვირვა მაიკლმა. – რომელ წვეულებას განუზრახავს ჩემი და ჩემი ცოლის დაშორება? აბა – რომელს?

– სტივენსონებისას. უნდათ, რომ შევუაროთ პირველ საათზე და შემდეგ ერთად გავიდეთ ქალაქგარეთ.

– ეგ ტილიანი სტივენსონები. – თქვა მაიკლმა. – უაზროები. რაც უნდათ, ისაქნან. მარტოც მშვენივრად შეუძლიათ ქალაქგარეთ და იმის იქით წასვლა. მე და ჩემი ცოლი ვრჩებით ნიუ-იორკში, რომ ერთმანეთს შევაბეზროთ თავი, ტე-ტე-ტე.

– პაემანი გვაქვს?

– დიახაც, პაემანი გვაქვს!

ფრენისი ფეხის წვერებზე აინია და მაიკლს ყურთან აკოცა.

– ძვირფასო, – თქვა მაიკლმა. – ეს მეხუთე ავენიუა.

– მოდი, განრიგს მე შევადგენ – განაგრძო ფრენისმა. – დაიგეგმოს კვირა დღე ნიუ-იორკში, ახალგაზრდა, ფულის მფლანგველი წყვილისათვის.

– არ აჩქარდე.

– ჯერ, მოდი, ფეხბურთზე წავიდეთ. ნამდვილ ფეხბურთზე. – ფრენისმა იცოდა, რომ მაიკლს ფეხბურთი უყვარდა.

– „გიგანტები“ თამაშობენ დღეს. კარგი იქნება, მთელ დღეს თუ გარეთ გავატარებთ, მერე მოგვშივდება და ქვევით, ქავანაქიში ჩავალთ და უზარმაზარ სტიეის ავიღებთ, ერთ ბოთლ ღვინოსაც, და მერე, რაღაც ახალი ფრანგული ფილმი გადის კინოში, ყველა იმაზე ლაპარაკობს... მაიკ, მისმენ?

– რა თქმა უნდა.

მაიკლმა თვალი მოაცილა გოგონას, რომელსაც თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი, მოცეკვავის სტილში, თითქოს ჩაფხუტივით ეფარა თავზე. წელან გვერდით ჩაუარა თავისი გათვითცნობიერებული მიხრა-მოხრითა და მიმზიდველობით, მოცეკვავეებს რომ ახასიათებთ. ის პალტოს გარეშე მიაბიჯებდა და ძალიან სოლიდურად გამოიყურებოდა, ძლიერი ჩანდა, თანაც ბიჭივით ბრტყელი მუცელი ჰქონდა, მოკლე ქვედაბოლოში კი გაბედულად მოძრაობდა მისი თეძოები, ერთი იმიტომ, რომ მოცეკვავე იყო, მეორე კი იმიტომ, რომ იცოდა, მაიკლი უყურებდა. მოცეკვავეს, როდესაც მაიკლს ჩაუარა, თავისთვის ჩაელიმა, მაიკლს კი უკვე გააზრებული ჰქონდა ყოველივე ეს, როდესაც ცოლს გადახედა.

– რა თქმა უნდა, – თქვა მან. – ჩვენ ვუყურებთ გიგანტების თამაშს, მივირთმევთ სტიეის და მერე იმ ფრანგულ ფილმზეც წავალთ. მოგწონს?

– საკმარისია, – კატეგორიულად თქვა



ფრენსისმა. – ესაა დღეის განრიგი. ან, რა ვიცი, იქნებ შენ მეხუთე ავენიუზე გირჩევნია აღმა-დაღმა სიარული?

– არა, – შეყოვნებით თქვა მაიკლმა. – საერთოდაც არა.

– ყოველთვის სხვა ქალებს მისჩერებინარ, – შეეპასუხა ფრენსისი. – ყველა წყეულ ქალს ნიუ-იორკში.

– ო, კარგი რა, – მაიკლს უნდოდა ხუმრობაში გაეტარებინა. – მხოლოდ ლამაზებს. და, თანაც, რამდენი ლამაზი ქალია ნიუ-იორკში? ...ჩვიდმეტი?

– შენთვის ბევრად მეტი, სადაც უნდა ნახვიდე.

– ეს ტყუილია. ხანდახან შეიძლება შევხედო ქალს, როდესაც გვერდით ჩა-

მივლის. ქუჩაში. ვალიარებ, შეიძლება ქუჩაში ხანდახან ვუყურებ ხოლმე ვინმეს...

– ყველგან, – ჩაუსწორა ფრენსისმა. – სად ჯანდაბაშიც არ უნდა ვიყოთ. რესტორანში, მეტროში, თეატრში, ლექციებზე, კონცერტზე.

– კარგი ახლა, ძვირფასო, – მაიკლი მოლბა. – მე ყველაფერს ვუყურებ. ღმერთმა თვალები მიბოძა და მეც ვუყურებ ქალებს, კაცებს, მეტროს მუშებს და ფილმებს, მინდვრის ყვავილებს. მე, უბრალოდ, სამყაროს ვათვალიერებ.

– ერთი, შენი თვალები დაგანახა, – უპასუხა ფრენსისმა, – როცა მეხუთე ავენიუზე ათვალიერებ სამყაროს.

– მე ბედნიერი ვარ ჩვენი ქორწინებით, – მაიკლი ნელა შეეხო მის იდაყვს, იცოდა, რომ ფრენსისს ეს მოსწონდა. – ჩვენ მთელი მეოცე საუკუნის სანიმუშო წყვილი ვართ, მისტერ და მისის მაიკლუმისები.

– მართლა ასე ფიქრობ?

– ფრენსის, პატარავ...

– მართლა ბედნიერი ხარ?

– რა თქმა უნდა. – უპასუხა მაიკლმა, თუმცა გრძნობდა, რომ კვირა დილა ტყვიასავით ადნებოდა ხელში. – აბა, რა უაზრობაზე ვკამათობ?

– მინდა რომ ვიცოდე, – ფრენსისმა ნაბიჯს აუჩქარა, მხოლოდ წინ იყურებოდა, დილის განწყობა სახიდან ჩამოერეცხა, ასე ემართებოდა მაშინ, როდესაც კამათობდა ან რაიმე სწყინდა.

– მე სასწაულად ბედნიერი კაცი ვარ ამ ქორწინებით, – დინჯად წარმოთქვა მაიკლმა – თხუთმეტიდან სამოც წლამდე ყველა ნიუიორკელ მამაკაცს შურს ჩემი.

– მორჩი სულელობას.

– მშვენიერი სახლი მაქვს, – აგრძელებდა მაიკლი. – კარგი წიგნები მაქვს, ფონოგრაფიც, კარგი მეგობრები მყავს. ვცხოვრობ იმ ქალაქში, რომელიც მომწონს, და ვცხოვრობ ისე, როგორც მომწონს, ვმუშაობ იმაზე, რაც მომწონს და ვცხოვრობ იმ ქალთან, რომელიც მომწონს. როცა რაღაც კარგი ხდება, პირ-

ველი შენთან არ გამოვრბივარ? და როცა რაიმე ცუდი ხდება, მაშინაც შენს კალთას არ ვაფარებ ხოლმე თავს?

– კი, – დაეთანხმა ფრენსისი – და კიდევ... შენ უყურებ ყველა ქალს, ვინც კი გვერდით ჩაგივლის.

– ეს მეტისმეტია.

– ყოველ მათგანს. – ფრენსისმა მაიკლის მხრიდან ხელი ჩამოიღო – თუ ლამაზი არაა, მაშინვე არიდე თვალს. თუ ოდნავ ლამაზია, მის შვიდ ნაბიჯს უყურებ.

– ღმერთო ჩემო, ფრენსის!

– და თუ მართლაც ლამაზია, მაშინ შეიძლება კისერიც კი მოიტეხო.

– გეყოფა, ჯობს დავლიოთ, – უთხრა მაიკლმა და გაჩერდა.

– ახლახანს არ ვისაუზმეთ?

– მომისმინე, ძვირფასო, – მაიკლმა მშვიდად დაიწყო საუბარი, ფრთხილად არჩევდა სიტყვებს. – მშვენიერი დილაა, ორივენი კარგად ვგრძნობთ თავს და რატომ უნდა გავიმწაროთ ეს კვირა დილა? მოდი, ტკბილად გავატაროთ დარჩენილი დღეც, რა...

– მე მშვენივრად გავატარებდი კვირა დღეს, შენ რომ არ გქონდეს ისეთი სახე, თითქოს აღარ იცის, მეხუთე ავენიუზე რომელ ქვედაბოლოს ეცესო.

– წამოდი, დავლიოთ.

– არ მინდა დაღევა.

– აბა რა გინდა, ჩხუბი?

– არა, – ისე სანწყლად თქვა ფრენსისმა, რომ მაიკლს შეეცოდა. – არ მინდა ჩხუბი. არ ვიცი, რატომ წამოვიწყე. კარგი, დავივინყო ყველაფერი და გავაგრძელოთ დღევანდელი დღე.

ერთმანეთს მაგრად ჩაჭიდეს ხელი და ასე სეირნობდნენ ვაშინგტონის მოედნის პარკში ეტილიან ბავშვებს, მოხუც იტალიელ კაცებსა და ფორმიან გოგონებს შორის.

– იმედია, დღეს კარგი თამაში იქნება, – სიჩუმე დაარღვია ფრენსისმა, მისი ხმა ზუსტად წააგავდა ისეთს, როგორიც დილით, საუზმობისას ჰქონდა, – მომწონს

ფეხბურთის მატჩები. როცა ერთმანეთს ისე ურტყამენ თითქოს ბეტონისგან იყვნენ ჩამოსხმული. ერთმანეთს რომ ანარცხებენ – ცდილობდა, როგორმე მაიკლს გალიმებოდა, – მინის ბელტები აქეთ-იქით ცვივა, კარგი სანახაობაა ხოლმე.

– რალაც მინდა გითხრა, – ძალიან სერიოზულად თქვა მაიკლმა – მე საერთოდ არ მიგკარებოვარ სხვა ქალს. არც ერთხელ. მთელი ამ ხუთი წლის მანძილზე.

– კარგი, – თავი დაუკრა ფრენსისმა.

– ხო გჯერა ჩემი?

– კარგი.

მიდიოდნენ ხალხით გადახუნძლულ სკამებსა და პარკის დაბალ ხეებს შორის.

– მეც ვცდილობ, არ შევიმჩნიო ხოლმე, – ისე თქვა ფრენსისმა, თითქოს მაიკლს კი არა, თავის თავს ელაპარაკებოდა. – ვცდილობ თავი დავიწმუნო, რომ ეს არაფერს ნიშნავს. ვუმტკიცებ ხოლმე ჩემს თავს, რომ ზოგი კაცი უბრალოდ ასეთია, უნდა უყუროს მაინც იმას, რაც არა აქვს.

– ზოგი ქალიც ეგრეა, – დაამატა მაიკლმა. – ადრე კი მქონდა ურთიერთობა რამდენიმე ქალბატონთან.

– მე არც კი შემიხედავს სხვა კაცისთვის. – ფრენსისი პირდაპირ მიაბიჯებდა, – მას მერე, რაც მეორე პაემანზე წამოგყევი. შიგნით რალაც ჩამწყდება ხოლმე, როდესაც ვინმე ქალი ჩაგვივლის და შენ მას ისევე უყურებ, როგორც მე შემომხედე პირველად, ალისა მაქსველის სახლში. მისაღებ ოთახში რომ ვიდექი, რადიოს გვერდით, მწვანე ქუდი მეხურა და გარშემო იმდენი ხალხი იყო.

– მახსოვს ეგ ქუდი.

– იგივე გამოხედვა გაქვს ხოლმე. და ძალიან ცუდად მხდის. საშინლად.

– ძვირფასო, გთხოვ... ჩუ...

– მე მგონი, ახლა უკვე მომინდა დაღევა, – თქვა ფრენსისმა.

ბართან მივიდნენ მერვე ქუჩაზე, აღარაფერი უთქვამთ, მაიკლი მექანიკურად მიეხმარა ტროტუარზე ასვლაში და მანქანებს შორის გაიყვანა. პალტო შეიკრა,

ჩაფიქრებული უყურებდა თავის სუფთად განმენდილ მბზინვარე ყავისფერ ფეხსაცმელებს, სანამ ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდნენ ბარს. ბარში მზიან ფანჯარასთან დასხდნენ, ბუხარში კი დაბალი, მხიარული ცეცხლი ენთო. პატარა იაპონელი ოფიციანტი ღიმილით მიუახლოვდათ და მაგიდაზე პრეტზელები დაულაგა.

– რას უკვეთავენ საუზმის შემდეგ? – იკითხა მაიკლმა.

– მე მგონი, ბრენდის.

– კურვოიზერი, – უთხრა მაიკლმა ოფიციანტს. – ორი კურვოიზერი.

ოფიციანტმაც მოიტანა ჭიქები და წყვილიც მზის სინათლეზე ნელი-ნელ წრუპავდა ბრენდის. მაიკლმა ნახევრამდე ჩაცალა და ცოტა წყალი მიაცოლა.

– მე ვუყურებ ქალებს, – აღიარა მაიკლმა. – მართალია. მე არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მე, უბრალოდ, ვუყურებ. თუ ქუჩაში ჩავუვლი და არ შევხედავ, მაშინ გამოდის რომ შენც გასულელებ და თავსაც ვისულელებ.

– ისე უყურებ, თითქოს გინდა ისინი. – ფრენსისი თავის ბრენდის ჭიქას ათამაშებდა. – ყოველი მათგანი.

– ისე, რაღაც გაგებით... – მაიკლი რბილად საუბრობდა, ჰაერში ფანტავდა სიტყვებს – რაღაც გაგებით, ეგეც მართალია. არაფერს არ ვაკეთებ ცუდს, მაგრამ, ჰო, მართალია.

– ვიცი. მაგიტომაც განვიცდი.

– კიდევ ბრენდი! – დაიძახა მაიკლმა.

– თუ შეიძლება, კიდევ ორი ბრენდი.


– რატომ მტკენ? – ჰკითხა ფრენსისმა. – რატომ იქცევი ასე?

მაიკლმა ამოიხვნეშა, თვალები დახუჭა და ნაზად დაიზილა თითის წვერებით.

– მომწონს ქალების გარეგნობა. ყველაზე მეტად რაც მომწონს ნიუ-იორკში, ესაა ქალთა ბატალიონები. ოჰაიოდან რომ ჩამოვედი, პირველი სწორედ ეს შევნიშნე, მილიონობით არაჩვეულებრივი ქალი მთელს ქალაქში. ქუჩაში რომ დავედიოდი გული ყელში მქონდა გაჩხერილი.

– ბავშვი... – თქვა ფრენსისმა. – ბავშვი შეგრძნებებია ეგ.

– ჰო, მაგრამ დაუფიქრდი, აბა, – შეეპასუხა მაიკლი, – ახლა ხომ აღარ ვარ ბავშვი. უკვე კაცი ვარ, შუახნის ასაკს ვუახლოვდები, წონაც მომემატა, მაგრამ ისევ ისე მიყვარს სამ საათზე მეხუთე ავენიუს აღმოსავლეთ მხარეს სიარული, ორმოცდამეთესა და ორმოცდამეჩვიდმეტე ქუჩებს შორის, სწორედ აქ გამოდიან ყველანი, გამოდიან ვითომ შოპინგზე, ბენვიანი ტანსაცმლითა და უცნაური ქუდეებით, ყველაფერი მთელი მსოფლიოდან ამ რვა კვარტალშია კონცენტრირებული, საუკეთესო ბენვეული, საუკეთესო ტანსაცმელი და უსიმპათიურესი ქალები, გარეთ გამოსულნი, რომ ფული დახარჯონ და თავი დიდებულად იგრძნონ, ცივად რომ შემოგხედავენ, როცა გვერდით ჩავუვლი, თითქოს ზედაც არ გიყურებენ.



იაპონელმა ოფიცინტმა ორი სავსე ჭიქა დადო მაგიდაზე და კვლავაც ბედნიერად ილიმოდა.

– ყველაფერი რიგზეა? – იკითხა მან.

– ყველაფერი შესანიშნავადაა, – უპასუხა მაიკლმა.

– რამდენიმე ბენვიანი პალტო, – თქვა ფრენსისმა, – და ორმოცდოლარიანი ქუდი...

– მთავარი ბენვიანი პალტო არაა. არც ქუდები. ეს ყველაფერი, უბრალოდ, დეკორაციაა სწორედ ასეთი ტიპის ქალებისთვის. გამიგე? ...არაა აუცილებელი ამას ისმენდე.

– მინდა, რომ ვისმენდე.

– მე მომწონს გოგონები ოფისებში. კოხტები, სათვალეებით, ჭკვიანები, ცოცხლები, მუდამ რომ იციან, გარშემო რა ხდება, სულ რომ უვლიან საკუთარ თავს. – მაიკლი ფანჯარაში აკვირდებოდა ხალხს, გარეთ აუჩქარებლად რომ დადიოდნენ – მე მომწონს გოგონები ორმოცდამეოთხე ქუჩაზე საუზმობის დროს, მსახიობები, მოკაზმულები, სიმპათიურ ბიჭებს რომ ელაპარაკებიან, პროდიუსერების მოლოდინში თავი ახალგაზრდულად და მხიარულად რომ უჭირავთ. მე მომწონს გამყიდველი გოგონები მეისისთან, შენ პირველს რომ გაქცევენ ყურადღებას იმიტომ, რომ მამაკაცი ხარ, ქალბატონებს კი ალოდინებენ, გეფლირტავენებიან წინდებზე, წიგნებზე და ფონოგრაფის ნემსებზე საუბრისას. ეს ყველაფერი ჩემში დაგროვდა, რადგან უკვე ათი წელია ამაზე ვფიქრობ და შენც ახლა შემეკითხე და აი, გიყვები.

– განაგრძე, – თქვა ფრენსისმა.

– როცა ნიუ-იორკზე ვფიქრობ, ყველა აქაური გოგო მახსენდება, ებრაელები, იტალიელები, ირლანდიელები, პოლონელები, ჩინელები, გერმანელები, შავკანიანები, ესპანელები, რუსები, მათი პარადია ამ ერთ ქალაქში. არ ვიცი, ჩემშია რაიმე განსაკუთრებული თუ ყველა კაცი ასეთი შეგრძნებით დადის ამ ქალაქში, ნიუ-იორკში თავი პიკნიკზე მგონია. მომწონს

ქალების გვერდით ჯდომა თეატრში, ცნობილი ლამაზმანები ექვს საათს რომ ანდომებენ მომზადებას, და მათი ყურება. ახალგაზრდა გოგონები ფეხბურთის მატჩებზე, დანითლებული ლოყებით, და როცა დათბება ხოლმე, გოგონები თავიანთი ზაფხულის კაბებით... – მაიკლმა მეორე ჭიქაც დაცალა. – აი, სულ ესაა. შენ მთხოვე, ხომ გახსოვს. არ შემიძლია, არ ვუყურო ამ ქალებს. არ შემიძლია, არ მომინდეს ისინი.

– შენ ისინი გსურს – უემოციოდ გაიმეორა ფრენსისმა – თვითონ აღიარე.

– მართალია, – მაიკლი ახლა უკვე სასტიკი და გულგრილი იყო, რადგან თავი უმწეოდ იგრძნო. – შენ გინდოდა ამ თემაზე საუბარი. ჩვენც მთლიანად განვიხილავთ.

ფრენსისმაც დიდ-დიდი ყლუპებით ჩაცალა თავისი ჭიქა.

– ამბობ, რომ გიყვარვარ.

– მიყვარხარ, მაგრამ ისინიც მინდა.

– მეც ლამაზი ვარ – თქვა ფრენსისმა – ისეთივე ლამაზი, როგორიც ნებისმიერი მათგანი.

– შენ მშვენიერი ხარ – გულწრფელად თქვა მაიკლმა.

– მე კარგი ვარ შენთვის – გამოესარჩლა საკუთარ თავს ფრენსისი. – კარგი ცოლი ვარ, კარგი დიასახლისი, კარგი მეგობარი. შენთვის ყველაფერს გავაკეთებდი.

– ვიცი, – მაიკლმა ხელი ჩასჭიდა.

– მაგრამ გინდა რომ თავისუფალიც იყო... – თქვა ფრენსისმა.

– ჩუმად.

– თქვი სიმართლე, – ფრენსისმა ხელი გამოწია.

მაიკლმა ფრჩხილი მიუკაკუნა ჭიქის ნაპირს.

– კარგი, – მშვიდად თქვა მან. – ხანდახან მინდება, რომ თავისუფალი ვიყო.

– ნუ ... – უტიფრად თქვა ფრენსისმა, თან თითები მაგიდაზე აათამაშა, – ერთი სიტყვა თქვი და...

– ნუ სულელობ, – მაიკლმა თავისი

სკამი მის გვერდით დადგა და ხელი თე-
ძოზე მოუთათუნა.

ფრენსისმა ტირილი დაიწყო, ჩუმად,
თავის ცხვირსახოცში, ოდნავ მოიხარა,
რომ ბარში სხვას არავის დაენახა.

– ერთ დღესაც, – ამოიკვნესა ტირი-
ლით, – ერთ დღესაც რაღაცას ჩაიდენ...

მაიკლი ხმას არ იღებდა, იჯდა და
უყურებდა როგორ თლიდა ბარმენი ლი-
მონს.

– ...არა? – უხეშად ჰკითხა ფრენსის-
მა, – ჰა, მითხარი. ილაპარაკე. იზამ თუ
არა?

– შეიძლება, – თქვა მაიკლმა. თავისი
სკამი ისევ უკან განია. – საიდან უნდა
ვიცოდე?

– იცი, – გაჯიუტდა ფრენსისი. – რო-
გორ არ იცი.

– ჰო, – მოგვიანებით დაეთანხმა მა-
იკლი. – ვიცი.

ფრენსისმაც შეწყვიტა ტირილი. ცხვი-
რი მოიხოცა ცხვირსახოცით და თავის
ადგილას დააბრუნა, სახეზე არაფერიც
ალარ ეტყობოდა.

– ერთ რამეს მაინც დამპირდი, – თქვა
მან.

– კი ბატონო.

– ნულა ილაპარაკებ, როგორი ლამა-
ზია ეს გოგო თუ ის ქალი. კარგი თვალე-
ბი, მკერდი, ფიგურა, ხმა... – ფრენსისმა
მაიკლის ხმას გამოაჯავრა. – შენთვის
შეინახე ეს ყველაფერი. მე არ მაინტერე-
სებს.

– უკაცრავად, – მაიკლმა ოფიციალტს
ხელი დაუქნია. – ჩემთვის შევიინახავ.

– კიდევ ბრენდი, – უთხრა ფრენსისმა
ოფიციალტს და თვალის კიდე მოისრისა.

– ორი, – გაიმეორა მაიკლმა.

– დიახ მემ, დიახ, სერ, – თავის დაკ-
ვრით წავიდა ოფიციალტი.

მაგიდასთან მჯდარი მაიკლი ფრენ-
სისს ძალიან მშვიდი ეჩვენებოდა.


– გინდა დავურეკო სტივენსონებს?
კარგი იქნებოდა ქალაქგარეთ. – თქვა
მან.

– რატომაც არა, დაურეკე.

ფრენსისი წამოდგა და ოთახის ბო-
ლოში, ტელეფონისკენ გაემართა. მაიკ-
ლმა თვალი გააყოლა მის ნაბიჯებს, თან
ფიქრობდა: „რა ლამაზი გოგოა, როგორი
კარგი ფეხები აქვს.“

ინგლისურიდან თარგმნა
მირიან რჩეულიშვილმა

ლევან ბიბიაძე



სიტყვა ძველი, სიტყვა ახალი

1. ლინგვისტური ეკონომია და ჟარგონი

ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში მრავლად გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც სალიტერატურო ენაში გავრცელებული ფრაზეოლოგიზმებისა თუ იდიომების „ფრაგმენტებს“ წარმოადგენენ. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

1. თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში მეტად გავრცელებულია ზმნა „გაუსწორა“ („ასწორებს“, „გაუსწორდა“), რაც ნიშნავს: *ასიამოვნა, კარგი გუნება-განწყობილება შეუქმნა*:

„თაფლისფერი თვალები კი მაგრად ასწორებს, ხალხნო!“ (პლენცდორფი 1982: 45);

„ზარემა დავინახე თუ არა, ეგრევე გამისწორდა“ (პლენცდორფი 1982: 80).

„გაუსწორა“ ზუსტად იმავე მნიშვნელობის სალიტერატურო გამოთქმის „**ხასიათი გაუსწორა**“-ს შემოკლებით არის მიღებული:

„ოცდამეერთე საუკუნემ გალაკტიონს **ხასიათი გაუსწორა**: დაარსდა ალმანახი „გალაკტიონოლოგია“ (რუხაძე 2002);

„ულრმესი მადლობა თბილისის ზოოპარკს: ესაა ერთადერთი ადგილი თბილისში, საიდანაც სულ სასიამოვნო და კარგი ამბები მოდის... თან ეს ტექსტები ისე კარგადაა დაწერილი, რომ **ხასიათს გისწორებს** ნაკითხვისთანავე!“ (პირველი 2014);

„შეიძლება საერთოდ არ გაინტერესებდეს ფეხბურთი, მაგრამ საყვარელ

ადამიანს ერთხელ მაინც **გაუსწორო ხასიათი** და მის გატაცებას სრული იგნორირება არ გაუკეთო, ხომ შეიძლება?“ (ვებგვერდი „ფსიქეას ბლოგი“).

2. სალიტერატურო ქართულში არსებობს ხატოვანი გამოთქმა „**ფეხებზე ჰკიდი**“. თედო სახოკია მას ასე განმარტავს:

„**ფეხებზე მკიდია** – დარდი არა მაქვს, არა ვზრუნავ, რაც უნდა მოხდეს, ჩემთვის სულერთია. „ხშირადა ჰნახავდით იმას ყრილობაში და გაიგონებდით მის საყვარელ სიტყვებს: „თქვენ, ჩემო ძმაო, ყველა თავის ცეცხლს უკეთებთ, სხვა **ფეხებზე გკიდათო!**“ (ვაჟა).

ასეთი გამოთქმა წარმომდგარია, ალბათ, იქიდან, რომ, როგორც ფეხზე დაკიდებული მცირე რამე ფეხს არ ამძიმებს, სიარულს არ უშლის და ადამიანისათვის უმნიშვნელოა, ისე ისიც, ვისზედაც ლაპარაკია, ყოველს მნიშვნელობას მოკლებულია, ყურადღების ღირსი არ არის“ (სახოკია 1979: 649).

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომულში ეს გამოთქმა გვხვდება სიტყვა-სტატიაში „ფეხი“, ხოლო მისი განმარტების სანახავად გვაგზავნიან სიტყვა-სტატიასთან „ჰკიდი“, მაგრამ ასეთი სიტყვა-სტატია ქეგლ-ში არ არის).

ამ გამოთქმის შემოკლებით არის მიღებული ჟარგონში ამჟამად მეტად გავრცელებული „**ჰკიდი**“ / „**დაიკიდა**“:

„მაგრად მიტყდება რომ ყველაფერი მკილია, მაგრამ მაინც მკილია!“ (სასიყვარულო საიტი);

„პუპას მაგრა გაუსწორდა, კახამ დაიკიდა და მე კიდე იზმენებში ვარ, ტო – არა ვგავარ და რანაირად ვარ ევროპელი!“ (მოსულიშვილი 2001: 142).

3. ჟარგონში „ახეხინეს“/„ხეხა“ ნიშნავს – ხანგრძლივ პატიმრობაში ამყოფეს/იმყოფებოდა:

„ხმა არ გაუღია – ვაითუ დამაჭერინონ და ისევ იქით გამამგზავრონ, სადაც 16 წელი მახეხინეს“ (ჩარკვიანი 2000: 4);

„ციხე უკვე ხუთჯერ ვხეხე“ (დავლიანიძე 1984: 102).

ეს არის შემოკლება სამსიტყვიანი ლიტერატურული გამოთქმისა „ციხის კედლები ახეხინეს“. ჰიპერბოლური ხატოვანი გამოთქმა – იმდენხანს მჯდარა, რომ ციხის კედლები მრავალგზის მიყრდნობისა თუ შეხების შედეგად გაუხეხავს:

„არადა ამ დისიდენტებს, რომელთაგან მრავალს, საბჭოთა რეჟიმმა საკმაოდ ახეხინა ციხის კედლები, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მეტიც – ურთიერთსაინააღმდეგო მიზნები ჰქონდათ“ (სანადირაძე, სანებლიძე 2012).

4. „შეეკრა“ ჟარგონში ნიშნავს – საიდუმლო კავშირით დაუკავშირდა (უპირატესად შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს). მისგან იწარმოება მიმღეობა „შეკრული“, რაც საიდუმლო კავშირით დაკავშირებულს ნიშნავს:

„მას იმ დათარსულ წელიწადს შევეკარი, ოდესაში იტალიური ოპერა რომ ჩაფლავდა“ (ბაბელი 1977: 37);

„სისხლს უშრობდა გიგანტს [გალაკტიონ ტაბიძეს] მთავრობასთან „შეკრული“ პოეტი-ფუნქციონერი“ (ლებანიძე 1990: 14);

„არადა, ვინც შეკრულია, ხშირად სწორედ ის უკრავს ხაზგასმითა და მონდობით ტაშს“ (იმედაშვილი 1998: 6);

„...საბაბი არავისთვის მიგვიცია, რომ ჩვენთვის „შეკრულობა“ დაენამებინათ. ან რას ნიშნავს ეს ჟარგონი? რომელ „სიტყვის კონაში“ მოიძიეთ?“ (ჯაველიძე 1990: 6).

ეს არის ფრაგმენტი, „ნარჩენი“ ლიტერატურული გამოთქმისა „ფიცით შეეკრა

/ ფიცით შეკრული“ ან „პირობით შეეკრა / პირობით შეკრული“ (შდრ. ხალხური „ხიდისთავს შავკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია“).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ფიცით, პირობით შეეკრება – ფიცს მისცემს, პირობას დაუდებს“, და საილუსტრაციოდ დამონებულია ბაჩანას სტრიქონები: „და რომ არ გავვთქვამ, მაზედაც უნდა შეგვეკრა ფიცითა“ (ტ. 7, სვ. 748); ხოლო „ფიცით შეკრული“ ასეა ახსნილი: „პირობით, ფიცით დაკავშირებული, შეერთებული“, და ნიმუშად მოხმობილია ფრაგმენტი ივანე მაჩაბლის თარგმანიდან: „ფიცით გახლავარ მე შეკრული და ფიცს ვერ გავტყებ!“ (ტ. 7, სვ. 876).

5. „გაარტყა“ ჟარგონში ნიშნავს – „გამოიცნო“ (უფრო ალაღბედზე მიხედვით): „უნდა ვალიარო, რომ ბევრ რამეს გაარტყი, ლეო“ [ნიშნავს: ...ბევრი რამე გამოიცანი, ლეო] (ვაჩნაძე 2003: 60);

„ზვიადი ამბობდა: მე თუ წავედი, ბანდიტები და ყაჩაღები მოვლენო.

გვარდიელები და მხედრიონელები ამბობდნენ: ჩვენ რომ წავიდე, მოვა შევარდნაძე და ესენგეში შეგვიყვანსო.

შევარდნაძე ამბობდა: მე კი წავალ სახლში, მაგრამ მიშა ისეთ დღეში ჩაგადებთ, მოგენატრებათ მამათიო.

მიშა ამბობდა: მე თუ წავედი, რაც ამ ქვეყანაში ნაგავია, ყველა ისევ ამოტივტივდებაო.

ჰოდა, აქამდე ხომ ყველამ გაარტყა და ახლა კი ბიძინა ამბობს: მე რომ წავალ, ყველაფერი კარგად იქნებაო და, ეგება და, თვალი არ ეცეს, თვალი!..“ (ზურაბიშვილი 2013).

„გაარტყა“ ნაშთია ლიტერატურული გამოთქმისა „მიზანში/მიზანს გაარტყა“, რომელიც პირდაპირი გაგებითაც იხმარება (სპორტში) და გადატანითი მნიშვნელობითაც – სასურველი შედეგის მიღებას ნიშნავს (ჟარგონში „გაარტყა“ მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება):

„ზაზამ 6-დან 4 ორქულიანი მიითვალა, საჯარიმოს ხაზზე კი 7-ჯერ დადგა და 6 სროლა მიზანში გაარტყა“ (კალათბურთი 2009);

„კლუბში განვერიანება ყველას შეუძ-

ლია, აქ მთავარი მონდომებაა და სურვილი იმისა, რომ ზუსტად **გაარტყა მიზანს**“ (სალუქვაძე 2012);

„ლალი მოროშკინა არ მალავს, რომ **მიზანში გაარტყა** და ასეთი სათაური (ლალი მოროშკინას წიგნის სათაურზეა ლაპარაკი. – ლ. ბ.) ერთგვარი პიარია“ (ირემაშვილი 2011).

6. **„ჩაავლო“** ახალგაზრდულ ჟარგონში ნიშნავს – „დაიჭირა“, „გამოიჭირა“:

„შენ ის ჯველი არა ხარ, გუშინ ჰონომ და სემმა რომ **ჩაავლეს?**“ (ბრეჰტი 1986: 22);

„...გამოსაძიებელ საქმეთა ნახევარი გაუხსნელი რჩება, მერე ვინმე განტყევის ვაცს **ჩაავლებენ** და ყველაფერს შეტენიან“ (სამადაშვილი 1988: 58).

ჟარგონული „ჩაავლო“/„ჩაავლებს“ ნაშთია ლიტერატურული გამოთქმისა „ხელი ჩაავლო“/„ხელს ჩაავლებს“, რაც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ასეა ახსნილი: „მაგრად ჩაჰკიდებს, ჩასჭიდებს (ხელს...)“. დამონმებულია ვაჟა-ფშაველა: „[დარეჯანს] **ხელი ჩაველო** ორი ბაღისთვის და სახეალენილი ელაპარაკებოდა ჯავარას“ (ტ. 8, სვ. 8).

მაგალითების გამრავლება შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია.

ყველა განხილულ შემთხვევაში მყარი ლიტერატურული გამოთქმებიდან, ფრაზეოლოგიზმებიდან, ჟარგონში დარჩა მხოლოდ ზმნა, ხოლო გამოთქმის შინაარსი არ შეიცვალა ან მცირედ მოდიფიცირდა.

ამკარაა, საქმე გვაქვს ლინგვისტური ეკონომიის კანონის გამოვლინებასთან ლექსიკურ დონეზე.

ლინგვისტურ ეკონომიას უწოდებენ „მოლაპარაკის მისწრაფებას დაზოგოს ძალისხმევა მეტყველებისას, რაც ენის ცვლილების ერთ-ერთი მიზეზია“ (როზენტალი 1976).

შემთხვევები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, ნააგავს ელიფსისს, მაგრამ ელიფსისი არ არის. ელიფსისი ასე განიმარტება: „პოეტური ფიგურა, სტილისტიკური ხერხი, როდესაც წინადადებაში ამოღებულია ან გამოტოვებულია ადვილად მისახვედრი სიტყვა. მისი ამოღება ხელს არ უშლის აზრის ზუსტად გადმო-

ცემას, გამოტოვებულის მაგივრობას ასრულებს ტირე“ (ჭილაია 1984: 80).

არავითარი ტირე განხილულ ნიმუშებში საჭირო არ არის, რადგანაც გამოტოვებული სიტყვების მიხვედრის საჭიროება არ არსებობს. ჟარგონული გამოთქმა მისი მშობელი ლიტერატურული გამოთქმისაგან დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს.

რატომ ან რა შემთხვევაში გადაიქცევა მყარი ლიტერატურული შესიტყვება შემოკლებისას, ზმნამდე დაყვანისას, ჟარგონად? ამ კითხვაზე პასუხი არ გვაქვს. მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მყარ შესიტყვებათა უმეტესობას ასეთი რამ არ ემართება. ავიღოთ სამაგალითოდ გამოთქმები „თავი მოიჭრა“ და „თავი გაართვა“. შეუძლებელი ჩანს, რომ ესენი ზმნამდე რედუცირდეს და ამის შედეგად მათი მნიშვნელობა არ შეიცვალოს. კიდევაც რომ მოხდეს ასე, ანუ მარტო „მოიჭრა“ და „გაართვა“ დარჩეს, ძნელი წარმოსადგენია, ესენი ჟარგონებად ჩაითვალოს.

2. „მაგარის“ სემანტიკისათვის

სიტყვა „მაგარი“ ასე განვმარტეთ „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“:

„სალიტერატურო ქართულში ნიშნავს ძნელად გასატეხს, მყარს, მტკიცეს, გამძლეს, ძლიერს; სასმელთან დაკავშირებით – ბევრი სპირტის შემცველს; ჟარგონში კი კარგის, ჩინებული, საუცხოოს მნიშვნელობა შეიძინა: „*იქ შენ ისმენდი მაგარ ლექციებს ქართულ და მსოფლიო მწერლობაზე*“ (გიორგი ჩარკვიანი); „*ნასკები მაგიდაზე დავყარე. ეს იყო ყველაზე მაგარი!*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „*მაგრად ცეკვავდა სხვათა შორის*“ (რეზო ჭეიშვილი)“ (ბრეგვაძე 1999: 83).

ამგვარი მნიშვნელობით (კარგი, ჩინებული, საუცხოო) გამოყენებული „მაგარი“ რომ ჟარგონული ელფერის მატარებელია, ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს.

ბატონმა ივანე ამირხანაშვილმა, ძველი ქართული ლიტერატურის ჩინებულ-

მა მცოდნემ, ჩვენი ყურადღება მიაპყრო ძველ ტექსტებში ზედსართავ „მაგარისაგან“ წარმოებული ზმნიზედის „მაგრიად“ (=მაგრად) იმ მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს, რომელიც დღეს ჩვენ ჟარგონულ მნიშვნელობად მიგვაჩნია.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ:

„...ფარულად მოუწოდა ერის-კაცსა ანჩელსა, ლიბრსა და გლახაკსა და **მაგრიად** მოისარსა“ (მერჩული 1960: 107). „მაგრიად მოისარი“ მარჯვედ, ჩინებულად, საუცხოოდ მოისარია.

ამავე გამოთქმას ვხვდებით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაშიც:

„ამირა ძლიერი და **მაგრიად** მოისარი“ (ქართლის... 2008: 302). სქოლიოში მითითებულია, რომ ანალოგიური ფრაზა თურმე ფსალმუნის ქართული თარგმანის ადრინდელ რედაქციებშიც გვხვდება: „ფსალმ. 77,9 (ძველ, წინარეათონურ რედაქციებში)“. მართლაც, ამ ადგილას ფსალმუნში ვკითხულობთ: „ძენი ეფრემისნი, ძლიერნი და **მაგრიად** მოისარნი“. გვიანდელ რედაქციაში, რომელიც დედანთან უფრო მიახლოებული ჩანს, ნაცვლად „მაგრიად მოისარისა“ არის „მოისარნი მშვილდებითა“ (ფსალმუნნი 1960: 203). თანამედროვე თარგმანში ასეა: „ძენი ეფრემისა, აღჭურვილნი და მშვილდმობიდიულნი [უკუიქცნენ ბრძოლის დღეს]“ (ბიბლია 1989: 531), ანუ თარგმანის დაზუსტებულ, დედანს მიახლოებულ ვერსიაში „მაგრიად“ აღარ არის (მისი შესატყვისი არც რუსულ და გერმანულ თარგმანებშია).

ამავე გამოთქმას ვხვდებით ჟამთააღმწერელთანაც:

„რამეთუ იყო კაცი ესე დიდი და **მაგრიად** და უცთომლად მოისარი“ (ზოგ ხელნაწერში [თმ] ყოფილა „მაგრად“) (ქართლის... 2008: 592).

ეს შესიტყვება გვხვდება აგრეთვე თხზულებაში „წამებაჲ წმიდისა ვარდანისი და ძმათა მისთაჲ...“, რომელიც სომხურიდან არის თარგმნილი:

„**მაგრიად** მოისარმან ვარდან არა მცირედი ბრძოლაჲ ყო მისთანათაჲთურთ ზედა...“ (ვარდანი 1944: 86).

„მარჯვედ“, „ჩინებულად“, „საუც-

ხოოდ“ – ამ მნიშვნელობებს „მაგრიად“ მხოლოდ მოისართან დაწყვილებული იღებს. სხვა შემთხვევებში ის იგივეა, რაც „ძლიერად“. მაგალითად, ძველი ალექსის ნეემიას წიგნში ვკითხულობთ: „და საბლარდელი იგი ჩემი განვყარე მაგრიად“ (ნეემია 5,13). ახალი თარგმანი: „გამოვიბერტყე ჩემი სამოსლის უბე“ (ბიბლია 1989: 420) – „განვყარე მაგრიად“ ნიშნავს: „გამოვიბერტყე“ ანუ ძლიერად, ღონივრად დავიქნიე [სამოსელი] (შდრ. აბულაძე 1973: 112). საგულისხმოა, რომ ილია აბულაძეს „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ჯერ ცალკე განუმარტავს „მაგრიად“ („ძლიერ, ღონივრად“) და შემდეგ კი – სინტაგმა „მაგრიად მოისარი“ („ძლიერად, მარჯვედ მსროლელი“), რაც იმას ნიშნავს, რომ მას ეს გამოთქმა მყარ შესიტყვებად მიაჩნია, უთუოდ იმის გამოც, რომ ძველ ტექსტებში არ ჩანს ისეთი სინტაგმა, რომელშიც „მაგრიად“ სხვა ხელობის აღმნიშვნელ სიტყვას უწყვილებოდა.

რას შეიძლება ნიშნავდეს ის, რომ ძველ ქართულში „მაგრიად“ მხოლოდ მოისართან დაწყვილებული იღებს ისეთ მნიშვნელობას, რომელიც თანამედროვე ქართულში ჟარგონული ელფერის მატარებელია? ჩვენი აზრით, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „მაგრიად მოისარი“ ძველადაც ჟარგონი იყო, იმ ახალგაზრდათა წრეში გაჩენილი, რომლებიც მშვილდ-ისრის სროლაში ვარჯიშობდნენ და ინაფეზობდნენ. „ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ წინათქმაში გვინერია: „ყველგან, სადაც კი ახალგაზრდებს ხანგრძლივი დროით უხდებათ ერთად ყოფნა (სასწავლებელში, ჯარში, სპორტულ სკოლებში, „ბირჟაზე“...), აუცილებლად იქმნება ახალგაზრდული ჟარგონი“ (ბრეგაძე 1999: 5).

„ყველგანს“ დავუმატებდით – „ყველა დროში“: „ყველგან, ყველა დროში, სადაც კი ახალგაზრდებს ხანგრძლივად უხდებათ ერთად ყოფნა...“ და ა. შ.

ამრიგად, ვფიქრობთ, შესაძლოა „მაგრიად მოისარი“ უძველეს ქართულ ჟარგონულ გამოთქმად მივიჩნიოთ.

მერე და მერე ზედსართავი სახელი „მაგარი“ კარგის, ჩინებულის, საუცხოოს მნიშვნელობით გამოყენების არეალს

იფართოებს, ოღონდ ფრაზებს, რომლებშიც იგი ამ გაფართოებული მნიშვნელობით გამოიყენება, არალიტერატურული, რამდენადმე ვულგარული, ქართულის ელფერი აძევს.

ილია ჭავჭავაძესთან ვკითხულობთ:

„ამას ამტკიცებს, როგორც კნ. ბ. ჯორჯაძის სტატია, ისე უფ. გ. ბარათოვისა თავის რამოდენიმე **მაგარ** აზრითა“ (ჭავჭავაძე 1953: 35). „მაგარი“ („საუცხოო“, „ჩინებული“...) აქ ირონიულად არის ნათქვამი.

დავით კლდიაშვილის პიესის „უბედურება“ პერსონაჟები ასე საუბრობენ:

„ამირანა: თუ აღარ შემიძლია, შენი ჭირი შემეყაროს, მაშინ? აღარა მაქვს არც ღონე და აღარც ძალა, მაშინ? (..) არავინ უნდა მომხედოს? ყველამ უნდა წამიყრუოს?“

ილია: ოჰ, ეგ კარგ კითხვას იძლევი, ჩემო ამირანა, კარგსა და **მაგარ** კითხვას იძლევი, ამირანა!

ამირანა: ჰო, რა ვქნა, რა... როცა აღარც ღონეა და აღარც ძალა მაქვს... ა? (იციინის) ა, **მაგარ** კითხვას ვიძლევი, შენი ჭირი შემეყაროს?!

ილია: სწორედ, კარგ და **მაგარ** კითხვას იძლევი... ყველასათვის საგულისხმიერო კითხვას იძლევი, ჩემო ამირანა!“ (კლდიაშვილი 1947: 589).

ამ ბოლო ფრაზიდან სავსებით ცხადია, რა მნიშვნელობით არის დიალოგში გამოყენებული „მაგარი“ – პერსონაჟი თვითონვე ასახელებს მის ლიტერატურულ შესატყვისებს: *კარგი, საგულისხმიერო*.



მე-19 საუკუნეში, მეტადრე ილია ჭავჭავაძესა და ვაჟა-ფშაველასთან, დასტურდება „მაგარის“ სხვა საყურადღებო მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებიც. ჯერ მაგალითები ვნახოთ.

„გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენებში“ ილია ჭავჭავაძის პერსონაჟი გლახა ჭრიაშვილი ხშირად იყენებს გამოთქმას „**მაგრამ მაგარი ესაა, რომ...**“:

„დიდი ხნის კაცი ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ **მაგარი** ესაა, რომ არა ვარ დიდი ხნისა“ (ჭავჭავაძე 1950: 329);

„მართალია, წვერ-ულვაშში ჭალარა

გამომრევია, მაგრამ **მაგარი** ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ“ (ჭავჭავაძე 1950: 232);

„საყდარი ხომ საყდარია, თქვენ ეს უფრო კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ **მაგარი** ესაა, რომ ხორციელი ადამიანი სულ სხვა არის“ (ჭავჭავაძე 1950: 232);

„მართალია, ჩვენს სოფელში სიტყვა-პასუხიანს კაცს მეძახიან, მაგრამ **მაგარი** ესაა, რომ მაინც კიდევ თქვენი საკადრისი სიტყვა-პასუხი სად მეცოდინება, – ერთი ბეჩავი გლეხი ვარ“ (ჭავჭავაძე 1950: 234).

„კაცია-ადამიანშიც“ ვხვდებით ამ გამოთქმას და „კაცია-ადამიანის“ გადაკეთებით დაწერილ პიესაშიც, რომლის სათაურია „მაჭანკალი“:

სუტ-კნენინა: „მაგრამ... **მაგარი** ეს არის, რომ „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“ (ჭავჭავაძე 1950: 173; შდრ. ჭავჭავაძე 1950: 377).

მაგალითები ვაჟა-ფშაველას მოთხრობებიდან:

„მაგრამ... **მაგარი** ის არის, რომ კიდობნიდან იწყო ლამლამობით საუცხოვო ამბებმა მოდენა. ხმალი არ ისვენებდა: კიდობნიდან ისმოდა აბჯრის ჩხერა-ულარუნი, დაჭრილთა კვნესა, ხმა ლოცვა-მუდარებისა, ცოდვათა მიტევება“ („ბათურის ხმალი“. ვაჟა 1961ბ: 101);

„ღვთისოს კეცში გამომცხვარი პურის მოზდილი ყუა ეჩარა ილიაში, უტეხდა და უხვადა სთავაზობდა ლუკმებს სასახლოდ წამოყვანილს ბროლიას. მაგრამ **მაგარი** ის არის, რომ ბროლია იმ წისქვილივით, რომელიცა ვნახეთ, და უფრო უარესად, დანჟღრეულ-დანგრეული იყო, სიბერისაგან კბილები გასცვივონდა საცოდავს...“ („საშობაო მოთხრობა“. ვაჟა 1961ა: 140);

„სოფელი რომ აწმყოს რიგიანად ჰმართავდეს, რიგიანს გზაზედ აყენებდეს, გასამტყუნარი არ იქნებოდა, რადგან ნაყოფიერი აწმყო ნაყოფიერს მომავალს მოიტანს ხოლმე, მაგრამ **მაგარი** ისაა, რომ აწმყოც თავისებურად ესმის ამ ორთავა ზღვას, თავისებურად, ე. ი. კუჭის მხრით“ („სოფლის სურათები“. ვაჟა 1961ა: 230);

„ძველები ზნეობით ფრიად აღმატებულნი ყოფილან, მართალნი, გულკეთილნი, უზაკვრონი, უზადონი. მაგრამ

მაგარი ეს არისო, ამბობს სოფელი, რომ აჯამი ხალხი ყოფილა მაშინაო. სად ეხლანდელი ჭკვა და ეშმაკობა, სად მაშინდელიო“ („სოფლის სურათები“. ვაჟა 1961ა: 234);

„[კურდღელი] გამეშდა, აღარც იქით მიდის, აღარც აქეთ. მეც თამამად მივედი, მივეწვადე, უნდა დამეჭირა. მაგრამ **მაგარი** ის არის, კურდღელი გადახტა, გამექცა, ხოლო ადგილმა, სადაც ის იჯდა, ფამფალი, ზანზარი დაინყო და წამოდგა საფლავიდან უზარმაზარი ტანის კაცი...“ („ცრუპენტელა აღმზრდელი“. ვაჟა 1961ა: 412).

ამ გამოთქმის („მაგრამ მაგარი ის არის, რომ...“) თაობაზე „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ითქმის დათმობით წინადადებაში დაპირისპირების განსამარტავად ან გასაძლიერებლად“ (დამონუმებულია ილიას გლახა ჭრიაშვილის ერთ-ერთი ზემოთ ციტირებული ფრაზა. – ქეგლ 1958: 5). ეს ჩინებული დახასიათებაა ამ გამოთქმისა, მაგრამ სრულყოფილ განმარტებად ვერ ჩაითვლება. განმარტების საქმე რომ ცოტათი წავწიოთ წინ, ის გამოთქმები მოვიძიოთ, რომლებმაც შეიძლება „მაგრამ მაგარი ის არის, რომ...“ ჩაანაცვლონ; ესენია: „მაგრამ **საქმე** ის არის, რომ...“, „მაგრამ **უცნაური** ის არის, რომ...“, „მაგრამ **საინტერესო** ის არის, რომ...“, „მაგრამ **საყურადღებო** ის არის, რომ...“, „მაგრამ **საგულისხმო** ის არის, რომ...“, „მაგრამ **გულგასახეთი** ის არის, რომ...“, „მაგრამ **სამწუხარო** ის არის, რომ...“... სხვაც ბევრი შეიძლება დასახელებს. ამრიგად, „მაგარს“ ჩაუნაცვლებია „საქმე“, „უცნაური“, „საინტერესო“, „საყურადღებო“, „საგულისხმო“, „გულგასახეთი“, „სამწუხარო“, „სეირი“.

აქაც, ანუ დათმობით წინადადებაში, „მაგარი“ ლამის უნივერსალურ ჩამნაცვლებლად გვევლინება, ოღონდ ამჯერად იგი დადებით ეპითეტებს კი არა, ნეიტრალურებსა და უარყოფითებს ენაცვლება.

ამრიგად, ზედსართავ „მაგარის“ სემანტიკის გაფართოების პოტენციალი, რაც უძველეს ტექსტებში უკვე შეინიშნება, მე-19 საუკუნეში ძალუმად გამოვლინდა, ხოლო ჩვენს დროში მთელი სის-

რულით იქნა რეალიზებული.

„გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში“ 2007 წელს რუბრიკით „რენა წახდეს, ერიც დაეცეს“ დაიბეჭდა გივი ბოჯგუას წერილი, რომლის სათაურია „დადებით ეპითეტთა და სინონიმთა რისხვა“, სადაც ვკითხულობთ:

„ეს სიტყვა [„მაგარი“] ღვთის რისხვასავით ატყდება ყველა დადებით ეპითეტსა და სინონიმს; მან ლამის დაგვაწიყოს მათი არსებობა და გამოყენების აუცილებლობა. რატომ, განყდა ენაში უმშვენიერეს სიტყვათა სპა? გავიხსენოთ ზოგიერთი მაინც: აზრიანი, ალალი, ალერსიანი, ამტანი, ამოლტილი, ბედნიერი, ბეჯითი, ბრწყინვალე, გამორჩეული, გასახარელი, გონივრული, გულთბილი, გულუხვი, გულლია, დიდებული, დიდსულოვანი, კარგი, ნიჭიერი, მართალი, მოსანონი, მოსიყვარულე, მშვენიერი, ნაზი, ნარნარი, საამო, სათუთი, საკადრისი, სანაქებო, საქმიანი, საუცხოო, სრულყოფილი, ტანადი, უზადო, ღირსეული, შესანიშნავი, წარმატებული, ჭკვიანური და უამრავი სხვა“ (ბოჯგუა 2007: 34-35).

ამ კურიოზული ვითარების კიდევ უფრო ხაზგასასმელად რედაქციამ, რომლის წევრი თქვენი მონა-მორჩილიც გახლდათ, თავს უფლება მისცა გივი ბოჯგუას ამ სტატიის ბოლოს მთავარი რედაქტორის, ბატონი მაგალი თოდუას, მიერ ხელმოწერილი ასეთი სახალისო მინაწერი დაერთო: „**მაგარი სტატიია!**“.

ჩვენი აზრით, „მაგარის“ ეს უცნაური პოლისემია ლინგვისტური ეკონომიის კანონის მოქმედებას უნდა მიეწეროს და, ვფიქრობთ, ამის გამო სასაუბრო მეტყველებაში მის წინააღმდეგ ბრძოლა შედეგს ვერ გამოიღებს, წერისას კი მაქსიმალურად უნდა ითქვას მასზე უარი.

და კიდევ: „მაგარის“ ეს პოლისემია სათანადოდ უნდა აისახოს ლექსიკონებშიც, თუნდაც მისი გამოვლინების არაჩვეულებრივი სიხშირის გამო. ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ლექსიკონი (გარდა, ცხადია, „ქართული ჟარგონის ლექსიკონისა“), რომელშიც „კარგის“ სინონიმად „მაგარიც“ არის დასახელებული, კარლო ჯორჯანელის მიერ 2003 წელს გამოცემული „ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონია“ (ჯორჯანელი 2003: 359).

დამოწმებანი:

აბულაძე 1973: აბულაძე, ილია. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი: „მეცნიერება“, 1973.

ბაბელი 1977: ბაბელი, ისააკ. მარია. თარგმნა თამაზ კვაჭანტირაძემ. თბილისი: „ნაკადული“, 1977.

ბიბლია 1989: ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი: 1989.

ბოჯგუა 2007: ბოჯგუა, გივი. დადებით ეპითეტთა და სინონიმთა რისხვა. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“. ქუთაისი: 2007, №1, გვ. 34-35.

ბრეგაძე 1999: ბრეგაძე, ლევან. „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 1999 (შდრ. მესამე შევსებული გამოცემა, 2013).

ბრეჭტი 1986: ბრეჭტი, ბერტოლტ. პიესები. თბილისი: „ხელოვნება“, 1986.

დავლიანიძე 1984: დავლიანიძე, ჯემალ. ჟ. „ცისკარი“, 1984, №№5.

ვაჟა 1961ა: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. 3. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1961.

ვაჟა 1961ბ: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. 4. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1961.

ვარდანი 1944: წამებაჲ წმიდისა ვარდანისი და ძმათა მისთაჲ... ილია აბულაძე. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა მე-9-10 სს-ში. გამოკვლევა და ტექსტები. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1944.

ვაჩნაძე 2003: ვაჩნაძე, დიანა. ნატა ანუ ახალი ჟიუღი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2003.

ვებგვერდი „ფსიქეას ბლოგი“: <http://psiquea.wordpress.com/2013/03/18/daqalebi/>

ზურაბიშვილი 2013: ზურაბიშვილი, დავით. <http://www.tabula.ge/ge/verbatim/74128-davit-zurabishvili-aqamde-xom-kvelam-gaartka>

იმედაშვილი 1998: იმედაშვილი, კობა. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1998, №37.

ირემაშვილი 2011: ირემაშვილი, ეკა. „ლალის მოროშკინა ახალი სკანდალით იმუქრება“. გაზ. „ახალი თაობა“,

2011.04.23. <http://www.opentext.org.ge/index.php?m=4&y=2011&art=5737>

კალათბურთი 2009: საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდი. <http://www.gbf.ge/news.php?m=news&date=2009-10&id=1835>

კლდიაშვილი 1947: კლდიაშვილი, დავით. მოთხრობები და პიესები. თბილისი: სახელგამი, 1947.

ლებანიძე 1990: ლებანიძე, მურმან. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №48.

მერჩული 1960: გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. „ჩვენი საუნჯე“, ტ. 1. თბილისი: „ნაკადული“, 1960.

მოსულიშვილი 2001: მოსულიშვილი, მიხო. ფრენა უკასროდ. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2001.

პირველი 2014: პირველი, ზურა. თბილისის ზოოპარკი. <https://www.facebook.com/TbilisiZoo/photos/a.189127464574.160440.176924019574/10152950694589575/>

პლენცდორფი 1982: პლენცდორფი, ულრიხ. ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი. გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1982.

როზენტალი 1976: Розенталь Д. Э., Теленкова М. А.. Словарь-справочник лингвистических терминов. Изд. 2-е. — М.: Просвещение, 1976. <http://dic.academic.ru/dic.nsf/lingvistic/1858/экономия>

რუხაძე 2002: რუხაძე, მაია. „გალაკტიკონოლოგია — „ლოგიების“ ბრწყინვალეობა და სილატაკე. გაზ. „ახალი 7 დღე“, 2002.12.06, №44. <https://open.ge/index.php?m=28&y=2002&art=10794>

სალუქვაძე 2012: „რეპორტაჟი „ნინო სალუქვაძის ტირიდან“. <http://www.itv.ge/?m=16&CID=20672>

სამადაშვილი 1988: ჟ. „მნათობი“, 1988, №12.

სასიყვარულო საიტი: <http://4love.ge/staturebi/print:page,1,67251-.html>

სანადირაძე, სანებლიძე 2012: სანადირაძე, გურამ; სანებლიძე, ნიკოლოზ. „საქართველო ჩვენვე უნდა ვმართოთ და გადავარჩინოთ დისიდენტები და მათი თაყ-



ვანისმცემლები“. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2012.01.10. <http://open.ge/index.php?m=12&y=2012&art=94>

სახოკია 1979: სახოკია, თედო. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი: „მერანი“, 1979.

ფსალმუნნი 1960: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. გამოსცა მზექალა შანიძემ. 1. ტექსტი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.

ქართლის... 2008: ქართლის ცხოვრება. თბილისი: „მერიდიანი“/„არტანუჯი“, 2008.

ქეგლ 1958: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ 5. პროფ. არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958.

ჩარკვიანი 2000: ჩარკვიანი, ჯანსუღ. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2000, №33.

ჭავჭავაძე 1950: ჭავჭავაძე, ილია. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 2. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1950.

ჭავჭავაძე 1953: ჭავჭავაძე, ილია. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 3. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1953.

ჭილაია 1984: ჭილაია ა., ჭილაია რ. ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.

ჯაველიძე 1990: ჯაველიძე, ელიზბარ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №27.

ჯორჯანელი 2003: ჯორჯანელი, კარლო. ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი. თბილისი: „მერანი“, 2003.

ბიოგრაფიული შახიშვილი



„ან სვალინდელი დღე რას მპირდება“

ნერილი მესამე*

სარა რული ახალი ავტორია თანამედროვე ამერიკულ დრამატურგიაში, XXI საუკუნის მწერალი, თერთმეტწლიანი მოღვაწეობის მიუხედავად 11(!) პიესის ავტორია. „სუფთა სახლი“ – ექსცენტრიული კომედია ხუთი მსახიობის შესრულებით ახალგაზრდა რეჟისორმა ნინი ჩაკვეტაძემ განახორციელა. სპექტაკლში ამ თეატრის მსახიობების (ნინო ბურდული, ეკა ჩხეიძე, დარეჯან ხაჩიძე) გარდა დაკავებულნი არიან სამეფო უბნის თეატრის მსახიობი სალომე მაისაშვილი და დებიუტანტი ზაზა ვაშაყმაძე.

რეჟისორის და მხატვრის (გ. უსტიაშვილი) მიერ ჩაფიქრებული მინიმალური დეკორაციის მეშვეობით – ერთი დიდი თეთრი ყუთით, რომელშიაც „მატრიოშკას“ პრინციპით რამდენიმე ასეთივე მომცრო ყუთია მოთავსებული, ხერხდება ოთახში კომფორტული, თანამედროვე სახლის დიზაინი შექმნა. აკვარიუმით, ნითელი კასტანეტებით, ოთახის თანამედროვე განათებით, ჩასართავ-გამოსართავი ნათურებით, მ. თუმანიშვილის თეატრის ფანჯრებითა და გარე აივნებით, მოპრიალებული პარკეტით სცენური და თეატრალური გარემო იქმნება, სადაც პიესის მოქმედი პირები ცხოვრობენ. ისი-

ნი ამ სახლში განვითარებული მოვლენების მთავარი მოქმედი გმირები არიან, მათ შორის ვერ გამოყოფ ვერავის მეორეხარისხოვანს. მათი ამბავი კი საუკუნესავით ძველი „სასიყვარულო სამკუთხედია“ თავისი მედიატორებით. მოქმედი პირნიც ჩვენთან ერთად მაყურებელთა სავარძლებში სხედან, მაგალითად, ანა – დარეჯან ხაჩიძე გვერდით, ჩემს მარცხნივ ზის, ჩემს უკან ჩარლზია – ზაზა ვაშაყმაძე, ცოტა მოშორებით მეორე რიგში – ვირჯინია – ნინო ბურდული, მის საპირისპირო მხარეს კი ლეინი – ეკა ჩხეიძე. ამ დროს შავებში გამონყობილი ბრაზილიელი მოსამსახურე მატყილდე, სალომე მაისაშვილი თეთრ ყუთზე ფეხებზემონწყობილი, თავდაყირა „ექვსთვლიანი“ ანეკდოტის შეთხზვითაა დაკავებული.

რეჟისორმა მთლიანად მოიცვა ახალი დარბაზის ის ადგილი, რომელიც მაყურებელთა სავარძლების განთავსების შემდეგ სათამაშო მოედნად იქცა. თეთრი დიდი ყუთი აივნის გასასვლელებს შორის, მასზე მოთავსებული აკვარიუმით, ოსტატურად ცვლის ავტორისეულ რემარკას თეთრი დივანისა და ასევე თეთრი სავარძლების შესახებ. მაყურებელი მყუდრო, მაგრამ ცივ გარემოში აღმოჩნდება, სა-

* პირველი და მეორე ნერილი იხ. „ცისკარი1852“ №1, №2, 2015.

დაც შავ ტანისამოსში გამონყობილი მათილდე ანეკდოტების კითხვით ირთობს თავს. მას სულაც არ ანუხებს დიასახლისის შენიშვნები, მისი გაუთავებელი საყვედურები სახლის დაულაგებლობის და უნესრიგობის თაობაზე. სალომე მაისაშვილის მათილდე ენერგიით აღსავსე, დიდი იუმორის მქონე ახალგაზრდა ბრაზილიელი გოგონაა, ამჯერად მგლოვიარე, რომელსაც მშობლების დაკარგვის განცდა მაინცდამაინც არ ეტყობა. ის ოცნებობს კომედიანტობაზე. მსახიობის გარეგნობა, გრიმი, ტემპერამენტი, შინაგანი რიტმი, პლასტიკა და პორტუგალიურ ენაზე მეტყველება კი შეესაბამება ავტორისეულ პერსონაჟს. სპექტაკლის განმავლობაში მათილდე იცვლება, ქარაფშუტა, ემოციური ახალგაზრდა გოგონასგან ფინალში ყურადღებიან, მოსიყვარულე, მზრუნველ, ჭეშმარიტად კეთილისმსურველ ქალად გადაიქცევა და მაშინაც კი, როცა



ანა და ლეინი მის შესახებ კამათობენ და ცდილობენ, თავ-თავისკენ გადაიბირონ, მათილდე-მოსამსახურე ინარჩუნებს ღირსებას, თავმოყვარეობას და არჩევანს თვითონვე აკეთებს – მზადაა, ორივეს ემსახუროს თანაბარი პირობებით.

მატილდე – სამხრეთ ამერიკიდან სამსახურის საძიებლად ჩამოსული ემიგრანტი, „განვითარებადი ქვეყნის“ იაფსიანი მუშახელის კრებადი სახეა, რომელსაც სარა რული პიესაში საკმაოდ დიდ დატვირთვას აძლევს. მას, ცეკვით (ქორეოგრაფი ა. ნერეთელი) გართულს არაფრად მიაჩნია ლეინის პრეტენზიები. ლეინი – ეკა ჩხეიძე სამსახურში მუდმივად დაკავებული ექიმი, უყვარს ნესრიგი, ცხოვრებაც ისე აქვს მოწყობილი, რომ ზედმეტი ნერვიულობა და დროის ხარჯვა ხელს არ უშლის პროფესიულ საქმიანობაში, მისი ჩაცმულობაც მკაცრია, ძირითადად ნაცრისფერ-მომწვანო მამაკაცური სტილის შარვალ-კოსტუმშია გამონყობილი. მისი მეუღლე ჩარლზიც ექიმი, ოცნლიან ცოლქმრულ ცხოვრებას ჯერ ჩრდილი არ მისდგომია. ეკა ჩხეიძე თამაშობს ჭკვიან, ტაქტიან, განონასწორებულ ლეინს, რომელიც უამრავ პაციენტთან ურთიერთობის გამო ცივია, მაგრამ ზომიერად ყურადღებიანი, ცივია მისი დამოკიდებულება უფროსის და ვირჯინიას მიმართაც. რამდენიმე შეკითხვა, ზოგადი არაფრის-მთქმელი ფრაზები და თითქოს მოსიყვარულე დებს შორის თბილი ოჯახური გარემო აღდგენილია. თუმცა ვირჯინია მაინც ხვდება ამ სიყალბეს. „შეგვეძლო ნამდვილი დები ვყოფილიყავით, რომლებიც ერთმანეთს ნამდვილ რაღაცებს ეუბნებიან“. ეკა ჩხეიძე ჩვეული პროფესიონალიზმით, მაღალი თეატრალური კულტურით ასრულებს ლეინის წინააღმდეგობრივი ხასიათის საკმაოდ რთულ როლს, ზუსტად მოაქვს მაყურებლამდე რეჟისორის მიერ დასახული ამოცანა. პირველი სცენიდან ფინალამდე იხვეწება და ივსება, უფრო გამომსახველი ხდება ლეინის სახე. მსახიობის ოსტატობას

ბოლო წლებში შეემატა „ინტიმურობის“ ნიშანი, „ახლო ხედით“ თამაშის მანერა, როცა მაყურებელი ახლო კონტაქტშია, ზის იქვე, მის წინ ან გვერდით. ასეთი უშუალო კონტაქტის მაგალითად ამ სპექტაკლის გარდა შეგვიძლია გავიხსენოთ თუნდაც თ. ბართაიას „პეიზაჟს აკლია სიტბო“ (რეჟისორი დ. ხვთისიაშვილი) მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, სადაც ეკა ჩხეიძე მთავარ როლს ასრულებს.

ლეინი სანყის სცენაში საკუთარ თავზე ზემოქმედების ხარჯზე ცდილობს ტკბილი ურთიერთობა დაამყაროს მათილდესთან, უფრო მეტი შეიტყოს მასზე და მის ოჯახზე და დაიახლოვოს იგი. ეს მცდელობა მთლად წარმატებული ვერაა, მაგრამ პირველი ნაბიჯები გადადგმულია. ვირჯინიას – ნინო ბერდულის „შემოჭრა“ ოჯახში სხვა კუთხით აბრუნებს მოქმედებას. ვირჯინია, შუახანს მიტანებული ქალბატონი, ქმრის ხელში უინტერესო და უშინაარსო ცხოვრებით ცხოვრობს, ძალიან უყვარს სახლის დალაგება, მტვრის გადანმენდა, ზოგადად ადამიანების დახმარება. ნინო ბერდულის ვირჯინია ემოციური, თუმცა თავშეკავებული და განონასწორებულია. პატივს სცემს საკუთარ დასა და სიძეს. ციდან ჩამოფრენილი „ფრთიანი ანგელოზი“, ვარდისფერ-თეთრ ფერებში გამოწყობილი, ცდილობს, ყველას და ყველაფერს მისი კუთვნილი ადგილი მიუჩინოს,

გაულამაზოს ცხოვრება მათ, ვისთანაც უწევს ურთიერთობა. მაგრამ ხშირად გადამეტებული აქტიურობა კარგ შედეგს არ იძლევა. პირველად ვირჯინიას „მცდელობებში“, დაეხმაროს მათილდეს სახლის დალაგებასა და საოჯახო საქმეებში, ირკვევა ჩარლზის „ერთგულება“ და ჩნდება ბზარი ლეინისა და ჩარლზის იდეალურ ოჯახში, რომლებიც მართლაც ისე იშვიათად ხედავენ ერთმანეთს სახლში, რომ თითქმის უცხონი გახდნენ და მხოლოდ ერთი და იმავე კლინიკის ორ კოლეგა ექიმად აღიქმებიან. ქმრის ლაღატი პაციენტთან ლეინისთვის მოულოდნელიც არის და შეურაცხმყოფელიც ერთდროულად. სახლში მობრუნებული მათილდესთან ერთად ალკოჰოლში ცდილობს ჩაიკლას „ბოლმა“, თუმცა სულ მალე ხვდება, რომ ქმრის ასეთ საქციელში მისი წილი დანაშაულიც არის. ჩარლზისა და ანას სტუმრობა საბოლოო წერტილს უსვამს ამ „ეჭვებს“, თუმცა ლეინს – ეკა ჩხეიძეს გამომეტყველებაზე ეტყობა, რომ ის შეცბუნებული და გაკვირვებულია თუ რატომ არ გამოინვია სხვებში (მატილდე, ვირჯინია) აღშფოთება ჩარლზის საქციელმა. ყველა მის გარდა ისე შეხვდა ამ ამბავს, თითქოს არაფერი მომხდარიყო. და მხოლოდ ერთხელ, მაშინ როცა სტუმრად მოსული მისი „მეტოქე“ ანა მათილდეშიც კი შეეცილება, აქ კი ლეინის პროტესტი აგრესიაში გადადის – „ღმერთო ჩემო! რა უფლება გაქვთ მოხვიდეთ ჩემს

სახლში და წამართვათ ყველაფერი, რაც ჩემია!“ ეს ქმარმიტოვებული ცოლის პროტესტია. მაგრამ ანასთან შეხვედრა, მისი უბედურების გაზიარება ჩარლზისა და ანას სიყვარული, ბეშერთის, ღმერთის მიერ მისთვის ნაპოვნი მონათესავე სულის არსებობის ლოგიკა საბოლოოდ ცვლის ლეინს. „გონსმო-



სული“ ლენინი თმობს მეუღლეს, ანას აღსასრული ახლოვდება.

ანა – დარეჯან ხაჩიძე, არგენტინელი ქალბატონი, ბედუკუდმართობის გამო ჩარლზის ხელში აღმოჩნდება. დარეჯან ხაჩიძე თამაშობს სულთმობრძავ ქალს, რომელსაც არ ანუხებს თავისი



ფიზიკური მდგომარეობა, მოახლოებული სიკვდილი, მხოლოდ ბოდიშს უხდის ლენინს ჩადენილი საქციელის გამო, მაგრამ ამავდროულად ცდილობს დაარწმუნოს, რომ ჩარლზისა და მისი შეხვედრა თვით განგების ბრალია, რომ ისინი მის წინაშე დამნაშავენი არ არიან. დარეჯან ხაჩიძის ანა ლამაზი, მოსიყვარულე, მხიარული შეყვარებულია, დარჩენილ წუთებს ჩარლზთან ცეკვასა და ალერსში ატარებს, მისთვის მეორე, ბედნიერი, მაგრამ ხანმოკლე ცხოვრება იწყება.

ჩარლზი – ზაზა ვაშაყმაძე, აქამდე იდეალური ქმარი, რომელიც ადრე თითქოს ყველაფერს სწორად აკეთებდა, ანას შეხვედრის შემდეგ გადასხვაფერდება, სავსე ცხოვრების სურვილით აღივსება, სამეცნიერო აღმოჩენაც ანას გამოჯანმრთელების და საგმირო საქმეების ჩადენის სტიმულს აძლევდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან დაივიანა – ანას გადარჩენა ვერ შეძლო. „სუფთა სახლს“ შეიძლება თამამად ვუწოდოთ მსახიობთა სპექტაკლი. რეჟისორმა გვიჩვენა ერთი

ოჯახის ისტორია, რომელიც ერთდროულად კომიკურიცაა და ტრაგიკულიც. პიესის ფინალი, რომელიც შეიძლება მელოდრამატული ყოფილიყო აქცენტების შემსუბუქების გზით, ანას მიერ სიკვდილისადმი „მსუბუქი“ დამოკიდებულების გამო ასეთად არ აღიქმება, რაც უდაოდ

მსახიობებისა და რეჟისორის სასახელოდ მეტყველებს. „ჩარლზს მოუარე“ – ანას უკანასკნელი სიტყვები ლენინის მიმართ მოწმობს, რომ შერიგება შედგა, თუმცა ამ „სასიყვარულო სამკუხედში“ არც ყოფილა განსაკუთრებული „თმების წენვა და გლეჯა“, ურთიერთშეურაცხყოფა

და ეჭვიანობის სცენები. ყველა გაგებით ეკიდებოდა შეყვარებული წყვილის ბედნიერებას, ანას ტრაგედიას, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში არ აგრძნობინეს მარტოობა და გაათბეს. ლენინისთვის კი ეს გაკვეთილი ჩარლზთან ახალი ურთიერთობის დასაწყისია.



„ჰედა გაბლერს“ იბსენის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მთავარი მოქმედი პირი თვითმკვლევლობით ასრულებს სიცოცხლეს (როსმერიც იკლავს თავს „როსმერხოლმში“). ამ ნაწარმოებში იბსენმა შეძლო ზუსტად აესახა ის განწყობილება, რაც იმდროინდელ ევროპაში, ნორვეგიაშიც სუფევდა. – ლაპარაკია ქალის პიროვნების როლზე საზოგადოებაში. დრამატურგის თითქმის ყველა ნაწარმოებში მამაკაცები ბრძოლისუნარიანობას მოკლებულნი არიან ქალებთან შედარებით და მხოლოდ იბსენის პიესების ქალები იბრძვიან ცხოვრების იმ

ბურჟუაზიული წესის წინააღმდეგ, რომელიც უპირისპირდებოდა ინდივიდუალიზმის გამოვლენას, თავისუფლებისაკენ ლტოლვას, რაც საფუძვლად ედო თუნდაც რენესანსულ თეატრალურ სისტემას. ამ ორი დაპირისპირების გასაყარზე მდგარი იბსენი ქმნის ახალ დრამატურგას, მისი ყოველი პიესის პერსონაჟები ხელახლა იწყებენ ბურჟუაზიულ გარემოსთან ბრძოლის იმისათვის, რომ საბოლოოდ დამარცხდნენ.

პიესის ყველაზე მთავარი, მძაფრი და არსებითი მეორე მოქმედების დასასრულის, ჰედასა და თეას სცენა, რომელიც ვ. აბაშიძის მუსიკისა და დრამის თეატრის სპექტაკლში, სამწუხაროდ, იმდენად შეკვეცილია, რომ გამოტოვებულია მთავარი ფრაზა და ამ პიესის ერთ-ერთი დედააზრიც, როდესაც ჰედა ამბობს: – „მსურს ერთხელ მაინც ცხოვრებაში ადამიანის ბედი მეპყრას ხელში“. დიახ, ჰედა გაბლერს იმხელა გავლენა ჰქონდა ლევორ-

სენოთ თუნდაც მისი ჩართვები: „როგორ თამაშობ? „თავისუფალ თეატრში“ ხომ არ გგონია თავი?“, ან მისი მეოხებით მაყურებელთა ჩართვა ქმედებაში უამრავი სანთებელის ანთებით და ჩაქრობით, ან ის შეგონება, რომ საქართველოში ქალებზე ძალადობას აქვს ადგილი.

ბერტას, შემდგომ ასესორი ბრაკის, ლევბორგის მიკროფონის მეშვეობით ასეთი ჩართვები საკონცერტო ნომრების ელფერს აძლევს სპექტაკლს, თუმცა რეჟისორი მაინც ახერხებს წარმოდგენის ერთ ხაზად „შეკვრას“.

სცენა შავ ყუთს მოგვაგონებს (სცენოგრაფი ბიძინა ქავთარაძე), პრაქტიკულად ყოველგვარი დეკორაციის გარეშე, სადაც საქონილო მოგზაურობიდან დაბრუნებულთა ჯერ კიდევ გაუხსნელი ყუთებია მიმოზნეული. ძველი როიალი, პატარა მაგიდა სეკრეტერის ფუნქციით, მასზე წყლით სავსე გრაფინით და უშველებელი, აქა-იქ ფანჯარაჩამსხვრელი ან უთანჯრო შუშაბანდი, რომლის ერთი კარი ბაღში გადის. ბალიც ბნელია და ავისმომასწავებელი, სადაც რამდენიმეჯერ საბედისწერო სცენა გათამაშდება.

ქალბატონი იულიანა ტესმანი (ნინო გომართელი) ახალგაზრდა იორგენ ტესმანის გულშემატივარია, უფრო მეტიც, მის ჩამოყალიბებაში, ოჯახის შექმნაში და სახლის მოწყობაშიც დიდი როლი შეუსრულებია, მზრუნველი მამიდაა, რომელმაც ქონებაც კი დააგირავა ამ სახლის ხალიჩებით მორთვისათვის. სპექტაკლის ბოლოს კი ირკვევა (რეჟისორის ვერსიით) არა მხოლოდ ნათესაური გრძნობებია ამ მზრუნველობის საფუძველი. მის პირველი, ძალზე ემოციური შემოსვლა გროტესკულია. სახის ასეთი ჰიპერბოლიზება საინტერესოა, თუმცა ძნელად თუ შეეფერება შინაბერა ნორვეგიელი ქალის წყნარ ბუნებას.

გენერალ გაბლერის ოჯახში გაზრდილ ჰედას (სალომე ჭულუხაძე) იარაღები უფ-



გზე, რომ მისთვის სრულიად მიუღებელი გახდა თეათი მისი ჩანაცვლება, ამიტომაცაა მის მიმართ ასე მძაფრად განწყობილი.

ახალგაზრდა რეჟისორ თ. გომართელის დადგმა ნამდვილად ნოვატორულად უნდა ჩაითვალოს. მას მაყურებელთან ურთიერთობის ორიგინალური ფორმა შემოაქვს, სადაც ბერტა (ცისია მეტრეველი) კონფერანსიეცაა, მოახლეც და თუ გნებავთ სპექტაკლის ინტერაქტიური წამყვანიც და შემფასებელიც. გავის-

რო იტაცებს, ვიდრე ქალური აქსესუარები და ქუდები. ჰედასთვის მთავარი თავისუფლებაა, რის გამოც ერთხელ უკვე უარი თქვა აილერტ ლევბორგზე და იარალის მუქარით მოიშორა თავიდან. ტესმანთან შეუღლებაც ამ თავისუფლების ნაწილია, რადგან აშკარად გრძნობს საკუთარ უპირატესობას მასზე. მის ცხოვრებაში ხელახლა შემოჭრილი ლევბორგი და თეა არღვევენ მის მყუდროებას. ჰედა ცდილობს, დაიბრუნოს მათზე ზეგავლენა, მაგრამ გარეშე ძალებისა და ფაქტორების გამო კვლავ ფიასკოს განიცდის ჰედა, ასესორი ბრაკის გავლენის ქვეშ მოქცეული, რომელიც იმ საიდუმლოებას ფლობს, რაც ჰედას თავისუფლებას შეზღუდავს, ასესორს მიმართავს: – „ახლა მთლიანად თქვენს მეუფებაში ვარ“.

ჰედა თავს იკლავს არა იმიტომ, რომ ლევბორგი დაკარგა ან იმიტომ, რომ მან მისი იარალით ლამაზად ვერ მოიკლა თავი, არა იმიტომ, რომ თეა შეძლებს დამნეწარი ხელნაწერის აღდგენას, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თავისუფლება დაკარგა და სამუდამოდ ასესორი ბრაკის ზეგავლენის ქვეშ ყოფნა აშინებს.

ჰედა (სალომე ჭულუხაძე) მაღალყელიანი ჩექმებით, შორტებითა და თეთრი გრძელი პერანგით, თავზე რქებივით შეკრული კიკინებით, უფრო კოლეჯის თინეიჯერ გოგონას ან ბიჭუნას მოგვაგონებს ვიდრე ფრუ ტესმანს. მისი ჭირვეული და მკაცრი ხასიათი პირველი ფრაზებიდანვე ვლინდება. მიხრა-მოხრაც თავნება გოგონასი აქვს. მის ყოველ ქმედებას გულგრილობისა და უინტერესობის კვალი ატყვია. ჩანს, რომ ამ ოჯახში ბედნიერება არ არის. მთელი პირველი მოქმედების განმავლობაში მისი განწყობა ხშირად იც-

ვლება. იგი ხან დამყოლია და მორჩილი, ხან მეამბოხე და ჭირვეული, ხან კი ცინიკოსი და ბოლმიანი, ხანაც შურისძიებით აღსავსე. განწყობის ასეთი ცვალებადობა იმის მანიშნებელია, რომ ერთი წელი ტესმანთან ცხოვრებამ მას სიყვარული და ბედნიერება ვერ მოუტანა, ვერც სხვა რაიმე საქმეს მოჰკიდა ხელი, ვერც მეუღლის მეცნიერული მოღვაწეობით დაინტერესდა. ამჯერად კი, ყველაფერს მოკლებულს, ერთი გასართობი დარჩენია – კვლავ მამის, გენერალ გაბლერის მიერ დატოვებული იარალი, რასაც ძალიან ხშირად პირდაპირი დანიშნულებით იყენებს. ჯერ, ახალგაზრდობაში მისი სამიზნე ლევბორგი ხდება, მოგვიანებით კი ასესორი ბრაკი, რომელიც შემთხვევით გადაურჩება მის ნასროლ ტყვიას. ჰედა არ უშვებს საკუთარ თავზე სხვის ზემოქმედებას, საპირისპიროდ თვითონ ცდილობს ყველაზე მაღლა დადგეს და ყველა დაიმორჩილოს: ტესმანი, ლევბორგი, თეა, მხოლოდ ასესორ ბრაკთან აგებს ბრძოლას, რაც საბედისწერო ხდება მისთვის.

ფრაუ თეა ელვსტედთან (ნინო მითაიშვილი) საბრძოლველად კი სულ სხვა იარალს იყენებს: მისი მთავარი ამოცანაა, დაიმორჩილოს თეა, შეურაცხჰყოს და გაანადგუროს. თეაც ვერ უწევს წინააღმდეგობას. იგი სუსტია და სასონარკვეთილი. ლევბორგზე შეყვარებული თეა



მხოლოდ მისით და მისი მომავალი წიგნით სულდგმულობს. ამიტომაც ადვილად ეგება მახეში. თეა თავისი ჩაცმულობით და ქცევით თანამედროვე შოუბიზნესის წარმომადგენელს ან X-ფაქტორის მონაწილეს უფრო ჰგავს (კოსტიუმების მხატვარი ნინო ჯაში), ვიდრე ლევბორგის ბედით დამნუხრებულ, არცთუ უნიჭო ქალბატონს, რომლის უშუალო დამსახურებაა მეცნიერის მიერ შექმნილი წიგნი, რამაც ასე ალაფრთოვანა და შემდგომ დაამნუხრა იორგენ ტესმანი – ხელნაწერი საბედისწერო აღმოჩნდა როგორც ავტორისათვის, ასევე ჰედა გაბლერისათვის. რეჟისორმა ძალზე ორიგინალურად გადანყვიტა ჰედას და ლევბორგის გამომშვიდობების სცენა, როცა ჰედა ლევბორგს არჩევანს სთავაზობს – ან ხელნაწერი, ან რევილვერი. ორიგინალურია იმიტომაც,



რომ, ასეთი შეთავაზება პიესაში არ არის (ჰედა მალავს ხელნაწერს და შემდგომ წვავს). სპექტაკლის მიხედვით ლევბორგი თვითონ ამბობს უარს ხელნაწერზე, რისი ლოგიკური გაგრძელებაც თვითმკვლელობაა – არა ისე ლამაზად, როგორც ჰედას სურდა, მაგრამ მაინც...

პიესაც და მუსიკისა და დრამის თეატრის სპექტაკლიც აგებულია მთავარ მოქმედ პირთა სამკუთხედებზე: ტესმანი-ჰედა-ლევბორგი, ტესმანი-ჰედა-ასესორი ბრაკი, ჰედა-ლევბორგი-თეა. პირველ აქტში ასესორი ბრაკის მიერ იატაკზე

მოხატული სამკუთხედიც ამის ნიშანია. მაგრამ სპექტაკლის ბოლო სცენები, სადაც იკვეთება ასესორი ბრაკის ახლახან მოპოვებული უპირატესობა და გავლენა ჰედაზე, ტესმანისა და თეას მცდელობები ხელნაწერის აღდგენისთვის, ამკარად არღვევს სამკუთხედის პრინციპს. ხდება ახალი გადანყვილება: თეა – ტესმანი – ჰედა – ასესორი ბრაკი, იულიანა ტესმანი-იორგენ ტესმანი (ძალიან საკვირველი ინცესტუური განაცხადი?!).

ასესორი ბრაკი თავის თავში დარწმუნებული, ძლიერი, მოხერხებული და გამჭრიახი მაჩოა, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დასახულ მიზნებს მიაღწიოს. იგი ჰედას სასიყვარულო სამკუთხედს სთავაზობს, რომელიც სულ მალე მოსწყინდება და უკვე მის დამორჩილებას განიზრახავს როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად, რასაც წარმატებით აღწევს კიდეც. ზ. ჩიქობავას ბრაკი ცბიერია, მოქნილი. ადვილად აღწევს სხვათა თვალში მალაღობის პრესტიჟის მოპოვებას. სპექტაკლის ფინალში საყოველთაო ფერხულში ჩაბმულიც ლიდერია და ყველა სანადელს მიღწეული გამარჯვებას ზეიმობს.

ფრუ თეა ელსტედი, ერთი მხრივ, გულუბრყვილო, ქარაფშუტა ქალს მოგვაგონებს, ყოველ შემთხვევაში სპექტაკლის პირველ აქტში მაინც, რომელიც სიყვარულის გამო იმ დამცირებაზეც კი მიდის, რომ ტესმანების ოჯახს ესტუმრება თხოვნით, თუმცა სკოლის დროიდან მშვენივრად ახსოვს ჰედას უარყოფითი დამოკიდებულება მის მიმართ. მეორე მხრივ იგი საკმაოდ ჭკვიანი და ძლიერი აღმოჩნდა და შეძლო არა მარტო შეეცვალა ლევბორგის ხასიათი, სწორ გზაზე დაებრუნებინა იგი, არამედ მოახერხა, მასში კვლავ გაეღვივებინა მეცნიერული ძიების სურვილი, რის შე-

დეგადაც შეიქმნა ჯერ ერთი ნიგნი, ხოლო მოგვიანებით „მომავლის კულტურის პოლიტიკის“ პროექტიც.

ბატონი იორგენ ტესმანი (შაკო მირიანაშვილი) უფრო ნევრასტენიკია, ვიდრე ჩამოყალიბებული მეცნიერი. მისი პროფესორობისკენ ლტოლვა უფრო სოციალურია, ვიდრე პატივმოყვარეობითი. მამიდის ვალების გადახდა, ჰედას კაპრიზების შესრულება წარმატებული კარიერის შედეგი უნდა გამხდარიყო. ამდენად, მისი ჯერ ისტერიკა, ხოლო შემდგომ მძიმე დეპრესია პროფესორის ადგილის დაკარგვის შიშით სრულიად გასაგებია და მსახიობიც ერთობ დამაჯერებლად ასრულებს. შ. მირიანაშვილის ყოველი შესტა, ერთგვარი მანერულობაც, რასაც მსახიობი იყენებს იორგენ ტესმანის როლის შექმნაში, გვარწმუნებს, რომ საქმე ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობთან გვაქვს, რომელმაც მუსიკის და დრამის თეატრის სცენაზე უკვე შექმნა ძალზე მნიშვნელოვანი სახასიათო როლები სპექტაკლებში „დორიან გრეის პორტრეტი“ და „ფსკერზე“.

პიესისა და სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი აილერტ ლევბორგია, რომლის გარშემოც ვნებათა ღელვა ტრიალებს. ჰედას ძველი მეგობარი, ტესმანის ყოფილი კოლეგა, თეას და წითელთმიანი მომღერლის საყვარელი თავის დროზე იმედისმომცემ მეცნიერად სახელდებოდა. მისი შემოსვლა სცენაზე (ჯ. სხირტლაძე) საკუთარი თავის წარდგენით და დიდი მონოლოგით იწყება. საუბარია თეატრის არადემოკრატიულობაზე, რეჟისორის დიქტატზე და, საერთოდ, იმაზე, რომ მას, მსახიობს, სულ სხვანაირად წარმოედგინა თავისი პერსონაჟი ამ სპექტაკლში. ჰედასგან დამფრთხალი, უარყოფილი ლევბორგი ალკოჰოლიზმისა და გარყვნილების მორევში გადაეშვება და მხოლოდ თეასთან შემთხვევითი შეხ-

ვედრა იხსნის. მას ახალმა პარტნიორმა და საყვარელმა მისცა ის, რაც ჰედასგან დააკლდა – თვითდაჯერებულობა და საკუთარი თავის პატივისცემა, მაგრამ ჰედასთან ხელახალი შეხვედრა ისევ აბრუნებს წარსულში. ჰედასა და ლევბორგის სცენებში იგრძნობა ურთიერთლტოლვა, ძლიერი ვნება, რომელსაც დროდადრო თვით ჰედა ეწინააღმდეგება და უფრო ხშირად გარეშე ფაქტორები (ტესმანი, ასესორი ბრაკი, თეა) უშლიან ხელს, ყველაფერი უთხრან ერთმანეთს ან ცოტა ხნით მაინც განცალკევდნენ. ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი, როცა ჰედა არჩევანს სთავაზობს ხელნაწერსა და რეჟისორს შორის, ლევბორგი თავისდა საწინააღმდეგოდ იმ არჩევანს აკეთებს, რომელიც ჰედას სურს. ამ სახლიდან გასულმა ლევბორგმა უარი თქვა საკუთარ მომავალზე, უარი თქვა, ელიარებინა „თეასა და ლევბორგის ბავშვი“, როგორც ისინი ამ ხელნაწერს უწოდებენ და სიკვდილი არჩია არცთუ ჰედას ზეგავლენის გარეშე. მაგრამ გარეთ გასული ისევ სუსტი და უნებისყოფო აღმოჩნდა. ლამაზი თვითმკვლელობის ნაცვლად შემთხვევით გავარდნილმა ტყვიამ იმსხვერპლა იგი, რითიც სრულად დაუნგრია ჰედა გაბლერს ოცნებები, რაც ახლა უკვე მისი თვითმკვლელობის ერთ-ერთი საბაბი გახდა.

ჰედა შავებითაა მოსილი, ხელში იარაღი უჭირავს, მას დროდადრო თავს ესხმიან სპექტაკლის სხვა პერსონაჟები და სისხლს ადენენ. ჰედა თავსაც კი ვერ იცავს. მისი გვემა გრძელდება საერთო ფერხულისა და მუსიკის ფონზე, თითქოს დანარჩენნი: თეა, იორგენ ტესმანი, იულიანა ტესმანი, ასესორი ბრაკი მასზე უკეთესები იყვნენ და აქ ისევ იკვეთება იბსენისეული თეზა – ის, ვინც გარემოს (საზოგადოებას) უპირისპირდება, სასიკვდილოდ არის განწირული.